

# დასრუსა

სახეგადგობიგ-სამეცნიერო ჟურნალი

№ 2-3

აგვისტო, დეკემბერი

2019 წელი

# ნომერზე მუშაობდნენ:



რელაქტორი  
მარინე ლამონია




ნესტან ფიჭია



ნანა აბულაშვილი




ზაურ ჯალალონია



მინსალარ ჭაჭავაძე



შორიანა ლომია



ზოინაბ სარბია



ლადო ქირბია



ვახტანგ ბაგვაძე



რევაზ პაპუაშვილი



კობა ჭიკიანი



ბელა მამურია



რევაზ მეჩხარიანი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>საზოგადოებრივი ინფორმაცია</b>	მეგრული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ ..... 4 „მსოფლიო ვარსკვლავი 2019-ის“ გამარჯვებული..... 4 კოლხური ღვინის პირველი ფესტივალი „დია“ ..... 5 2008 წლის აგვისტოს ომის მემორიალი ..... 5 კავკასიური პოეზიის ფესტივალი „ანაკლია 2019“..... 6
<b>იუბილე</b>	<b>ნესტან ფიფია</b> დისიდენტის ზოგადი სახე ზვიად გამსახურდიას იგავეებში..... 9 <b>ზეინაბ სარია</b> ზვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მთარგმნელი..... 13 <b>გელა მამფორია</b> ღვანლი მონამისა, ღვანლი მარტვილისა! ..... 19
<b>საქართველოს მუზეუმები</b>	<b>ზაურ ჯალალონია</b> ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მუზეუმი ..... 23 <b>მარინე დამენია</b> ზუგდიდის სპორტის მუზეუმი ..... 28 „მედიამუზეუმი“ ხუთი წლისაა ..... 29 გაზეთი „მოხანდეში ხონარი“ ..... 32 აკაკი ყუფუნია ..... 34
<b>მედიანისტორია</b>	
<b>ფილოსოფია</b>	<b>ლადო ქირია</b> ძალაუფლება და პოლიტიკური ლიდერი ..... 36
<b>კრიმინალისტიკა</b>	<b>ვახტანგ გაბედავა</b> კრიმინალისტიკის მეცნიერებად აღიარება..... 38
<b>რელიგია</b>	<b>მზისადარ ჭაფანძე</b> სამეგრელოს ეკლესიებში დაცული სინმინდეები ..... 42
<b>არქეოლოგია</b>	<b>რევაზ პაპუაშვილი, მერაბ ქვარაჩია</b> ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ..... 45
<b>ფოლკლორი</b>	<b>ნანა აბულაძე</b> „გინოძირაფა“, ანუ საცოლის გასინჯვა (ფშავ-ხევსურული „დაკვლევა“), და მეგრული ზეპირსიტყვიერება..... 71
<b>ქართველები უცხოეთში</b>	<b>შორენა ლომაია</b> ქართველები დუზღეს უნივერსიტეტში ..... 84
<b>თარგმანი</b>	<b>კონსტანტინე (კოტე) ჭილაია</b> სვანეთი ..... 87
<b>სპორტი</b>	<b>რევაზ (როლანდ) მაქაცარია</b> საცხენოსნო კლუბი „ხარება“ ..... 109

ჟურნალი აიწყო და დაკაბადონდა „დისკუსიის“ რედაქციაში.  
მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჟიულ შარტავას ქუჩა N179  
ტელ.: 557 56 71 16; 571 19 83 85;

# მეგრული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეგიდით ანაკლიის ისტორიული ციხის სივრცეში წმ. გიორგის ორდენისა და უმაღლესი ჯილდოს, ხელოვნების ქურუმის, მფლობელის, მეგრული ფოლკლორის პატრიარქად წოდებული ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ გაიმართა.

პოლიკარპე ხუბულავამ შემოგვინახა უძველესი მეგრული სიმღერების სხვადასხვა ვერსია, რასაც უცხოელი ფოლკლორული ანსამბლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უწევენ პოპულარიზაციას.

ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ 19 ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდნენ ანსამბლები „მასპინძელი“ ქალაქ ლონდონიდან და „ზურმუხტი“ – დუბლინიდან. უცხოელმა მომღერლებმა მეგრული სიმღერები შეასრულეს.

აფხაზეთის აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ: „ფესტივალი კარგი საშუალებაა

ეროვნული ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის.

„ილია ამბობდა: „ენა ერის გონებაა“, არნოდ ჩიქობავამ დაამატა, რომ „გრძნობა ხალხური სიმღერაა“. ერის გრძნობა გამოიხატება ხალხურ სიმღერაში. ამდენად, მისი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ფესტივალი დიდი შესაძლებლობაა, რომ ქართულმა, ეროვნულმა გენიამ კიდევ უფრო შორს გაიტანოს ქართული კულტურის სახელი“

ფესტივალის ორგანიზატორის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მანუჩარ სამუშიას განცხადებით: „ფესტივალს ბევრი სტუმარი და გულშემოტივარი ჰყავს. ფესტივალი წელს დაფუძნდა, მომავალ წელს კი, ვფიქრობთ, რომ იგი 3 დღიანი გახდეს“.

## „მსოფლიო ვარსკვლავი 2019-ის“ გამარჯვებული



სამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატში, ლოს ანჯელესში საერთაშორისო მუსიკის ფესტივალზე „მსოფლიოს ვარსკვლავები“ 66 ქვეყნის კონკურსატი მონაწილეობდა. ამ ფესტივალზე საქართველო პირველად ღებულობდა მონაწილეობას და საქართველოს წარმომადგენელმა ზუგდიდის „რიბი-რაბოს“ და ანსამბლ „გინცი“-ს წამყვანი სოლისტი, თამარ ლილუაშვილი. (პედაგოგი სტუდია „რიბი-რაბოს“ ხელმძღვანელი ნინო მამფორია) რომელმაც 3000 ვოკალისტთა შორის გაიმარჯვა. და საქართველოში ჩამოიტანა ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი.

თამარ ლილუაშვილის თქმით: „იმდენად დიდი კონკურენცია იყო, ვერც წარმოვიდგენდით მე და ჩემი პედაგოგი, ქალბატონი ნინო მამფორია, რომელიც ყოველთვის ჩემს გვერდითაა და დედობრივი მზრუნველობით მამხნევებს და მადლიერებს, ამდენი ათასი ადამიანიდან ჩვენ თუ მოვხვდებოდით ფინალში. მაგრამ ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად დამთავრდა. მადლობას ვუხდით ART FEST GEORGIA დირექტორს, ქალბატონ ნინო გელაშვილს, რომელმაც შემარჩია და მომცა საშუალება მსოფლიო ჩემპიონატზე წარმედგინა საქართველო“.

# კოლხური ღვინის პირველი ფესტივალი „დია“

გუგდიდში კოლხური ღვინის პირველი ფესტივალი „დია“ გაიმართა. რომლის მიზანი კოლხური ღვინის პოპულარიზაცია და ადგილობრივი მენარმეების ხელშეწყობაა. ფესტივალის სიმბოლო სამეგრელოში გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძველი ნელთარციხვის VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული სკულპტურაა - კოლხური ქალ-ღვთაების ბრინჯაოს ქანდაკება „კოლხიმ ნანა“ - სადაც ცხენზე ამხედრებულ ქალს ერთ ხელში ყანნი, მეორეში კი თოთო ბავშვი უჭირავს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ღვინის კომპანიებისა და საოჯახო მარნების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამზადებული სხვადასხვა სახეობის ღვინო.

კოლხური ღვინის პირველ ფესტივალზე გაიმართა სემინარები ღვინის თემაზე, კოლხური ჯიშებისგან დამზადებული ღვინოების პრეზენტაცია და დეგუსტაცია. გამოვლინდა ნომინაციაში - „საუკეთესო კოლხური ღვინო“ გამარჯვებულები. ნომინაციაში პირველი ადგილის მფლობელი „როიალ დადიანი“ გახდა, მეორე ადგილზე „ლაბარა“, ხოლო მესამე ადგილზე მეღვინეობა „ხარება“ გავიდა.

ფესტივალში მეღვინეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები. მოეწყო სოფლის მეურნეობის სივრცეები, სადაც წარმოდგენილ აგროსივრცეში გამოფენილი იყო მენარმეების და ფერმერების პროდუქცია, მოხდა მათი გამოფენა-გაყიდვა: ჩაის სივრცე დაეთმო ადგილზე წარმოებულ ჩაის. ყველის სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული ყველის 40-მდე სახეობა.

ლონისძიების ფარგლებში გამოიფინა იტალიელი მოგზაურის კრისტოფორო დე კასტელის ნამუშევრები, მე-17 საუკუნის სამეგრელოს ყოფას

რომ ასახავს. აღსანიშნავია, რომ პალერმოს ბიბლიოთეკამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულს კასტელის მასალების სრული ელექტრონული ვერსია გადასცა.


ART სივრცეში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები, მოეწყო სხვადასხვა სახეობის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდა მასტერკლასები, გამოიფინა აგროტექნიკა.

ფერად საბავშვო სივრცეში დამონტაჟდა გასართობი ატრაქციონები, გაიმართა საბავშვო კონცერტები, მოეწყო კონტაქტური ზოოპარკი.

ტურისტულ სივრცეში მისულებმა ახალი მარშრუტების და ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.

მთავარ სცენაზე მთელი დღის განმავლობაში სტუმრების განწყობაზე ზრუნავდნენ ფოლკლორული ანსამბლები (აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი „ოდოია“, ანსამბლი „ნენსკრა“.

სალამო დახურა ბენდმა „Yellow“.



## 2008 წლის აგვისტოს ომის მემორიალი

წარუშლელი კვალი დატოვა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა. როგორც ყველა ომმა, ამ ომმაც რჩეული ახალგაზრდობა შეიწირა. სამეგრელოს რეგიონიდან მას 37 ადამიანი ემსხვერპლა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპულ მამულიძე მარადიული ხსოვნის უკვდავსაყოფად ჯუმბერ ჯიქიას მიერ შექმნილი მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი გაიხსნა.

მემორიალი წარმოადგენს ბეტონის ფაქტურისგან შექმნილ სამგანზომილებიან კომპოზიციას, სადაც გამოსახულია სამშობლოსათვის თავგანწირული მეომრების სილუეტები. სიმბოლურად წარმოდგენილია ამ ომში დაღუპული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მკვიდრი 4 ჯარისკაცის ფიგურა, მათ ხელში უჭირავთ საქართველოს სახელმწიფო დროშა, როგორც ქვეყნის ძლიერების და თავისუფლების სიმბოლო. კომპოზიციის მეორე მხარეს გამოსახულია ტრადიციულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მეომრები, როგორც ისტორიული მემკვიდრეობისა და მარადიული ბრძოლის სიმბოლოები.



# კავკასიური პოეზიის ფესტივალი „ანაკლია 2019“

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრმა – ხელმძღვანელი პროფესორი მერაბ ჩუხუა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ანაკლიაში კავკასიური ლიტერატურის რიგით მესამე ფესტივალი ჩაატარა, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ფესტივალი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მონერელიამ გახსნა. მან აღნიშნა:

„ჩვენს ერებს ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთთან. ისტორიულად ჩვენ ერთი ბედი გავიზიარეთ, სამწუხაროდ, როგორც ქართველებმა, რუსული იმპერიალიზმის ხრიკებს შევწირეთ ჩვენი ძმობა. ჩვენ, კავკასიაში უძველეს ერებს, გვაერთიანებს ყველაზე დიდი რამ, ეს არის თავისუფლების სიყვარული, რაც ძალიან ძვირად დაუფდა ჩვენს ერებს, თუმცა ვერავინ ვერ ჩაკვლა და ვერც ჩაკლავს თავისუფლებისადმი სწრაფვას. ჩვენი ვალია, ერთად გავნოთ ჭაპანი, რასაც ჰქვია ჩვენი სამშობლოების, სახელმწიფოების თავისუფლების მიღწევა.“

ეს დღეები, რომლის ყოველი წუთი დახარჯული იქნება ჩვენი ერების როგორც გაცნობის, დაახლოების, კულტურული ურთიერთობის, მიმოსვლისათვის, არის უაღრესად ფასე-

ული ჩვენთვის. კულტურა აკავშირებს, აახლოებს როგორც ადამიანებს, ისე ერებს.

მოგეხსენებათ, კულტურას საზღვრები არა აქვს. დიდი სურვილი გვაქვს, გავაღრმავოთ ჩვენი კულტურული ურთიერთობები. ჩვენი ხელისუფლება, ჩვენი რეგიონი მზადა ვართ, თუკი იქნება ამის მზაობა, ჩავატაროთ ერთი დიდი კულტურული ღონისძიება – ფესტივალი, სადაც მონაწილეობას მიიღებს კავკასიური ერების მუსიკოსები, მწერლები თუ კულტურის ნებისმიერი დარგის წარმომადგენელი. ამდენად, ვისაც სურვილი ექნება ჩვენი ერების უკეთ გაცნობისა და დაახლოებისა, მიუხედავად იმისა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, ძალიან დიდი სიხარულით მხარს დავუჭერთ ამ წამოწყებას. ჩვენ კი მოხარული ვიქნებით, ვუმასპინძლოთ მათ.“

მერაბ ჩუხუა: ჩერქეზი ერი მსოფლიოს 50 ქვეყანაშია მიმოფანტული. დღეს იორდანიიდან გვესტუმრა ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენელი, რომელმაც საკუთარ მშობლიურ ენაზე მოგვესალმა და მადლიერება გამოხატა ქართველი ერის მიმართ ამ მონუმენტის აღმართვისთვის, სადაც რამდენიმე ენაზე წერია: „გენოციდის გადამტან ჩერქეზ ხალხს ქართველი ერისაგან“.

ნიკა ბაძაღუამ სოხუმიდან დაიწყო ჩვენთან



დიალოგი, მან შექმნა ახალი წიგნი, ციკლი ანაკლიის შესახებ, ის საქართველოს უყურებს როგორც ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოს. ის არის სიმბოლო ორი ერის განუყრელობისა, სიმბოლო ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოსი“.

ანაკლიის ფესტივალზე წარმოადგინეს კავკასიური პოეზიის კრებული, რომელიც ერთ წიგნად აერთიანებს ქართველი, ჩერქეზი, აფხაზი, ჩეჩენი, ინგუში, ხუნძი, დარღუელი და ოსი პოეტების ლექსებს, პოემებს, მათ თარგმანებს კავკასიელ ხალხთა ენებზე.

კავკასიური პოეზიის ფესტივალის ფარგლებში პირველად შედგა კავკასიური თავსაბურავების გამოფენა. ფესტივალზე „ანაკლია 2019“ ასევე გამოიფინა ჩერქეზი მხატვრის ჯანტი ბაშის ნამუშევრები, რომლებიც ავტორმა საჩუქრად გადასცა ჩერქეზული კულტურის ცენტრს.

მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველად ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის, არქიტექტურისა და აფროამერიკული კვლევების კათედრის ასისტენტ-პროფესორმა სარა ლევისმა და ფრინსეტონის უნივერსიტეტების პროფესორმა, ამერიკის ისტორიის სპეციალისტმა ნელ ირვინ ფეუნერმა კავკასიურ თემატიკაზე საკუთარი პრეზენტაციები გამართეს.

ფესტივალის საპატიო სტუმარმა, ინგუშეთის სახალხო მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ, მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დისიდენტმა, სასჯელი მორდვეთის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში რომ მოიხადა, ისა ქაძოვემა დიდი სიყვარულით გაიხსენა და ისაუბრა თავის დიდ მეგობარზე, საქართვე-

ლოს პირველ პრეზიდენტ – ზვიად გამსახურდიაზე...

შემდეგ კი ყველასთვის მოულოდნელად განაგრძო:

„როდესაც დაარსდა კავკასიური პოეზიის ფესტივალი და პირველად, 2017 წელს, მთელი თანამედროვე კავკასიური მწერლები შევიკრიბეთ ანაკლიაში, მაშინ ყველამ ერთხმად ვაღიარეთ, რომ ამ ფესტივალის აღმოჩენა გახლდათ ჩვენი უმცროსი მეგობარი, ყველასთვის საყვარელი აფხაზი პოეტი ნიკა ბაძალუა, რომელმაც მართლა კავკასიური ცეცხლი დაანთო და მზის სხივი შემოიტანა ამ პროექტში.

მარტო მე კი არა, ჩემს მეუღლესაც ძალიან უყვარს, ხშირად ვიხსენებთ სახლში...

შარშან ნიკამ ვერ მოახერხა ფესტივალში მონაწილეობის მიღება საპატიო მიზეზის გამო (იტალიაში იმყოფებოდა კონფერენციაზე), სახლში მიბრუნებულს მეუღლე მომესალმა და ეგრევე მკითხა, „რა ქენით, აბა, წელს ნიკა იყო?“ და, როდესაც რაიას ვუთხარი, ნიკა არ იყო-მეთქი, ხელი ჩაიქნია და მითხრა: „მაშინ ტყუილად შეკრებილხართ წელს, ნიკას გარეშე რა სხდომას ჩაატარებდით თქვენო?...“

მოგეხსენებათ, მე უფრო პროზაიკოსი ვარ ვიდრე პოეტი, მაგრამ ნიკაზე შევექმენი ლექსების ციკლი, 30 ლექსი დავწერე მასზე.“

ისა ქაძოვემა ამ ციკლიდან ორი ლექსი წაიკითხა, რომლის დასრულების შემდეგ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორმა მერაბ ჩუხუამ თქვა:

„- ბატონ ისას დიდი ხანია ვიცნობ, იშვიათია, მას ვინმე მოეწონოს და გამოარჩიოს! ვინმეზე ლექსის მიძღვნა კი არა, ნახსენებიც არ ჰყავს არავინ თავის ლექსში და მან ბატონ





ნიკას 30 ლექსი უძღვნა, მეტიც, მთელი ლექსების ციკლი აქვს შექმნილი...

მეგობრებო! გაუმარჯოს ბატონ ისას და მის რჩეულს, ბატონ ნიკა ბაძაღუას!“

აფხაზეთიდან ფესტივალში მონაწილეობდა: ნიკა ბაძაღუა – პოეტი, მთარგმნელი. ადიღეიდან: იური იეხუტელი – ჩერქეზი საზოგადო მოღვაწე; ლარისა ტუპუნაკვა – ჟურნალისტი, პოეტი; ბელა ბოჯოკოვა – პოეტი, დიზაინერი, შემსრულებელი; სვეტლანა ნაბოკოვა – კულტურის სფეროს წარმომადგენელი; დალესტანიდან: ხამის შამილვი – პოეტი; მარიზა მაჰმედოვა – ხუნძი პოეტი; ყაბარდო-ჩერქეზეთიდან – მურატ ბრათი – ჟურნალისტი; შვედეთიდან:

კარინა ვამლინი – პროფესორი, ლინგვისტი, ჩერქეზული ენის სპეციალისტი; ჩეჩნეთიდან: რუსლან იუსუპოვი – პოეტი; ადამ ახმატუკაევა – პოეტი; ყაბარდო-ბალყარეთიდან: ნაურუზ გუდოვი – საზოგადო მოღვაწე; ანთისა ხოკონოვა – პოეტი. ფარიდა კუდაევა – პოეტი, მწერალი; ფატიმა შებზუხოვა – პოეტი; საქართველოდან: ზურაბ ხონელიძე – პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; ნაირა ბეპიევი – თსუ პროფესორი, მთარგმნელი; ნუგზარ ანთელავა – პროფესორი, ეთნოლოგი; თამარ ვაშაკიძე – პროფესორი, ლინგვისტი, ლიტერატორი; ელგუჯა მარლია – პოეტი, მთარგმნელი; ლაშა გვასალია – პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე; მიხეილ ლანიშაშვილი – პოეტი, მთარგმნელი; სანდრო ჩემინავა – მთარგმნელი; ინგუშეთიდან: ასლან კუაზო – მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე; იბრაჰიმ ვადელოვი – პოეტი, მთარგმნელი.

სპეციალური სტუმრები იყვნენ მუსიკოს-შემსრულებლები: დიტო ქისიშვილი – მომღერალ-შემსრულებელი; საბინა ჭანტური-ვამლინგი – ქართველი/შვედი, შემსრულებელ-მუსიკოსი; სულთან ბორჩაშვილი – შემსრულებელ ინსტრუმენტალისტი, საქართველო – ხალხური ანსამბლი „ოდოია“.





საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია. მიმდინარე წლის ჟურნალ „დისკუსიის“ N1 გამოცემაში დაიბეჭდა კონფერენციაზე წაკითხული სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის, ისტორიის მაგისტრის ჯამბულ ნაჭყებიას სამეცნიერო ნაშრომი „ზვიად გამსახურდია, როგორც ტრანსფორმირებადი საზოგადოების ლიდერი“. ამჯერად შემოგთავაზებთ კონფერენციაზე წაკითხულ სამ ნაშრომს.

# დისიდენტის ზოგადი სახე ზვიად გამსახურდიას იბაჰებში

„იგავი არის სიტყვით მაგალითი, მოსანიშნავი გინა საჩუენებელი“.  
(სულხან-საბა ორბელიანი)

იგავარაკული ჟანრი უძველესი წარმოშობისაა. ნიგნიერი სამყაროსთვის ცხადია, რომ მაცხოვარი თავის მოწაფებს იგავებით ესაუბრებოდა. თეოფილაქტე ბულგარელის აზრით, ოთხი სახარება გვებოძა, რათა ოთხი უმთავრესი სათნოება: სიმამაცე, სიბრძნე, სამართლიანობა და უმანკოება გვესწავლა.

იგავით ქადაგებას ძე ღმერთი ასე იწყებს: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ ცხადია, აქ გულისყური მოიაზრება, უფრო ზუსტად – სულიერი მდგომარეობა სიტყვა-ლოგოსის მისაღებად. იგავის არსი, გამოსატვის ფორმა და მიზანი არის ძირძველი და ღრმა ისტორიის მქონე. ჟანრული სპეციფიკის მთლიანობად ქართულ ლიტერატურის სინამდვილეში მოიაზრება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა.“ „იგავური ალეგორიზმი – იგავიანად თქმის პრინციპი გატარებულია „სიბრძნე სიცრუისას“ ყველა არაკში და მის სიუჟეტურ ქარგაშიც“. (ლლონტი –152. 2009) „სიცრუე-არაკობა“ მოქცეულია საგანგებო იდეურ-კომპოზიციურ სისტემაში. იგავური მეტყველების ეს ტრადიცია მოემართება სახარებიდან, სწორედ ალეგორიზმი ჰფენს შუქს თითოეული იგავის არსს-მაცხოვრის უმთავრეს სათქმელს. ამ თვალსაზრისით სულხან-საბას იგავებს ამსგავსებენ ქრისტეს ქადაგებისა და თხრობის ევანგელურ წესს. სწორედ ამ სახისმეტყველებით-ალეგორიული მეტყველებით დღემდე გაუხუნარი ძალმოსილებით მოემართება ზნეთსწავლულება „სიბრძნე-სიცრუისასი“.

ზვიად გამსახურდიას იგავები შეიქმნა საბჭოთა სინამდვილეში, როცა თავისუფალი აზრის გამოთქმა იკრძალებოდა, უფრო მეტიც – ისჯებოდა. ასეთ ადამიანებს დისიდენტებს უწოდებ-

დნენ ([დისსიდენს (დისიდენტის] – ვინც თანახმა არ არის) 134. 1989.) მათ დევნიდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. ეს გზა გაიარეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. ისინი თვითგამოცემებით ცდილობდნენ დისიდენტური მოძრაობის გაძლიერებას. 1972 წლიდან საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი უკავშირდება რუსეთის დისიდენტებსა და დისიდენტურ ჯგუფებს; აძლიერებს თვითგამოცემებს („ოქროს სანმისი“, „საქართველოს მოამბე“); ამხელს რეჟიმს, ავრცელებს ინფორმაციებს რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე, კულტურის ძეგლების მდგომარეობაზე, პატიმრების წამებაზე, შევარდნაძის მიერ პირველი სანამებელი კორპუსის შექმნაზე საქართველოში, „წითელი ინტელიგენციის“ წრიდან გამოსულ აგენტებზე და ა.შ.

შესაბამისად, 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია გაირიცხა მწერალთა კავშირიდან (რეაბილიტაცია არ მომხდარა), რადგან ამას კომუნისტური რეჟიმი ვერ დაუშვებდა; უფლებას არ მისცემდა არავის „სული აუმღვრიოს ახალგაზრდობას, რომელიც ჩვენ, შემოქმედებითმა მუშაკებმა უნდა აღვზარდოთ კომუნისტურ იდეალებზე და კომუნისტური სულისკვეთებით“ (ხ. ბერულავა. „ოქროს სანმისი“- 9. 2006.)

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ იგავებს ზვიად გამსახურდიას უნაპირო, მრავალფეროვან შემოქმედებით სამყაროში. პირველი პრეზიდენტის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულში (1999წ.) გვაქვს 47 იგავი და სამი ზღაპარი (არაკი). ზოგადად, იგავი და არაკი, როგორც ალეგორიული მეტყველების სახე, სინონიმურ ცნებებადაც არის მიჩნეული, გარკვეული

აზრით. იგავიც და არაკიც „სახის შემოღებაა“. „სულხან-საბასთვის ეს ყოველივე არაკის მოყვანაა, არაკობაა, სადაც საარაკო მასალად სიცრუე გამოიყენება... ეს სიცრუე არაკის ფარდია, სა-არაკო სიცრუეა. სულხან-საბას არაკობაც ამიტომ იგავური სახეებით მეტყველებს“. (დლონტი -152. 2009). მკვლევრის ეს მოსაზრება ხაზს უსვამს დამკვიდრებულ შეხედულებას ამ ჟანრის სპეციფიკის შესახებ. ეს მახასიათებელი აქვს ზ. გამსახურდიას იგავებსაც: „სა-არაკო სიცრუით“ იგავური მეტყველება გამჭვირვალე შეგონებებით მთავრდება და რითაც თავისთავადია: ახასიათებს თემატური მრავალფეროვნება, ზნეობრივი კნინის წინააღმდეგ მიმართული შეგონებები, ცნობილი მეტაფორული სახეების გარდაქმნა იდეის შესაბამისად. იგავებში მხილებულია: წინდაუხედაობა („სირაქლემა და გველი“), ღვთიური კანონ-ზომიერების ვერშეცნობა („მინის მოვალენი“) ამპარტავნობა („ადამიანი და სარკე“, „ია და მზე“, „სასანთლე და სანთელი“), კორუფცია („მელიას დისერტაცია“). უმთავრესი კი სულიერი სიბრძნის ალეგორიული გამოხატვაა, სადაც ნათლად იკითხება საბჭოთა ადამიანის მიერ განსხვავებულის მიუღებლობა, მხოლოდ მის სივრცეში დამახსოვრებულით შემოსაზღვრული ცნობიერება, ავადმყოფ აზროვნებად შერაცხვა იმისა, რაც მისთვის გაუგებარი და გაურკვეველია.

იგავი „თვალხილული და ბრმადშობილი“ ამას ბრმადშობილის პირით ახმინებს: „სინათლე“ უბრალოდ „სიბნელის“ საპირისპირო ცნებაა, რომელსაც ჭკუაზე გადამცდარი ხალხი სინამდვილედ მიიჩნევს. სიგიჟის უმაღლესი გამოხატულებაა სიტყვა „მზე“, ვითომდაც რაღაც არარსებული სინათლის წყარო“ (ზ. გამსახურდია- 4 . 1999.) – ამბობს ბრმადშობილი, მისთვის თვალის ფუნქცია სიბნელის დანახვაა. თუ XX საუკუნის 30-იან წლებში აზროვნების უნარი დახვრებით ისჯებოდა, ხრუმროვმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განაცხადა: დანაშაული საყოველთაო აღიარებული ნორმებიდან გადახვევაა, რაც ძალიან ხშირად გამოწვეულია ფსიქიკის მოშლით. უშიშროების ორგანოებმა დისიდენტებთან საბრძოლველად დავალება მიიღეს, ექიმებთან ერთად შემუშავდა ახლი კონცეფცია, მის თანახმად, მთავარი როლი შიზოფრენიის დიაგნოზს უნდა შეესრულებინა. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამას დისიდენტთა წინააღმდეგ აქტიურად იყენებდნენ. (ამბები. გე. შსს ჟურნალ „საარქივო მოამბე“ N12 -ის მიხედვით)

დასახელებული იგავის სიუჟეტი ალეგორიუ-

ლად გამოხატავს ამ ვითარებას.

შეგონება ცხადია: მზის მხილველი, ნათლის შემცნობი (დისიდენტი) ბრმისთვის გიჟია. არც განიხილავს მზის არსებობა – არარსებობის საკითხს; თვითონ არ ხედავს, ე.ი. არ არსებობს. ნათლიერების, ჭეშმარიტების შიში აისახა იგავში „ბრმების ქალაქი“. ბრმებმა თვალხილულის გამეფებას ცალთვალას გახელმწიფება ამჯობინეს: „ცალთვალა ცალი თვალით მაინც გვგავს ჩვენ, შენ კი ორთავ თვალთ უცხო ხარო“. (ზ. გამსახურდია- 5. 1999).

„ბრმების ქვეყანაში“ თვალხილული ექიმი შინ დაამწყვდიეს. ქვეყნის ხელმწიფე და დიდებულები ხალხს არწმუნებდნენ: იმიტომ ვამწყვდევთ, რომ „თვალხილულები არ დაგვიბრმავს და, გარდა ამისა, თავად არ გადაიჩივოს სადმე და არ დაშავდესო“. (ზ. გამსახურდია – 31.1999.) ამ იგავს შეგონებად ცნობილი ანდაზაც დაამშვენებდა: „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო“.

„ბრმების ქვეყანა“ ერთგვარი მიკროსქემია ზვიადისა და მერაბის მიმართ 1977 წლიდან აგორებული საბჭოური დისკრიმინაციისა, ცილისწამებების ნიაღვრისა: „იმპერიალიზმის აგენტი“, „მოლაღატე“, „ხულიგანი“, „მომხვეჭელი“, რაც იყო მომზადება შემდგომი მოვლენებისა. 1977 წლის 1 აპრილს გამართული მწერალთა კავშირის პრეზიდენტი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშით ზვიად გამსახურდია ერთხმად გარიცხეს მწერალთა კავშირიდან („არ გადაიჩივოს სადმე, არ დაშავდესო“).

„თუ ყველაფერი მოთავებულია, უნდა გავჩუმდე და თქვენ რაც გინდათ, ის დაადგინეთ“, – იყო ზვიადის პასუხი. იტვირთა გარდაუვალი, ვერ შეიცვლებოდა ბრმათა ქვეყანა ერთბაშად. 1977 წლის 7 აპრილს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს. (თვითმხილველთა მოგონებით, ისინი ხარების დღესასწაულზე ქაშუეთის ეკლესიიდან აიყვანეს). 1978 წლის 7 მარტს დასრულდა „საქმე“, რომელიც 56 ტომს შეადგენდა.

1977 წლის შემოდგომაზე პატიმრების ფსიქოლოგიური ექსპერტიზის საკითხი დადგა: ზვიადი გააგზავნეს მოსკოვის სერბსკის სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტში, მერაბი – თბილისის ორთაქალის ციხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

1977 წლის 29. IX-ს მერაბ კოსტავას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ინაურის, სახელზე დაწერილი განცხადებით გაუპროტესტებია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა (განცხადება ინახება არქივში). ასახე-

ლებს დისიდენტებს: გრიგორენკო, პლიუშჩი, ფეირბერგი და ა.შ. რომლებსთვისაც ე.წ. ფსიქიატრიული ექსპერტიზა სადამსჯელო ღონისძიება აღმოჩნდა.

„რალა მაინცდამაინც დისიდენტები გამოდიან ფსიქიკურად დაავადებულები“, – ვკითხულობთ განცხადებაში. არქივში ინახება ასევე, ინაურისადმი ზვიად გამსახურდიას მიმართვა, სადაც ხაზგასმულია პოდპოლკოვნიკ მირიანაშვილის მიერ ფსიქოლოგიური ზენოლა: „ ჩემი მდგომარეობა ჯოჯოხეთზე უარესია არა იმის გამო, რომ პატიმარი ვარ, არამედ იმის გამო, რომ პოდპოლკოვნიკი მირიანაშვილი მიმართავს ფსიქოლოგიური წამების საზიზღარ მეთოდს...“ ეს ვითარება სახლის ჩხრეკის მასალების, ოჯახის წევრთა წერილების, ავადმყოფი შვილის მდგომარეობის დამალვითაც არის პროვოცირებული.

ნიშანდობლივი ფაქტია: 1971 წელს სადამსჯელო ფსიქიატრიის კიდევ ერთმა მსხვერპლმა ვლადიმერ ბუკოვსკიმ მოახერხა და საზღვარგარეთ გააგზავნა რამდენიმე პოლიტპატიმრის საქმე, ასევე, დისიდენტთა მოგონებები, რომლებსაც ფსიქიატრიულ კლინიკებში იძულებით მკურნალობდნენ. მასალები ხელში ჩაუვარდა ისტორიკოსსა და პოლიტოლოგს პიტერ რედუის. მისი მონდომებით ის ბრიტანელმა ფსიქიატრებმა შეისწავლეს. იმავე წლის სექტემბერში ჟურნალ „ტაიმსში“ დაიბეჭდა 44 ავტორიტეტული ფსიქიატრის ხელმოწერილი წერილი, რომ მიღებული დოკუმენტებით განხილული მონაცემები ვერ ამართლებს ამ ადამიანთა ფსიქიატრიულ დანესებულებაში გაჩერებას. საბჭოთა ფსიქიატრებს მიეცათ შენიშვნა. ბუნებრივია, ეს ჯოჯოხეთური სისტემა ამით არ გამოსწორდებოდა. მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის წევრი ტატიანა ოსიპოვა ამბობდა, რომ ბანაკის პატიმარმა იცოდა როდის მოიხდიდა სასჯელს, ფსიქიატრიულისამ – არა. დისიდენტთა დიაგნოზები წყლის წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს: „დუნედ მიმდინარე შიზოფრენია“, „ავადმყოფურად რეაგირებს მისთვის მნიშვნელოვან თემებზე“, „დეპრესია“, „საკუთარი თავის გადაჭარბებულად შეფასება-განდიდების მანია“ და ა.შ.

1983 წელს, ვენის ფსიქიატრთა მსოფლიო კონგრესის წინ, ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციიდან სსრკ-ის გარიცხვის საკითხი გადანყვეტილი იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის ფსიქიატრიულმა საზოგადოებამ დაასწრო და ასოციაცია თვითონვე დატოვა.

ხელისუფლების მხრიდან დაპირისპირების

სისასტიკესთან ერთად ზვიად გამსახურდია იგავებში წარმოაჩენს დისიდენტის სულიერ წყობას, ღირებულებისადმი დამოკიდებულებას.

„ორი ლომის ამბავი“ აგებულია ცირკის ლომისა და ზოოპარკის ლომის დიალოგზე. ცირკის ლომი მოძმეს ურჩევს ზოოპარკს ცირკი ამჯობინოს. სანატრელ უდაბნოში მაინც ვერ დაბრუნდები, საკვები და საზოგადოების ყურადღება არ მოგაკლდებაო, კატეგორიულად უპირისპირდება ზოოპარკის ლომი: როგორ შეჩვევიხარ თავისუფლების დაკარგვას, მათრახის ტკაცუნს. „აქ ის მაინც ვიცი, არავის მონა არ ვარ, იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიქუხო გულდარდიანად და უდაბნოს სევდა გავიქარვო, მალე ალბათ ასპარეზი ვირთხებსა და ტურა-მელებს დარჩებათ, მირჩვენია სული აქ დავლიო“. (ზ. გამსხურდია-7. 1999).

საინტერესოა, რომ ამ იგავეში არც ერთი ლომი არ არის თავისუფალი. არსებითი რეალური ვითარებისადმი დამოკიდებულება: ცირკის ლომი შეგუებულია მონობას საკვებისა და ტაშის ხათრით. ზოოპარკის ლომი ვერ შეცვლის თავის მდგომარეობას – ტყვეობას, მაგრამ მას აქვს შინაგანი თავისუფლება. გაძვალტყავებულია, ინარჩუნებს ხმა-ქუხილს უდაბნოს სევდის გასაქარვებლად. ეს ლომი ნებელობით შეუზღუდავ თავისუფლებაშია; შესაძლოა, უფრო აღმატებით თავისუფლებაში, ვიდრე უდაბნოს მკვიდრი – საშოვარს გადაგებული მოძმე. განხილული ღირებულებებით ამ ორი ლომის ალეგორია აიხსნება კაცისა და არაკაცის ზოგადი სახით. ხატი კაცისა – ღირებულებების ერთგულებაა, არაკაცისა – არსებობისთვის ყოფნა. ზოოპარკის ლომი დაპატიმრებულ დისიდენტსაც გაგონებს. მერაბ კოსტავას შესახებ როცა კითხულობ: „ორმოცგრადუსიან ყინვაში არაერთხელ მოხვდა ქვის ვინრო დაბალჭერიან კარცერში, მას კი არც ტანსაცმელი ეცვა და არც ფეხსაცმელი“... („79 ამბავი“ – 75. 2018.) გადაიტანა ეს და სხვა მრავალი ტანჯვა, ხანგრძლივი შიმშილობის, კარცერში სველი ტანსაცმლით ჩასმის ჩათვლით, იტანდა ტყვეობას – შინაგანად თავისუფალი, ციხის საკნიდან მტრედს რომ მიმართავდა: „კიდევ უფრო მეტად რომ დავინროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომჭედონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი“ (კოსტავა. აგმ-29.2009). ეს უტეხი რაინდი მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტი თავისუფლე-

ბა კუბოსდარ საკანში იშვება, „უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში“.

ზვიად გამსახურდიას იგავები სიუჟეტითა თუ შეგონებით ემთლიანება ერთმანეთს ცნობიერების მდგომარეობის დახასიათების თვალსაზრისით და აქ უმთავრეს მეტაფორად გამოყენებულია „მზე“. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის იგავი „არწივი და თხუნელა“. მზის შესახებ ტრაქტატის დაწერისას თხუნელამ კონსულტანტად მოიწვია არწივი, თუმცა მისი რეფერატი არ მოიწონა: „სიზმარში მინახავს მზე. თქვენს მიერ აღწერილი მზე კი ოდნავაც არ ემთხვევა ჩემ მიერ ნანახსო“ (ზ. გამსახურდია- 19. 1999). თქვენთვის გასაგები ენით მეტს ვერას მოგახსენებთო, -უთხრა არწივმა და ურჩია მზის რაობის განმარტება ვირთავგასთვის ეთხოვა.

ცნობილია, სახისმეტყველებით აზროვნებაში მზე უფლის სიმბოლოა. გნებავთ, ნათლიერებაა ფიზიკური ასპექტით. მისი მიმღებლობის უნარი, პირველი თუ მეორე თვალსაზრისით, დამოკიდებულია ადამიანის სულიერ წყობაზე – „თუალი სულისაი“ რამდენად მხილველია. ამას მრავალი ფაქტორი აყალიბებს, მათ შორის უმთავრესია ბუნებითი მდგომარეობა, აღზრდა, გარემო.

თხუნელა (დიქტატორული ქვეყნის მკვიდრი) მხოლოდ ბნელს არის შეჩვეული, მკრთალი წარმოდგენა აქვს მზეზე და ცის ლაჟვარდთან, მზესთან შეთამამებული არწივის (თავისუფალი სული) ჭეშმარიტ ხედვას ვერ ლებულობს. თხუნელას აღზრდამ და გარემომ ჩამოუყალიბა გარკვეული ასოციაციები, იქ მზის ადგილი არ არის. ზოგადად „იდეათა ასოციაციის გავლენა ადამიანის აზროვნებასა და მოქმედებაზე, ხასიათზეც კი ძალზე დიდია, ასე რომ, მის საფუძველზე აიხსნება ბევრი სულიერი მოვლენა“ (ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) 96 – 1993).

მიმღებლობის უნარს მოკლებულთათვის ზრუნვა, მოლოდინი მათი ცნობიერების განათებისა მოცემულია იგავში „ლამის მგოსანი“. ლამურების სიბრაღულით ჩიტმა უფალს შესთხოვა მათთან გაეშვა, რათა მზის საგალობლით ისევ თვალი ახელოდათ, დღე შეყვარებოდათ და ჩიტებად ქცეულიყვნენ. თეოფილაქტე ბულგარელის აზრით: „ღმერთი ყველას აძლევს შესაძლებლობას, ბუნებით მოიაზროს ის, რაც საჭიროა, რადგანაც განანათლებს ყველას, ვინც ამ სოფლად მოდის, მაგრამ ჩვენ ჩვენივე ნებით ვბნელდებით“

. (თეოფილაქტე ბულგარელი -112. 2005). იგავის მიხედვით, ჩანს, რომ ლამურები გულგრილნი არიან მზისა და ნათლის მიმართ, ხოლო ბულბულს მხოლოდ სათავისოდ არ ემეტება აღმატებული ნათელი, გზას ეძებს, რომ ბნელში მყოფთაც შეიტკბონ იგი.

ვერას გაგიგებენ, მთვარის საგალობელი უმღერე, „მთვარე ხომ ძმია მზისა... უმღერე მათ საგალობელი მთვარის შუქისაო“ (ზ. გამსახურდია – 3. 1999 )... – იმ დღიდან გალობს ეს ჩიტი, ხალხი მას ბულბულს უწოდებს.

ბულბულმა არ იცის, როდის აეხილებათ ლამურებს თვალი, მაგრამ გალობს. მიზანი უცვლელი და აღმატებულია – ნათლის, მზის გამარჯვება. ეს მსხვერპლისუნარიანობაა. ამ თვისების კანონზომიერებას, ჯანსაღი სულიერი წყობით ნაკარნახევს, იგავი „ხე და ნაცარი“ სენტენციად გვთავაზობს: „კაცმა რომ მეორე კაცს არგოს, ხესავით უნდა დაინვას და დანაცრდეს მისთვის“ (ზ. გამსახურდია – 6.1999).

ბუნებრივია, აქ ხაზგასმული მსხვერპლისუნარიანობა ზოგადადადამიანური მოვლენაა, მაგრამ დისიდენტის – ბოროტების, სიბნელის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებისთვის სწორედ ეს თვისებაა უკვე განხილული შინაგანი თავისუფლების საძირკველი. მსხვერპლისუნარიანობა შიშსა და სულის უკვდავების რწმენასთან ღირსეული ურთიერთობის ნაყოფია. მერაბ კოსტავა აბობს: „უშიშარი მხოლოდ სიკვდილის შიშის დაძლევის გზაზე ხდებიან, ეს ამავე, დროს მორალური განვითარების გზაც არის“ (კოსტავა . აგმ -16. 2009).

ამდენად, ზვიად გამსახურდიას იგავები სტრუქტურით, პერსონაჟების მრავალფეროვნებით ტრადიციულად არის აგებული. მოქმედი პირები არიან ფრინველები, ცხოველები, ადამიანები. შეგონება, იდეის გამხმინანებელი, უმეტესად სიუჟეტის ბოლოს გვეძლევა. ამ რამდენიმე იგავზე დაკვირვებით ვასკვნით:

1) ზვიად გამსახურდიას იგავთა მთლიანობას სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ალუზიით შეიძლება ეწოდოს „სიბრძნე ენერგიულ ფიქრებში შობილი თავისუფლებისა“.

2) ლაკონიურად ასხმული სიუჟეტებითა და მხატვრული სახეებით ასახულია რეალობა და მისდამი განსხვავებული ცნობიერი დამოკიდებულება, „ძალისაებრ სულისა“.

3) მეტაფორულ სახეებში ხშირია „მზე“ და

„ბრმა“- სხვადასხვა კონტექსტით. უმეტესად ამით აიხსნება დისიდენტის მისია – მას ურთიერთობა უნევს, იბრძვის იმ საზოგადოების თავისუფლებისთვის, რომელიც არ აღიარებს „მზეს“ (ღმერთსა და თავისუფლებას).

4) იკვეთება „ბრმათა კურნების“ – დიქტატორული რეჟიმის, ათეისტური პროპაგანდის მხილების სიგიჟედ, ფსიქიკურ აშლილობად მონათვლა.

ეს არ იყო შეურაცხყოფის ფორმა. უკვე გამოზეურებული დოკუმენტები ადასტურებს, რომ ეს იყო დისიდენტთა წინააღმდეგ მთელ საბჭოეთში მოქმედი სისტემა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1989 წლიდან (და მომდევნო პერიოდში), როცა ცხადი გახდა შეუქცევადობა კომუნისტური რეჟიმის რღვევისა, საბჭოთა კავშირში მილიონი ადამიანი მოიხსნა ფსიქიატრიული დაწესებულებების აღრიცხვიდან.

ზვიად გამსახურდიას იგავები მხატვრულად გახმიანებული დასტურია დისიდენტობის გზაზე მის მიერ გავლილი უძიმესი გზისა. ამავე დროს, გამოცდილების ფსიქოლოგიური კოდით, ასახულია ზოგადი ვითარება – იდეოლოგიური „წვრთნის“ შედეგი საბჭოთა მოქალაქეების ცნობიერებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზვიადი – იგავები და არაკები (საიუბილეო გამოცემა), თბილისი, 1999.
2. კოსტავა მერაბი – აზრები, გამონათქვამები, შეგონებები (აგშ), თბილისი, 2009.
3. კოსტავა მერაბი – თან საკითხავი 79 ამბავი, თბილისი, 2018.
4. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი – მათეს სახარების კომენტარები. თბილისი, 2005 წ.
5. ქიქოძე გაბრიელი – გაბრიელ ეპისკოპოსი – ცდისეული ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1993.
6. ლლონტი მედეა – უფლის იგავთა თხრობის სახარებისეული წესისათვის „სიბრძნე სიცრუისაში“ (სულხან-საბა ორბელიანი და ქართული ევროპეიზმი. ლიტერატურა, კულტურა, ევროპეიზმი. ლკე), თბილისი, 2009.
7. ჟურნალი „ოქროს სანმისი“ N1, 2, 3, 4) – ქართული თვითგამოცემა 30 წლისაა თბილისი, 2006.
8. ambebi.ge. – „საარქივო მოამბე“, N 12.



ნასტან ფიფია,  
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი,  
ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

# ზვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მთარგმნელი

თარგმანის სფეროში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები აქა-იქ ამბობენ, რომ დიდი შეუსაბამობაა პოეზიის თარგმნა. ეგ ისეთი ემოციის, განცდისა და ფორიაქის ნაზავია, რომ არ ითარგმნება სხვა ენაზე, იმავე ენაზე უნდა ეზიარო, რომელზეც შეიქმნა და სწორედ მაშინ აგიჩქარდება გულისცემაო. სხვა ენაზე ლექსს ეკარგება ფერი, სურნელი, აკლდება გულის ფეთება. ამბობენ, სხვა ენაზე ვერ გადაიტანო გულისცემას, დიდი მონდომებით ნაქსოვი

ხალიჩის მეორე პირს გვახსენებსო თარგმანი, ბევრს კარგავს და საკუთარ თავს არა ჰგავსო არანაირად.

მიუხედავად ამისა, იწერება თარგმანები. ამზადებენ ორიგინალის პნკარედებს და პოეზიას თარგმნიან სხვადასხვა ენაზე. განსაკუთრებით დღეს გახდა აქტუალური ლიტერატურული ტექსტის თარგმნა. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ (2018 წელი, ოქტომბერი) კარი გახსნა ევროპელი მკითხველებისკენ. ქართველი ავტო-

რები მიემგზავრებიან სხვადასხვა ქვეყანაში ჯგუფ-ჯგუფად და ჩნდება ახალი ანთოლოგიები, თარგმანები, პოეტები იმკიან აღიარებას...

როდესაც ზვიად გამსახურდია დაინტერესდა ამერიკული პოეზიის თარგმნით, შიგ შუაგულ საბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობდით და ევროპული თუ ამერიკული ხელოვნებისაგან რკინის ფარდები გვყოფდა. 70-იან წლებში ჩვენთან როგორღაც ამერიკული თუ ბრიტანული როკმუსიკა, ელექტროგიტარა, ბასგიტარა თუ დასარტყმელი ინსტრუმენტები გამაყრუებლად ხმაურობდნენ ჩვენს ოთახებშიც. ჩვენი ახალგაზრდები გატაცებით უსმენდნენ „როლინ სთონზის“ („The Rolling Stones“), „ბიტლებისა“ („The Beatles“) თუ „led zepelinis“ მუსიკას. ესეც ამერიკულ თუ ბრიტანულ სინამდვილესთან ზიარება იყო, მაგრამ ანტისაბჭოურ ქმედებად შეირაცხებოდა. თუ ვინმე ჩუმად უსმენდა რადიოგადაცემა „ამერიკის ხმას“, შიშნულად იხედებოდა ირგვლივ, რაიმე საეჭვო ხომ არ შეინიშნებოდა, რაც გასცემდა მის საქციელს და აზღვევინებდა სასტიკად?!

ამ ვითარებაში მართლაც რომ გაბედულება იყო ამერიკული პოეზიით დაინტერესება, მისი კვლევა და თარგმნა.

სიმართლე რომ ვთქვათ, დიდი ხნის გამოცდილება არცა გვაქვს ამერიკული პოეზიის თარგმნისა და კვლევისა. ამ სფეროთი ჩვენი დაინტერესება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იკვეთება და ერთ-ერთი პირველი ნიმუში, რომელიც ნაიკითხა ქართველმა მკითხველმა – ეს არის ე.ა. პოს (1809-1849) „ყორანი“. 1845 წელს გამოაქვეყნა ავტორმა ეს ნაწარმოები გაზეთ „ნიუ იორკ ივინგ მირორი“. 61 წლის შემდეგ, 1906 წელს, ვაჟა-ფშაველამ თარგმნა ეს ტექსტი (შემდეგ ბევრმა სცადა „ყორნის“ გადმოთარგმნა და გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2011 წელს ამ შედეგის 21 თარგმანი შესთავაზა მკითხველს).

მეოცე საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს და 20-იანი წლების დასაწყისში უკვე უ. უიტმენი ითარგმნება. ჟურნალი „ხომალდი“ და გაზეთი „ორიონი“ ბეჭდავს ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანებს: „ლექსები ყველასადმი,“ „სალუტი მთვარეზე,“ „დიდება ქვეყნად“... ლ. ლოლობერიძე ამუშავებს ნაშრომს „უოლტ უიტმენი“ (ნ. დარბაისელი, „ზვიად გამსახურდია – ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი,“ <http://www.bu.org.ge/x450?lang=geo> ).

1921 წელს ვ. კოტეტიშვილისეული ანალიზი გამოქვეყნდა, უიტმენის შემოქმედებაზე, ხოლო

1926 წელს კ. გამსახურდიამ თარგმნა რამდენიმე ნაწარმოები.

ქართულ ცნობიერებაში საკუთარი ადგილი რომ ჰქონოდა ამერიკულ ლიტერატურას, ამისათვის იღვწოდა ზვიად გამსახურდიაც. არ იყო შემთხვევითი, რომ მე-19 საუკუნის ამერიკული პოეზიიდან მან თარგმნა უ. უიტმენი და ე. დიკინსონი. მთარგმნელმა ქართველთა წინაშე წარმოადგინა პოეტები, რომელთა პოეზიაც გეზის მიმცემი იყო მეოცე საუკუნის ამერიკელი პოეტებისათვის.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, როდესაც ზვიად გამსახურდია მუშაობდა ამერიკული პოეზიის თარგმანებზე, ქართულ რეალობაში კლასიკური პოეზიის შაბლონი ბატონობდა. პოეტური ესთეტიკა ცნობდა და აღიარებდა ამალღებულ რომანტიკულ ტონალობას და ბოლორიტიმის ლექსს. გალაკტიონისა და ცისფერყანწლების მიერ დამკვიდრებული ვერლიბრი, როგორც ნ. დარბაისელი ამბობს ზემოთ მითითებულ წერილში, ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა. თავისუფალი ლექსის ბუნება და ნიშნები ჯერაც საკვლევი იყო, ხოლო ამ სალექსო ფორმისთვის გზის გაკაფვა, თითქოს, ისევ ხელახლა ხდებოდა აუცილებელი (მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ცირეკიძის, შალვა აფხაიძისა და გრიგოლ ცეცხლაძის წერილები 20-იან წლებში უკვე არსებობდა). ზვიად გამსახურდიას თარგმანები მკითხველს თავიდან აფიქრებდა იმაზე, რომ ვერლიბრში ტაეპებს ინტონაცია აერთიანებს, ხოლო კონვენციურ ლექსში – მეტრულ-რიტმული კანონი კრავს სტროფებში მოქცეულ პწკარებს.

ზვიად გამსახურდიამ თარგმნა ედვინ არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი, მასტერსი, ეზრა პაუნდი, ემი ლოუელი, ჰილდა დულიტილი, ტომას სტერნზ ელიოტი, რობინსონ ჯეფერსი, კარლ სენდბერგი...

რომ გავიგოთ, რა სტილის მთარგმნელია ზვიად გამსახურდია, დავაკვირდეთ მის ერთ-ერთ თარგმანს, მაგალითად, რობერტ ფროსტის მცირე მოცულობის ლექსს „ცეცხლი და ყინული“:

Robert Frost (1874 – 1963)  
 Fire and Ice  
 Some say the world will end in fire,  
 Some say in ice.  
 From what I've tasted of desire  
 I hold with those who favor fire.  
 But if it had to perish twice,  
 I think I know enough of hate  
 To know that for destruction ice

Is also great  
And would suffice.

პნკარედი ასეთია: ვინ იმას ამბობს, რომ მსო-  
ფლიოს იმსხვერპლებს ცეცხლი,/ ვინ კიდევ –  
ყინული./ როცა სურვილებს ვიხსენებ,/ მჯერა  
ცეცხლოვანი სასრული./ მაგრამ, თუ ორგზისი  
იქნება დაღუპვა,/ ვფიქრობ, ვიცი სიძულვი-  
ლიც,/ მისი გამყინვარების ძალა / ასევე დიდი  
და ამის შემძლებელი.

ზვიად გამსახურდიამ ლექსი თარგმნა ასე:  
ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს  
გვიქადაიან,  
მეორენი – გამყინვარებას.  
როცა ვიხსენებ, თუ რა მნადდა და რა მნადიან,  
ვემხრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს  
გვიქადაიან,  
მაგრამ, თუ ორგზის შეგვეხსნება ნგრევის  
კარები,  
მე სიძულვილსაც კარგად ვიცნობ, ახლა  
რომელიც  
მაფიქრებინებს, რომ ნგრევისთვის  
გამყინვარება

ძალა არის არანაკლებ განუზომელი.  
როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი იკი-  
თხება ძალზე ბუნებრივად, შენარჩუნებულია  
ენის თავისებურებანი, არსად იგრძნობა ხელო-  
ვნურობის ნასახიცი კი! თარგმანი აზრობრივად  
მიჰყვება ორიგინალს და სათქმელი ოსტატურად  
გადმოდის ჩვენს ენაზე. იგრძნობა სინტაგმების  
არისტოკრატიული შეფერილობა. აკუსტიკურად  
კარგად შეიმჩნევა რითმები, ფრაზა უფრო თა-  
ვისუფლად გაიმართა თოთხმეტმარცვლოვან  
ბესიკურში, ვიდრე, ვთქვათ, ათმარცვლიან სა-  
ზომში შეძლებდა ამას. ვფიქრობთ, ეს ის თვისე-  
ბებია, საერთოდ რომ ახასიათებს ზვიად გამსა-  
ხურდიას თარგმანებს (თარგმანის ტაეპში მეტი  
მარცვალია, ვიდრე ორიგინალში).

ახლა დასაკვირვებლად შევარჩიოთ რობერტ  
ფროსტის „ნოემბრის სტუმარი“ და დავაკვირ-  
დეთ მის ორ თარგმანს.

y Sorrow, when she's here with me,  
Thinks these dark days of autumn rain  
Are beautiful as days can be;  
She loves the bare, the withered tree;  
She walked the sodden pasture lane.  
Her pleasure will not let me stay.  
She talks and I am fain to list:  
She's glad the birds are gone away,  
She's glad her simple worsted gray

Is silver now with clinging mist.  
The desolate, deserted trees,  
The faded earth, the heavy sky,  
The beauties she so truly sees,  
She thinks I have no eye for these,  
And vexes me for reason why.  
Not yesterday I learned to know  
The love of bare November days  
Before the coming of the snow,  
But it were vain to tell her so,  
And they are better for her praise.

„ჩემი მნუხარება როდესაც მენვევა და  
ჩემში სახლდება,  
ფიქრობს შემოდგომის უბრალო დღეებზე,  
მომქანცველ წვიმაზე,  
როს სიმშვენიერე ბუნების კვდომისა ისევ  
განახლდება,  
მას უყვარს ალვების კვდომა ვერცხლისფერი  
და ცად ამალლება,  
ჩვენ მიერ მრავალგზის თელილი მინდვრების  
ნესტი და სინაზე.  
მისი სიამტკბილე აროდეს მშორდება და  
მეც უდრტვინველი,  
მისი მოსალბუნე საუბრის სმენისას  
არასდროს ვიღლები,  
და მას უხარია, როდესაც ფერები, რუხნი,  
საკვირველნი,  
და მას უხარია, როდესაც ჯგუფ-ჯგუფად  
გვტოვებენ ფრინველნი,  
ვერცხლად იქცევიან ირგვლივ შემომდგარი  
ფაფუკი ნისლებით.  
მაშინ გაძარცვულიი ხეების მოწყენა,  
ის ჩემი ნალველი,  
მინა გადამჭკნარი და შავი ღრუბლებით  
ცა დამძიმებული -  
ყველა ეს მშვენება, მისგან ჭეშმარიტი  
სისავსით ნახული,  
ისევ აღუქმელი ჰგონია ჩემს სულში და  
ღრმად დამარხული  
იღუმალებისათვის მომიხმობს კვლავ და  
კვლავ, სიამით ვნებული.  
რამდენი ხანია, რაც მე შევიყვარე და რაც მე  
შევითვისე  
ნოემბრის დღეები, ჩუმი გაძარცვული  
ნოემბრის დღეები,  
პირველ მოთოვამდე რომ იბინდებია  
მდუმარე ტყეები...  
მაგრამ ამაოა ყველა დარწმუნება ჩემთვისაც  
და მისთვისაც,

რადგან მისი თვალთ სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები.“

(თარგმანი ზვიად გამსახურდიასი)

მეორე თარგმანი ეკუთვნის ნანა

გოგოლაშვილს:

„ნალველს, როდესაც მენვევა ხოლმე, ჰგონია, წვიმით მოქუფრულ დღეებს შემოდგომაზე დღე არ სჯობს ხიბლით, ეტრფის ტანშიშველ, განძარცვულ ხეებს და ლობე-ყორეს მიუყვება სველი ბილიკი. არ სიამოვნებს დუმილი ჩემი, მესაუბრება, მაიძულებს ვუსმინო მის ფიქრს, ხარობს ჩიტების გადაფრენას, უბრალო

სამოსს,

ტანს შემოტმასნილ ნაცრისფერ ხაოს როგორ დაჰყრია ვერცხლივით ნისლი.

ასე ჰგონია, თვალი არ მიჭრის,

ვერ ვამჩნევ ირგვლივ ნალდსა და ლამაზს,

ვერც უნუგეშო, უბედურ ხეებს,

ვერც დამზრალ მიწას, ვერც პირქუშ

ცარგვალს.

ან მე რას მერჩის, მახელებს რათა?!

რა, გუშინდელი ბიჭი კი არ ვარ,

არ განმეცადოს თოვლის მოსვლამდე

დედიშობილა ნოემბრის ტრფობა.

დავშვრი ამაოდ, ვერ შევისმინე,

დღეები უკეთ ამბობენ ხოტბას“.

(გოგოლაშვილი 2002: 48-49).

თარგმანსთან ერთად, ზ. გამსახურდია იკვლევს კიდევაც თავის რჩეულ ავტორებს. როდესაც უკვირდებოდა რ. ფროსტის პოეზიის თავისებურებებს, თვითონვე დააფიქსირა შემდეგი ნიშნები: ლექსების მოჩვენებითი სიმშრალე, მანერულობას განრიდებული გამოხატვა, გულწრფელობა, მგზნებარე ტემპერამენტის გაზავება გონებისმიერ ყინულთან, ოპტიმიზმი, ურბანისტული თემების იგნორირება, მკრთალი ფერების გამოყენება. იკვთება, რომ ფროსტი ტრადიციულია, ხალხურობაშია მისი ფესვები, მაგრამ მისი პოეზია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა. თემატიკა, პოეტური სახეები თუ ვერსიფიკაცია ექსტრავაგანტული ნოვაციებით არ გამოირჩევა. პოეტმა შეინარჩუნა ბოლორი-თმოვანი ლექსი (გამსახურდია 1991: 281-282). მის ლირიკაში გამოარჩევენ „ნოემბრის სტუმარს.“ აქ ხედავენ ხელოვანის თვალთ ხილულ პანორამას. პოეტური ქსოვილი გამჭვირვალეა, ინტონაციები – მშვიდი და სასაუბრო. თანაბრად უზავდება ერთიმეორეს აზრი და ემოცია.

ზ. გამსახურდიასეულ თვრამეტმარცვლიან ტაეპებს ნ. გოგოლაშვილისეულ თარგმანში ათმარცვლიანი პნკარები ცვლის და, იქნებ, ეს უფრო ადეკვატურად ჩაგვეთვალა ორიგინალის გადმოსაცემად, მაგრამ ფროსტის ტრადიციულობასა და შოპენჰაუერთან მიახლოებას („სამყარო არის ჩემი წარმოდგენა“) სწორედ ამგვარი ვრცლად გადაჭიმული ტაეპები უხდება. ორიგინალის ავტორი ინტიმური სიახლოვით გადაეხსნება ბუნებას, შინაგანი ენერგეტიკით ეხმიანება გარესამყაროს ძალებს. ამიტომაც არის, პოეტიზმებიც უხდება ბუნებასთან ამ შერწყმას. ფროსტის თავისებურებას (დარბაისლური ტრადიციულობა) გრძელი საზომის შერჩევით ვიზუალურადაც გვიჩვენებს ზ. გამსახურდია. შთამბეჭდავია ორივე ინტერპრეტაცია.

მთარგმნელი ცვლის ტაქტიკას, როდესაც თარგმნის კარლ სენდბერგს. რომანტიზმის კლიშეებს უპირისპირდება კ. სენდბერგი და ზვიად გამსახურდია უცდომელი ინტუიციით აგნებს ყოველივე ამის სიმბოლურად გამომხატველ ლექსს „არჩევანი.“ ეს უკვე სხვა ნყოზის პოეტიკაა. მისი თქმები შეიძლება იყოს გაურანდავი და ალაგ-ალაგ ვულგარულიც. სენდბერგი ახლებურად ამბობს, არარაფინირებულად, სინატიფეს მოკლებული ხერხებით, პოეტურ ქსოვილში კარს უხსნის ჟურნალიზმს, ბევრგან უახლოვდება პროზაულ თხრობას. ამგვარი განსხვავებული პოეტური ესთეტიკის დამამკვიდრებელია კ. სენდბერგი:

„ისინი ბევრს შემოგთავაზებენ,

მე – სულ ცოტაოდენს.

მთვარის ლიცლიცი შუალამის შადრევის

ფონზე

და ნყლის რაკრაკი თვლემის მომგვრელი,

გაშიშვლებული მხრები, ღიმილი,

ხან სიყვარული, ხან ღალატი,

სიკვდილის შიში, სინანულის კვლავ

დაბრუნება-

ყოველივე ამას გთავაზობენ თქვენ -

მე კი მოვდივარ,

მომაქვს პური, მარილმოყრილი,

მძიმე ჯაფის უღელი,

დაუცხრომელი ბრძოლა

და გეუბნებით:

აჰა, აიღეთ:

შიმშილი,

საფრთხე

და სიძულვილი.“

როგორც ვნახეთ, ჩამოიშალა რომანტიკული



პოეტიკის ნატიფი ესთეტიკა, დამკვიდრდა სოციალური თემატიკა, დემოკრატიული სათქმელი მოიტანა დრომ. ტრადიციულ რიტმებში ჩამწყვდეული ლექსი გათავისუფლდა მეტრული არტახებისაგან და მიიღო ვერლიბრის ფორმა. ეს მართლაც დიდი ცვლილება იყო პოეზიაში. ახალი ესთეტიკით დაწერილი ლექსები: „ჩიკაგო“, „უდაბნო“, „რიცხვების კაცი“ გახდა ამ პოეტის სავიზიტო ბარათები. მის ლექსს მოაქვს ირაციონალიზმი და ზეგრძნობადი რეალობა, რაღაც ისეთი, ლორკა ტერფებით რომ გრძნობდა და „დუნდეს“ უწოდებდა.

დავაკვირდეთ ლექსს, რომელსაც ჰქვია „ბალახი“:

Grass  
BY CARL SANDBURG  
Pile the bodies high at Austerlitz and Waterloo.  
Shovel them under and let me work—  
I am the grass; I cover all.  
And pile them high at Gettysburg  
And pile them high at Ypres and Verdun.  
Shovel them under and let me work.  
Two years, ten years, and passengers ask  
the conductor:  
What place is this?  
Where are we now?  
I am the grass.  
Let me work.

ბალახი  
(მთარგმნელი ზ. გამსახურდია 1971:41)  
დაახორეთ გვამები აუსტერლიცსა და  
ვატერლოოში.  
დამარხეთ მინაში და მიმიშვით სამუშაოდ-  
მე ვარ ბალახი; მე ვფარავ ყველაფერს.  
დაახორეთ გვამები გეტისბურგში,  
დაახორეთ იპრესში, ვერდენში,  
დამარხეთ მინაში და მიმიშვით სამუშაოდ.  
ორი წელი, ათი წელი და მგზავრები  
ჰკითხავენ

გამყოლს:  
„რა ჰქვია ამ ადგილს?  
სად ვიმყოფებით?“  
მე ვარ ბალახი.  
მე ვფარავ ყველაფერს.  
ბალახი  
(მთარგმნელი - შ. იათაშვილი 2004 :17)  
„დაახვავეთ სხეულები ვატერლოოსთან,  
აუსტერლიცთან,  
ჩაფლეთ მინაში და მაცადეთ, რომ ვიმუშაო -

მე ბალახი ვარ; მე ამქვეყნად ყველაფერს  
ვფარავ.  
და დაახვავეთ სხეულები გეტისბურგთანაც,  
დაახვავეთ იპრთან, ვერდენტან,  
ჩაფლეთ მინაში და ნება დამრთეთ, რომ  
ვიმუშაო.

ორი წელი, ათი წელი, და მგზავრები დაუსვა-  
მენ კითხვას კონდუქტორს:  
„სადა ვართ ახლა?  
რა ადგილია?“  
მე ბალახი ვარ.  
დამაცადეთ, რომ ვიმუშაო.“

ლექსში ჩამოთვლილია მასშტაბური ბრძო-  
ლების ადგილები, სადაც ათასობით მსხვერპლი  
დაეცა. ვატერლოო ნაპოლეონ ბონაპარტის უკა-  
ნასკნელი ბრძოლის ადგილია, სადაც ინგლისის,  
ნიდერლანდებისა და პრუსიის ალიანსი ებრძო-  
და ნაპოლეონის ფრანგულ არმიას; აუსტერლიც-  
ში მიმდინარეობდა ბრძოლა ნაპოლეონისა და  
რუსეთ-ავსტრიის ჯარებს შორის; გეტისბურგში  
სამოქალაქო ომი მძვინვარებდა; იპრი იბრძოდა  
გერმანიასთან პირველი მსოფლიო ომის პერი-  
ოდში და გერმანელებმა აქ ქიმიური იარაღი გა-  
მოიყენეს; ვერდენი ქალაქია საფრანგეთში. იგი  
იყო პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელე-  
ბსა და ფრანგებს შორის სამხედრო ოპერაციის  
არენა. ბალახი ფარავს ამ ადგილებში სიავის კვა-  
ლს, შლის და აქრობს ავკაცობის ნაკვალევს. წა-  
რმავლობის განცდა მოდის ამ ლექსიდან.

თუ სინქრონიულად წავიკითხავთ ორიგინალ-  
სა და პირველ თარგმანს, შემიდეგ- ორიგინალსა  
და მეორე თარგმანს, ხოლო შემდეგ - პირველ და  
მეორე თარგმანებს, ვნახავთ, რომ ინვარიანტულ  
ტექსტებს ვეცნობით. თარგმანები ლექსიკურად  
და სემანტიკურად თითქმის მსგავსია. მცირეო-  
დენი სხვაობა განპირობებულია მთარგმნელთა  
პერსონალური სტილური თავისებურებებით.  
თუ ერთგან არის „დაახვავეთ“, ხოლო მეორეგან  
- „დაახორეთ“, ასევე ერთგან ვკითხულობთ „ჩა-  
ფლეთ“, ხოლო მეორეგან - „დამარხეთ“, ეს სინო-  
ნიმური სხვაობაა, მაგრამ ფინალური ფრაზა *Let  
me work* როცა ითარგმნება ასე: „დამაცადეთ,  
რომ ვიმუშაო“, ვფიქრობ, ნაკლებ კრეატიულია  
და ვარჩევ მეორე ვარიანტს: „მე ვფარავ ყველა-  
ფერს,“ თუმცა, პირველი ვერსია უფრო ახლოა  
ტექსტთან. სამაგიეროდ, მეორე ვერსია ბევრად  
ახლოა ნაწარმოების იდეასთან.

ზვიად გამსახურდიას ყურადღების ცენტრში იყო ტომას სტერნზ ელიოტი, რომელსაც მიაჩნდა, რომ პოეტი ჩვენს ცივილიზაციაში სირთულით უნდა ხასიათდებოდეს და თვითონ იყო კიდევაც რთული პოეტი, ოღონდ ეს ცალკე საუბრის თემაა. არანაკლებ აინტერესებდა წერილის დასაწყისში ნახსენები უოლტ უიტმანი, სულისა და სხეულის პოეტი, რომლის „ბალახის ფოთლებს“ უიტტიერი თუ ცეცხლში წვავდა, ემერსონი ესალმებოდა თაყვანისცემით...

რა შეიძლება დავასკვნათ?

ზვიად გამსახურდიას თარგმანები – ეს მართლა ამერიკის ხელახლა აღმოჩენას უდრიდა ქართველი მკითხველისათვის. გამოიკვეთა ახალი ესთეტიკა, რომელიც ადამიანის ღრმა შინაგან კნელს ააშკარავებდა; გამოჩნდა ჯერმიუკველელი სამყარო, რომელიც თითოეული ადამიანისაგან გამოსხივდება. ამერიკული სული იგუმანა მკითხველმა, იგრძნო, პიროვნულ „მე“-ში რომ მთელი სამყარო ირეკლება. ზვიად გამსახურდიამ თავისი თარგმანებით ახალი პოეტიკა გაუშინაურა ქართულ სინამდვილეს, ტრადიციულისაგან განსხვავებული.

ამ ნაშრომის ავტორს იოტისოდენადაც არა აქვს თემის ამონურვის პრეტენზია, მაგრამ აქვს მკითხველის დაინტერესების სურვილი.

დასკვნა:

ნაშრომი დაწერილია ზვიად გამსახურდიაზე, როგორც ამერიკული პოეზიის მთარგმნელზე. მცირე მოცულობის კომპილაციური მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ამერიკული ლექსის თარგმნა და კვლევა მეოცე საუკუნიდან მიმდინარეობს ჩვენში. ნაშრომის ძირითადი საკითხია ზვიად გამსახურდიას თარგმანების თავისებურებათა განსაზღვრა. ვიყენებ შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის მეთოდს და სხვადასხვა ავტორის ტექსტების სინქრონული ნაკითხვით ვადგენ მათ ურთიერთგანსხვავებას.

ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ ზვიად გამსახურდია- მთარგმნელი ითვალისწინებს ზვიად გამსახურდია – მკვლევრის მიერ დადგენილ ინდივიდუალურ ნიშნებს და მათზე დაყრდნობით ქმნის თარგმანს. მისი ყოველი თარგმანი – ეს არის ორიგინალის ინტერპრეტაცია, რომელიც ავტორისა და მთარგმნელის ინტელექტუალურ თუ ემოციურ სივრცეში გამყოფებს.

ამოსავალი სიტყვები: ამერიკელი პოეტები, ვერლიბრი ამერიკულ პოეზიაში, ზვიად გამსახურდიას თარგმანი.

Zviad Gamsakhurdia – Translator of American Poetry  
 Annotation: The work is written about Zviad Gamsakhurdia, as a translator of American poetry. A small volume of a compilative review shows that the translation and research of American poetry took place in the twentieth century in Georgia. The main issue of the work is to define the features of the translations of Zviad Gamsakhurdia. Using the methodology of comparative study of literature and synchronous reading of various authors' texts, I find their differentiating features. The work concludes that Zviad Gamsakhurdia – the translator considers individual signs of Zviad Gamsakhurdia – the researcher and creates the translation based on them.

Key words: American poets, Vers libre in American poetry, translations of Zviad Gamsakhurdia.

**ზაინაბ სარია**  
**ფილოლოგიის**  
**მეცნიერებათა**  
**დოქტორი**



**დამონებული ლიტერატურა:**

1. გამსახურდია 1971: გამსახურდია ზ. ამერიკელი პოეტები.თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971;
2. გამსახურდია 1972: გამსახურდია ზ. XX საუკუნის ამერიკული პოეზია. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1972;
3. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., გამომც. „ხელოვნება“, 1991 წ.
4. გოგოლაშვილი 2002: გოგოლაშვილი ნ., ამერიკული პოეზია, თბ., გამომც. „ლომისი“, 2002 წ.
5. ნ. დარბაისელი, „ზვიად გამსახურდია – ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი,“ ჰტტპ://წწწ.ბუ.ორგ.გე/b450?ლანგ=გეო
6. იათაშვილი 2004: იათაშვილი შ., ამერიკელი პოეტები, თბ., გამომც. „მერანი“, 2004 წ.

# ღვანლი მონაპისა, ღვანლი მარტვილისა!

**ჯატივცემულო საზოგადოება,**  
ჯილოცავთ დღევანდელი დღის - 31 მარტის გამორჩეულად ღირსშესანიშნავ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. 31 მარტი გახლავთ არა მხოლოდ საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, არამედ გახლავთ დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების ისტორიული წინაპირობის თარიღიც.

ჩვენი ერის სახელოვანი წინაპრების მიერ განვლილი გმირული ცხოვრების გზა მუდამ იყო პოეზიის მადლით მირონცხებული. ეს განსაკუთრებით ქვეყნისათვის დამაშვრალ მეფე პოეტებზე ითქმის.

დავით მეოთხე ბაგრატიონს, „ქართლის ცხოვრების“ ფოლიანტებში აღმაშენებლად ნოდებულს, დიდგორის ველზე „ძლევაი საკვირველი“ შეაძლებინა ყოველდღიურმა რუდუნებამ, ქვეყნის უანგარო სიყვარულმა, საქართველოს გაერთიანების იდეამ და, რაც მთავარია, ღვთის წინაშე ქედის მოდრეკამ, შიშმა და სიყვარულმა. დავით მეოთხე ბაგრატიონი მეფე - პოეტი ბრძანდებოდა - „გალობანი სინანულისანის“ ავტორი.

მეფე - პოეტი ბრძანდებოდა ქართველთა გენეტიკური განადგურების ასარიდებლად მონღოლთა ურდოში საკუთარი ნებით ჩასული დემეტრე მეორე ბაგრატიონი, ჟამთააღმწერლის მიერ სრულიად სამართლიანად თავდადებულად სახელდებული. დემეტრე თავდადებული მეფე - პოეტი ბრძანდებოდა - „შენ ხარ ვენახის“ ეროვნული საგალობლის ავტორი.

ოდიშიდან კოხტაგორისკენ მოძმეთა საშველად ქარივით მქროლი ცოტნე დადიანი, რომელიც კოხტაგორას მხოლოდ ორი თანმხლებით მიადგა: „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაციტა და განიძარცუა სამოსელი თვისი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“ სამეგრელოს, ოდიშის მთავარი ბრძანდებოდა - ზნეობრივი გმირობისა და ქვეყნისათვის თავდადების მარადგაუხუნარი იდეალის ავტორი.

მეფე - პოეტები იყვნენ აღორძინების პერიოდში მოღვაწე ბაგრატიონები: თეიმურაზ პირ-

ველი, თეიმურაზ მეორე, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე... სისხლითა და ცრემლით წერდნენ ისინი „ქართლის ცხოვრების“ პოეტურ მატიაწეებს. ქართველ მეფე - პოეტებს ბედისწერაც მკაცრი ერგოთ: უცხოეთში დალიეს მათ სული უიმედობასა, უსასოობასა და სრულ ნოსტალგიაში. „რა კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა, მარბათიც მიხვდეს სასმელად ნაღველად აღმოიწებსა“, - არჩილ მეფის ეს გოდება ზოგადი სტიგმაა მათი გაუხარელი ცხოვრების შესაფასებლად.

საქართველოს უგვირგვინო მეფედ იწოდებოდა საგურამოში ეტლით მიმავალი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც წინამურის უღრან ტყეში ჩასაფრებული ქართველი თანამოძმეები ჩახმასხმემართული ბერდანკებით ელოდებოდნენ შუბლის გასახვრეტად... ილია ჭავჭავაძე უგვირგვინო მეფე - პოეტი ბრძანდებოდა - მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემოქმედი და ავტორი.

ჯიხაშკარიდან ხიბულამდე გოლგოთის გზაზე შემდგარი ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბრძანდებოდა, რომელსაც ილიას მსგავსად ხიბულაში მეორე წინამური ელოდა და იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი დიდი ეპოქა უნდა დაესრულებინა. ზვიად გამსახურდია მეფე - პოეტი ბრძანდებოდა, „საქართველოს სულიერი მისისიისა“ და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შემოქმედი და ავტორი.

პოეზიიდან, ლიტერატურიდან მოვიდა ზვიად გამსახურდია ჯერ დისიდენტურ მოძრაობაში, ხოლო გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მერაბ კოსტავასთან ერთად სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართული სახელმწიფოს თავზე ამაყად ააფრიალა დამოუკიდებლობის სამფეროვანი დროშა.

ზვიად გამსახურდია დიდოსტატი მამის მიერ აშენებულ კოლხურ კოშკში იზრდებოდა. კოლხური კოშკი კი საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ თავისუფლების ერთადერთ ციტადელს

წარმოადგენდა, რომელსაც იმედის თვალთ შეჭყურებდა სრულიად საქართველო. კოლხური კოშკის ურჩი მეციხოვნე ხშირად არისხებდა განგაშის ზარებს ერისა და ბერის გასაგონად და ციხის გალავნის სათვალთვალ კოშკურიდან ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ პერიპეტიებს.

კონსტანტინე გამსახურდია ახალი დიდგორისთვის ემზადებოდა... ამ ბრძოლაში მან თან იახლა ვაჟი ზვიად გამსახურდია, რომელსაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე წვრთნიდა, „ვითარცა ბაზიერი მიმინოს“. ...დიდოსტატმა კონსტანტინემ ვერა, მაგრამ მისმა ნაშიერმა ბრწყინვალედ განასრულა მამის დაწყებული ეროვნული საქმე... და ეს იყო 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი, უდიდესი ისტორიული თარიღი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე...

მანამდე კიდევ ერთი დიდგორი იყო: 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომელმაც პრაქტიკულად განსაზღვრა საქართველოს მომავალი, მისი ხვალისდელი დღე.

ისტორიას უყვარს წრებრუნვა და, რომ ეს ასეა, ჩვენ ყველამ ვიხილეთ ჩვენი უახლესი ისტორიის მაგალითზე. ქართველ ხალხს ახსოვს „ძღვევაი საკვირველი“, ანუ ძღვევამოსილი დიდგორი, და ქართველ ხალხს ახსოვს სამარცხვინო ბაზალეთი – „ქართველისა ქართველითა დამთრგუნველი“ ომი. ეს ისტორიული რეციდივი მეოცე საუკუნეშიც განმეორდა: მეოცე საუკუნე ილიას მკვლელობით დაიწყო და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობით დამთავრდა. საქართველომ ზვიადის თავკაცობით დროის უმცირეს მონაკვეთში რამდენიმე დიდგორი მოიგო და ხალხის ნაწილმა (კრიმინალებმა, ფსევდოოპოზიციამ, წითელმა ინტელიგენციამ) მეორე ბაზალეთი გაიმეორა. ეს ერის აღზევებაც არის და ერის დაცემაც. არ შეისმინეს გონებადაბინდულმა თანამოძმეებმა წმინდანად შერაცხული ბერი გაბრიელის გაფრთხილება: „ვინც ებრძვის ზვიად გამსახურდიას, ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას და მართლმადიდებლობას.“

როგორ ესადაგება და ეხმიანება ზვიად გამსახურდიას გარშემო შექმნილ სავალალო ვითარებას დიდი სულხან-საბას სიტყვები:

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მანყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი – მემოყვრების, მაცინარობს.

წმინდა ილია მართლის საბედისწერო გზას წინამურიდან საგურამომდე და ზვიად გამსახურდიას გოლგოთას ჯიხაშკარიდან ხიბულამდე „მოყვარე მტერმა“ ტოლობის ნიშანი დაუსვა და კიდევ ერთხელ შეახსენა ცოდვებით დამძიმებულ თანამედროვეობას სულმნათი აკაკის მწარე სიტყვები: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ მართლა ფურთხის ღირსი იქნება საქართველო, თუ ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცულ მკვლელობას ახლა მაინც არ აეხადა ფარდა და საზოგადოებას არ ეუწყა სრული სიმართლე ხიბულაში დატრიალებული ეროვნული ტრაგედიის შესახებ.

უნდა იცოდეს და უნდა ესმოდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს – განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა – ინტელიგენტს, მინის მუშას, კალატოზს, სკოლის მოსწავლეს, პარლამენტარს, მინისტრს, მოსამართლეს, ხელისუფლების ყველა შტოს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ქართული სახელწიფოს ბალავარს წარმოადგენს 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგი და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. უნდა იცოდეს და უნდა ესმოდეს ყველას, რომ ეს ისტორიული თარიღები (1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის შთამბეჭდავი შედეგები, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი, 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება) ქვეყანას მოუტანა ისტორიულმა პიროვნებამ, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილმა მამულიშვილმა ზვიად გამსახურდიამ... და ეს სანიშუმოდ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში – დაწყებითი კლასებიდან.

თუ ყველამ არა, ალბათ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უნდა იცოდეს, რომ ეს თარიღები საქართველოს კონსტიტუციის თავფურცელია და მათზე აიგო ჩვენი ქვეყნის უპირველესი საკანონმდებლო წიგნის სამართლებრივი საფუძვლები. იქ, კონსტიტუციაში, თავი I, მუხლი I, გარკვევით წერია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი, განუყოფელი სა-

ხელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით...“ და ესეც სკოლაში უნდა ისწავლებოდეს- დანყებითი კლასებიდან.

ახლა მოკლედ ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად ვიცით და გვესმის ეს ყველაფერი ქართველებს. ვიცით ზერელედ და გვესმის უფრო ცუდად.

ფაქტია, რომ არც ერთი ხელისუფლება არ წყალობდა ზვიად გამსახურდიას, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემოქმედს. თავი დავანებოთ შვეარდნაძის რეჟიმს – ის მისი დაუძინებელი მტერი იყო და შეძლო კიდევ ქართული სახელმწიფოს გაჩანაგება და პირველი პრეზიდენტის ფიზიკური განადგურება... სააკაშვილის ხელისუფლებას ჩეჩნეთიდან გადმოსვენებული პრეზიდენტის ძვლები პიარისტვის სჭირდებოდა, მაგრამ ოჯახმა და ქართველმა ხალხმა არ ინებეს ასე, თვითონ იგლოვეს და მიაბარეს წმინდანთა სავანეს – ეს იყო ნამდვილი სახალხო გლოვა. შევხედოთ მასმედიას, ტელევიზიებს – როგორ შუქდება ეს ისტორიული თარიღები. ჩვენდა სამარცხვინოდ, შუქდება ძალზე ფრაგმენტულად, წამიერად და არავითარ შემთხვევაში გადაცემების დასაწყისში(ამ მხრივ მიმდინარე საიუბილეო წელი ნამდვილად იყო გამონაკლისი)..

რატომ ხდება ასე? იმიტომ ხომ არა, რომ გამსახურდიას დამხობაში მონაწილე ბევრი ვაიქართველი დღესაც ყელყელაობს პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, არასამთავრობოებში... შეიძლება ამიტომაც... ვერც ერთმა ხელისუფლებამ და, ზოგადად ქართულმა სახელმწიფომ, ვერ მისცა ჯეროვანი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებს. არ დაარქვა ნამდვილი სახელი იმას, რაც მოხდა ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების შედეგად. არავინ ითხოვს გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა ძელზე გასმას, მაგრამ მოვლენათა სამართლებრივი შეფასება სახელმწიფოს ვალდებულებაა საკუთარი ხალხის წინაშე. მომავალ თაობას, ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და სამართლიანობის დამკვიდრებას სჭირდება ეს..

რაც შეეხება ზვიადის პიროვნებას – ქართუ-

ლი სახელმწიფოს თავზე მუდამ იფრიალებს ამაყად მის მიერ აღმართული დამოუკიდებლობის დროშა, ხოლო მარტვილი და მონამე პრეზიდენტის ხსოვნას ქართველი ერი ყოველთვის დახვდება ანთებული ჩირაღდნებით ხელში... ახალი დიდგორის მოლოდინში.

საქართველოს ისტორიაში ზვიად გამსახურდია შევიდა ეროვნულ გმირად და შორს არ არის ის დრო, როცა მერაბ კოსტავასთან ერთად მას ქართული მართლმადიდებლური ეკლესია შერაცხავს წმინდანად. ზვიად გამსახურდია არის არა მხოლოდ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი სტატუსის მატარებელი ადამიანი – ჩვეულებრივი გაგებით, ის, ამავე დროს, არის მონამე, მარტვილი, ალამდარი, ანუ პიროვნება, რომელმაც თავისი ისტორიული მისია ქართველი ერის წინაშე პირნათლად მოიხადა და ტარიგად შეეწირა კიდევ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბძოლას. ის გახლავთ მოღვანე, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა „საქართველოს სულიერი მისსია“, რომელიც ეფუძნება უწინარესად ქვეყნის უანგარო სამსახურს, რწმენის სიმტკიცეს და მუდმივად დგომას სამშობლოს სადარაჯოზე- ავანგარდში, ბრძოლის წინა ხაზზე. თვითონ ამ პრინციპით იცხოვრა, სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა. მას სურდა საქართველო ყოფილიყო ეროვნულ-მართლმადიდებლური სახელმწიფო საერო და თეოლოგიური თვალსაზრისით, ხოლო პოლიტიკურად მდგრადი და დომინანტი რეგიონი მთელს კავკასიაში...მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ასეთ საქართველოზე ოცნებობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე:

„ჩემი მამული, საქართველო დღეს  
მიცოცხლდება!  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი  
მოქმედობს!  
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს  
ფიქრსა ჰფიქრობს  
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიას  
თავისუფლება!  
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ  
წაუძღვება!“

ზვიად გამსახურდია ილია ჭავჭავაძის გზაზე შემდგარი ეროვნული მოღვანე იყო. ერთიანი კავკასიური სახლის იდეა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ წამოაყენა და მისმა ფარისეველმა

ოპონენტებმა საქილიკოდ გაიხადეს, მიზნად ისახავდა სწორედ კავკასიის ხალხთა გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად – მათ ერთობლივ ბრძოლას თავისუფლებისათვის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას „მიმართვა კავკასიის ხალხისადმი“ 1991 წლის 23 მარტს: „ნებისმიერი კავკასიელი ხალხის ბედი, ყველა კავკასიელის მშვიდობიან ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ისევ ჩვენივე ერთსულოვნებით კავკასიაშივე უნდა წყდებოდეს. ამისთვის აუცილებელია კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, დიალოგი, რათა ერთობლივ იქნეს შემუშავებული ერთიანი მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია.“

ზვიად გამსახურდიას თამამმა იდეამ, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური მოცემულობის გაჩენას გულისხმობდა, უკიდურესად გააღიზიანა რუსეთის იმპერიული ძალები. ამ იდეას ამრეზით და აღმაცერად შეხედა ამერიკის შეერთებული შტატების ზესახელმწიფომაც. ამერიკა მაშინ, იმ ისტორიულ მოცემულობაში, სსრ კავშირის ნგრევის სანყის ეტაპზე, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების მიუხედავად, საქართველოს განიხილავდა და მოიაზრებდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის სფეროდ... ამიტომ თქვა უფროსმა ბუშმა ცნობილი სიტყვები: „ეს კაცი მდინარის საპირისპირო მიმართულებით მიცურავსო“ და მიიღო კიდევ საკადრისი პასუხი პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყნის პატრიოტი პრეზიდენტისგან, რომელიც თავისი მნიშვნელობით, სულისკვეთებით და თავგანწირვის მასშტაბებით მუდამ დარჩება საუკუნის ფრაზად: „მდინარის დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან.“ ზვიად გამსახურდია ორაგულის სიჯიუტით მიცურავდა დინების საწინააღმდეგოდ, მიცურავდა მწვერვალებისკენ, თავანკარა სათავეებისკენ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის 9 აპრილს წამებული გამარჯვების სამარადყამო უკვდავსაყოფად კავკასიონზე გამარჯვების დროშა აღემაართა... და მან ეს შეძლო.

ზვიად გამსახურდიას ღვანლი და თავდადება ქართველი და კავკასიელი ხალხის წინაშე და მისი დიდი ავტორიტეტი მთელს კავკასიაში კარგად ჩანს იჩქერიის მამაცი პრეზიდენტის, ზვიადის უღალატო მეგობრისა და თანამებრძოლის ჯოჰარ დუდაევის გამოსათხოვარ

სიტყვაში 1994 წლის 24 თებერვალს ქ. გროზნოში სამგლოვიარო მიტინგზე: „...მან თავი გადადო საქართველოსა და კავკასიის ხალხთა პატიოსნების, სინდისის, ღირსების, დამოუკიდებლობისა და ამ მიწაზე მათი უფლებების დასაცავად... იგი კავკასიის შვილია და, სურთ თუ არა ეს მოწინააღმდეგეთ, ესაა ჩვენი დროის უნიჭიერესი და უგენიალურესი ადამიანი.“

ზვიად გამსახურდიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა ეკლიანი იყო. მან კარგად უწყობდა, რომ ის მხოლოდ პრეზიდენტი კი არა, გმირი წინაპრებით მოწამეც უნდა გამხდარიყო სხვათა სანიმუშოდ და სამაგალითოდ. ასეთი პიროვნებები ისტორიებს ქმნიან და ზვიად გამსახურდიამ შეძლო აქმენებინა დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერი საყრდენები... მან ბევრჯერ გაიმარჯვა დიდგორის ველზე და მას ამ ისტორიულ მონაპოვარს ვერავინ წაართმევს:

„დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინაც დანინდა. ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი!“

კურთხეულია საქართველო – გამსახურდიების სამშობლო, ნეტარ არიან კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები- უკვდავების ბინადარნი.

გელა მამფორია,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



# ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი

ჩხორონყუს რაიონში მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვაზე XX საუკუნის შუა ხანებიდან განსაკუთრებით ზრუნავდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები. ისინი მოსწავლეთა დახმარებით სასკოლო მუზეუმებისთვის აგროვებდნენ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ზეპირსიტყვიერების მასალებს, ამით საფუძველს უყრიდნენ რაიონის მუზეუმის დაარსებას.

ჩხორონყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსდა 1968 წელს, 1978 წლიდან ფუნქციონირებდა როგორც „კულტურის სამინისტროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“, 2009 წლიდან კი არის ა.ა.ი.პ.ი. „ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი“.

ჩხორონყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის იდეას როგორც რაიონული გაზეთის საშუალებით, ასევე საზოგადოების საქმიან შეხვედრებზე დღის წესრიგში აყენებდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები: გრიგოლ შენგელია, გიორგი ციალაძე-ნახნაკია, ნიკოლოზ ბერულავა, ტიტე შელია, ვალია ბეჭვანია, მამანტი კვირტია, გიგლა კვირკველია, ლამარა და ნელი პაპასკირები... ჩხორონყუს რაიონული გაზეთის რედაქტორმა ბატონმა ტიტე შელიამ (1924-2005) გაზეთის ფურცლებიდან დააყენა ეს აქტუალური საკითხი. რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, ჩხორონყუს რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი პირველი პირის – კარლო ქაჯაიას – შუამდგომლობით, 1978 წელს მიიღო გადაწყვეტილება ჩხორონყუში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის შესახებ. მუზეუმს ჩხორონყუს მონკავშირის შენობის პირველ და მეორე სართულზე გამოეყო ოთახები. დირექტორად დაინიშნა მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებელი გრიგოლ (გრიშა) ვლადიმერის ძე შენგელია (1915-1991). იგი 1978-1987 წლებში ამ მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმი სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბდა. მუზეუმის სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: მამანტი კვირტია, კირუშა პაპავამ, ტიტე შელიამ, ვარლამ როდონაიამ, გრიშა შენგელიამ, ვალია ბეჭვანია, ნიკოლოზ ბერულავამ, ნელი და ლამარა პაპასკირებმა, ვალერიან (ვალეკო) ახალაიამ, იგორ ფიჩხაიამ, კოტე ნაჭყებიამ, ჯემალ ლაკირბა-

იამ, კოსტა ხუნტუამ, ალიოშა მორგოშიამ, იასონ პაპავამ, ვალერი შენგელიამ, როლანდ ქვარცხავამ, გურამ თოდუამ, არნოლდ ჟვანია, ანზორ სიჭინავამ, ნუგზარ ჟვანია, გურამ მალანია, რეზო წურნუშიამ, ამირან სიჭინავამ, ნიკოლოზ (კოლია) ბერულავამ, რომან თოლორდავამ, მამია ნარსიამ, ვალიკო საჯაიამ...

გრიგოლ შენგელიამ და მარტვილის მუზეუმის დირექტორმა გივი ელიავამ, ამავე მუზეუმის თანამშრომელმა გივი ფარულავამ 1983 წელს გამოსცეს წიგნი „ჩხორონყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგი“.

მამანტი კვირტიას მიერ მოძიებულმა მასალებმა საფუძველი დაუდო სამუზეუმო ფონდის შექმნას. ჩხორონყუს მუზეუმში შენახულია მამანტი გუჯუს ძე კვირტიას (1909-1989) ფონდი. მამანტი კვირტიამ სამეცნიერო ღირებულების მქონე სტატიები გამოაქვეყნა. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა წიგნი „კვიმატი“, რომელშიც შესულია ავტორისეული მასალები. წიგნი საყურადღებოა როგორც ისტორიულ – ეთნოგრაფიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით. მას დიდი ამაგი მიუძღვის სამეგრელოს რეგიონის ნივთიერი და სულიერი კულტურის, ფოლკლორისა და ტოპონიმის მეცნიერული შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში. მამანტი კვირტიას მასალები არაერთმა მეცნიერმა გამოიყენა თავის სამეცნიერო ნაშრომში.

ჩხორონყუს ისტორიულ მუზეუმში დაცულ წერილობითი, ზეპირსიტყვიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებ-ექსპონატების შეგროვება-დაუნჯებაში სხვადასხვა დროს აქ მომუშავე ადამიანებმა დიდი როლი შეასრულეს. ისინი დიდი მონდომებითა და თავდაუზოგავი შრომით ავსებდნენ მუზეუმის ფონდს. ამ საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ვლადიმერ (კირუშა) კონსტანტინეს ძე პაპავა (1923-1990). იგი, როგორც შტატგარეშე მეცნიერ-თანამშრომელი, აქტიურად იყო ჩაბმული სამუზეუმო საქმიანობაში, – სამეცნიერო სესიების მომზადებასა და ჩატარებაში. მან პირველმა შეისწავლა და სამეცნიერო სესიაზე წარმოადგინა ნაფიჩხოვო – კურზუს მღვდლის, დეკანოზ დიმიტრი ბერულავას საქმიანობა, რომელმაც XIX ს-ის დასასრულისათვის საფუძველი ჩაუყარა ნაფიჩხოვოში სწავლა-განათლების საქმეს. კირუშა პაპავას მიერ ნაფიჩხოვოში შეგროვილი სასოფლო მუზეუმის ექსპონატების უმრავლესობა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში,

სამოქალაქო არეულობის დროს, განადგურდა. გადარჩენილი მასალები კი ჩხორონწყუს მუზეუმშია დაცული.

ცნობილმა პედაგოგმა და მხარეთმცოდნე გიგლა კვიციანიამ მუზეუმი გაამდიდრა როგორც საბუნებისმეტყველო ექსპონატებით, ისტორიული არტეფაქტებით, ისე ფოლკლორული ჩანაწერებით.

ჩხორონწყუს მუზეუმს აქვს საბუნებისმეტყველო ექსპონატების უმდიდრესი განყოფილება. იგი მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დღემდე მოიძია და მუზეუმის ფონდში თავი მოუყარა მეცნიერების ამ დარგის სპეციალისტმა, ამჟამად მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილების გამგემ, ბატონმა ივორ ფიჩხაიამ. მისი ინიციატივით ჩხორონწყუს ისტორიული მუზეუმი თანამშრომლობს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის, ბოტანიკის და სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი ძეგლების შესწავლის მიზნით ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები. ქართველ მეცნიერებთან ერთად კვლევით სამუშაოებში მონაწილეობას ღებულობენ უცხოელი სპეციალისტებიც. კვლევის საგანია წიაღისეული სიმდიდრეები: ბუნების არაორგანული და ორგანული ძეგლები, გეოლოგიურ-გეოგრაფიული - პალეონტოლოგიური და ბიოლოგიური მასალები. წლების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლინდა ბუნების უნიკალური ძეგლები. შესწავლილია: მიგარაის კირქვული მასივის წიაღში ფორმირებული კარსტული მღვიმეები; აღმოჩენილია ენდემური სახეობის ცოცხალი არსებები; განმარხებული მცენარეები და ცხოველები; ტურისტული დანიშნულების ობიექტები. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მონყობილია შესაბამისი ექსპოზიცია.

მუზეუმში გამოფენილია და ფონდში დაცულია საკმაოდ მდიდარი, მეცნიერულად შესწავლილი, შემთხვევით ნაპოვნი და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომელთა დიდი ნაწილი განეკუთვნება საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ძირითად საფეხურს. ესაა: პალეოლითური და ნეოლითური ხანის ქვის ხელცულები და ნაჯახები, სატეხ-საჩორკნი ქვები (თაია, ლუგელას ხეობა) და სხვ. ლესიჭინეს თემში შემავალ სოფელ ოჩხომურში მცხოვრები შალვა ხორავას საკარმიდამო მიწის ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩნდა გვიან-ბრინჯაოსა და ადრე-რკინის ხანის, ძვ. წთ. აღრ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღები: კოლხური ცულები, თოხები, შუბისპირები, ნამგლები, სეგმენტური იარაღები და სხვ.

კოლხური ბრინჯაოს ნაკეთობათა განძი 143 ბრინჯაოს ნივთს მოიცავს, რომლებიც აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1984-1987 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად ოჩხომურის დიდ ნასახლარზეა მოპოვებული (თარიღდება ძვ.წ. VIII-VI სს.). არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები: ელგუჯა გოგაძე (ხელმძღვანელი), ლეილა ფანცხავა და ჯონი აფაქიძე. ოჩხომურის დიდი ნამოსახლარის მკვიდრთა მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა ხელოსნური წარმოება: მელითონეობა, კაჟის დამუშავება, ფერადი ქვის: სარდიონის, აქატის, იასპის, გიშრის, მინისა და პასტის მძივების დამზადება, რომლებიც ადგილზე - მდინარე ოჩხომურის ხეობაში - მოიპოვებოდა. მუზეუმში დაცული მძივები გამოფენილი იყო ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

ზემოთ აღნიშნული ეპოქის ბრინჯაოს ნაკეთობების ცალკეული ერთეულები, ბრინჯაოს ზოდები მუზეუმში მოხვდა სოფელ ახუთიდან (5 ცალი), ლენურნუმედან (8 ცალი), მოიდანახიდან (19 ცალი).

გრიშა შენგელიას თაოსნობით 1972 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩხორონწყუს რაიონში ჩამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ დ. ა. ხახუტაიშვილის ხელმძღვანელობით. მათ გათხარეს სოფელ ჭოლაში გრიშა შენგელიას მიერ აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურა-სახელოსნობის ობიექტები. დადასტურდა ქურა-სახელოსნოს ნაშთების: რკინის იარაღების, რკინის მადნის, ნაღვენთების და წიდების არსებობა, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წთ. აღ. VIII-IV საუკუნეებით თარიღდება.

ძველი ნელთაღრიცხვის VIII-IV სს-ით თარიღდება სოფელ ნაფიჩხოვოში გამოვლენილი ქვევრ-სამარხები, დერგისებრი ფორმის დასაკრძალავი ინვენტარი სოფელ ნაკიანიდან, რომელშიც დაკრძალვა ხდებოდა მიცვალებულის ნემტის კრემაციით. სოფელ ნაკიანის ლეახალეს უბანში ერთ-ერთ ქვევრ-სამარხში ადამიანის ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა მდიდარი მასალა: ბრინჯაოს ცულები, სეგმენტური იარაღები, ყელსაბამები, მძივები, იდეოგრამები (სურ. 1).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ქეთევან სოხაძემ, გამოიკვლია ნაკიანის ქვევრ-სამარხში აღმოჩენილ ძვალზე შესრულებულ ორნამენტი. იგი წერს: „ჩხორონწყუს მუზეუმის ექსპონატი, რომელსაც ჩვენ პირობითად კალენდარი ვუნოდეთ, გასული საუკუნის 70-იანი



წლების დასაწყისშია ნაპოვნი. თავის დროზე სამაროვანი, რომელშიც ის იყო, აღმოუჩენია სოფ. ნაკიანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს, ქ-ნ ლიანა ახალაიას. მისი ინფორმაციით, არქეოლოგები სამაროვანში არსებული კოლხური ცულებით უფრო დაინტერესებულან და დღესაც ის არტეფაქტები ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმში ინახება. დაახლოებით 2-2,5 სმ. სიგრძის ძვალი კი, რომელზეც შეუიარაღებელი თვალით მხოლოდ რაღაც პატარა ნაკანრი ფიგურები ჩანს, ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის დაუტოვებიათ. არქეოლოგთა დათარიღებით, სამაროვანი ჩვ. წ. აღ-მდე VII-V სს-ისაა.

2016 წლის აგვისტოში ჩხორონწყუს მუზეუმში ხელახალი სტუმრობისას ჩვენი ყურადღება პატარა ძვალმა მიიქცია. სხვათა შორის, ისიც კი არ არის გამოკვლეული, ეს ძვალი ცხოველისაა თუ ადამიანის. ხელოვნებამცოდნე გიორგი გიგაურის ყურადღება მან იმით მიიპყრო, რომ საოცარი იყო ამ მცირე ზომის მონაკვეთზე შესრულებული ნახატები. დღემდე გაურკვეველია როგორი ხერხით, ტექნოლოგიითაა და რისი მემკვიდრითაა შესრულებული. გადაღებულმა სურათმა უკეთ წარმოაჩინა ამ არტეფაქტის ყველა ნიუანსი. ფაქტი ერთია, თვითონ ძვალმა ჩვენამდე დიდი დაზიანებებით მოაღწია. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ მას მეორე მხარე აკლია (ყველა ძვალი ხომ წრიული ან ოვალური ფორმისაა). ამავ დროს, ამკარად ეტყობა, რომ ის დამსხვრეულია, ანუ მხოლოდ ფრაგმენტთან გვაქვს საქმე. როგორც აღმოჩნდა, სამაროვანი ტრაქტორს დაუზიანებია.

შემორჩენილი ფრაგმენტის მთელი სივრცე ვერტიკალური ორ-ორი პარალელური ხაზით 4 ნაწილადაა გაყოფილი და თითოეულ ნაწილს საკუთარი, განსაკუთრებული ნახატი თუ ორნამენტი „ამშვენებს“.

პირველი და მეოთხე სივრცე ერთნაირია და „სამკუთხედისმაგვარი“ არშიითაა გაფორმებული, რომლის შიგნითაც ორივე მხრიდან პატარა კვადრატებია ჩახატული და საბოლოოდ ეს კვადრატები პირამიდებს ქმნიან. მსგავსი არშია ხშირად გვხვდება როგორც კოლხურ ცულებზე, ასევე მტკვარ-არაქსის კულტურის არტეფაქტებზე, ზოგ მეცნიერს ის წყლის სიმბოლოდ მიაჩნია.

მეორე და მესამე სივრცე განსხვავებულია როგორც ზემოთ ხსენებული ორისგან, ისე ერთმანეთისგან. კონკრეტულად: მეორე სივრცე დასერილია მარჯვნივ და მარცხნივ გარკვეული კუთხით დახრილი ურთიერთმკვეთი და პარალელური ხაზებით, რაც საბოლოო ჯამში ისევ პატარა კვადრატებს ქმნის.

მესამე სივრცეში მართკუთხედებია ჩასმული, რომლებიც კვადრატებადაა დაყოფილი და ცო-

ცხალი კვადრატის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართკუთხედები ერთმანეთისგან სიდიდით გამორჩევიან და მათში კვადრატთა რაოდენობა 30-ია, რის გამოც ამ არტეფაქტს კალენდარი ვუნოდეთ (ეგვიპტური მზის უძრავი კალენდრის მსგავსად, თვეთა 30 დღიანი ციკლებით).

შემორჩენილი ნახატის მიხედვით, მეხუთე სივრცეც განსხვავებული უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, დღეს ამ ფრაგმენტის საშუალებით ძნელია იმის გარკვევა, თუ რა ინფორმაცია დაგვიტოვა წინაპარმა, არადა სწორედ ვილაცისთვის, კონკრეტულად შთამომავლებისთვის, იქნებოდა განკუთვნილი ეს გზავნილი.

საინტერესო ის არის, სხვაგან თუ გვაქვს მსგავსი ნივთი? საქართველოს მასშტაბით ასეთი აღმოჩენა არსად არ არის დაფიქსირებული. სამაგიეროდ, ძვალზე ნაკვეთი მსგავსი არტეფაქტი მსოფლიოშიც მხოლოდ ერთია და ისიც ბალკანეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც ქართველურ ტომთა დასავლეთისკენ (იბერიის ნახევარკუნძულისკენ) გადაადგილების მარშრუტი გადის.

მუზეუმის ექსპონატზე აღმოჩენილი ნახატები მსგავსებას, პირველ რიგში, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ზოგიერთ პიქტოგრამასთან იჩენს და, რაც მთავარია, სულ ახლახან გრაკლიანში (კასპის მუნიციპალიტეტი, ჩვ.წ. აღ-მდე XI-Xსს.) ადგილობრივი წარმოების კერამიკაზე აღმოჩენილ დეკორებთან.



სურათი 1



სურათი 2

ეს ადასტურებს, რომ კოლხური ცულის დეკორაცა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის პიქტოგრამები, მტკვარ-არაქსის კულტურის არტეფაქტების გაფორმება უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მათი ავტორები სწორედ ჩვენი წინაპრები – უძველესი იბერიელები არიან.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ მსგავს დეკორებს იყენებდნენ კაპადოკიის მონასტრების ბერებიც ხატმებრძოლობის პერიოდში (VII- VIII ს.ს.). გამოდის, რომ ის, რაც ჩვენთვის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო დეკორია, საერთაშორისო ნომენკლატურად ქრისტიანობის ეპოქაშიც მოქმედებს... ვფიქრობთ, ეს ქართული კულტურის უძველეს საერთაშორისო ფესვებზე მიუთითებს.

ამ არტეფაქტით რისი თქმა სურდა ჩვენს წინაპარს? ჯერჯერობით ამის გარკვევა მხოლოდ იმ ნივთებით შეიძლება, რაც სამაროვანში აღმოჩნდა. ეს არის მძივები (ადგილობრივი წარმოების), კოლხური ცულები. კოლხური ცულები სარიტუალო ატრიბუტად მიიჩნევა და, როგორც ფიქრობენ, ქურუმებს ატანდნენ. მძივებიც მხოლოდ დიდგვაროვანთა საფლავებშია მოპოვებული და ამ ორი ფაქტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაკიანში ქურუმის სამაროვანი იყო.

ძვალი კი, ალბათ, იმ ხელსაწყოებითაა დამუშავებული, რითაც ადგილობრივი ძვირფასი თუ ნახევრადძვირფასი ქვებით მძივებსა და სხვა სამკაულებს ქმნიდნენ (ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მძივების უძველესი სახელოსნოა აღმოჩენილი).

დანარჩენ კითხვებზე პასუხს კი მომავალი კვლევა გაგვცემს“.

ჩხორონყუს მუზეუმში დაცულია ე.წ. სარიტუალო, უცნაურწარწერიანი ქვა (სურ. 2), რომელიც ჯერჯერობით მეცნიერულად არ არის შესწავლილი. იგი 1986 წელს ნაპოვნია სოფ. ჯუმათში, ლეჟას უბანში ადგილობრივი მოსახლის დურუ ილარიონის ძე კვარაცხელიას მიერ, რომელმაც იგი უპირობოდ გადასცა მუზეუმს. აღნიშნული, უცნაურწარწერიანი ქვის შესახებ პირველი კვლევა თ. ს. უ-ს გაზეთში დაიბეჭდა სათაურით „უცნობწარწერიანი ქვა ჩხორონყუს მუზეუმში“, რომლის ავტორია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი. ეს თემა საჭიროებს მეტ ყურადღებას, ამიტომაც საჭიროა, მისით დაინტერესდნენ სათანადო დარგის სპეციალისტები.

ამ საკითხზე მოსაზრებები გამოთქვას: ფაზისის აკადემიის აკადემიკოსმა ბატონმა გია კვამილაშვილმა, ხელოვნებათმცოდნემ გიორგი გიგაურმა...

ამჟამინდელი ჩხორონყუს რაიონის ტერიტორიაზე XX საუკუნის 20-იან წლებამდე მოქმედებდა 30-ზე მეტი ეკლესია, კომუნისტების მმართვე-

ლობის დროს ყველა ეკლესია დაკეტეს, ბევრი მათგანი დაშალეს, ეკლესიების ინვენტარი გაანადგურეს, ზოგიერთი სინმიდე მუზეუმებში მოხვდა.

ზუგდიდის მუზეუმში ინახება ოცინდალეს წმიდა გიორგის ხატი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში დაცულია ოცინდალეს ეკლესიის (საკურთხევლის?) კარი, რომელიც გ. ჩუბინაშვილის დათარიღებით მიეკუთვნება XI საუკუნის პირველ მეოთხედს. კარი ერთი მთლიანი ფიცრისგანაა გამოთლილი, მას ირგვლივ შემოვლებული აქვს ორმაგი წრედი, რომელიც მოიცავს ორნამენტის ფართო ზოლს. წრედი ამოვსებულია რელიეფური ჩუქურთმით და გადანულია ვერტიკალურ ჩარჩოებად. ორი ზოლი კონტურებით არის შემოვლებული. მთელი ორნამენტური ჩუქურთმა შესრულებულია ერთ სიბრტყეში. ორნამენტის გარეთა ზოლი შედგება ორი ნაწილისაგან – წნული ლენტებისა და ფოთლებისაგან. გ. ჩუბინაშვილის თქმით, „ოცინდალეს კარი არის ცოცხალი შემოქმედებითი ნაწარმოები, რომლითაც ხასიათდება XI საუკუნე“.

მუზეუმში დაცულია: საეკლესიო მეტრიკული წიგნები, ხელნაწერები, საეკლესიო ბეჭდები, სასულიერო და საერო წერილობითი დოკუმენტები (XIX-XX ს.ს. მიჯნა). საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშები, ადგილობრივი დადიანების სასახლის ხის მოჩუქურთმებული სვეტები, ქართული ორნამენტებით დამშვენებული კარები (XVII ს.ს.)...

მუზეუმს გააჩნია ბუნების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებები. მონესრიგებულია მუზეუმის ფონდის საქმიანობა (ფონდის მთავარი მცველია თეა ჭეჟია, რეგისტრატორები – ნანა ნაჭყებია, ტარიელ ლოგუა). ფონდში დაცულია: XIX ს-ის წერილობითი საბუთები, ყიდვა-გაყიდვის აქტები, საგადასახადო აქტები, მზითვის წიგნები, სიგელ-გუჯრები, ნუმიზმატიკის ნიმუშები და სხვ.

მუზეუმის ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დირექტორად დანიშნულმა გურამ სოლომონის ძე მაღალიამ ენერგიულად წარმართა საქმიანობა. თანამედროვე დონეზე მოეწყო საგამოფენო დარბაზები, ფონდი ყოველწლიურად ივსებოდა ექსპონატებით, თანამშრომლების სამეცნიერო კვლევები ქვეყნდებოდა მუზეუმის მიერ გამოცემულ ჟურნალ „მოამბეში“.

ამჟამინდელი მდგომარეობით, მუზეუმის ფონდში დაცულია 28 465 ექსპონატი, მათ შორის: ფერწერა – 27, გრაფიკა – 1, სკულპტურა – 5, გამოყენებითი ხელოვნების – 6, ნუმიზმატიკა – 451, არქეოლოგია – 3679, ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალა – 608, ფოტომასალა – 1 331, დოკუმენტები – 6 428, სამეცნიერო დამხმარე მასალა – 4 477, მემორია-

ლური ნივთები - 46, საეკლესიო ნივთები - 16, საბუნებისმეტყველო მასალები - 43, წერილობითი ძეგლები - 11 241, საცნობარო მასალა - 106.

ჩხორონწყუს ისტორიულ მუზეუმს აქვს ორი სტრუქტურული ერთეული:

1. „ვალთა ბეჭვიაის სახლ-მუზეუმი“ (სოფ. კირცხი), ხელმძღვანელია თამთა ჭითანავა. აქ 2 046 ექსპონატი ინახება, მათ შორის: ნუმიზმატიკა - 100, არქეოლოგია - 660, ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები - 275, ფოტომასალა - 677, დოკუმენტები - 50, სამეცნიერო დამხმარე მასალა - 50, საბუნებისმეტყველო მასალები - 150, წერილობითი ძეგლები - 40, კინო და მუსიკალური მასალა - 24, საცნობარო მასალა - 20.

2. „ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი“ (სოფ. მუხური), ხელმძღვანელია ლალი თოდუა. აქ დაცულია 239 ექსპონატი, მათ შორის: ფერწერა -- 3, გრაფიკა - 8, ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალა - 24, ფოტომასალა - 19, დოკუმენტები - 3, მემორიალური ნივთები - 5, საეკლესიო ნივთები - 3, წერილობითი ძეგლები - 154.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილება (განყოფილების გამგე მარინა გელანტია). მუზეუმში პერიოდულად ეწყობა თემატური გამოფენები, შეხვედრები. მუზეუმის სშირი სტუმრები არიან ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორები (ექსკურსიამძღოლი ინგა ალანიძე, თანამშრომელი ტარიელ შენგელია), ისინი კმაყოფილნი ტოვებენ საგამოფენო დარბაზებს, რის შესახებაც მეტყველებენ სათანადო ჩანაწერები შთაბეჭდილებათა ნიგნში.

სადღეისოდ მუზეუმში გრძელდება შემოქმედებითი საქმიანობა. მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ნაირა ციმიტიას ინიციატივით მოეწყო: ცნობილი მეცნიერის, ბატონ გია კვაშილავას შეხვედრა ინტელიგენციასთან, ნაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: პროტოქართველები, საერთო ქართველური ენა და წარწერები (A კლასის ხაზოვანი და ფესტოსის დისკოს წერილობითი ძეგლები); მუნიციპალიტეტის მკვიდრის შორენა ხორავას შემოქმედებითი საღამო. კომუნისტური რეჟიმის მიერ რეპრესირებული, სამღვდლო ოჯახიდან გამოსული ცნობილი მეცნიერი ქალის ლიდია პაპასკირის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება: ღვანლმოსილი პიროვნების საფლავზე პანაშვიდი აღავლინა მღვდელმა ალექსი რეკვაავამ; მის ნათელ ხსოვნას პატივი მიაგეს დედა ეკლესიის მრევლმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, განსვენებულის ნათესავებმა.

მუზეუმის დირექციის ინიციატივით კულტურის სახლში ჩატარდა შოთა ნურნუმიას პოეზიის საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის წევრი თემურ ჯულაყიძე, პოეტი თამარ რაზმაძე და ხუთასზე მეტი ჩხორონწყელი.

მუზეუმის თანამშრომლებმა საზოგადოებასთან ერთად აღნიშნეს საზოგადო მოღვაწის, მუზეუმის პირველი დირექტორის გრიგოლ შენგელიას 100 წლის იუბილე.

მუნიციპალიტეტის მკვიდრთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია სოფელ მუხურში ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმის განახლებამ და ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებულმა ღონისძიებამ.

მხატვარ-გრაფიკოს გურამ მაღანიას მხარდაჭერით მთლიანად შეიცვალა მუზეუმის საბუნებისმეტყველო განყოფილების საგამოფენო დარბაზი. გააქტიურდა სკოლებთან თანამშრომლობა. კერძოდ, დაბის 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩაერთნენ შურუბუმუს ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებში.

ამ ცოტა ხნის წინათ მუზეუმს სტუმრობდნენ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორები: ნანა ბოლაშვილი (ინსტიტუტის დირექტორი), ემილ წერეთელი, მარინე ჯანაშია, კუკური ნიქარიშვილი, ზაზა ლეჟავა, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ნუგზარ ღლონტი, ჯემალ ქირია, გივი ჯაში, თამაზ ყარალაშვილი, ავთანდილ თარხნიშვილი, დავით ოდილავაძე, თამაზ ქობულაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა ხახუტაიშვილი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბრაიან გილმოური, ენტონი გილმორი, ნატანიელ ერბ სატულლო, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან სოხაძე, ხელოვნებათმცოდნე გიორგი გიგაური, ისტორიკოსი ემზარ კახიძე, არქეოლოგი დიმიტრი ჟვანია და სხვ.

მუზეუმი დაინტერესებულია, შეისწავლოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ამ მიზნით ეწყობა ექსპედიციები და დავაფიქსირეთ სამეგრელოს რეგიონისთვის დამახასიათებელი ხეზე კვეთის ნიმუშები.

**ზაურ ზალადონია,**  
ჩხორონწყუს  
ისტორიული  
მუზეუმის  
დირექტორის  
მოადგილე



# ზუგდიდის სპორტის მუზეუმი



ზუგდიდელი ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი ფეხბურთში როლანდ მაქაცარია ნლების განმავლობაში აგროვებდა სპორტსმენების მემორიალურ ნივთებს, რამაც განაპირობა ზუგდიდში 2015 წელს ზუგდიდის ა.ა.ი.პ. „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრში“ (დირექტორი კონსტანტინე გურგულიანი) „ზუგდიდის სპორტის მუზეუმის“ დაფუძნება. აღსანიშნავია, რომ სპორტის მუზეუმი საქართველოში უკვე მესამეა.

ზუგდიდი ოდითგანვე ცნობილი იყო სპორტის სხვადასხვა სახეობებში მიღწეული წარმატებებით.

მეგრელი კაცის ბუნებამ, გონების სიკვირცხლემ, ტემპერამენტმა, ენერგიამ, ცხენისა და იარაღის განსაკუთრებულმა სიყვარულმა გასაქანი მისცა სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა:

მძლეოსნობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, ცხენოსნობა, ლელობურთი, ტყვიის სროლა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, ძალოსნობა....

ზუგდიდი დღემდე რჩება „დიდ სპორტში“ არწივთა ასაფრენ ალაგად. ამიტომ აუცილებელი იყო ზუგდიდს ჰქონოდა სპორტის მუზეუმი. დღეს უკვე სპორტის მუზეუმში შესაძლებელია ზუგდიდელ სპორტსმენტა მიღწევების გაცნობა საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპორტის მუზეუმით ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდები არიან დაინტერესებული.

იდეისა და პროექტის ავტორი როლანდ (მაქრო) მაქაცარია ამჟამად მუზეუმის წამყვანი სპეციალისტია. ხოლო „სპორტის მუზეუმი“ დაექვემდებარა „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“ (დირექტორი - მანუჩარ სამუშია).

მიმდინარე წელს მუზეუმს დააარსებიდან ხუთი წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით სპორტის მუზეუმში 5 წლის მანძილზე თავმოყრილი ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატების გამოფენა გაიმართა.

„სპორტის მუზეუმის“ ფუძემდებელმა როლანდ მაქაცარიამ განაცხადა: „ზუგდიდელმა სპორტსმენებმა არაერთხელ ასახელეს ქალაქი, ქვეყანა, შემდეგ ევროპა და მთლიანად მსოფლიო.

აქ თავმოყრილი ორათასამდე ექსპონატების ძირითადი ნაწილი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების სიგელებს, თასებს, აქსესუარებს და სხვადასხვა სახის ჯილდოებს მოიცავს, აქ ისეთი ექსპონატებია, რომლითაც ვამაყობთ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენი მუზეუმი განაგრძობს ექსპონატების მოძიებას“.

გამოფენას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ.



# „მედიაგუგუმი“ ხუთი წლისაა

ჟურნალისტები საზოგადოებაში დემოკრატიის განვითარებისათვის, ინფორმაციის დროული მიწოდებისთვის დღე და ღამე დაუზოგავად იღვნიან.


ჟურნალისტები ომის ქარცეცხლსაც წუთითაც არ არიდებენ თავს. ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, დაფიქსირებული ყოველი მოვლენა, ფაქტი, არგუმენტი მომავალში ისტორიის ფურცლების საკუთრებაა. ნებისმიერი ქვეყნისა თუ კუთხის მედიისტორია საერთაშორისო მედიისტორიის ნაწილია და იგი ერთნაირად საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტებისათვის.


საქართველოს ჰყავს ღვანღმოსილი ჟურნალისტები, რომლებმაც თქვეს თავიანთი წონადი სიტყვა საქართველოს მასმედიის განვითარების თვალსაზრისით, მათ დავინწყება არ ეგების. ასევე გვყავს გმირი ჟურნალისტები, რომლებიც ომში იღვწოდნენ კალმით... სამწუხაროდ, მათი სახეები და სახელები არ იცის ახალმა თაობამ. აუცილებელია შევაფასოთ საზოგადოებისათვის მათ მიერ განეული ღვანღი და არ დავკარგოთ მათი სახელები.

საქართველოს მედიისტორიამ თავისი არსებობის მანძილზე ომის, დაპირისპირების, ნგრევის, შენების ურთულესი გზა გამოიარა. თუ დღეს არა, ხვალ უკვე გვიან იქნება ამ მიმართულებით მუშაობა, რადგან ბევრი მათგანი დღესაც კი დაკარგულია და თვეები სჭირდება ზოგიერთი მასალის მოძიებას, ზოგიერთს კი საერთოდ ვერ ვპოულობთ.

სწორედ ამ მიზნით, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, 2006 წლიდან საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა მარინე დამენიამ დაიწყო მუშაობა ნიგნზე: „სამეგრელოს მასმედიის ისტორია და ჟურნალისტების შემოქმედებითი მოღვაწეობა“. რომელიც მოიცავდა საქართველოს მასმედიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, აუდიო-ვიდეო და ფოტომასალების, რელიკვიების მოძიებასა და დამუშავება-მოცტაფს.

ნიგნზე მუშაობის პერიოდში მკლევარს მნიშვნელოვანი საარქივო მასალები დაუგროვდა. რამაც გაუჩინა სურვილი, ქ. ზუგდიდში დაეფუძნებინა „საქართველოს მასმედიისა და პო-





ლიგრაფიის მუზეუმი“ („მედიამუზეუმი“), სადაც განთავსდებოდა: საქართველოში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები; ერთდროული გამოცემები; ბიულეტენები (მედია არქივი). ჟურნალისტების, ფოტოკორესპონდენტების, ტელეოპერატორების, პოლიგრაფისტების ფოტომასალები; მათი საავტორო ნივთები, ნაშრომები, მემორიალური ნივთები; პოლიგრაფიის ნიმუშები, რადგან პოლიგრაფიის გარეშე წარმოდგენილია ბეჭდვითი მედია. (ამ იდეის შესახებ მისი ინტერვიუ გავიდა ინტერნეტსააგენტო „ჯეონიუსში“ 2011 წლის 27 მაისს).

იდეა რეალობად იქცა.

სწორედ მის მიერ მოპოვებულმა ექსპონატებმა გახადეს შესაძლებელი 2014 წელს ზუგდიდის ააიპ „ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრში“ (დირექტორი - კონსტანტინე გურგულიანი) „მედიამუზეუმის“ დაფუძნება.

იდეისა და პროექტის ავტორი მარინე დამენია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი - ამ მუზეუმის ნამყვანი სპეციალისტია. ამჟამად „მედიამუზეუმი“ დაექვემდებარა „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“ (დირექტორი - მანუჩარ სამუშია).

„მედიამუზეუმი“ კავკასიაში ერთადერთია და იგი საზოგადოებას აცნობს საქართველოში მასმედიის ისტორიას და წარმოდგენილი ექსპონატები ცხადყოფს ჩვენი დემოკრატიული მედიის განვითარების ეტაპებს. „მედიამუზეუმს“, დღევანდელი მონაცემებით აქვს 13 000 ექსპონატი (რომლის 60% ფუძემდებლის საკუთრება იყო).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მუზეუმის პრეცედენტი კავკასიაში არ მოგვეპოვება, თუმცა ევროპის ბევრ ქვეყანაში (გერმანიაში...) შეხვედებით ანალოგიურს. (2008 წელს ვაშინგტონში დაფუძნდა „პრესის თავისუფლების მუზეუმი“, სადაც განთავსებულია ეპოქალური ფოტოები, ჟურნალების გარეკანები, პირველი გაზეთების ნომრები, ცნობილი ჟურნალისტების ფოტოკამერები, ბლოკნოტები და სხვა პირადი ნივთები - ეს ყველაფერი მუზეუმის 15 საგამოფენო სივრცეშია გამოფენილი. პრესის თავისუფლების შესახებ მოკლე დოკუმენტური ფილმებისა თუ სხვადასხვა დროს ტელეეთერში გასული ცნობილი კადრების ნახვა 10-ზე მეტ კინოდარბაზშია შესაძლებელი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პოსტსაბჭოთა კავშირიდან ჩეხოსლოვაკიაშია „მედიამუზეუმი“, მაგრამ იგი მხოლოდ იმ ერთი რედაქციის ისტორიას მოიცავს).

2019 წლის მონაცემებით, საქართველოს

„მედიამუზეუმში“ თავმოყრილია ჩვენში გამოცემული 550 დასახელების გაზეთი და 150 დასახელების ჟურნალი – უნიკალური მედიაარქივი... ჟურნალისტების, ტელე და ფოტოკორესპონდენტების, სტამბების დირექტორების, გრაფორების, ლინოტიპისტების, ასოთამნყოფების, მემანქანეების, კორექტორების ბიოგრაფიული ცნობები, შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალები, საავტორო წიგნები, მემორიალური პირადი ნივთები, ავტოგრაფები, ფოტოარქივი,

„მედიამუზეუმმა“ არაერთხელ მოაწყო ექსპონატების გამოფენა. მუდმივად ჰყავს დამთვალიერებელი, მათ შორის უცხოელები. სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებით ატარებს მედიასემინარებს. მიმდინარე წელს დაიწყო პროექტი: „საქართველოს მედიაკალენდარი“ რომელიც საქართველოში აქამდე არ არსებობდა. ეს პროექტი მიზნულია მარინე დამენიას (marinadamenia) facebook.com გვერდზე.

საქართველოს „მედიამუზეუმში“ დაცული ექსპონატებიდან ყველაზე ძველია გაზეთ „კვალის“ 1901 წლის კომპლექტი (52 ნომერი), რომელსაც გამოსცემდა თბილისი 1893-1904 წლებში და XVIII საუკუნის ფოტოაპარატი.

„მედია მუზეუმში“ დაცულია არა ერთი პერიოდის ისეთი ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ ამ მუზეუმის საკუთრებაა და სხვა ოფიციალურ სტრუქტურებში არ გვხვდება. მაგ. გაზეთები: „საქ. ალკკ. ზუგდიდში მათხა რაიკონფერენცია“ – 1932 წ.; „ჯვარცმული საქართველო“ – 1992 წ.; „ახალგაზრდული რისხვა“ – 2002 წ.; „გიმნაზიელი“ – 2000-2001 წ.წ.; „მერეხი“ – 2002 წ.; „მერეთი“-2000 წ.; „მემამულე“ 1995-1996 წ.; „მარგალური აია“; „მე-9 ტალღა“; „ზუგდიდი + კოლხეთი – ოქროს საწმისი“ – 2009 წ.; „თარჩია“ – 1999 წ.; „ზუგდიდი ინფო“ – 2006 (გერმანულენოვანი, 3ც); „იერიში“ – 2004 წ. ჟურნალები: „ნოთე“ – 1975-1978 წ.წ. (3 ნომერი); „განთიადი“ – 1961 წ. (ერთი ნომერი)...

ასევე, მხოლოდ „მედიამუზეუმშია“ დაცული და სხვაგან არ გვხვდება პოლიგრაფიის ნიმუშები: თუთიისგან ჩამოსხმული გაზეთის კლიშე („ქუდი“ და „დევიზი“), რეტუში, ცინკოგრაფისა და პოლიეთილენის ფოტოები, ლინოტიპები („ანაბეჭდი“), რაც ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ დღეს, კომპიუტერის ეპოქაში, წარსულსაა ჩაბარებული ბეჭდვითი გამოცემების ძველი მეთოდები.

თანამედროვე საგამომცემლო საქმიანობამდე სტამბაში, ასოთამნყოფების მიერ ხდებო-

და თუთიისგან ჩამოსხმული ასოებით ტექსტის აწყობა, რაც საკმაოდ შრომატევადი პროცესი იყო. ელექტროძრავების უქონლობის გამო საბეჭდ მანქანებს ხელით ატრიალებდნენ... მოგვიანებით მძიმე და შრომატევადი ხელით აწყობის სამუშაოები სტრიქონჩამომსხმელმა მანქანებმა შეცვალეს. სამწუხაროდ, ძველი სასტამბო ტექნიკის ნიმუშების უმეტესობა უკვე დაკარგულ-განადგურებულია. ახალი თაობებისთვის მეტად საინტერესოა მათი დათვალიერება. სწორედ ამ კუთხით აქვს მუზეუმში დაცულ სასტამბო ექსპონატებს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

„მედიამუზეუმი“ აგრძელებს ექსპონატების მოძიებას.

„მედიამუზეუმი“ დაინტერესებულ დამთვალიერებლებს, სტუდენტებს, ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს აწვდის მათთვის საინტერესო ინფორმაციას საქართველოში მასმედიის განვითარების ეტაპებზე.

„მედია მუზეუმის“ ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო ექსპონატების გამოფენა.

„მედიამუზეუმით“ დაინტერესებულ პირებთან ერთად გამოფენა დაათვალიერეს საქართველოს მასმედიის ვეტერანმა ჟურნალისტებმა, ფოტოკორესპონდენტებმა, ტელეოპერატორებმა, პოლიგრაფისტებმა... რომლებმაც მათ მიერ განეული ღვაწლის დაფასებისთვის აღფრთოვანება და მადლიერება ვერ დამალეს.



# გაზეთი „მოხანდეში ხონარი“



რებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“) ენა - მეგრული; ფორმატი - A3; გვერდი - 2-4; ქალაქი - საგაზეთო; ფერი - შავ-თეთრი; სადლესასწაულო ნომრების პირველი და მეოთხე გვერდები ორი ფერიტაა წარმოდგენილი.

1933 წელს გაზეთი გამოსვლას იწყებს ყოველ მეექვსე დღეს და იგი გახდა მეგრულ-ქართულ ენოვანი. გაზეთის ფასი ხელმძღვრთათვის: ერთი თვით 15 კაპ; ნახევარი წლით 90 კაპ; ერთი წლით 1,80 კაპ. ტირაჟი 500-2000 ცალი. გავრცელების არეალი - ზუგდიდი, საქართველო.

რედაქციის მისამართი: წენდისა ს.კ.კ. (ბ) რაიკომი.

გაზეთის ესთეტიკური გემოვნების დასახვენად გამოყენებულია პოლიგრაფიის ნიმუშები: კლიშირებული სათაური, კოლონტიტული, კოლონსათაური, კოლონციფრი, ტექსტი ერთიანი ანაწყობი 4 სვეტად. დაკაბადონება - სიმეტრიული, ასიმეტრიული. შრიფტები - სატიქსტო, სატიტულო, ანუ სასათაური (დეკორაციული) და სააქციდენციო. ბრჭყალები - ჩვეულებრივი „თათები“.

წალენჯიხაში რაიონული გაზეთის გამოსაცემად 1932 წლის ნოემბერში შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, რომლის რედაქტორობა დაეკისრა საქ. კპ. წალენჯიხის რაიკომის მაშინდელ პირველ მდივანს ნ. კუციას.

წალენჯიხის რაიონული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი დასაბამს იღებს 1932 წლის 29 ნოემბრიდან. სწორედ ამ დღეს გამოვიდა ს. კ. კ. (ბ) და ა. ლ. კ. კ. წენდისა რაიკომის, რაიადმასკომის, რაიკოლმეურნ. კავშირისა და რაიპროფსაბჭოს მეგრულენოვანი ათდღიური გაზეთი „მოხანდეში ხონარი“ (ს. კ. კ. (ბ) და ა. ლ. კ. კ. წენდისაში რაიკომეფიში, რაიადმასკომიში, რაიკოლმეურნ. კავშირი და რაიპროფსაბჭოში ირი ვითი დღაში).

გაზეთის თემატიკა - საზოგადოებრივ-პოლიტიკური. დევიზი: „პროლეტარეფი, ირი ქეყანაშიქ, შიართით!“ („პროლეტარე-



მდივნები: ნ. კუცია, მისა ბარამია, ბ. მირცხულავა. პირველი დამოუკიდებელი რედაქტორი იყო გულორდავა.

გაზეთის რედაქციაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ შ. ჭანტურია, გრ. ჭანტურია, ალ. ცხადაია, ვ. აბსაძე, რ. შომახია. წერილები ხშირად იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „მეურნეობის სამკუთხედი“, „კ-ი“, „ადს“, „ზაკტაგი“, „კლინი“, „მოდმე“.

რაიონული გაზეთების მათ შორის „მოხანდეში ხონარიშ“ გამოსვლის წლები იყო სოფლად გარდატეხათა, ლენინური კოოპერაციული გეგმით გლეხური წვრილი ინდივიდუალური მეურნეობიდან ახალ, სოციალისტურ, მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის, სოფლის მშრომელთა ახალი ყოფის მშენებლობის წლები.

როგორც მთელს ქვეყანაში, ისე საქართველოს პერიფერიებში ძნელი იყო გაზეთის გამოსვლის ორგანიზება. არ იყო ამისათვის არც ტრადიცია, არც კადრები და არც ტექნიკური საშუალება. მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმისა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წლებში თითზე ითვლიდნენ ჟურნალ-გაზეთებს.

გაზეთმა დიდი როლი შეასრულა რაიონში საკომუნისტური წყობის განმტკიცებაში კომუნისტური პარტიის ხელში იგი იყო მოქნილი იარაღი ახალი ყოფის დასამკვიდრებლად. გაზეთი დაუნდობლად ამხელდა კერძო მესაკუთრული წყობის მხარდამჭერებს, რაზმავდა კოლმეურნე გლეხობას ახალ-ახალი წარმატებებისთვის. მტკიცედ ედგა მხარში პარტიის რაიონულ კომიტეტს სოფლად სოციალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის საქმეში, მის ფურცლებზე თვალნათლივ აასახული იმ პერიოდის რაიონის ცხოვრება.

გაზეთი წამოჭრიდა ხოლმე საჭირობო-ტო საკითხებს. იგი დაყოფილია რუბრიკებად. ნებისმიერ წერილს ძირითად ხაზად გასდევს კომუნისტური წყობილებისადმი ერთგულება, ბატონყმური წყობილებისა და რელიგიის დევნა. საერთაშორისო საკითხებზეც არის ყურადღება გამახვილებული.

დიდი ყურადღება ეთმობა სამუშაო დისციპლინის გამყარებასა და გაცდენების აღმოფხვრას. ამის მაგალითია წერილი

„კულტსაბჭო ვამუშენს“, სადაც ვკითხულობთ: „ჯვარიში თემც შხვა სოფელეფ ნკუმა ალაზიმაფალო კულტ. ნძალეფი მეტი ქორე, მარა იშენი კულტ. მასიური მუშება სუსთი რე, ნამითი გიმიხანტუ: კულტ. საბჭოს ვაულუ მუშ ომუშებელი პლანი, ვარე კოლექტივეფც დორცხუაფილი ჭითა კუნთხუეფი, ვენწყუკაფუ კოლექტივეფც აგრო საჩიარეფი, ვანარმენც გაზეთები დო ჟურნალეფიში ხონარი მალალ კითხირი, ვაგმმურც კიდალაში გაზეთი... ქოხ-სამკითხველოს ვეგთახვილუა დრო მოჭკუმილი ნიგნეფიში მეტის დო კლუბით ვარე ჯგირო მონწყილი...“ წერილს ხელს აწერს შ. ჭანტურია.

წერილში: „გუვამტკიცათ კულტურული რევოლუციაში ფრონტი“ აღნიშნულია, რომ „კულტურული რევოლუციაში დაწესებულებეფი ჩქინჩკიმა რენა სამკითხველო, კლუბი დო შკოლეფი. სამკითხველო დო კლუბიში მუშებაშენი იბჩიათინი ტყურაია რაგადინი მაყინა, რახანო ინეფი მუნეფიში მოვალეობას სახოს ვანჭანანი კლუბი გიმორინაფილი რე მეკომოკონეფიშე მულანწყარალო. სამკითხველო და კლუბიში მუშებას მონანილებაში საქვარც ფახულანური მაგურაფალეფი ვამართენა კულტურული რევოლუციაში მუშაკეფიში როლც...“

უფრაში დგომარება მიღუნა კიდალაში გაზეთეფიში მუშებაში საქვარც; თე ოკითხუ რსულას გოჭყოლიდაფირი რე. კიდალაში გაზეთიქ გიშელადა, ენა ნამთინი რევოლუციონური დღახუსუ მოხვად...საჭიროთ მიმოჩქინა რაიონიში ოსქვაფური ორგანიზაციეფიში უმოსი კვათირი თიყუჯალა, ნამდა ქიდიხვარხვალუას სოფელიში კულტურული აქტივიქინი“. წერილს ხელს აწერს: ვ-ი კ-ია.

რელიგიის დევნა კომპარტიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო. რელიგიური დღესასწაულების მოახლოებასთან ერთად უფრო მეტი სიმწვავეთ და სიხშირით იბეჭდებოდა ანტირელიგიური მასალები; წერილში „საბოლათ მობსპათ სარწმუნოებაში დინასქილიდეფი-მანებელი ზნე-რჩქვანეფი: „ქირსე“, „თანაფა“ დო შხვეფი მიში დღესასწაული რე დო მის ოსაჭირ ქირსე“ ხელს აწერს „კლინი“, სადაც წერია: „...ქი-

რსე მუჭოთ პიჯინი დღას ვაყოფე, მარა იშენი ქიჩიებუნა ათე არიკის მართალცალოდა, ენა თიშენი ნამდა ბურჟუაზიაქ დო ექსპლოატატორეფქ გემანგარესკონი დო უმოსო დამონესიკონი მოხანდეფი ნამსეფინი, თინერო, ნამდა ხალხის ოჯერუანდეს პატონეფი დო ხენნიფე ღორონთიშე რე დორცხილია, ირფელი თაქიანობას ითვინია დო თექიანობას სამოთხეს იყითია დო მორჩილებას დო მონობას ოგურუანდეს თიშენი, ნამდა მუჭოთ მაყ. ლენინი მოგურუანანი ბურჟუაზიას მუში პატონობაში ოსაჭირდჷრი ნძალა: ჯალათი დო პაპა, ჯალათი ანვალენც, ოყარყუანც, პაპა ამშვიდენც... გაუბედურებული გილალუაფირი ხალხის, მუზმათ ინვალეებუქ თე ქვეყანასინი, მუზმათ მეტის ითვინექ, თიზმათ მეტის იხარებუქ თექიანობასია დო უგურაფუეფც ენა მართალო მიორჩქუდეს დო ირინერი გაჭირვება წვალეებას ითვინედეს...

ამდღა ჩქინი ქეყანაში მუშეფი დო მონხანდეფიში, ნამნეფი რჩქინელო აკეთენა მუნეფიში დო საირქეყანო საქვარცინი, მუთუნემა ვასაჭირენა რელიგიას დო თიში ღორებაში რწმუნებას, ივარ ინეფქ პირვე-

ლი ხუთნანაში პლანიში გინოძინელო შესრულებათ – მიშელეს მაჟრა ხუთი წანაში უდიდაში პლანიში მენტებაში პერიოდიში დო ირი უკულტურობაში აკობალაგუათ ოცადუნა პარტიაში გენერალური ხაზიში მუკ მუკი დორანნკუათ გეითგანი უკლასო სოციალისტური საზოგადოებანი, სოდეთ არდგილი ვალვენუ მუთუნინერი ბურჟუაზიული-კაპიტალისტური დინასქილედეფც დო ხოლო მეტი რელიგიას დო თიში დღახუ-ქირსე, თანაფა დო შხვეფიცინი“.

გაზეთში არაერთი მეგრული ლექსია მოთავსებული, რომელიც ღვთისმსახურების, მამაოების და საერთოდ რელიგიის, სარწმუნოების საწინააღმდეგოდაა დაწერილი.

გაზეთში იბეჭდება სხვადასხვა სახის ცნობები, მაგალითად: გარადაცვალების; კომკავშირული ბილეთის გაუქმების, ამა თუ იმ საბუთის დაკარგვის...

1934 წლიდან გაზეთს დაერქვა „სტალინელი“, ხოლო 1939 წლიდან – „კომუნიზმის დროშით“.

## აკაკი ყუფუნია



ზუგდიდელი ფოტოკორესპონდენტი აკაკი (კაკო) შალვას ძე ყუფუნია დაიბადა ზუგდიდის რაიონ სოფელ ახალსოფელში 1936 წლის 5 აპრილს. დაამთავრა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

აკაკი ყუფუნიამ პირველი ფოტო 16 წლის

ასაკში გადაიღო. ფოტორეპორტიორის პირველი ნამუშევარი 1960 წელს დაიბეჭდა ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლში“. იმ დღიდან კაკო ყუფუნია ამ გაზეთის ფოტოკორესპონდენტი.

მისი შემოქმედებითი გემოვნება ნათლად ჩანს მისსავე ნამუშევრებში. იგი ფოტობიექტივით ოპერატიულად ასახავდა ყოველდღიური ცხოვრების რიტმს; ყოველთვის ცდილობდა, ახალი რაკურსით გადმოეცა მომხდარი ამბები, ფაქტები, მოვლენები... მის ფოტობიექტივს ზუგდიდის ინტელიგენცია, მშრომელი ადამიანების პორტრეტები შავ-თეთრ ფოტოზე აღუბეჭდავს.

შეხვედრები, შთაბეჭდილებები იყო მისი ცხოვრების არსი. თითქმის ყველა შეხვედრის მემატთანე, ყველა სტუმრის მასპინძელი იყო თავისი განუყრელი აპარატით. იგი

თავისი სათვალთვალ ადგილიდან აფიქსირებდა წუთებს, რომელიც იქვე ხდებოდა ისტორიის საკუთრება.

ოსტატის ფოტონამუშევრები იბეჭდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. 1965 წლიდან სიამაყით ატარებდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრის სამკერდე ნიშანს. სამსახურებრივ მოვალეობას ჩინებულად უთავსებდა საქინფორმის შტატგარეშე კორესპონდენტობას. ფოტოგამოფენებში აქტიური მონაწილეობისათვის არაერთხელ მიიღო საპატიო სიგელები, დიპლომები, პრიზები და მედლები. არის გაზეთ „კომუნისტის“ მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსში გამარჯვებული.

„პირველი ფოტოაპარატი ჩემმა ძმამ მარჩუა, 35 კადრიდან, რომელიც გავამჟღავნე მხოლოდ 27 გამოვიდა კარგი, არავის სჯეროდა, რომ ჩემი გადაღებული იყო. მშობლებს უნდოდათ ბულალტერი გამოვსულიყავი, მაგრამ ფოტოგრაფიის სიყვარულმა მძლია. იმდენი ფოტო მაქვს გადაღებული, ვერც კი დავითვლი. ყველგან დავდიოდი, ყველაფერს ვიღებდი, ადგილობრივი რედაქციისთვის საიდუმლო კადრებსაც კი ვიღებდი, მაშინ ყველა მიცნობდა, რაიკომის მდივნებიც კი, ახლა მარტო ძველები მცნობენ, ვინც დარჩენი ზუგდიდში.“

იმ დროში რთული იყო ფოტოგრაფობა. ფოტოს გადაიღებდი და ან გამოვიდოდა, ან არა. ახლა მარტივია ყველაფერი, უამრავი პროგრამაა, თუ არ გამოგივა, გამოასწორებ, ესეც მომწონს, კარგია ახალი რაღაცები. მეც მაქვს ციფრული აპარატი, მაგრამ ველარ ვიღებ ისეთ ფოტოებს, როგორსაც ვიღებდი. მიუხედავად ამისა, კვლავ ვახარებ ადამიანებს. ექსკურსიებზეც დავყვები ბავშვებს.“ – ამბობს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში. (წყარო: <https://www.ambebi.ge/article/179524-reportazhi-zviad-gamsaxurdias-potograpis-potoateliedan/>).

„კაკო ყუფუნია მხოლოდ პრესისთვის არ მუშაობდა. მისი ფოტოაპარატის ობიექტივიდან „ჩიტი“ ხშირად სკოლებში, ოჯახებში „გამოფრინდებოდა“...

მას მთელი ზუგდიდი იცნობდა, ყველა თაობა „ჩვენს ფოტოგრაფს“ ეძახდა. ყველამ

იცოდა, თუ ყვითელი „ზაპოროჟეცი“ იდგა სკოლის ჭიშკართან, იმ სკოლის სტუმარი იმ დღეს ფოტოგრაფი „კაკო ბიძია“ იყო, რომელიც მშვიდად, აუღელვებლად აღბეჭდავდა ახალგაზრდობის მშვენიერებას ფოტოებზე. ამდენად, ზუგდიდში არ შეიძლება არსებობდეს ოჯახი, სადაც ფოტოალბომში აკაკი ყუფუნია გადაღებული სურათი არ იდოს.

მის ფოტობიექტივს მთელი ზუგდიდის სიყრმე, ახალგაზრდობა, შუა ასაკი, ზუგდიდის სტუმრები, ინტელიგენცია, მუშათა კლასი შავ-თეთრ ფოტოზე აღუბეჭდავს. ათასობით სახე განათებულია მის ლაბორატორიაში. ზუგდიდის სუნთქვისა და მაჯისცემის მემატთანე იყო მანამ, სანამ ციფრული ფოტოგრაფია არ მოიტანა დრომ. არც მერე მიუტოვებია პროფესია, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ერთგული იყო წამის მარადიულობის შექმნისა.



მარცხნიდან პირველი არჩილ ყუფუნია, შემდეგ ოთარ თოფურია, აკაკი ყუფუნია და ბორის შანავა



ლეილა აბაშიძე და აკაკი ყუფუნია ყაზბეგში "ხვეისბერი გორას" გადაღებაზე

ჩვენი საინფორმაციო პორტალის არქივ-მა შემოინახა ბატონი კაკოს საუბარი მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლის ჟურნალისტთა კლუბ „სარკმელის“ წევრებთან. ბატონი კაკო მათ თავისი ძველი და ახალი ფოტოაპარატებით ესტუმრა, თავისი ცხოვრების გზაზე ესაუბრა და მასტერ-კლასი ჩაუტარა, სწორად როგორ უნდა გადაეღოთ კადრი.

„ზუგდიდის“ რედაქციაში დღესაც ინახება გაზეთები, სადაც ბატონი კაკოს სახელი და გვარია მითითებული დაბეჭდილი ფოტოების ქვეშ. რამდენი თაობა უნდა გადავიდეს ზუგდიდში, რომ წაიშალოს წინადადება: „ფოტო აკ. ყუფუნიასი“, ალბათ ეს შეუძლებელია... ეს არ მოხდება მანამ, სანამ იარსებებს ჩვენი ქალაქი და მისი ინტელექტუალური მემკვიდრეობა, მედიამემკვიდრეობა“, - წერს გაზეთ „ზუგდიდის“ რედაქტორი ნანი მოსიძე.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე აკაკი ყუფუნიას მუშაობა არ წყვეტს. აქვს ერთი ოთახი, სადაც სამახსოვრო ფოტოებს იღებს, თუმცა არასდროს ავიწყდებოდა ის პერიოდი, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი ფოტოგრაფი იყო.

ფოტოხელოვანი, წლების მანძილზე ადგილობრივი და რესპუბლიკური გაზეთის ფოტოკორესპონდენტი, საქართველოს ჟურნალ-

ისტთა ფედერაციის წევრი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირადი ფოტოგრაფი აკაკი (კაკო) ყუფუნია 83 წლის ასაკში 2019 წლის აგვისტოს გარდაიცვალა. მარადიულობას შეუერთდა კაცი, რომელიც მარადიულობას ქმნიდა ფოტოკამერით. მან სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა წამის მარადიულობას. დაკრძალეს 13 აგვისტოს.

გაზეთ „ზუგდიდის“ რედაქციის არქივში, რომელიც აკაკი (კაკო) ყუფუნიას მშობლიური გაზეთის „მებრძოლის“ მემკვიდრეა, დღესაც ინახება მისი გადაღებული ფოტოები, სადაც ის გზა ალბეჭდილი, რომელიც ჩვენმა ქალაქმა გამოიარა. ასევე, ასეულობით საინტერესო ფოტო ინახება მის პირად არქივში. სასურველია კაკო ყუფუნიას ფოტოარქივი შესწავლილ იქნას, შეიკრას თემატურად და გამოიცეს ცალკე ალბომად. ეს უდიდესი საჩუქარი იქნება ზუგდიდელებისთვის.

**მარინე დამენია,**  
**საქართველოს დამსახურებული**  
**ჟურნალისტი.**

(წყარო: გაზეთი „მებრძოლი“, საინფორმაციო პორტალი „ზუგდიდელები“ )

## ძალაუფლება და პოლიტიკური ლიდერი

ძალაუფლება სოციალური თანაცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური საწყისია და იგი არსებობს ყველგან, სადაც არის ადამიანთა მყარი გაერთიანებები: ოჯახი, შრომითი კოლექტივები, ორგანიზაციები და დაწესებულებები. ორ ადამიანს შორის სოციალური ურთიერთობა უკვე გულისხმობს ორმხრივ ვალდებულებებს.

ყოველი პოლიტიკური კამპანია, ნებისმიერი ორგანიზებული სოციალური ჯგუფი თუ სოციალური პროცესები ვარჯიშია ძალაუფლების გამოყენებაში.

სოციალური ძალაუფლება და ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის მრავალ დრამს ბადებს ჩვენს ცხოვრებაში. ძალაუფლება ხშირად გვევლინება, არა როგორც საშუალება, არამედ როგორც თვითმიზანი (ნიცშე). ძალაუფლების წყურვილი ადამი-

ანის არანაკლები ვნებათაგანია, ვიდრე სიმდიდრის მოპოვების, გამდიდრების წყურვილი. ის მოაზროვნე, რომელიც ძალაუფლებას, მისდამი სწრაფვასა და წყურვილს მთელი სამყაროს ფუნდამენტად და საწყისად აცხადებს, არის ფრიდრიხ ნიცშე.

შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება მთლიანად ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სისტემაა. თვითონ პოლიტიკაში ძალაუფლებისათვის ბრძოლა უმთავრესია.

ძალაუფლება ახლოს დგას გავლენასთან. ძალაუფლება შეიძლება განვმარტოთ, როგორც ერთი ინდივიდის უნარი აკონტროლოს მეორე ინდივიდის შესაძლო მოქმედებანი, თუმცა ძალაუფლებასთან უფრო ახლოს დგას ავტორიტეტი, ვიდრე გავლენა. ავტორიტეტი ისეთი თვისებაა, რომელიც მოიპოვება

და შეიძლება კიდევ. ამდენად ავტორიტეტს შეიძლება ფლობდეს ან არ ფლობდეს ძალაუფლების სუბიექტი.

ძალაუფლება მუდამ გვევლინება ძალის, ავტორიტეტისა და ხელმძღვანელობის ან მათი შერეული ფორმით. იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანია წინა პლანზე წამოწეული, შეიძლება განვსაზღვროთ სამი ტიპის პოლიტიკური წყობ-ლება.

1) ავტოკრატია – რომლისთვისაც მადომინირებულა ძალის მეუფება;

2) ეროკრატია – ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლებას;

3) დემოკრატია – მისი საფუძველია მოქალაქეთა ხელმძღვანელობის პრინციპი.

იმის მიხედვით, თუ ვინ ირჩევს უზენაეს ხელისუფლებას, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ტიპები:·

1) არისტოკრატია – ხელისუფალთ ირჩევენ მაღალი წარმოშობის ადამიანები.

2) ოლიგარქია – ხელისუფალთ ირჩევენ მხოლოდ მდიდრები

3) დემოკრატია – ირჩევს ყველა.

იმის მიხედვით მმართველობა მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს თუ მთელ საზოგადოებას, არსებობს ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი. ავტორიტარიზმისთვის დამახასიათებელია ერთი პირის ან პირთა ჯგუფის შეზღუდული ძალაუფლება, რომელიც არ უშვებს ოპოზიციის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიას არაპოლიტიკურ სფეროში. ტოტალიტარიზმი არის რეჟიმის ის ფორმა, როდესაც დიქტატორი იღებს ძალაუფლებას და მასობრივი ტერორის დახმარებით ნერგავს ტოტალიტარულ იდეებს.

გარემომცველი სინამდვილის ჩამოყალიბებაში არსებით როლს ასრულებს ლიდერი. იგი უნივერსალური და გარდაუვალია. არსებობს ყველგან, სადაც კი რამდენიმე ადამიანი გაერთიანებულია საერთო მიზნებითა და ინტერესებით.

ლიდერობის მრავალი სახე და ასპექტი არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლიდერობაა. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკურ ლიდერს შეუძლია დაიკავოს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობები და თავისი გავლენა მთლიანად გაავრცელოს საზოგადოებაზე.

ლიდერი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ისეთ განსაზღვრულ თვისებათა ერთობლიობას, რაც გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ადამიანისაგან. პოლიტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელ თვისებებად მოიაზრებენ: ინტელექტს, ყურადღების მიქცევის უნარს, კომუნიკაბელურობას, ორგანიზატორულ ნიჭს, იუმორის გრძნობას, მტკიცე ნებას, მიზანსწრაფულობას, მჩქევნარე ენერგიას, კომპეტენტურობას, თავის თა-

ვზე პასუხისმგებლობის აღების უნარს, ფოტო და ტელეგენურობას, გარეგან მიმზიდველობას, ადამიანში ნდობის მოპოვების უნარს და ა.შ. ხშირად ეს თვისებები ერთმანეთს გამორიცხავს.

ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად. კონკრეტული გარემოება და ვითარება განაპირობებს პოლიტიკურ ლიდერთა შერჩევას. არა მხოლოდ სიტუაცია ბადებს ლიდერს, არამედ ძლიერ პიროვნებასაც ძალუძს სიტუაციის შექმნა, დიდი ლიდერი გრძნობს სიტუაციას და იცის, როდის შეიძლება მისი გამოყენება.

პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგიის პრობლემის დამუშავებას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა სოციოლოგმა ვებერმა. მან გამოყო ლიდერთა სამი ტიპი.

1) ტრადიციული – ემყარება ტრადიციის სინამდეს ადა უცვლელობას;

2) რაციონალურ-ლეგარული – ემყარება არსებული წესრიგის ლეგიტიმურობას და ინდივიდის საქმიან კომპეტენციას;

3) ქარიზმატული – ემყარება ღვთით ბოძებული მადლის მფლობელი ადამიანის განსაკუთრებულ უნარს.

ნიკოლო მაკიაველის ნააზრევადან გამომდინარე, ლიდერებს ყოფენ „მელიებად“ და „ლომებად“.

„მელიას“ ტიპის ლიდერი ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორცაა ლავირების, ცდომილებათა მიმართულების წინასწარ გამოცნობის უნარი. ის ეშმაკია, ფრთხილი და შეუძლია მისთვის დაგებულ ხაფანგებს გვერდი აუაროს.

ლომის ტიპის პოლიტიკოსი ყველაზე ხშირად მოქმედებს ძალით, სწორხაზობრივად და ხშირად ებმება ხაფანგში. იდეალური ტიპი იქნებოდა ლიდერი, რომელიც ორივეს თვისებებს ორგანულად შეაერთებდა.

დღეს უფრო მიღებულია ლიდერების დაყოფა ავტორიტარულ და დემოკრატიულ ლიდერებად. ავტორიტარული ლიდერობა ნიშნავს – ლიდერის მიერ ძალაუფლების ხელში აღებას. ჯგუფის ყველა მონაწილის ბედი ლიდერის ხელშია.

დემოკრატიული ლიდერი კი მიისწრაფვის, რაც შეიძლება ჯგუფის მეტი წევრი ჩართოს კოორდინირებულ საქმიანობაში.

ლადო ქირია, ფილოსოფოსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



# კრიმინალისტიკის მეცნიერებად აღიარება

Ⓜერმინი კრიმინალისტიკა (ჩრმინალის) – დანაშაულთან დაკავშირებული ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მეცნიერებას, რომელიც შეიმუშავებს სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს სასამართლო მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით დანაშაულის გახსნასთან, თავიდან აცილებასთან, გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით და ამდენად, როგორც მეცნიერება მისი მოწოდებაა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა.

კრიმინალისტიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება – დანაშაულის გახსნისა და გამოძიების მეცნიერული მეთოდების სისტემა-წარმოიშვა და ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დასასრულს. მას საფუძველი ჩაუყარა ავსტრიელმა მეცნიერმა, იურისტმა და კრიმინალისტმა ჰანს გროსმა (1847-1915). იგი იყო ჩერნოვიცის, პრატისა და გრაცის უნივერსიტეტების სისხლის სამართლის პროფესორი, კრიმინალისტიკისა და სასამართლო ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელიც ამტკიცებდა: ცოცხალ მოწმეთა ჩვენება აუცილებლად უნდა შეცვლილიყო „უტყვი მოწმებით“ – ნივთიერი მტკიცებულებებით; სწორედ მან განსაზღვრა კრიმინალისტიკის საგანი, შემოიღო ტერმინი „კრიმინალისტიკა“, დაადგინა ამ მეცნიერების მიზნები და ამოცანები, განაზოგადა პრაქტიკა;

ჰანს გროსამდე არსებობდა კრიმინალისტიკური მეცნიერების ჩანასახები. უკვე XVI საუკუნიდან მოყოლებული იქმნებოდა და გროვდებოდა კრიმინალისტიკის მეცნიერების წანამძღვრები. ჰანს გროსის დამსახურებაა ის, რომ მან სისტემაში მოიყვანა ყოველივე ის, რაც უკვე არსებობდა, ე.ი. არსებული ცოდნა და გამოცდილება, განსაზღვრა კრიმინალისტიკის საგანი, მიზნები და ამოცანები, განაზოგადა პრაქტიკა. პირველმა შემოიღო ტერმინი კრიმინალისტიკა შრომაში – „კრიმი-

ნალისტიკის სისტემა, როგორც სასამართლო გამოძიების სახელმძღვანელო“ (1898 წ.). კრიმინალისტიკა თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც გამოყენებითი მეცნიერება. ჰანს გროსს კრიმინალისტიკა მიაჩნდა სისხლის სამართლის დამხმარე მეცნიერებად, მაგრამ მიიჩნევდა, რომ კრიმინალისტიკა, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება, დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა და განესაზღვრა დანაშაულის ჩადენისა და გახსნის საშუალებები, ხერხები და მეთოდები. თუ გადავხედვით ისტორიას, ვნახავთ, რომ სისხლის სამართალწარმოება თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა. დანაშაულის აღიარების მიზნით გამოიყენებოდა ბრალდებულის წამება, არავინ აქცევდა ყურადღებას შემთხვევის ადგილზე დარჩენილ ნივთიერ სამხილებს და კვლებს, ანუ ე.წ. „უტყვი მოწმეებს“. სწორედ კრიმინალისტიკამ იტვირთა ეს მძიმე და მეტად რთული მისია – აემეტყველებინა ე.წ. „უტყვი მოწმეები“ – დანყებული ხელის თითის ოფლცხიმოვანი კვლებით, დამთავრებული დნმ-ით. სწორედ მათგან მიღებული ინფორმაციის შედეგად, სხვა ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, ობიექტური და ერთობლივი შეფასებით დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ემხილებინა რეალური დამნაშავეები;

კრიმინალისტიკის სფეროში დაგროვილი ცოდნის კონსოლიდაციის ტენდენცია გამოვლინდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, რომელიც ძირითადად აისახა პოლიციის, სასამართლოს ჩინოვნიკებისა და მეცნიერთა ნაშრომებში. ეს შემოქმედება სამი მიმართულებით ვითარდებოდა:

I. სისხლის სამართლის რეგისტრაციის საშუალებების შეიმუშავება და სრულყოფა, რომლითაც ძირითადად პოლიციის ორგანოები იყო დაინტერესებული, კერძოდ, ანთროპომე-

ტრული და დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია, სიტყვიერი პორტრეტი, სიგნალეტიკური ფოტოგრაფია (ა. ბერტილიონი, ვ. გერშელი, ჰ. ფულდსი, ვ. გალტონი, ე. ჰენრი, ხ. ვუჩეტიჩი, ვ. ლებედევი);

II. ნივთიერ მტკიცებულებათა მეცნიერული გამოკვლევის შემუშავება, სასამართლო ფოტოგრაფია, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა. ეს მიმართულება დაკავშირებულია ისეთ სწავლულ მეცნიერებთან, როგორცაა ე.ბურინსკი (რუსეთი), რ.ა.რეისი (შვეიცარია), რ.ჰეინდლი (გერმანია), ე.ლოკარდი (საფრანგეთი);

III. მესამე მიმართულება დაკავშირებულია ჰანს გროსის სახელთან. ესაა დანაშაულის გახსნისა და მტკიცებულებათა შეგროვების ხერხებისა და მეთოდების შემუშავება და სისტემატიზაცია, გამოძიების დაგეგმვა და ორგანიზება, კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება. ჰანს გროსის მიმდევრები იყვნენ: ა. ვეინგარდი (გერმანია), ნიჩეფორო (იტალია), რ. ა. რეისი (შვეიცარია), ს. პოტაპოვი (რუსეთი);

კრიმინალისტიკა ჰანს გროსიდან დაწყებული თანამედროვე პირობებში და მომავალში ვითარდება და განვითარდება სხვა მეცნიერებასთან ერთად, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. ამ ამოცანების მისაღწევად კრიმინალისტიკა ფართოდ იყენებს საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სხვა მეცნიერების უახლოეს ტექნოლოგიებსა და მიღწევებს.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის თეორია, სასამართლო სტატისტიკა, სასამართლო ფსიქილოგია და ცოდნის სხვა დარგები. თითოეული ეს მეცნიერება ამ ობიექტებს შეისწავლის თავიანთი კუთხითა და მიმართულებებით. თავისი მიზანი კრიმინალისტიკასაც აქვს.

კრიმინალისტიკას დანაშაული მთლიანად კი არ აინტერესებს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, არამედ კრიმინალისტიკის ობიექტს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფუნქციონალური მხარეები, მოქმედებათა ის სისტემა და ურთიერთობა, რომელსაც მოიცავს დანაშაუ-

ლის მექანიზმის შემადგენლობა, კერძოდ:

1. კვალთა, მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, ამოღებისა და გამოკვლევის კრიმინალისტიკური კანონზომიერებები;

2. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ხერხებისა და ტაქტიკის კანონზომიერებები;

3. კონკრეტულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდთა და საქმის ფაქტობრივი გარემოების დადგენის, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების კანონზომიერებები;

კრიმინალისტიკის წინაშე მდგარი ამოცანები ორ ჯგუფად იყოფა: პირველი – საერთო ამოცანები – რომელიც გამომდინარეობს და შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების ამოცანებს, კერძოდ: დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება, კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა და დანაშაულის თავიდან აცილება; მეორე – სპეციალური ამოცანები, რომლებსაც განეკუთვნება:

ა). კრიმინალისტიკის საგნის საფუძვლების კანონზომიერებათა უფრო სრულყოფილად და სიღრმისეულად შესწავლა, მისი ზოგადი და კერძო თეორიების, როგორც კრიმინალისტიკური მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების, ბაზის განვითარება.

ბ). მტკიცებულებითი ინფორმაციის შეგროვების, გამოკვლევისა და გამოყენების მიზნით ახალი და გაუმჯობესებული ტექნიკურ-კრიმინალისტიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

გ). დანაშაულის წინასწარი გამოძიების, ორგანიზაციულ-ტაქტიკური და მეთოდური საფუძვლების, ასევე, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ორგანიზაციული და მეთოდური საწყისების ოპტიმიზაცია.

დ). დანაშაულის თავიდან აცილების კრიმინალისტიკური მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება და სრულყოფა;

ე). პრაქტიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მონივნავე გამოცდილების შესწავლა და გამოყენება.

ვ). დანაშაულის გამოძიების ოპტიმიზაციისთვის სხვა მეცნიერებების მიღწევის დანერგვა;

მაინც რა ფუნქციების შესრულება ევალება კრიმინალისტიკას?

კრიმინალისტიკის საერთო მეცნიერული ფუნქციებია: შემეცნებითი, პროგნოზირების, გარდაქმნითი და სინთეზური ფუნქციები, ხოლო კრიმინალისტიკის სპეციფიკურ ფუნქციებს განეკუთვნებიან: მაორგანიზებელი, გამოძიების ტექნიკური უზრუნველყოფის, ტაქტიკური და მეთოდური საფუძვლებისა და რეკომენდაციების მეთოდების აკუმულირების ფუნქციები.

შემეცნებითი ფუნქციის რეალიზაციის მსვლელობისას ხორციელდება დანაშაულის ჩადენისა და მისი გამოძიების პროცესში გამოვლენილი ყველა ობიექტის, მოვლენისა და პროცესის გამოკვლევა. შემეცნება დაკავშირებულია აღწერასთან, შესასწავლი ფაქტების კლასიფიკაციასთან, ახსნასთან, მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებასთან, მათ შორის ურთიერთკავშირთან, კანონზომიერებასთან.

შემეცნებითი ფუნქციის განსაკუთრებულობა იმით გამოიხატება, რომ ის შეიცავს პროცესში მონაწილე ობიექტების ასახვის შესწავლას. ყოველი კვალი, საგნის ნიშან-თვისება აისახება გამოსაკვლევ ობიექტში. კვალის წარმომქნელი ობიექტის ნიშან-თვისებები გადადის სხვა ობიექტზე (კვალის მიმღებ ობიექტზე) და რეალურ მატერიალურ ასახვას პოვებს. თუ კვალი არ აისახა, მისი გამოკვლევა შეუძლებელია.

შემეცნების პროცესში ხდება არსებულის, ე.ი. ჩადენილი დანაშაულის, გამოკვლევა და მისი ნიშან-თვისებების დადგენა.

კრიმინალისტიკის მონოდებაა შექმნას საკუთარი ასახვის თეორია და შეიმუშაოს მისი გამოყენების მექანიზმი დანაშაულის ყოველმხრივი, სრული, სწრაფი გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

პროგნოზირების ფუნქცია – ესაა მოვლენების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული პერსპექტივების დადგენა, რაც შესაძლებელია მასზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

მეცნიერება შეისწავლის არამარტო მოვლენებს, პროცესებს, კანონზომიერებს, კავშირებს, არამედ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვროს შესასწავლი მოვლენების, პროცესების შემდგომი განვითარება.

პროგნოზირების ფუნქციის შინაარსი კრი-

მინალისტიკაში ორგვარად ვლინდება: დანაშაულისა (მისი შედეგების) და საგამოძიებო საქმიანობის პროგნოზირებით.

მეცნიერების მონოდებაა არა მარტო შეიცნოს სამყარო, არამედ ადამიანის ინტერესების გათვალისწინებით გარდაქმნას ის ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარესამყაროს, მთლიანობაში კი კაცობრიობას. მსგავსი ფუნქცია დამახასიათებელია კრიმინალისტიკისათვის. წინასწარი გამოძიების დროს გამოძიებელი აგროვებს თანმიმდევრულ სრულ ინფორმაციას დანაშაულზე და იგი ვალდებულია, ზუსტად მიაწოდოს მოპოვებული ინფორმაცია სასამართლოს. აქ თავს იჩენს ერთი პრობლემა – ესაა ინფორმაციის გარდაქმნა ერთი სახიდან მეორეში. ფაქტების ნაწილს გამომძიებელი აღიქვამს პირადად (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.), ხოლო ნაწილს იღებს დაზარალებულის, მოწმის, ბრალდებულის დაკითხვით. გამოძიების მსვლელობისას ინფორმაცია გარდაიქმნება ოქმების, სქემების, ფოტოილუსტრაციების, აუდიო-ვიდეოჩანაწერის სახით. ინფორმაციის გარდაქმნისას იქმნება საშიშროება, ამავე ინფორმაციის ნაწილობრივი დაკარგვისა. მაგალითად, თუ გამომძიებელმა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ზუსტად არ აღნიშნა დამუხრუჭების კვალის სიგრძე და გზის საფარი, ექსპერტის დასკვნა სიჩქარის განსაზღვრაზე ყოველთვის იქნება მცდარი, ობიექტურ რეალობას მოკლებული, ვინაიდან გამომძიებელმა ინფორმაცია ოქმში ასახა არა ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო, არამედ მიახლოებითი შედეგები შეიტანა ოქმში (კრიმინალისტიკაში არ შეიძლება ისეთი ტერმინების ხმარება, როგორცაა: მიახლოებით, დაახლოებით, ბევრი, ცოტა და ა.შ.). თუ კვალმატარებელი ობიექტების ამოღება, შეფუთვა და ტრანსპორტირება მოხდა საექსპერტო დაწესებულებაში კრიმინალისტიკური წესების დარღვევით, ობიექტზე არსებული ინფორმაცია სხვა ინფორმაციად გარდაიქმნება, ე.ი. დაიკარგება პირველადი, რეალური, ობიექტური ინფორმაცია და გამოკვლევის შედეგად მიღებული იქნება სხვა ინფორმაცია (ამან კი შეიძლება გამოძიება ჩიხში მოაქციოს ან მიგვიყვანოს სასამართლო შეცდომამდე).



დაკითხვისას გამოძიებელი ინფორმაციას მეორე პირისაგან (დასაკითხი პირისაგან) იღებს. ჩვენების ფორმირების პროცესი არის მეტად რთული, რომელიც ოთხი საფეხურისაგან – ფაქტებისა და გარემოებათა დანახვის, აღქმის, მათი დამახსოვრებისა და გადმოცემისგან შედგება. ამ პროცესებზე გავლენას ახდენს მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ ჩვენების გადმოცემის პროცესზე, რის გამოც შეიძლება ობიექტური, რეალური ინფორმაცია სხვა ინფორმაციად გარდაიქმნეს.

სწორედ გარდაქმნის ფუნქციის მოწოდებაა უზრუნველყოს კვლევითი მიმართულებების დამუშავება იმ მიზნით, რომ ინფორმაციის გარდაქმნის პროცესში არ მოხდეს ინფორმაციის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა, ე. ი. შენახულ იქნეს ინფორმაციის მთლიანობა ისე, როგორც ეს რეალურ სინამდვილეში იყო. ამ ფუნქციის რეალიზება ხელს უწყობს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

კრიმინალისტიკაში სინთეზური ფუნქცია ვლინდება ფუნდამენტური თეორიების (იდეოტიფიკაციის, კრიმინალისტიკური კანონზომიერებების, მიზეზობრიობის და ა.შ.) განვითარების, კრიმინალისტიკური აღრიცხვის სისტემის, ობიექტების, სიტუაციათა კრიმინალისტიკური კლასიფიკაციის დროს.

კრიმინალისტიკის სპეციფიკური ფუნქციები. კრიმინალისტიკის მოწოდებაა მეცნიერულად უზრუნველყოს პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია. მათგანიზებული ფუნქცია მიმართულია შეიმუშაოს გამოძიებლის აზრობრივი საქმიანობის ორგანიზაციის თეორიული საფუძვლები, ასევე, სხვა ორგანოებსა და მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესები და ა.შ.

კრიმინალისტიკა სწავლობს არა მარტო ობიექტებს, მოვლენებს, არამედ აგრეთვე მისი ვალია შექმნას გამოძიების თეორია, გაამდიდროს ის ახალ-ახალი მეთოდებით, ტექნიკური ხერხებითა და ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფს გამოძიების მიზნის მიღწევას.

სხვა მეცნიერებათა ცოდნის, მეთოდებისა და საშუალებათა აკუმულირების ფუნქციის

დროს კრიმინალისტიკა დანაშაულის გამოძიების პროცესში იყენებს სხვა მეცნიერებათა მიღწევებს. კრიმინალისტიკური ტექნიკა, ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიება ყოველმხრივად, ობიექტურად და სრულყოფილად წარმართვის მიზნით თავისი ფუნქციების განხორციელების დროს იყენებს საერთომეცნიერულ სისტემაში დანერგილ და შემონმბულ მეთოდებსა და საშუალებებს. ასეთი მეთოდები კრიმინალისტიკაში გამოიყენება როგორც უცვლელი სახით, ასევე, ამ მეცნიერებისათვის დამახასიათებელი პირობების გათვალისწინებით და გადამუშავებული სახით.

დღეს კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერება, განაზოგადებს და შეისწავლის ემპირიულ მასალას და პრაქტიკას; განსაზღვრავს თავის მიზნებსა და ამოცანებს, შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, მისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს, აყალიბებს პრინციპებსა და კანონზომიერებებს, არსებულ მასალათა სისტემატიზაციაში მოყვანით ქმნის მყარ სისტემას, განსაზღვრავს თავის ადგილს სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა შორის. კრიმინალისტიკა შეისწავლის დანაშაულის გახსნის ტექნიკასა და ტაქტიკას, ასევე, ცალკეულ დანაშაულთა გამაძიების მეთოდებს; კრიმინალისტიკა, როგორც ნამდვილი მეცნიერული ცოდნა, არის ყოველთვის დასაბუთებული ცოდნა.

**ვახტანგ ბაბუღავა,**  
სამართლის აკადემიური დოქტორი



# სამეგრელოს ეკლესიებში დაცული სიმბოლოები

საქართველო მდიდარია ჩვენი მამაცი და კულტურული ტრადიციების მქონე ხალხის მატერიალური და კულტურული ძვირფასი რელიქვიებით; კლდეში გამოკვეთილი გრანდიოზული ქალაქებით, ფაქიზი ხელოვნებითა და ღრმა მხატვრული ჩანაფიქრით ნაგები ეკლესია-ტაძრებით, ხელოვნების უკვდავი გრანდიოზული ძეგლებით. ეს ძეგლები უხვადაა მიმოხვეული ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყველა სოფელსა და ქალაქში, მთასა და ბარში. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეგრელოს ეკლესია – მონასტრებს. ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა ჭყონდიდი, ანუ მარტვილი, რომელზეც, როგორც წერილობით წყაროებში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ვრცელი მასალა არსებობს. მარტვილის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში შემავალი ეკლესია-მონასტრებიდან გამოვყოფდი მარტვილის რ-ნი სოფ. ნახარებაოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. სოფელ ნახარებაოში მაღალ გორაკზე დგას წმ. გიორგის სახელობის XVII-XVIII ს-ის საკმაოდ დიდი ქვის დარბაზული ეკლესია.

ნახარებაოს ეკლესია აუშენებია ოტია დადიანის ძეს, ანტონ I-ჭყონდიდელს, რომელიც (1777-1816) წლებში იყო ჭყონდიდლად, თუმცა, მეცნიერებთა აზრით, ის ამ ტაძრის აღმდგენი ყოფილა და არა აღმაშენებელი.

ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია უნიკალური ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს აღწერას ნახარებაოს მონასტერში დაცული წმინდა ნაწილებისა. ეს დიდებული ხელნაწერი 1854 წელსაა შედგენილი მღვდელმონაზონ გაბრიელის მიერ და შეადგენს ნაწილს ამ მონასტერში დაცული ქონების აღწერისა.

გთავაზობთ სრულ ტექსტს ამ აღწერილობისა, რომელშიც წმინდანთა სახელები

ასომთავრულით იწყება და მხედრულით მთავრდება. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ ძეგლსაც იმდენად, რამდენადაც მას ერთვის ნახარებაოს ეკლესიაში ამ დროს დაცული წიგნების სიაც. „წმინდანთა ნაწილებთაგან“ სახელდობრ, აღნიშნული თითოეულსა ძელი ჭ(ეშმარი)ტი ჯვარად ქმნილი და მოოქროვილი. ფ(რია)დ კარგი ხელოვნებით შემკული მარგალიტი და ამ ძეგლი ჭ(ეშმარი)ტისა ჯვარად ქმნილსა აქვს სირმის კუბო. გულსასუნად ქმნილი, ყ(ოვლა)დ სამღვდელოს მიტროპოლიტის ანტონისა თვისადვე და ამისად ძევს რამდენიმე ნაწილები-ხოლო ამა ძელი ჭ(ეშმარი)ტთან ძევს პატარა ოქროშიდ ჩასმული უეჭველი და ჭ(შმარი)ტი იოანე ნათლისმცემელის თავისაგან მიღებული ნაწილი.

წ(მინდა)თა ნაწილებთაგან სახელები;

1. წმინდა ანდრია მოციქული; ოქროს დაფერილ კუბოში ჩასმული.
2. წმინდა ფილიპე მოციქული, ოქროს დაფერილში ჩასმული.
3. წმინდა გიორგის ნაწილი, უერცხლში ჩასმული.
4. წმინდა ევსტათის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული
5. წმინდა ევსტათის კ(იდე)ვ ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
6. წმინდა იოანე ოქროპირის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
7. წმინდა ეგნატე ღმერთმემოსილის ნაწილი, ოქროსფერ დაფერილში ჩასმული.
8. წმინდა იოანე მოწყალე უერცხლში ჩასმული.
9. წმინდა ათანასე ღმერთმემოსილის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.
10. წმინდა გიორგი ავრაკანტელის ნაწილი, უერცხლში ჩასმული.
11. წმინდა ხარლამპის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

12. წმინდა ნეოფიტეს ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

13. წმინდა ალაპის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

14. წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

15. წმინდა ეპიფანეს ნაწილი, უერცხლში ჩასმული.

16. წმინდა ნესტორ მონამის ნაწილი, უერცხლში ჩასმული.

17. წმინდა ელეფთერი მონამის ნაწილი, უერცხლში ჩასმული.

18. წმინდა კონონის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

19. წმინდა მარინეს ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

20. წმინდა პარასკევას ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული, გარნა კარგი ხელოვნებით.

21. წმინდა თეოდოსი ზოგად ცხოვრეულის ნაწილი, ოქროს დაფერილში ჩასმული.

22. წმინდა ბუკას დახატული ყ(ოვლა)დ წმიდის ხატის წმიდა გარდა.

23. და ამ ნაწილების დასაწყობი შავი ხაუერდი. გარნა კარგი აკერილი და კარგიცა არს, და ნაწილების შესანახი და ჩასაწყობი სირმის კოლოფიცა; და კ(იდე)ვ სხვანი.

1. ჯუარი კარგისა ტანისა, კარგისავე ხელოვნებით შემკული სირმისა და მოოქროვილი; რომელსა ზედა გამოხატული არს, თავსაკენ საუკუნო მამა. შუაზედ ჯვარცმა; მარჯვენით ყ(ოვლა)დ წმინდა და მარჯვენით იოანე ნათლის მეტყველი და ქუემორე კიდევ მაცხოვარი, ოდესღაც ილოცვიდა გეთსამანიის ბაღში.

2. კ(უალა)დ ჯვარი ხისა არს. გარნა მძიმედ მოჭედილი და მოოქროვილი და ფრიად კარგისა ხელოვნებით შემკული, თვალთა და მარგალიტითა და მცირისა ტანისა.

3. კ(იდე)ვ ჯვარი მისივე მსგავსი ხისა არს. გარნა ფრიად კარგი მოოქროვილი და მოჭედილი, მძიმე შემკული თუალითა და მარგალიტითა და მცირისა ტანისა.

4. კ(იდე)ვ ჯვარი თვითფრისა, რომელზედაც გამოსახული არს ჯვარცმა მხოლოდ.

5. კ(იდე)ვ ჯვარი ხისა, მოუჭდელი, გარნა კარგი არს.

ნიგნებთაგან სია;

1. სახარება. კარგი და ჩინებული მძიმედ მოჭედილი სირმით, წიტლის ხაუერდით შემკული ნახევარი რუსული და ნახევარი ქართული.

ერთი სახარება, ტრაპეზზე სასუენი და ვარაყით შემკული;

ორი სამოციქულო;

ორი მარხვანი;

სამი სათუთო ჟამნი ძუელები;

სამი დავითნი;

ორი ლოცვანი, ერთი ს(რულა)დ ძუელი და გლახა, მეორე გვარიანი.

სამი კონდაკი;

ორი კურთხევანი;

ერთი თუენი ხელნაწერი, გარნა ორად შემკული;

ერთი სამთლენის თუენი;

ერთი ზადიკი, ერთი ვნების სახარება;

ორი პარაკლიტონი ძუელი დახეული;

ორი სახარების თარგმანი ძუელები, ტეტრადზე დაწერილი;

ერთი სიმეტნე ღრამატიკისა პატარა ნაწილი.

ერთი წრფელობითი ბრუნვის წიგნი თათრულსა ენაზედ;

ორი ბერძნული წიგნები;

ერთი დიალექტიკა დიდი კრებული;

ერთი კლემაქსი;

ერთი მაქსიმე აღმსარებლის წიგნი იოანე მონაზვნის და ხუცის დამასკელისა.

ერთი დაბადება იყო და გასუენებულმან და ნეტარხსენებულმან მთავარმან მენგრელის დავით დადიანმა ნაალებინა გორდს სასახლეში 1851 წელს.

ესე ყოველი შემონირულობა არს ყ(ოვლა)დ სამღვდელო მიტროპოლიტმან ანტონიმ, ადგილსა, მამულისა და ყმისთვინ;

და ვითარცა ძევს ამ მონასტერში და ყოველივე იმაშიდ არის აღწერილი და დამტკიცებული ვინც უკუიხილავს.

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი.

მეორე დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „ზოგადი აღწერა მარტვილის საკათედრო სობოროისა,“ 1854 წელსა შედგენილი. აქ დაცულ ხატებს შორის მოხსენიებულია „ხატი ნათლისმცემლისა, კუბოში ჩასვენებული.

კუბო აქვს ხატსა ამას ვერცხლისა ხ(ოლო) გული ვერცხლისავე ოქროთი დაფერილი. ამ კუბოში ასვენია ოთხი ხატი: სამი ჯვარსახიანი, ხოლო მეოთხე – ნაწილი ჭურჭელი, რომელშიც ასვენია ძელი ჭეშმარიტი და სხვა წმინდანთა ნაწილი. ოთხივე ეს საწინაწინებები არის მძიმეთ შემკული მარგალიტითა და სხუა და სხუა თვალებითა.“

გარდა ამ ხატისა, მარტვილის ტაძრის ხატებს შორის მოხსენიებულია წმ. გიორგის ხატი, რომელიც „ასუენია მთავრის დავით დადიანის საფლავზედ,“ და რომლის ვერცხლის კუბოში „ასუენია ოთხ კუთხით წმინდა ნაწილი შორის ძველისა ხატისა“ ამავე ხატის „მეორე ვერცხლის კუბო განით და სიგრძით ორ ვერშოკნახევიარიანი. ამაში ასუენიან წმინდანი ნაწილი ნესტორისა, ლააკტონისა, ფილიპე მოციქულისა, პანტელეიმონ მკურნალისა.“

ზემოთ მოცემულ დოკუმენტში ნახსენები ანტონი ყოფილა ცნობილი ჭყონდიდელ-მიტროპოლიტი, საეკლესიო მოღვაწე და მჭევრმეტყველი. იგი დაიბადა 1730 წელს, ალიზარდა სამეფო კარზე, უმაღლესი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლება, როგორც თვითონ წერს, მიუღია თბილისსა და თელავში. 1761 წელს ეკურთხა ცაგარელად, ეწეოდა მწიგნობრულ მოღვაწეობას. ანტონ ჭყონდიდელი იყო მეტად ღვთისწიერი, ასკეტური სულის ადამიანია. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში და საეკლესიო წრეებში, მას ხალხი „დიდ ანტონ ჭყონდიდელს“ უწოდებდა. დიდი ანტონი ცნობილია, როგორც გამორჩენილი მქადაგებელი, მჭევრმეტყველი.


1789 წელს მიტროპოლიტი ანტონი გადადგა ჭყონდიდლობიდან, განერიდა უმაღლეს იერარქიულ დიდებას და მონაზვნურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. იგი დამკვიდრდა მის მიერ აგებულ ნახარებაოს მონასტერში და განაგრძო სამწიგნობრო-საქმიანობა, ეს მონასტერი გაამდიდრა მან სინმინდეებით, ძველი ხატებით, წიგნებით, დიდძალი მამულებითა და გლეხებით. ჭყონდიდლობიდან გადადგომის წინა წელს, 1788 წელს, ყველა საეკლესიო მამული ანტონმა გაანთავისუფლებინა კაცია დადი-

ანს ყოველგვარი საერო გადასახადისაგან და, რაც დაკარგული მამულები იყო, ამოიღო და ხელახლა დაუმტკიცა მარტვილის ეკლესიას, ნახარებაოს მონასტერს.

დიდი მეცნიერი თედო ჟორდანიანი წერდა, რომ 1815 წელს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ანტონი მისგანვე აღდგენილ მონასტერში – ნახარებაოში; იქვეა დამარხული. საფლავი მისი ყველასაგან პატივცემულია, როგორც წმინდანისა.

ამავე დოკუმენტში მოხსენიებული მღვდელმონაზონი გაბრიელი ჩვენთვის უცნობი საეკლესიო მოღვაწეა, დოკუმენტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ის მოღვაწეობდა ნახარებაოს წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში და დიდ სამსახურს უწევდა ანტონ ჭყონდიდელს.

**მზისადარ ჭაფანძი,**  
**ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტურული**  
**მუზეუმის თანამშრომელი.**



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დავით ჭითანავა, – „ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“, 2010 წ.
2. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, დოკ. 7671.
3. გიორგი კალანდია, – „გაძარცული საგანძური“, 2006 წ.

# ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი თითქმის ორი საუკუნეა, რაც ყურადღებას არა მარტო წმინდა ბოტანიკური, არამედ ისტორიული, არქიტექტურული და არქეოლოგიური თვალსაზრისითაც იქცევს.

ამ თემაზე მსჯელობისთვის ნოციერი ნიადაგი მას შემდეგ მოგვეცა, რაც 2018 წლის იანვრიდან ზუგდიდის მერიის, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, დაფინანსებითა და ნებართვით დაიწყო ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თვითმხილველთა შეფასებით, „ამ შესანიშნავ ბაღს ამიერკავკასიაში ბადალი არ მოეძებნებოდა“. დეკორატიული ყვავილნარები, გაზონები, ხელოვნური და ბუნებრივი პეიზაჟები, ტბა, ნახევარკუნძული, კუნძულები, სანერგე, ორანჟერეა და იშვიათი ეგზოტიკური მცენარეები მართლაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა და ტოვებს.

უნდა ითქვას, რომ ბაღი ერთბაშად არ გაშენებულა. მის წარმოშობა-განვითარებაში სამ ეტაპს გამოყოფენ. მეცნიერი, მკვლევარი და ზუგდიდის მუზეუმის ყოფილი დირექტორი ილია გოგია მიიჩნევს, რომ ზუგდიდის ტყეების ბაზაზე ბოტანიკური ბაღის ჩასახვის პერიოდად უნდა ჩაითვალოს 1828 წლისა და 1840 წლების შუალედი. მას შემდეგ, რაც სასახლის გარშემო მდებარე ტყეების ერთი ნაწილი შემოფარგლულ იქნა ხელოვნური ზღუდით და მიჩნეულ იქნა სასახლის ბაღად (გოგია: 1947:91).

განვითარების მეორე ეტაპად ის პერიოდი მიჩნეული, როდესაც ხსენებული ტერიტორია დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ინიციატივითა და ძალისხმევით ბაღი დაფარა არხების, ბილიკებისა და გაზონების ხშირი ქსელით, გამდიდრდა ეგზოტიკური ხე-მცენარეებითა და ყვავილებით. როდესაც მის განაშენიანებას სათავეში ჩაუდგა იტალიიდან (ქტრიესტიდან) სპეციალურად მოწვეული სწავლული მებაღე-დეკორატიული ჟოზეფ ბაბინი, რომელმაც ის რადიკალურად გარდაქმნა ევროპულ, დეკორატიული ბაღის სტილზე.

მესამე ეტაპად ყირიმის ომის შემდგომ პერიოდში, ისკანდერ ფაშას მიერ ბაღისა და სასახლეების განადგურების მერე ჩატარებული

სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩაითვალოს. როდესაც 1669 წელს საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ეკატერინე ჭავჭავაძემ ბაღის მოვლა-პატრონობა უკვე ახალ მებაღე-დეკორატორებს (ასევე იტალიელებს), ძმებს გაეტანო და ჯოვანი ზამბერლეტებს ჩააბარა. მათ გააფართოვეს ბაღი და გაამდიდრეს მცენარეთა კოლექციამ. მათსავე სახელს უკავშირდება ბზის ბორდიურებისა და იმ გოლიათი ქადრების განაშენიანება, რომლებიც დღესაც სიგრძე-სიგანეზე სერავენ ბაღს.

როდესაც 1903 წელს მთავარი ნიკო დავითის ძე დადიანი და მებაღე გაეტანო ზამბერლეტი გარდაიცვალნენ, ბაღის მოვლა-პატრონობის საქმეც დაბლა დაეშვა.

მართალია, მას მეოცე საუკუნეშიც არაერთხელ ჩაუტარდა კეთილმოწყობითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები (განსაკუთრებით 1937-38 წლებში), მაგრამ ძველი, დადიანების ეპოქის, დიდებულიება და პოპულარობა მაინც ვერ დაიბრუნა.

არქეოლოგიურ-არქიტექტურული ობიექტების ნაწილი მინის ზედაპირზეა და ვიზუალურადაც შესამჩნევია, ნაწილი კი მინითაა დაფარული და თვალთახედვის არეში არ ხვდება. არქიტექტურული დეტალებისა და ცალკეული არტეფაქტების გარკვეული ნაწილი ხშირი ბალახეულით და გაუვალი ეკალბარდებით იმდენად იყო დაფარული, რომ ასეული წლის განმავლობაში მათი შემჩნევა და აღქმა შეუძლებელი იყო.

რადგანაც მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა სარწყავი, სადრენაჟე და საკანალიზაციო არხების გათხრას, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებისათვის საძირკვლებისა და ქვაბულების ამოჭრას, მთელი ტერიტორიის ეკალბარდებისგან განმეინდას, ძველი საარხო სისტემების აღდგენა რეკონსტრუქციისა და სხვა სახის მინის სამუშაოებს, ამიტომ აუცილებელი გახდა საგანგებო მეთვალყურეობის დანერგვა იმ თვალსაზრისით, რომ აღმშენებლობის პროცესში არ მომხდარიყო არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსების ან სიძველის ნიშნის მქონე ცალკეული საგნების განადგურება და დაზიანება, თუნდაც უნებლიეთ.

საჭირო იყო ისეთი ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, რომელიც არც კულტურულ მემკვი-

დროებას მოუტანდა ზიანს და არც კეთილმოწყობით სამუშაოებს შეუშლიდა ხელს.

არქეოლოგიური სამეთვალყურეო სამუშაოები 2018 წლის მაისიდან დაიწყო. მანამდე, ჯერ კიდევ 2015 წელს, წინა საპროექტო სამუშაოებისას გამოვლენილი და ფიქსირებული იქნა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილი ჯვარედინა სახლისა და დიდი სამთავრო სასახლის საძირკვლები და კედელთა ფრაგმენტები. ცხადია, მათი შესწავლა არქეოლოგიური გათხრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მშენებლობის დამკვეთ-დამფინანსებლებს კარგად ესმოდათ სამშენებლო ტერიტორიაზე განლაგებული სიძველეების მნიშვნელობა და შეძლებისდაგვარად მათი შესწავლის აუცილებლობა. ამიტომ მათი მხარდაჭერა და ქმედითი დახმარება კულტურული მემკვიდრეობის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით რეაბილიტაციის პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე არ განელებულა, მიუხედავად იმისა, რომ პროექტში თავდაპირველად არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები გათვალისწინებული არ იყო.

სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „ჯავას“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ჯავახაძემ, ფინანსურმა დირექტორმა გიორგი ჯავახაძემ და ტექნიკურმა დირექტორმა ზაზა კეკელიძემ ყოველი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ მუდმივი კეთილგანწყობა, ჰარმონია და ურთიერთგაგება ჩამოყალიბებულიყო არქეოლოგიურ სამსახურსა და ადგილზე მომუშავე პერსონალს შორის.

პროექტის მენეჯერი ავთანდილ მამულაშვილი, სამუშაოების მხარმობლები: გურამ როზომაშვილი, მუხრან კეკელიძე, ილია მთივლიშვილი, შალვა გახუტელაშვილი, ავთანდილ ციკუტანია და სხვა თანამშრომლები: ოპერატორები, ბრიგადირები თუ დამხმარე მუშები როდესაც შრომის პროცესში აწყდებოდნენ ცალკეულ ნივთებს ან სამშენებლო დეტალებს. აუცილებლად გვაყენებდნენ საქმის კურსში, საჭიროების შემთხვე-

ვაში კი დროებით აჩერებდნენ სამუშაოებსაც. ცალკეული ობიექტების ზუსტი ფიქსაციისათვის დიდი დახმარება გაგვინიჭეს შ.პ.ს. „ჯავას“ გეოდეზისტებმა – ლაშა და არჩილ ბუცხრიკიძეებმა. ჩვენ მათ მიმართ, ათასი მადლობის გარდა, არაფერი გვეთქმის.

ისე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ობიექტების შესასწავლად, როგორებიცაა დიდი სამთავრობო სასახლე, ორანჟერეა და ჯვარედინა სასახლე, საჭირო გახდა საგანგებო ნებართვის აღება და შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევა. ამ მიზნით აქ მუშაობდნენ არქეოლოგები: მერაბ ქვაჩახია, ლაშა ჯიქია, მარინე ჯამბურია, თენგიზ ესებუა, ნანული პაპუაშვილი და მხატვარ-არქიტექტორი ზაზა პაპუაშვილი.

ჩვენ გვესმოდა, რომ მხოლოდ არქეოლოგიური გათხრები და კვლევა არ იქნებოდა საკმარისი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გამოვლენილი სიძველის ნიშნის მქონე ობიექტების სრულფასოვნად წარმოჩენისა და გააზრებისთვის. აუცილებელი იყო გამოქვეყნებულ ლიტერატურასა და ზუგდიდის მუზეუმში დაცული საარქივო დოკუმენტების გაცნობა და მათი დაკავშირება არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებთან. ამ თვალსაზრისით ხელშეწყობა და დახმარება გვექონდა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დირექტორის ლილი ბერაიასა და საარქივო მასალაზე მომუშავე თანამშრომლებისაგან. ესენი არიან: ნაზი ქორთუა, მარინე ქობალია, მერაბ ქვაჩახია.

მათივე დახმარებით მოხერხდა მუზეუმში დაცული ბაღის იმ ტოპოგრაფიული რუკის მოძიება და გაცნობა, რომელიც ჯერ კიდევ ნიკო დადიანის სიცოცხლეში იყო შედგენილი (სურ.1).

ოქტომბრის ბოლოსათვის მინის სამუშაოები ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში პრაქტიკულად დასრულდა. 18 თვის განმავლობაში ჩვენ შეუზღუდავი საშუალება გვექონდა თვალყური გვედევნებინა და მონაწილეობა მიგველო სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის ისეთ სამუშაოებში, რომლებსაც შესაძლოა მცირედი შეხება მაინც ჰქონოდა მინის სიღრმეებში განლაგებულ არტეფაქტებთან.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა და არქეოლოგიურად გაითხარა ან მხოლოდ დაფიქსირდა და დაკონსერვდა შემდეგი არქეოლოგიური ობიექტები და ცალკეული არტეფაქტები:



სურ. 1

**1) დიდი სამთავრობო სასახლის ნაშთები (გეოგრაფიული კოორდინატები: X 243240 – Y 4711135; X 243276 – Y 4711206).**

აქ და სხვაგანაც კოორდინატები განსაზღვრულია UTM-WGS-84 ზონის 38 სისტემით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის N/17/26 საფუძველზე 2019 წლის მაის-ივნისში ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში დადიანების აქამდე უცნობი სამთავრობო სასახლის შესწავლის მიზნით ჩატარდა შესაბამისი პროექტით გათვალისწინებული საველე-არქეოლოგიური სამუშაოები.

ამ გათხრების ჩატარების წინაპირობა იყო გაურკვეველი ფრაგმენტები შენობისა, რომელიც მხოლოდ ბაღის ჭიმკართან არსებულ ბილიკზე იკითხებოდა, როგორც უცნაური ნივთი აგურითა და ქვით ნაშენი კედლებისა. არქეოლოგიური თვალთახედვით მასზე დაკვირვებამ გააჩინა ეჭვი მისი სიძველისა და სივრცეში განვრცობის შესახებ, ამიტომ ბილიკის სამხრეთით, ხუთიოდე მეტრის დაშორებით, გაკეთდა მცირე ზომის თხრილი, რომელშიც კირხსნარით შეკრული მძლავრი კედლის ნაშთი აღმოჩნდა. ასეთივე კედლის ფრაგმენტები აღმოჩნდა სხვა მომიჯნავე თხრილებშიც, ზოგან იგი მოზრდილი თლილი კირქვისა იყო. აშკარა გახდა, რომ ამ მოწმობაში – ბილიკის სამხრეთით, მოსალოდნელი იყო დიდი ნაგებობის ან ნაგებობათა კომპლექსის ხილვა.

გათხრების დაწყებამდე, რადგან ცნობილი არ იყო ამ შენობის ხასიათი და მასშტაბი, მოვიძიეთ ცნობები იმ სასახლეების შესახებ რომლებიც არსებობდნენ მანამ, სანამ ააშენებდნენ დღემდე არსებულ, ცნობილ ეკატერინესეულ და ნიკოსეულ სასახლეებს

ცნობილია, რომ ლევან დადიანის სასახლეში 1825–26 წწ. ყოფილა გერმანელი მეცნიერი ედუარდ აიხვალდი. ის წერს: „ამჟამინდელმა დადიანმა ლევან გრიგოლის ძემ უკვე ერთი წელია, რაც დაიწყო ახალი მშენებელი სასახლის მშენებლობა, რომელიც ეყრდნობა ქვის ძალზე მაღალ საფუძველს და რომლის წინაც ორი ლამაზი ცაცხვი დგას“ (აიხვალდი 2005:185). ცოტა მოგვიანებით, სავარაუდოდ, აიხვალდის მიერ აღწერილი რეზიდენციაა ჩახატული მხატვარ ნიკანორ ჩერენცოვის მიერ (სურ2). ნახატის ფოტოასლი ინახება დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

იონა მეუნარგიას ცნობით, დავით დადიანი ცხოვრობდა დროებითი, თვით დავითისივე სიტყვით „მნუთრ“ სასახლეში, რომელიც დაენვა

1835 წ. ამ ხანძრის შესახებ დავითი ძმის გრიგოლისადმი მიწერილ 1836 წლის 13 იანვრის წერილში ამბობს: „წარსულს წელს, 17 დეკემბერს მნუთრი სასახლე ჩემი ყოველითავე ავეჯეულობით დაინვა“ და შემდეგ მეგრულ ენაზე დასძენს „არაფერი დამწვია, მაგრამ მაინც ასე ვთქვათ; ვითომ ბევრი რამ დაგვენვა, რა გვენაღვლება. არც სახლი წარმოადგენდა მაინცდამაინც დიდ რამეს“. აქედან აშკარად ჩანს რომ ეს „სასახლე“ დიდი ბედენა არ ყოფილა. შესაძლოა ეს ის სასახლეც იყოს, რომელიც ჩერენცოვის მიერაა ჩახატული.

ამ სასახლის დანვის შემდეგ, 1838 წელს, დავითს წამოუწყია ახლის მშენებლობა. ერთ-ერთ წერილში იგი ძმას გრიგოლს წერს; „ვინცე უკვე შენებათათვის სასახლეთა მზადება ყოველთა გვართა მასალათა და შეწევნითა ღვთისათა, თუ სადმე ვიმელოვნე გაისს მომზადდება სრულიად. მერმის ვინცებ შენებასა ნამდვილ სამთავრო სასახლისასა“. იონა მეუნარგიასვე თქმით, „ეს ნამდვილი სამთავრობო სახლი მალე აიშენა დავით დადიანმა. როგორც მიაშობ მერაბ გრიგოლიამ, სახლი იყო ორსართულიანი და შეიცავდა 28 ოთახს. შუაგული სახლისა იყო აგებული ქვისაგან, მაგრამ, როცა სახლი ააგეს და ის საკმაო არ გამოდგა, იმას მიაშენეს წაბლის ბალკებით აყვანილი ოთახები“. რეზიდენციის მოსაწყობად დადიანს რუსეთის იმპერატორის თანხმობის შემდეგ ყულევის პორტით ბაჟგადაუხდელად საზღვარგარეთიდან შემოუტანია 25 ათას მანეთად შეფასებული ძვირფასი ავეჯი და ინვენტარი (მეუნარგია 2002:33). სასახლის მშენებლობის დაწყების ზუსტი თარიღი არ ვიცით, მაგრამ ვარაუდის დონეზე ეს 1840–იანი წლებამდე უნდა მომხდარიყო.

შესაძლოა ამ მიშენებას თუ გადაკეთებას უნდა უკავშირდებოდეს მუზეუმის ფონდებში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტი: „ფონდსაცავი ..1847 წ 17 ოქტომბერი. თავადი ა. გოლიცინი დავით დადია-



ნს ატყობინებს, რომ არქიტექტორი სკუდერი თანახმაა შეადგინოს მისი სასახლის პროექტი (თარგმანი რუსულიდან, ზომა 27X20 სმ).

თქვენო ბრწყინვალე ბავ, თავადო დავით ლევანის ძევ!

თქვენი წერილი და მასთან გამოგზავნილი ლურჯა უნაგირით მივიღე. ნება მომეცი, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ამისთვის გულითადი მადლობა მოგახსენოთ. იყავი დარწმუნებული, რომ ეს ჩემთვის მეტად სასიამოვნო და გულითადი საჩუქარია, რომელიც ჩემთან დარჩება როგორც დიდი სამახსოვრო თქვენი დამოკიდებულებისა ჩემდამი, ლურჯას მე ვუნოდე ამაყი, იმ სასიამოვნო წუთების სამახსოვროდ, რომელიც გავატარე თქვენი ოჯახის წრეში, თქვენს მამულეებში. ამ დღეებში გავემართები სამეგრელოსკენ ჩვენი სამუშაოების დასათვალისწინებლად.

ამასთან ერთად, მაქვს პატივი გაუწყოთ მე პასუხი თბილისიდან არქიტექტორ სკუდერიდან, თქვენი სახლის პროექტის თაობაზე, რომელიც მას გაუგზავნე გარე ხედის შესასწორებლად, ის მწერს, რომ დიდი სიამოვნებით შეადგენს მას და მოიტანს ამ თვის ბოლოს. მე ვიყავი მონადინებული გაკეთებულიყო იგი ადრე, მაგრამ ძალზე გადატვირთულია ყოველგვარი მოვალეობით და ბოდიშს იხდის, რომ ის იქნება შავი, მე ვვარაუდობ, რომ ეს სულერთია, ოღონდ გამოჩნდეს იდეა.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე თავადი ალექსანდრე გოლიცინი. 17 ოქტომბერი 1847 წელი“.

როგორც წერილიდან ირკვევა, მას შემდეგ, რაც 1840-იან წლებში დავითმა წამოიწყო სასახლის მშენებლობა, მოგვიანებით 1847 წ. მას გადაუწყვეტია სასახლის რეკონსტრუქცია-განახლება, რისთვისაც ალექსანდრე გოლიცინის მეშვეობით უკავშირდება არქიტექტორ სკუდერს. ჩანს, რომ 1847-56 წლების შუალედში ეს რეკონსტრუქცია-განახლება უკვე დასრულებულია. სამწუხაროდ, კორნელი ბოროზდინისა და იონა მეუნარგიას ცნობებით სასახლის ბედი-ილბალი შემდეგნაირად წარიმართა; ომარ ფაშამ ზუგდიდი რომ აიღო 1855 წელს, ამ სასახლეში დაჭრილები და ავადმყოფები დააყენა, მაგრამ, როცა გრიგოლ დადიანმა ზუგდიდი დაიბრუნა. ისკანდერ ფაშამ სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და დაწვა (1856 წ.), დამწვარი სასახლე ხელახლა განაახლა დიმიტრი ყიფიანმა (1859 წ.) და შიგ სამეგრელოს მმართველი ჭილაევი დააყენა, მაგრამ ამ განახლებულ სასახლესაც ის ბედი ეწია, რაც წინა სასახლეებს – ცეცხლმა ესეც გაანადგურა. ამის შესახებ დიმიტრი ყიფიანი 1864 წლის

13 მარტით დათარიღებულ წერილში ეკატერინე დადიანს ატყობინებს „...დიდად სამწუხარია ჩემთვის, რომ ერთი უსიამოვნო ამბავიც უნდა მოგახსენოთ. თქვენი ზუგდიდის სასახლე სულ მთლად გადამწვარა ამ თვის პირველ რიცხვს, ალების ღამეს, შუალამიდამ 4 საათზედ. ...რა მიზეზით მოხდა, ამაზედ გამოძიება არის შედგენილი და, როგორც მწერენ, რუსის დედაკაცი ჰყოლიათ ერთი მოსარეცხე; იმ ღამეს შესაქცევით გასულა და თავის ოთახში სანთელი ანთებული დაუტოვებია; მალე დავბრუნდებო, იფიქრებდა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა, და სანთელს უქნია ეს საქმე“.

„სასახლე არ აღადგინეს და მისი ნაშთი მოახმარეს სხვა სახლის მშენებლობას, რომელიც დღეს ნიკოსეული სასახლის სახელითაა ცნობილი (მეუნარგია 2002:33). აზრი მისი რეკონსტრუქციის შესახებ კი არსებულა, მაგრამ არ განხორციელებულა. ეს კარგად ჩანს ეკატერინე დედოფალსა და მისი ქონების განმკარგავის, აგრეთვე მემკვიდრეების მეურვის დიმიტრი ყიფიანის წერილებიდან. მიმონერა გრძელდებოდა 1868 წლამდე, სადაც არ იკვეთება სასახლის აღდგენა.

ომის შემდგომი ბალის ბედი-ილბალზე ფრიად საყურადღებო ცნობას ვხვდებით 1872 წლის ჟურნალ „КАВКАЗСКАЯ СТАРИНА“-ში, სადაც უცნობი მოღვაწის წერილში ვკითხულობთ: „მთავარმა ამ სასახლესთან ევროპული ნიმუშის ბალი გააშენა ორანჟერიით, რომელიც ამ სახის ლამის ერთადერთი (ბალი) იყო მთელს იმპერიაში“. „... ეს ბალი სასახლესთან ერთად აოხრებულ იქნა ისკანდერ-ფაშას მიერ. როგორც ერთის, ისე მეორის ასაოხრებლად ის მთელი კვირა ემზადებოდა. უწინარესად ყოვლისა, წაიღეს მთელი ავეჯი და ძვირფასი ნივთები ოცი ათასისა, აგრეთვე იშვიათი ნარგავები. წაიყვანეს სწავლული მებაღეც და ყოველივე ეს ... როგორც ამბობენ, ურმებით იქნა გადატანილი რედუტ-კალეში ომერ-ფაშასთვის. შემდეგ სასახლის კარების ჩარჩოები ნავითთ იქნა გაპოხილი, სასახლე გამოტენეს თივით და ცეცხლი წაუკიდეს, ბალი კი ძირში იქნა აჩეხილი. აქედანვე აიღეს ბრინჯაოს შვიდი ზარბაზანი, რომელიც ჩამარხეს ბაღში, ტბორთან“ (ტულუში 2012: 44).

ნიშანდობლივია, რომ ფრანგი მეცნიერისა და მოღვაწის ჟიულ მურიეს მიერ 1883 წელს ოდესაში გამოცემულ ნაშრომში – „სამეგრელო“, სადაც განთავსებულია ზუგდიდის ხედები (XVI და XV ტაბულები), უკვე ჩანს დღესაც არსებული ეკატერინესა და ნიკოსეული სასახლეები (სურ.3-4) (მურიე 2018).

არ ჩანს და ეტყობა უკვე აღგვილია პირისა-



გან მიწის მანამდელი სასახლე, რომელიც ჩვენი კვლევის ძირითადი ობიექტი გახდა.

ამრიგად, აღმოჩენილი არქეოლოგიური და ხსენებული ცნობების საფუძველზე 2019 წლის 17 მაისს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. კედლების სრულად გამოვლენის შემდეგ (სურ.5-6) აღმოჩნდა, რომ შენობა მრავალგზის ყოფილა გადაკეთებულ-გადმოკეთებული, მინაშენებია-ნი, ძველ კედლებსა და ნაშალზე დაშენებული. იმდენად იყო ეს ყველაფერი ერთმანეთში ორგანიზულად და ხელოვნურად შეერთებული და არეული, რომ ხანგრძლივი დაკვირვება და ბევრი რამის გათვალისწინება იყო საჭირო იმისათვის, რათა ამ ნანგრევებსა და საძირკვლებს შორის სხვადასხვა დროს აშენებული კედლები გაგვეჩვენა.


როგორც იონა მეუნარგიასგან ვიცით, შენობა თავდაპირველად იყო მცირე ზომის. რადგან პატარა შენობაში სტუმარ-მასპინძელი ვერ ეტეოდა, მას, ანუ ძირითად ნაწილს, მარტივად მიაშენეს დამატებითი ოთახები.

მინაშენები ჩანს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ამის ვარაუდს გვაძლევს ის გარემოება, რომ შენობის ცენტრალური ნაწილი და ეს გვერდითა მინაშენები სხვადასხვა ხასიათის კედლებითაა ამოყვანილი. კიდევ უფრო შემდგომ დროს უნდა დაუწყავშიროთ ალბათ ამ გვერდითა მინაშენებზე და დამატებით აღმოსავლეთ-დასავლეთ მხარეს არსებული სავარაუდოდ ღია, აგურისწყობიანი შენობის ძირითადი ნაწილისგან მკვეთრად გამოზიდული დეკორაციული, სხვადასხვა სტილის მინაშენები. შენობა ფუნქციონირების დროს, სულ ცოტა, სამჯერ მაინც არის გადაკეთებულ-გაფართოებული. თითოეული გადაკეთების კვალი არქეოლოგიურადაც კარგად იკითხება. მის ხასიათსა და თავისებურებებზე მხოლოდ პირველი სართულისგან დარჩენილი საძირკვლის (სურ.7) მიხედვით შეგვიძლია ვარაუდის გამოთქმა. შენობის იატაკი ტერასულია, ჰქონია სარდაფები და მიწისქვეშა კომუნიკაციები. ზოგი რამ მხოლოდ გამოვლინდა, ბევრი ჯერ კიდევ გამოსაკვლევია. მათი ბოლომდე შესწავლისთვის დრო და საშუალებებია საჭირო. ამ ეტაპზე დადგინდა შენობის ხასიათი, მასშტაბი, პერიმეტრი და სტრატეგრაფია. გამოვლინდა ბევრი სხვა საინტერესო ნიშან-თვისება, რომელიც მას ძალზე მიმზიდველს გახდის არა მარტო არქეოლოგიური საზოგადოებისთვის, არამედ კოლხეთის ისტორიისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც, მით უმეტეს ის მოქცეულია ისეთ გარემოში, რომელიც რეაბილიტაციის შემდეგ ახალ პერსპექტივებს გააჩენს მრავალი მიმართულებით, მათ შორის არქეოლო-



სურ. 3

Château du Prince de Mingrélie & Zougdid.



სურ. 4

Zougdid



სურ. 5




სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9

გიური ობიექტების დათვალიერების კუთხითაც, რაც არც თუ ისე ცოტაა.

**შენობის ზოგადი სურათი.** შენობა შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან და ოთხი მინაშენისგან. იგი ჰორიზონტალურად არის განფენილი და დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. ზომები გარეთა კიდეებიდან: N-S 76 მეტრია, O-W 30 მეტრი, ფართობი დაახლოებით 1500 მ<sup>2</sup>; შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი და რამდენიმე კარების ქვედა ჩარჩო – სულ 19 ც.; ალაგ-ალაგ ჩანს ფილებისგან შედგენილი იატაკი, ზოგან კი დამწვარი ხის იატაკიც იკითხება; დასავლეთით საკმაოდ პომპეზური კიბის უჯრედია მიდგმული და კარგად ჩანს რამდენიმე სვეტის ძირი (სურ.8)

**შენობის გეგმა (სურ.9).** იმ თავისებურებების

გათვალისწინებით, რომელიც შენობის გეგმაზე დაფიქსირდა მიგვაჩნია და ალბათ ასეც არის რომ შენობის ფასადი კიბის უჯრედი და სვეტის ძირებიანი (ანუ დასავლეთის) მხარე უნდა იყოს. ამავე დროს შთამბეჭდავია აღმოსავლეთით არსებული ნახნაგაიანი მინაშენებიც.

როგორც აღვნიშნეთ შენობა საკმაოდ ნაგრძელებულია და მისი სიგრძე თითქმის სამჯერ აღემატება სიგანეს. უკვე აღვნიშნეთ, რომ ის სხვადასხვა დროს აშენებული სამი ძირითადი და ოთხი მინაშენისგან შედგება: პირველი ეს არის შენობის ცენტრალური ნაწილი, რომელსაც პირობითად შეიძლება დარბაზი ვუნოდოთ, მეორე და მესამე ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს არსებული, პირობითად, საცხოვრებელი ოთახებისგან შემდგარი ნაწილებია; მინაშენები შენობას ოთხივე მხრიდან აქვს და ოთხივე განსხვავებული ფორმისა და ხასიათისაა.

**დარბაზი** ასიმეტრიულია, კედლები უსწორმასწორო: დასავლეთის კედელი აღმოსავლეთის კედელთან შედარებით 1,6 მ-ით მოკლეა, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის სხვაობა 0,4 მეტრია, ფართობი დაახლოებით 350 მ<sup>2</sup>. შემორჩენილი კედელი საძირკველზე დაშენებული მოზრდილი, სხვადასხვა ზომის გათლილი კირქვებისგან შედგება. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ნიყება, რომელიც ძირთან 5-ოდე სანტიმეტრითაა გარეთ გამოწეული. ისინი კედლის პერანგადაა გამოყენებული, მათ შორის კირხსნარით შეერთებული რიყის ქვებია მოქცეული. კირქვის თლილი ბლოკები ერთმანეთზე მჭიდროდ და ფაქიზადაა მიწყობილი. კედლების სისქე – 1,4-1,5 მ-ს შორის მერყეობს. დარბაზის კუთხეები და კედლები 2,5 მ-ის შუალედებით შესქელებულია ასეთივე თლილი ქვით ნაგები პილასტრებით და ამისთვის ასევე კირქვებია გამოყენებული. საძირკველი 0,4-0,6 მ-ის სიღრმეზეა ჩაჭრილი სავარაუდოდ მონაზვინ მინაში. დარბაზის იატაკი ისეთივე აგურებითაა განწყობილი, როგორც კედლებში ვხვდებით. კედლიდან ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იატაკი დეფორმირებული აღმოჩნდა, რაც დროთა განმავლობაში საძირკვლის ქვეშ არსებული მიწის ქანების გამორეცხვის შედეგი უნდა იყოს.

დარბაზში ოთხივე მხარეს ხუთი კარის ჭრილი დაფიქსირდა. მათგან ორი ჩრდილოეთითაა. ერთ გარემოებას უნდა გაეხვას ხაზი, რაც, ვფიქრობთ, საყურადღებოა; საპირისპირო მხარეს არსებული კარები ერთმანეთს უყურებს გარდა ერთისა, რომელიც ჩრდილოეთის კედელში აღმოსავლეთითაა. ვფიქრობთ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ჩრდილოეთის კედელში უფრო აღმოსავლეთით არსებული კარები შემდგომ,

ნაგებობის გაფართოვების შემდეგად არის გაკეთებული, როდესაც დარბაზს ჩრდილოეთით ოთახებისგან შედგენილი ნაწილი მიემატა. სავარაუდოდ, სამსაფეხურიანი კიბეც ამ დროსაა მიშენებული. კიბე ძალზე ცუდადაა შემორჩენილი. ზემოთ ვთქვით, რომ შენობის ფარგლებში იატაკის სხვადასხვა დონე დაფიქსირდა, შიდა კიბის არსებობაც ამაზე უნდა მიაწინებდეს. ასევე შიდა სივრცეს უკავშირდება სამხრეთით არსებული მეორე კარი. ისიც სვეტებს შორისაა მოქცეული და ოთახებიან განყოფილებაში გადის. აღმოსავლეთის და დასავლეთის კარები მინაშენებს უკავშირდება, თუმცა უშუალოდ, გარეთ არც ერთი მათგანი არ გადის. ამ კარების ჭრილები ტრაპეციულია, გარეთა მხარეს გაფართოებული. ზომები 1-1,8 მ-ია, კარგად ჩანს ქვედა ჩარჩო, რომელშიც დამწვარი ხის ანაბეჭდებია შემორჩენილი. დარბაზის მთლიანი იატაკი აგურითაა მოგებული.

დარბაზის შიდა სივრცეში, რამდენიმე ადგილას, შემორჩენილია კედლის შეღებილი ნალესობა. ნალესობა 3 სანტიმეტრის სისქისაა, საკმაოდ მკვრივი. მოლურჯო-მოიისფრო საღებავი დღემდე კარგადაა შემორჩენილი. დასაწყისში გამოჩენის მომენტში ის ცეცხლისგან იყო გაშავებული და ჭვარტლით დაფარული. წვიმის შემდეგ მან თითქოს პირვანდელი სახე დაიბრუნა და ბევრად უფრო ნათელი გახდა. შეღებილი ნალესობა, სავარაუდოდ, ძველი შენობისგანაა გადმოყოლილი, რაზეც მეტყველებს მასზე მიდგმული აგურის ღუმელი. სხვა შემთხვევაში რატომ უნდა იყოს ღუმელსა და კედელს შორის შეღებილი ნალესობა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც კედლის შეღესილობა დაფიქსირდა, ყველგან ამგვარი საღებავი იყო გამოყენებული.

ი. მეუნარგიას ხსენებული ცნობის საფუძველზე და არქეოლოგიური მონაცემებითაც ჩანს, რომ დარბაზი სამთავრობო რეზიდენციის ყველაზე ძველი ნაწილია, რომელიც პირვანდელი სახით არაა შემორჩენილი. სავარაუდოდ მას აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონოდა რალაც მინაშენი, რაზეც მეტყველებს დაკეჭნილი კირქვის ბლოკები, რომლებიც მის შეღესილობაზე მეტყველებს და მეორე – კარების ჭრილი. ამ ეტაპზე არსებული კარები მოგვიანებითაა გაკეთებული. მანამდე ის 0, 4 მ-ით უფრო ქვემოთ იყო. ნაგებობის განახლების შემდეგ, როგორც ჩანს, იატაკი და შესაბამისად კარებიც აამაღლეს, ხოლო ძველი ჭრილი ნაწილობრივ ამოქოლეს რაც ვიზუალურად კარგად ჩანს. ასეთივე სურათი დაფიქსირდა დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში. აქ კარები საერთოდ გაუუქმებიათ და მეორე ამოუჭრიათ.

**შენობის მეორე ნაწილი.**

შენობის მეორე ნაწილი ჩრდილოეთით არსებული, დარბაზზე მიდგმული ნაგებობაა. ის მთლიანად რიყის ქვითაა აშენებული და მხოლოდ აქა-იქაა ჩართული აგურები. უცნაურად გამოიყურება მხოლოდ სამხრეთი ნაწილი, რომელიც აგურის ნახნაგის მინაშენით ბოლოვდება (ტაბ.8). კედლების ქვების წყობა მიჯრითაა შესრულებული და კირხსნარით საკმაოდ მყარად შეკრული, კედლის სისქე სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა და ის 0,9-1,0 მეტრს შორის მერყეობს. ამ სივრცეში 13 სხვადასხვა ზომის (სათავსო) ოთახი დაფიქსირდა. შენობის მეორე ნაწილის სიგრძე – 22,5 მ., სიგანე – 17 მ., (ნახნაგის გარეშე), ფართობი დაახლოებით 380 მ<sup>2</sup>. თითოეული სათავსოს ზომებია: პირველი ოთახის სიგრძე, სიგანე და ფართობი 5X6=30 მ<sup>2</sup>; მეორე – 3,5X4,5=16 მ<sup>2</sup>; მესამე – 4,5X4,5=20 მ<sup>2</sup>; მეოთხე – 6X2,5=15 მ<sup>2</sup>; მეხუთე – 3,5X8,5=30 მ<sup>2</sup>; მეექვსე – 4,5X2,8=12 მ<sup>2</sup>; მეშვიდე – 5,5X4,5=25 მ<sup>2</sup>; მერვე – 4,5X8,5=22 მ<sup>2</sup>; მეცხრე – 5,5X3=16 მ<sup>2</sup>; მათე – 5X5,5=27 მ<sup>2</sup>; მეთერთმეტე – 2,5X5,5=12 მ<sup>2</sup>; მეთორმეტე – 7X2,5=17 მ<sup>2</sup>; მეცამეტე – 1,8X7=12,5 მ<sup>2</sup>.

სამხრეთ-აღმოსავლეთით ფასადი აგურითაა ნაშენი და 1,5-1,0 მ-ის სისქის ხუთნახნაგის კედლითაა შემოსაზღვრული, ნახნაგების ზომებია: სამხრეთი კედლისა 3,5 მ., ირიბი კედლებისა 2,5-2,5 მ., ჩრდილოეთისა 0,5, აღმოსავლეთის 4 მ. კედელი აგურითა და კირხსნარით საგულდაგულოდაა ნაშენი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახნაგზე 1,8 სიგრძის კარების ჭრილია დატანილი. ამავე ნახნაგის ჩრდილოეთი მონაკვეთი განივადაა ჩაჭრილი. გაურკვეველია, ეს ღარი თანამედროვეა თუ იმ დროისაა. ნახნაგებზე ვერტკალურად მხოლოდ აგურის სამი წყობაა შემორჩენილი, შემდეგ არის იატაკის მოლესილობა, რომლის ქვეშ სარდაფია. სარდაფი მთლიანად ნაშალი სამშენებლო ქვადორღით, აგურისა და კრამიტის ნამტვრევებით იყო ამოვსებული. ეს ნაშალი შენობის ერთ-ერთი უფრო ადრეული ნგრევის ნაკვალევი უნდა იყოს, რომელიც აღდგენის დროს მშენებლებს იატაკის ნიველირებისათვის გამოუყენებიათ. ამ დაუდევრობამ შემდგომში იატაკის დეფორმაცია გამოიწვია და მასზე აშენებული კედელიც კი ჩატყდა. ასეთი რამ სხვა ადგილებშიც დაფიქსირდა.

შენობის მესამე განყოფილება სამხრეთითაა მოქცეული. ისიც მეორე ნაწილის ანალოგიურია და 14 დიდ-პატარა ოთახისგან შედგება. აქაც აღმოჩნდა ხუთნახნაგის ოთახი, რომელიც, ასევე, დარბაზზეა მიშენებული. ერთნაირია კედლების წყობა და შემადგენლობა. განსხვავებაა ზომებში. მთლიანი სიგრძე – 18,5 მ., სიგანე – 14 მ. ნახნაგის გარეშე, ფართობი დაახლოებით 260

მ2. ნახნაგიან მონაკვეთში ხუთი სხვადასხვა ზომის ოთახია მოქცეული. დანარჩენი ოთახები მთელ ფართობზეა განაწილებული. აქ არა ჩანს საერთო დერეფანი.

თითოეული ოთახის სიგრძე-სიგანე-ფართობი ასეთია: პირველი ოთახი  $8 \times 2,5 = 20$  მ<sup>2</sup>; მეორე  $5,2 \times 1,5 = 24,5$  მ<sup>2</sup>; მესამე  $4,5 \times 1,1 = 5$  მ<sup>2</sup>; მეოთხე  $3 \times 3 = 9$  მ<sup>2</sup>; მეხუთე  $2 \times 3 = 6$  მ<sup>2</sup>; მეექვსე  $2,5 \times 2,3 = 5,7$  მ<sup>2</sup>; მეშვიდე  $2,5 \times 5 = 12,5$  მ<sup>2</sup>; მერვე  $4,5 \times 4 = 23$  მ<sup>2</sup>; მეცხრე  $4,5 \times 2 = 9$  მ<sup>2</sup>; მეათე  $4,2 \times 5 = 21$  მ<sup>2</sup>; მეთერთმეტე  $2 \times 4 = 8$  მ<sup>2</sup>; მეორმეტე  $3,3 \times 2 = 6,6$  მ<sup>2</sup>; მეცამეტე  $3 \times 4,5 = 13,5$  მ<sup>2</sup>; მეოთხმეტე  $3,5 \times 4,2 = 14,7$  მ<sup>2</sup>.

ამ მონაკვეთშიც ზოგან შეინიშნება ძველი და ახალი კედლების მონაცვლეობა. ჩრდილოეთი მონაკვეთის მსგავსად აქაც ჭირს ძველი კედლების მიხედვით რაიმე გეგმის დაჭერა. ისინი ქაოტურად გვხვდებიან და ძალზე ფრაგმენტულად არის შემორჩენილი.

ოთახებს შორის მხოლოდ ორი კარის ჭრილი აღმოჩნდა. ერთი მეოთხე ოთახის გარეთა კედელში დაფიქსირდა, კიდევბი ირიბადაა გამოყვანილი, სიგრძე – 1,2 მ. მეორე კარები მეორე და მესამე ოთახებს შორისაა მოქცეული და ისიც ირიბი კედლებით ხასიათდება, სიგრძე – 0,8 მ.

სხვა ოთახები მხოლოდ ზედაპირულადაა მოშვილებული, თუმცა ერთი ნახვითაც კარგად ჩანს, რომ მათი ბოლომდე გათხრა და შესწავლა ბევრ საინტერესო დეტალს გამოავლენს.

**მინაშენები.** როგორც აღვნიშნეთ, შენობას ოთხივე მხრიდან აქვს მინაშენი, ოთხივე განსხვავებული და სავარაუდოდ ყველაზე გვიანაა გაკეთებული. ეს ჩანს მათ ხასიათში, ფორმასა და საერთო ხედში.

ყველაზე მარტივი სამხრეთის V მინაშენია. ის სამხრეთი კედლის შუა ნაწილშია მოქცეული კედლებიდან 2,5 მ-ის დაშორებით. სიგრძე – 9,7 მ., სიგანე – 3,5 მ., ფართობი 34 მ<sup>2</sup>., კედლის სისქე – 1-1,4 მ-ია. იგი შედგება აგურებისგან შეკრული მჭიდრო ჩარჩოსგან, რომელშიც ქვის წყობაა მოქცეული, არ ჩანს კარის ჭრილი.

ჩრდილოეთის IV მინაშენი უცნაური ფორმით ხასიათდება. ის 4 ნაწილისგან შედგება და წარმოადგენს ერთმანეთთან ვიწრო დერეფნით დაკავშირებულ ორ მართკუთხედს. პირველი მართკუთხედი უკიდურეს ჩრდილოეთითაა მოქცეული. მისი ზომებია: სიგრძე – 11,5 მ., სიგანე – 4,5 მ., კედლის სისქე – 1 მ., შუაში სვეტის ძირია მოქცეული: სიგრძე – 0,8 მ., სიგანე – 0,5 მ. მეორე მართკუთხედი პირველისგან 3 მეტრითაა დაშორებული, სიგრძე – 10 მ., სიგანე – 3,5 მ., კედლის სისქე – 1-1,5 მ. მათ შორის არსებული დერეფნის სიგრძეა – 3 მ., სიგანე – 3,5 მ., კედლის სისქე – 1 მ. აგურის კედლებს შორის მოქცეული სივრცე

კირხსნართაა კარგად მოლესილი. მისი დანიშნულება და ფუნქცია გაურკვეველია. სავარაუდოდ ის ზედა სართულთან დამაკავშირებელი შიდა კიბის უჯრედი უნდა იყოს. არა ჩანს კარის ჭრილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ორიგინალური მონაკვეთი დიდი ხნის განმავლობაში სავალი გზის შემადგენელი ელემენტი იყო, მასზე ადამიანები და სატრანსპორტო საშუალებები გადაადგილდებოდნენ. ამჟამად გზა ჩრდილოეთით გადანიეს და ეს მინაშენი სასახლის კომპლექსის განუყრელ ატრიბუტად იქცა.

აღმოსავლეთის VI მინაშენი თავისებური წყობით გამოირჩევა. ის ხუთნახნაგაა, დასავლეთის კედელი ყოველ ორ მეტრში გაფართოებული სვეტისძირებითაა წარმოდგენილი და დარბაზს ვიწრო – 1,5 მ-ის სიგანის – დერეფნით უერთდება. იატაკი მოლესილია, ალაგ-ალაგ ჩატეხილი. იატაკის ქვეშ არსებული ცარიელი სივრცე მოსწორებულია და ნაშალით შევსებული. ნაშალი წარმოადგენს აგურისა და კრამიტის ნატეხებს. შუაში, დარბაზის მხარეს კარების ჭრილია 1,7 მ სიგრძისა. მინაშენის სიგრძე და სიგანეა – 12-3,8 მ., კედლის სისქე – 0,9 მ.

მეოთხე მინაშენი დასავლეთითაა. ისიც ორიგინალური ფორმით ხასიათდება. იგი უეჭველად შენობაში ძირითად შემოსასვლელსა და კიბის უჯრედს წარმოადგენს. ის რამდენიმე ნაწილისგან შედგება. აქედან ორი – პირველი და მეორე – ფოიეს როლს ასრულებს და შესასვლელი კარებიდან ორივე მხარესაა პროპორციულად განლაგებული და ერთმანეთისგან ვიწრო აგურის კედლით გამოყოფილი, იატაკი ფილებითაა მოგებული.

**არტეფაქტები (სურ. 10-13).** დარბაზის ფარგლებში თითქმის ნახევარი მეტრის სისქის ნაშალი ფენა დაფიქსირდა, რომელიც კრამიტის და აგურის მრავალრიცხოვან ფრაგმენტს მოიცავდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა რკინის სხვადასხვა ზომის ლურსმანი, ბრინჯაოს შანდლის თავი, მარმარილოს მაგიდის თავის ფრაგმენტი და სხვა. შენობის მეორე განყოფილებაში აღმოჩენილი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია ფაიფურის სერვიზი, რომელზეც, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მუშაობაა ჩასატარებელი. ფაქტიურად ჭურჭელი მთლიანად უნდა აღდგეს. ინტერესს იწვევს მათზე გამოსახული პეიზაჟები, საყოფაცხოვრებო დეტალები, ადამიანების, ფრინველების, ცხოველების, ყვავილების გამოსახულებები, ფერების სიუხვე და სხვა.

სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელს შორის მინის ჭიქებიცაა, რომლებიც ძალიან ცუდადაა შემორჩენილი; თიხის ჭრაქი მთლიანადაა დაცული.

სამხრეთი ფოიეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შესანიშნავი ვაზის ფრაგმენტები დაფიქსირდა, რომლებიც ნაწილობრივ აღდგა. აქვე იყო სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები და მინის დეკორაციული ნატეხები.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ამ სამუშაოების უპირველესი მიზანი იყო აქამდე უცნობი დიდი შენობის პარამეტრების განსაზღვრა, სტრატეგრაფიის დადგენა, დანიშნულების გარკვევა და ქრონოლოგიის დაზუსტება.

დღევანდელი მონაცემებით, შეიძლება ითქვას, რომ შენობის სიგრძეა – 76 მ., სიგანე – 30მ. როგორც ითქვა, შენობის ცენტრალური ნაწილი კირქვის თლილი კვადრებითაა ნაშენი, ხოლო მინაშენები აგურითა და რიყის ქვით. შეიძლება ითქვას, რომ ვერტიკალშიც და სივრცეშიც აშკარად განირჩევა მშენებლობის რამდენიმე ეტაპი. უძველესი სამშენებლო ფენები სიღრმეში ალავ-ალავ 1,5 მეტრამდე ჩადის. ამ ზომისა და ამ მასშტაბის შენობა, ბუნებრივია, არ იქნებოდა უბრალო საცხოვრებელი სახლი. თუ წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მონაცემებს შევაჯერებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს სამეგრელოს სამთავრო სასახლესთან, რომლის ძირითადი ნაწილი აიგო მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში. შემდეგ ის გადააკეთეს (გააფართოვეს), მაგრამ დაწვეს 1856 წელს, ყირიმის ომის დროს, შემდეგ მალევე განაახლეს, თუმც 1864 წლის 1 მარტს კვლავ დაინვა და მისი განახლება აღარ მომხდარა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ტოპოგრაფ შმიდტის მიერ შედგენილ ბოტანიკური ბაღის გეგმაზე აქ არაფერია მინიშნებული. იქ სიცარიელეა.

ვიტყვიტ იმასაც, რომ ჩვენ მხოლოდ სასახლის გეგმა გავხადეთ ხილული. ჯერ კიდევ მრავალი ყურადსაღები არქიტექტურული დეტალისა და არტეფაქტის აღმოჩენაა მოსალოდნელი სასახლის მინისქვეშა სივრცეებში. მისი შესწავლა კი ახლო ან შორეული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

**2) ორანჟერეა (კოორდინატები: X243321 – Y4711230).**

სარეაბილიტაციო სამუშაოების საწყის ეტაპზე ბაღის დასავლეთ მონაკვეთში, ცენტრალური შესასვლელიდან ასიოდე მეტრის დაშორებით მდებარე ორსართულიანი შენობის ნანგრევები პროექტში საჯინიბოდ მოიხსენებოდა, მაგრამ შემდგომმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ ის სულ სხვა დანიშნულების ნაგებობა, კერძოდ კი ორანჟერეა ყოფილა (სურ.14).

სწორედ ამ ნანგრევების შესახებ წერდა ცნო-



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12




სურ. 13



სურ. 14

ორანჯერია, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

1



ჩვენს მიერ გრაფიკულად აღდგენილი ორანჯერია, ხედი სამხრეთიდან, ფასადი

2

პროფ. ირინე სპეციალისტი



სურ. 15

პროფ. ირინე სპეციალისტი



სურ. 16



პროფ. ირინე სპეციალისტი



სურ. 17



ბილი ფრანგი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჟიულ მურიე თავის ცნობილ ნაშრომში – „სამეგრელო“, „საუცხოო ბაღი, რომლის სამოთხედ გადასაქცევად მთავარმა დავითმა არაფერი დაიშურა, სამნუხაროდ, აღმოსავლეთის ომის დროს თურქებმა სრულიად გაანადგურეს, თუმცა ნიადაგის უხვი ვეგეტაციის წყალობით, თანდათან ყველაფერი ისევ აღმოცენდა. რამდენიმე წელიწადში ხვიარა მცენარეებისა და ვარდის ბუჩქების ქვეშ მოქცეული ორანჯერიის ნანგრევები, რომლებიც შორიდან ანტიკური ტაძრის პორტიკს ჰგავს (სურ.15), ომისდროინდელი რბევის ერთადერთი კვალი იქნება, რისი დამალვა ბუნებამაც კი ვერ შეძლო.“ (მურიე 2018:246).

2018 წლის ივნისში ძირითადი ძალისხმევა მემარტული იყო ამ ნაწილობრივ გადარჩენილი შენობის შიდა პერიმეტრის გასუფთავებაზე.

ადრევე იყო შენიშნული და აღვნიშნავდით კიდევ, რომ შიდა სივრცეებში დაგროვილი ნაშალისა და ნაგვის 60 სანტიმეტრიანი სისქის ფენის გატანის შემდეგ გამოჩნდა ისეთი არქიტექტურული დეტალები და არტეფაქტები (ქვის კიბეები, აგურის იატაკი, ტიხრები, თონე, ღუმელის ნაშთი, კერამიკული და ლითონის ნაწარმი), რომლებიც საგანგებო ყურადღების მიქცევას და განმენდით სამუშაოებში სპეციალისტ-არქეოლოგების ჩართვას მოითხოვდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიური ობიექტის პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე სამშენებლო კომპანიამ დაუყოვნებლივ შეაჩერა ხსენებული ნაშალის გატანა და გარკვეული დროის შემდეგ მოცემული შენობის განმენდა გააგრძელა უკვე არქეოლოგების მონაწილეობით.

თავდაპირველად ვიტყვით, რომ შენობა ძლიერი ხანძრის გამო განადგურებულია. დამწვარია ხის კონსტრუქციები: ქერი, იატაკი, ფანჯრები და კარები, თუმცა შენობის არქიტექტურული სახე და დეტალების მნიშვნელოვანი ნაწილი შენარჩუნებულია (სურ.16-17).

შენობა დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და ათიოდე გრადუსითაა გადახრილი ღერძიდან. ის საკმაოდ გრძელი, მართკუთხედის ფორმისაა: სიგრძე 52 მ., სიგანე 8,8 მ., შემორჩენილი სიმაღლე ალაგ-ალაგ 7 მეტრზე მეტია. საყრდენი კედლის სისქე 0,8 მ-ია, შიდა კედლებისა 0,3-0,7 მ. კედლები ქვითა და კირხსნართა აგებული მკვერივად და მყარად. მისი მხოლოდ მეორე სართულის ზედა ნაწილია დანგრეული. შემორჩენილია ფანჯრის ჭრილები, მაგრამ კარის არც ერთი ჭრილი არ იკითხება. ჩანს შენობას მეორე სართულზე ასასვლელად შიდა კიბე უნდა ჰქონოდა, რომელიც

შემორჩენილი აღარ არის. აღარ არის სახურავიც, რომელიც დასავლეთით და აღმოსავლეთით ორფერდა უნდა ყოფილიყო, შუა ნაწილში კი ცალფერდა, მხოლოდ კრამიტის ფრაგმენტებია მრავლად.

პირველი სართულის კედლები მთლიანადაა დაცული. კარგად ფიქსირდება ფანჯრებისა და კარების ჭრილებიც. მართალია, ჭერი და იატაკი შემორჩენილი აღარ არის, მაგრამ კედლებში კარგად ჩანს კოჭების დამჭერი ფოსოები. ზოგიერთ ფანჯარას და კარებს ეტყობა აღდგენის კვალი. ისინი ცემენტით, აგურითა და ქვებითაა მთლიანად ან ნაწილობრივ ამოშენებული, ეს სავარაუდოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

შენობა ორი ნაწილისგან შედგება. დასავლეთით საცხოვრებელი განყოფილებაა, ორსართულიანი, ორფერდა სახურავით და ოთხოთახიანი. პირველი სამი ოთახი მიწისპირზეა გამართული, მეოთხე მიწის ზედაპირიდან 0,5 მეტრის სიმაღლეზეა. აღმოსავლეთით სამეურნეო-საწარმოო ნაწილია განთავსებული. იგი ორი ორანჟერეისა და ერთი „კაბინეტ-ლაბორატორიისგან“ შედგება. ორანჟერეები ერთსართულიანია. პირველი ორანჟერეა ცალფერდა სახურავიანია, მეორე – ორფერდა სახურავიანი.

„კაბინეტ-ლაბორატორია“ კი ორსართულიანი, ცალფერდა სახურავიანი. შენობას სამხრეთ-დასავლეთიდან ერთი მიწაშენი (საყვავილე?) აქვს.

შენობას აქვს – 6 გარეთა, 7 შიდა კარი და 5 ფანჯარა. შემორჩენილია ერთი ბუხრის თავი.

რაც შეეხება მეორე სართულს, აქ ოთახების განლაგებასა და სხვა ატრიბუტებზე ვერაფერს ვამბობთ. იგი ძლიერაა დაზიანებული.


არტეფაქტები (სურ.18-19). შენობის ფარგლებში მოპოვებული არტეფაქტებიდან აღსანიშნავია საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სამშენებლო და დეკორაციული ხასიათის ნიმუშები.

საყოფაცხოვრებო არტეფაქტებიდან აღსანიშნავია თიხისგან დამზადებული: დერგები, ქოთნები, კოკები, ჯამები, ჭრაქები, სასანთლე, ფაიანსის თეფშის ფრაგმენტები, თურქული ჩიბუხი და სხვა. ზოგი მათგანი მთელია, დიდი ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, ნაწილი ორნამენტირებულია ჭდეებით, ნაკანრებით, ღარებით, რელიეფური დანაძერნებით, გრეხილრელიეფური და ტალღისებური სარტყლებით. ყურები ფიგურულია.

სამეურნეო ხასიათის თიხის არტეფაქტები ძირითადად საყვავილე ქოთნებითაა წარმოდგენილი. ოთხასზე მეტი საყვავილიდან ოთხი უცხოურია, თეთრი ფაიფურის, რელიეფური ორ-



სურ. 18



სურ. 19



ნამენტი, პირგადაშლილი, ცილინდრული კორპუსით, საშუალო ზომის. ერთი თითქმის მთლიანად აღდგა, მეორე – ნაწილობრივ, დანარჩენი ორი მხოლოდ ძირებითაა წარმოდგენილი.

სხვა მასალისგან დამზადებული სამეურნეო ხასიათის არტეფაქტები წარმოდგენილია სხვადასხვა ზომის ბრტყელთავა რკინის ლურსმნებით, რკინის უზანგით, რკინის კლიტით, რკინის ნალით, ავეჯის ჩამკეტებით, სახელურებით, უჩვეულო ფორმის რკინის ნამგლით და თითქმის ერთი ზომის სალტეებით. ბევრი ნივთი გაურკვეველი ხასიათისაა. მიწის ჭურჭლისა და სარკმლის ფრაგმენტები ძალიან დამსხვრეულია.

სამშენებლო ნარჩენებიდან დიდი რაოდენობითაა აგურები, ფილები, კრამიტის ფრაგმენტები. კრამიტები მილიანია, დიდი ზომის, მორკალური. მილის საშუალებით კრამიტი მაგრდებოდა ხის კონსტრუქციაზე ლურსმნის გამოყენებით. სულ ნაპოვნია 600-ზე მეტი მილიანი კრამიტის ფრაგმენტი. აგურები იშვიათად არის მთელი, ისინი მართკუთხედის ფორმისაა, დაბალი, სადა ზედაპირით, გამოყენებულია კარების, ფანჯრების, კუთხეების და სხვა საკვანძო ადგილების შესავსებ-გასაფორმებლად; ფილების ზომებია: 22-22-5. გარკვეული ნაწილი მთელია და შეიძლება მათი მეორადად გამოყენება შენობის რესტავრაციის შემთხვევაში. ფილებით მოგებულია იატაკები და ბორდიურები, აგრეთვე ტერასის ზოგიერთი მონაკვეთი. რაც შეეხება კირქვებს, რომლებიც ალაგ-ალაგ იჩენს თავს, უფრო ძველი სასახლის ნანგრევები უნდა იყოს. მათი ჩართვა კედლებში, გრუნტის გასამაგრებელ ქვაყრილში

და სხვა ადგილებში უკვე მეორადი გამოყენებით ამის მანიშნებელია.

დღეისათვის უკვე ცხადია, რომ ეს სწორედ ის ორანჟერეა, რომელიც თავის დროზე დავით და ეკატერინე დადიანებმა აუშენეს იტალიიდან საგანგებოდ მონვეულ მებაღე-დეკორატიორ ჟოზეფ ბაბინს.

არსებული ვითარების მიხედვით ის რესტავრაციას ექვემდებარება.

**3) „საჯირითო“ (კოორდინატები X 243328 - Y 4711267)**


ძალიან მცირე მოცულობის სამუშაო ჩატარდა მესამე უბანზე, ორანჟერეასა და ჯვარე-



ჯვარედინა სასახლის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან (მარი ბროსის ჩანახატი და გეგმა)



სურ. 21



2

დინა სასახლეს შორის მოქცეული შენობის ნანგრევებზე, რომლის მხოლოდ ორი - ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი - კედლების ნაშთებია შემორჩენილი. ეს ნანგრევები პროექტში „საჯირითო“ მოედნადაა ნოდებული. აქ, შენობის აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნება, რომ არსებული კედელი უფრო ძველ ნაგებობაზეა დაშენებული. გარდა ამისა, გამოიკვეთა პარალელური და მკვეთი საძირკვლის ფრაგმენტებიც. მოხერხდა შენობის დასავლეთი კუთხის დაჭერაც (სურ.20). სამუშაოებს ართულებენ ის მრავალწლიანი ხეები, რომლებიც მის შიდა და გარე პერიმეტრზეა ამოზრდილი. ეს ხეები თავად წარმოადგენენ კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს და ამავე მემკვიდრეობის მეორე არქეოლოგიურ-არქიტექტურული ნაწილის ცალკეული დეტალების გამოსავლენად მათთვის ფესვების დაჭრა და გახმობის საშიშროების წინაშე მათი დაყენება გაუმართლებელი უნდა იყოს.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის კუთხეში, სადაც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ბუხარი უნდა ყოფილიყო და რომლის თავზეც მეოცე საუკუნეში აგურითა და ცემენტით უხეშად ნაშენი კედელია ჩართული, უნდა მოინგრეს და მოიშალოს.

სხვა მხრივ ამ ეტაპზე სჯობს ეს „საჯირითო“ იმ სახით დაკონსერვდეს, როგორც არის შემორჩენილი.

**4) ჯვარედინა სასახლე (კოორდინატები X 243371 -Y 4711404)**

როგორც იონა მეუნარგია გვაუწყებს „სასახლის ცოტა მოშორებით, ორანჟერიის გადაღმა, მთავარმა ააშენა სასტუმრო სახლი, რომელიც აღწერილი აქვს თავის მოგზაურობაში საქართველოს მეისტორიე მარი ბროსეს. ეს სახლი იყო ორსართულიანი, ჯვარედინად აგებული. ქვედა სართულში, რომელიც ქვისაგან იყო აშენებული, თავსდებოდა მრავალი სასტუმრო ოთახი. ზედა სართულში იყო La sale de banquets, სასტუმრო, სალხინო ზალა. ამ სახლს, რომელშიაც იყო მონვეული ბროსე აღდგომის ღამეს, 1848 წელს, ის ამგვარად აღწერს: ზედა სართულიც ჯვარის მსგავსად არის აგებული ფიცრისაგან. ერთ ღამაზე კიბეს, რომელიც ასცილდება თუ არა მიწას, მალე იყოფა ორად, აყავს კაცი ზედა დარბაზში. დარბაზის შუაგულ ადგილას არის გაშლილი ჯვარისავე მსგავსი სუფრა, 32 კაცის დასატევი. ეს სუფრა არის გამზადებული მთავრის ოჯახისა და დარბაზის ერისათვის; დარბაზის ზედაპირი გამშვენებულია კოლოფის მსგავსად გამონეული ჩუქურთმებით გამშვენებულ შავად



და ყვითლად შეღებილი ხის ჭერით, რომელზედაც ჰკიდია ხის ჯაჭვი კანდელისათვის გამზადებული. ოთხსავე მხარეს კედლის გაყოლებაზე არის მიდგმული სკამები, რომელზედაც ეტევა სამასზე მეტი კაცი და, როცა მაგიდებს მოუმატებენ, – 500 კაციც. თითოეულ დარბაზს აქვს მსგავსადვე გამშვენებული ჭერი და სკულპტურა“. მოყვანილი ციტატიდან კარგად ჩანს დაწვრილებითი აღწერილობა შენობისა, რომელსაც თავის დროზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სამთავროს რეზიდენციაში. გარდა სიტყვიერი აღწერისა, მარი ბროსემ დაგვიტოვა ამ დარბაზის გეგმა და ჩანახატი (სურ.21). მიუხედავად ამისა, მისი ზუსტი მდებარეობა მოცემულ ტერიტორიაზე 2015 წლამდე უცნობი იყო.

2015 წლის გაზაფხულზე ბალის ცენტრალურ ნაწილში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეკალბარდებსა და მრავალწლიან ხეებს შორის ჩაკარგულმა ქვითა და აგურით ნაგებმა კედლის ნანგრევებმა. ის დაფიქსირებული არ იყო არც ბალის გენგეგმაზე და არც ტოპორუკებზე. მისმა დათვალიერებამ და კედელთა უცნაურმა – არაორდინალურმა მიმართულებებმა გააჩინა ეჭვი ამ ნანგრევების ბროსეს მიერ აღწერილ ჯვარედინა სასახლესთან გაიგივებისა. გადანყდა მისი არქეოლოგიურად შესწავლა.

ამავე წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ამ უცნობი სასახლის ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები. დასაწყისში იგი მცენარეული საფარისგან განთავისუფლდა. შემდეგ გატანილი იქნა თანამედროვე ნაგვის საკმაოდ სქელი ფენა, რომლის შემდეგაც კედლებს მოვაშორეთ ამავე კედლებიდან ჩამოშლილი ქვა და აგური. ნაგებობამ შეიძინა გარკვეული კონფიგურაცია. დადასტურდა, რომ იგი მარი ბროსეს მიერ აღწერილი ჯვარედინა სასახლე იყო. ამ კამპანიის დროს გამოვლინდა სამი სექციისგან შემდგარი დარბაზი: დომინანტია ოვალური ფორმის ცენტრალური დარბაზი, დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, მისი შიდა ზომებია: სიგრძე – 20,5 მ. სიგანე – 9 მ., გარე ზომაა, სიგრძე – 22 მ. სიგანე – 10,6 მ. შემორჩენილი სიმაღლე ალაგ-ალაგ 3 მ-მდე აღწევს. ოვალის მომრგვალებული რკალები დანახნაგებულია. ყველა ნახნაგი აგურითაა ამოშენებული და მათში, ასევე, დანახნაგებული 25-30 სმ. დიამეტრის მქონე ხის ძელები ყოფილა ჩაშენებული, რომელთა ანაბეჭდები ზოგან ახლაც ნათლად იკითხება. კედლების ძირითადი ნაწილი შერჩეული რიყის ქვისაგან ე.წ. თევზიფხური წყობითაა ნაშენი. როგორც ჩანს, დარბაზიც სამ ნაწილადაა დაყოფილი შიდა კედლებით. მათი კვალი შეინიშნება დასავლეთსა და აღმოსავლეთ მონაკვეთებ-

ში. ოვალურ დარბაზს ჩრდილოეთის მხრიდან მიდგმული აქვს ნახევარწრიული ფორმის სათავსო, შიდა ზომებით: 6,5 მ. 3 მ. ნახევარწრიული რკალიც დანახნაგებულია და აქაც ნახნაგები აგურითაა ამოყვანილი. მესამე სექციად მივიჩნევთ მცირე ზომის სათავსოს (ზომები: 1,7 მ:1,9 მ.), რომელიც ოვალურ დარბაზს მიშენებული აქვს სამხრეთ-დასავლეთიდან. მასში შემავალი კარი აღმოსავლეთის მხრიდანაა ძირითადი სექციის გარეთ. თვით დარბაზში შესასვლელი სამი მხრიდანაა მოწყობილი. ერთი კარი სამხრეთიდანაა, მეორე ჩრდილო-დასავლეთიდან, ხოლო მესამე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. სამივე კარის ჩარჩოების ჩასაყენებელი ადგილების ქვედა ნაწილები შემორჩენელია და კარგად იკითხება. მეოთხე კარი დარბაზიდან ჩრდილოეთ სათავსოში გადის. ეს ნაწილიც აგურითაა ამოშენებული. შემორჩენილია ორი ბუხარი. ერთი დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კედელზეა მიდგმული და ის ორ სექციანია, მეორე ბუხარიც, ისევე როგორც მ. ბროსეს გეგმაზეა მინიშნებული, ჩრდილოეთის სათავსოს აღმოსავლეთ კუთხეშია ჩაშენებული. მესამე ბუხრის ადგილად მ. ბროსეს დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი აქვს მონიშნული, მაგრამ ბუხრის ნაშთი აქ ჯერჯერობით არ ჩანს. ის შესაძლოა გაუთხრელ ნაწილში აღმოჩნდეს. კედლების შიგნიდან 0,5-1 მ. სისქის ნაშალი ფენის ალების შემდეგ გამოჩნდა შესანიშნავად მოწყობილი იატაკი, შედგენილი კვადრატული ფორმის აგურებისგან (აგურის ზომებია: 20:20:2 სმ.). იატაკი მთლიანადაა შემონახული ჩრდილოეთ სათავსოში, შედარებით კარგად – დარბაზის დასავლეთ ნაწილში და ცუდად – აღმოსავლეთ ნაწილში. საყურადღებოა, რომ აგური დაწყობილია რიყისქვით გამართულსა და კირხსნარით მოსწორებულ სუბსტრუქციაზე.


შენობის პერიმეტრს გარედან 1 მ. დაშორებით შემოსდევს ვერტიკალურად ჩასმული ერთპირი აგურების ბორდიურა. ბორდიურს გარედან რიყის ქვის კენჭებისაგან შემდგარი ქვაყრილი (ტროტუარი) შემოუყვება (სურ.22).

სავარაუდოა, რომ ბორდიურსა და შენობის კედლებს შორის დარჩენილ სივრცეში ყვავილნარი ყოფილიყო გაშენებული. ასევე, ბორდიურსა და შენობის კედლებს შორის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში აგურით ნაშენი სვეტის ძირები დაფიქსირდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, მ. ბროსე აღნიშნავს: „თითოეულ დარბაზს აქვს გამშვენებული ჭერი და სკულპტურა“. ჭერისა არაფერი ვიცით, მაგრამ კირქვისგან ბრწყინვალედ დამუშავებული სხვადასხვა სკულპტურის ცალკეული დეტალები მრავლად აღმოჩნდა ცენტრალური



ჯვარედინის სასახლე, ზედი სამხრეთ დასავლეთიდან



დარბაზის დასავლეთ მონაკვეთში. აქვე აღმოჩნდა მარმარილოსაგან დამზადებული მრგვალი მაგიდის საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტებიც. უნდა აღინიშნოს კირქვისგან დამზადებული მომრგვალებული კარნიზი. იგი შესაძლოა, იმ კარის ზედა ნაწილი იყოს, რომელიც ბროსესეულ ჩანახატზე, სავარაუდოდ, ჩრდილო-დასავლეთის კარზეა მინიშნებული. აქ მოპოვებული სხვა არტეფაქტებიდან ყურადღებას იქცევს: რკინის ლურსმნები, ჯაჭვი, ცხენის ნალი, მინის ჭიქები და მინისავე ცალყურა კათხა, რომლის მსგავსიც დადინების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კოლექციებშია დაცული.

მართალია, მ. ბროსესეული გეგმა, არქეოლოგიური გათხრების მიხედვით გამოვლენილი ნა-

გებობა და გათხრების შემდეგ შესრულებული გეოდეზიური ანაზომი ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს (სურ.23), მაგრამ არის ცალკეული განმასხვავებელი ნიუანსებიც. მაგალითად: ბროსეს გეგმაზე არაა სამხრეთის მცირე მინაშენი, არაა მინიშნებული შესასვლელები და ცენტრალური დარბაზის შიდა გეგმარება. მიუხედავად ამისა, მათი იგივეობა ეჭვს არ იწვევს. საფიქრალია, რომ ეს შენობაც განადგურდა ცნობილი ისკანდერ ფაშას მიერ გაჩენილი ხანძრის დროს. ამაზე მეტყველებს აქ შენიშნული ხის ნახშირის ფრაგმენტები და ცეცხლის კვალი სკულპტურის ფრაგმენტებზე.

2018 წლის განმენდითი სამუშაოები ჯვარედინის სასახლეში დაიწყო ჩვენ მიერ 2015 წელს გამოვლენილი და დაცვის მიზნით დაკონსერვებული მონაკვეთების განმენდით. პირვანდელი სახის აღდგენის შემდეგ დავინყეთ ნაყარის გატანა იმ მონაკვეთებიდან, რომლებიც 2015 წელს შეუსწავლელი დარჩა. ეს ადგილები იყო შიდა ოვალური დარბაზის ნაწილი და გარე პერიმეტრის ცალკეული მონაკვეთები.

ოვალური დარბაზის სრულყოფილი განმენდის შემდეგ აქ სამი იზოლირებული ოთახი დაფიქსირდა, ხოლო შუა ნაწილში, გრძივად, გამჭოლი ფართო დერეფანი. ოთახებსა და დერეფანს შორის არსებული 0,3 მ-ს სისქის გამყოფი კედლები საძირკვლამდეა დანგრეული (გეგმა 25, ჭრილები). სასახლის გარეთა კედლების საძირკველი 0,5 მ-ის სიღრმეზეა ჩაჭრილი გრუნტში, შიდა კედლების საძირკველი 0,3 მ-ით; კედლების სიფართოეც შესაბამისად საშუალოდ 0,7-0,4 მ-ია.

**დერეფანი.** ჯვარედინის სასახლის აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს არსებულ კარებს შორის დაფიქსირდა 2,5 მეტრის სიფართოვის და 13 მეტრის სიგრძის დერეფანი. მას ტრაპეციის ფორმა აქვს, ჩრდილოეთის მხარეს კედლის სიგრძეა 8 მ., სამხრეთისა 13 მ., დასავლეთისა და აღმოსავლეთის ირიბი კედლებისა 3-3 მ., ფართობი დაახლოებით 11 მ<sup>2</sup>-მდეა. დერეფანი ფილებითაა მოგებული, მხოლოდ მცირე მონაკვეთია დაზიანებული აღმოსავლეთის მონაკვეთში. დერეფნიდან ცალ-ცალკე შესასვლელებია ჯვარედინის სასახლის ოვალურ მონაკვეთში არსებულ სამ იზოლირებულ ოთახთან, რომლებიც ასე დაინომრა დასავლეთით მე-2, ცენტრალური პირველი და აღმოსავლეთით მე-3 ოთახები, ჩრდილოეთით მე-4 ოთახია. მეორე, მესამე და მეოთხე ოთახები ნახევარწრიული ფორმისაა, პირველი – მართკუთხა.

**პირველი ოთახი** სასახლის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული. იგი სამი მხრიდან 0,3 მ-ის სისქის შიდა კედლებით, სამხრეთიდან კი 0,8

მ-ის სისქის გარეთა კედლითაა შემოსაზღვრული. მას ორი კარი აქვს. ერთი სამხრეთითაა, კედლის დასავლეთის მონაკვეთში. კარების ჭრილი ტრაპეციული ფორმისაა, ვიწრო ნაწილი ოთახისკენაა მიქცეული, კარგად ჩანს კარის ჩარჩოს ოთხკუთხა ჭრილი, რომელიც, ასევე, ოთახის მხარესაა მოქცეული. მეორე კარები ჩრდილოეთითაა, კედლის ცენტრალურ ნაწილში. კარების ადგილი კარგადაა დაფიქსირებული კირქვის მოზრდილი ნათალი კვადრით. კედელი დაზიანებულია. იგი გრუნტში 0,3 მ-ის სიღრმეზეა ჩაჭრილი. მეორე ოთახის იატაკიც ფილებითაა მოგებული, თუმცა ალაგ-ალაგ ძლიერაა დაზიანებული, დიდი ნაწილი აყრილია და კარგად ჩანს ნიველირებისთვის გრუნტზე გამართული ქვაყრილი, რომელშიც ალაგ-ალაგ დამუშავებული კირქვის ფრაგმენტებია ჩართული. ქვებს შორის არსებული სივრცე ზოგან თიხითაა შევსებული, ზოგან კი – ყვითელი ქვიშით. როგორც აღვნიშნეთ, მეორე ოთახშია მოქცეული პირველ ოთახში დაფიქსირებული ბუხრის მეორე ნაწილი. ოთახის ზომებია: 7,5:6,9 მ. ფართობი 52 მ<sup>2</sup>. მეორე ოთახის იატაკზე, სამხრეთის მონაკვეთში ჩექმის ფორმის თიხის სასმისი დაფიქსირდა. აგრეთვე მოჭიქული ქოთნის ფრაგმენტები. აღსანიშნავია შედარებით ადრეული იერის მატარებელი მწვანედ მოჭიქული ჭურჭლის ძირქუსლის აღმოჩენის ფაქტი. ის იატაკის ქვეშ, ქვაყრილში, აღმოჩნდა. ეს არტეფაქტი აქვე ახლოს შესაბამისი ეპოქის სასახლარის არსებობაზე მიგვანიშნებს.

**მეორე ოთახი.** როგორც აღვნიშნეთ, იგი ჯვარედინა სასახლის დასავლეთ მონაკვეთშია და ნახევარწრიული ფორმა აქვს. ნაშალისა და ნაგვის 0,5 მ-ს სისქის ფენისგან მისი განმედიის შემდეგ იატაკის ცენტრალურ ნაწილში არსებულ დამწვარ-დანახშირებულ ფენაში სხვადასხვა სკულპტურისა და მაგიდის ფრაგმენტები დაფიქსირდა (სურ. 38 (1-7)), რომელთა შორის თიხის ქოთნის ფრაგმენტები და მინის ნამსხვრევები იყო ჩართული. მათი ალაგების შემდეგ აქ შესანიშნავად დაცული ფილებისგან შედგენილი იატაკი აღმოჩნდა. ყველა ფილა თავის ადგილზე იყო შენარჩუნებული. ოთახს დასავლეთის კედელი დანახნაგებული, ნახევარწრიული აქვს, რომელსაც აღმოსავლეთიდან სწორი 0,3 მ-ის სისქის კედელი საზღვრავს, რომელიც თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული. ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ბუხარია ჩაშენებული, რომელსაც აღნიშნული კედელი ორ ნაწილად ყოფს. ბუხრის დასავლეთი ნაწილი პირველ ოთახშია მოქცეული, მეორე ნაწილი – მეორე ოთახში. ბუხარი აგურით, ფილებითა და თეთრი ფერის დამუშავებული კირქვებითაა აშენებული. შემო-

რჩენილია მხოლოდ ბუხრის ქვედა ნაწილი. ბუხრის მილში კი ხეა ამოსული, რომელსაც იგი საგრძნობლად დაუზიანებია. ოთახში შესასვლელი კარების მხოლოდ ქვედა, საძირკვლის ნაწილია შემორჩენილი. ოთახის ზომებია 6,2:6,9 მ., ფართობი – დაახლოებით 44 მ<sup>2</sup> -ზე ცოტა ნაკლები.

**მესამე ოთახი** სასახლის აღმოსავლეთ მონაკვეთშია მოქცეული და მეორე და მეოთხე ოთახების ანალოგიურია. იატაკი აქაც ფილებისაა, თუმცა ცუდადაა დაცული. ერთადერთი კარებით იგი დერეფანს უკავშირდება. ბროსეს მიერ აქ ბუხრის არსებობა ამჯერად არ დადასტურდა. იგი უნდა ვივარაუდოთ სამხრეთის კედლის იმ ნაწილში, სადაც აგურის კედლის მცირე მონაკვეთია შემორჩენილი და მასზე მრავალწლიანი ჭადარია ამოსული. ზომებია: 6,3:6,9, ფართობი დაახლოებით 43 მ<sup>2</sup>.

**მეოთხე ოთახი** სასახლის ჩრდილოეთის მონაკვეთშია მოქცეული. ფორმით ის მეორე და მესამე ოთახების ანალოგიურია, ოღონდ შედარებით მცირე ზომისაა, სიგრძე – 6,2 მ., სიგანე – 4,2 მ., ფართობი დაახლოებით – 26 მ<sup>2</sup>. ფილების იატაკი სრულადაა შემორჩენილი, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არსებული ბუხრისა კი მხოლოდ ნაწილია დაცული. ბუხრის მილში ამოსულ ხეს იგი საგრძნობლად დაუზიანებია. ჩრდილოეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში ფანჯრის კვალი დაფიქსირდა.

სასახლის შიდა სივრცის გასუფთავებისა და გარკვევის შემდეგ მისი გარე პერიმეტრის გასუფთავება გაგრძელდა. როგორც აღვნიშნეთ, სასახლეს ირგვლივ ფილებისგან შედგენილი ბორდიური შემოუყვებოდა, რომელიც სრულად არ იყო შემოსაზღვრული. ამ ეტაპზე დამთავრდა მისი სრული გამოვლენა: ბორდიური კედლიდან 0,5 მ-დან 1,8 მ-მდეა დაცილებული და შენობას ირგვლივ შემოუყვება, მხოლოდ კარების მონაკვეთებში წყდება, აქ ის ფილის იატაკს უერთდება, როგორც დასავლეთის მონაკვეთშია, ან რკალს აკეთებს და კენჭების ყრილს საზღვრავს აღმოსავლეთი მონაკვეთის მსგავსად. რაც შეეხება სამხრეთის მონაკვეთს, აქ დასავლეთის მხარეს ბორდიური შენობაზე მიდგმულ სათავსომდე მიდის, აქ აკეთებს კუთხეს და ამ სათავსოს დასავლეთის კედელს უერთდება. აღმოსავლეთით ბორდიური მიდის სამხრეთი კედლის კუთხემდე, ქმნის კუთხეს და კედელს უერთდება კუთხიდან დასავლეთით ერთი მეტრის დამორებით. ფილები თანაბრადაა ჩანყობილი, მართალია, ზოგან დაზიანებულია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ის საგანგებოდაა ჩალაგებული და არქიტექტურული კომპლექსის მხატვრულად გაფორმების ელემენტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჯვარედინი სასახლე კიბის ვარდის ფეხსაცმელი



ბორდიურსა და კედელს შორის მინაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთში, სავარაუდოდ, ყვავილნარი იყო გაშენებული.

ბორდიურს გარედან 0,8 მეტრის სიფართოვის ნვრილი კენჭებით შედგენილი მოკირწყლული ტროტუარი შემოუყვება, ზოგან ეს წყობა ოდნავ ფართოვდება. იგი შენობას ირგვლივ შემოუყვება კიბის ერთი ბაქნიდან მეორე კიბის ბაქნამდე და მხოლოდ აღმოსავლეთით არსებულ კარებთან წყდება. აქ ის განზე უხვევს და რკალს აკეთებს. კენჭებს შორის არსებული ლიობი 3,8 მეტრია. დასავლეთის მხარეს არსებული შესასვლელი ოდნავაა დაფერდებული და ფილებით მოგებული იატაკი კენჭების ფენილით ბოლოვდება.

ამ კამპანიის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს მეორე სართულზე ასასვლელი კიბის უჯრედის აღმოჩენა (სურ.24), რომელიც ზუსტად იქ დაფიქსირდა, სადაც მ. ბროსე თავის აღწერილობასა და ჩანახატში მიუთითებს – „ერთ ლამაზ კიბეს, რომელიც ასცილდება თუ არა მინას, მალე იყოფა ორად“. როდესაც ნაგებობის სამხრეთით 4,3 მ-ის დაშორებით დაფიქსირდა ქვითა და აგურით ნაგები ერთი ბაქანი, მაშინვე გაჩნდა აზრი, რომ ამდაგვარი მეორეც უნდა ყოფილიყო, რაც დადასტურდა კიდევ. კვლავ გაჩნდა აზრი, რომ კიბეების შეერთების ადგილას უნდა ყოფილიყო ოთხი სვეტის ნაშ-

თი. თუ სვეტები ხის იყო, მათი დასამაგრებელი ფოსოები მაინც. მათი სავარაუდო ადგილის გამოთვლით ოთხივე სვეტის ჩასადგმელი ფოსო დაფიქსირდა. სამხრეთის ფოსოები აგურით, ჩრდილოეთისა კი ქვებით ყოფილა მოწყობილი (სურ. 33(3-4)). თვით სვეტები კი ხის უნდა ყოფილიყო. ჩანს, კიბე შედგება ორი თანაბარი ზომის ბაქნისგან, მათ შორის დაცილება 7 მეტრია. ისინი ქვითა და აგურითაა აშენებული, ზომები 2,4-2 მ. ნაპირებზე მოაჯირისთვის განკუთვნილი ფოსოებია. აქვე აღმოჩნდა მოაჯირის დასამაგრებელი ვერტიკალური სვეტის ძირი. იგი წარმოადგენს ოთხკუთხა პირამიდისებურ თავნაკვეთილ გათლილ ლოდს, რომელშიც პატარა ღრმულია სვეტის ჩასამაგრებლად. კიბის საფეხურების სიფართოვე 1,5 მ-ია. ბაქნებს შორის არსებულ მონაკვეთში კიბის შემაერთებელი მოედნის ოთხი ხის სვეტისთვის ქვებით და აგურებით შეკრული ორმოებია. ამდენად, ეს არის ბაქნებიდან ამავალი კიბის ორი ნაწილი, რომლებიც გარკვეულ სიმაღლეზე ერთდება და ზედა სართულს უკვე ცალფად უერთდება, როგორც ეს ხსენებულ აღწერასა და ჩანახატშია. შენობის ნახნაგებში, თითქმის ყველგან, დაფიქსირდა 30 სმ-დე სისქის 8 ნახნაგა სვეტები, რომლებიც კედელში ვერტიკალურადაა ჩასმული, არ ვიცით მათი სიღრმე, მაგრამ დადგინდა, რომ შენობის ზედა ნაწილში აღარ ადის. სვეტები კედელშია მოქცეული, მაგრამ რა ფუნქციას ასრულებდნენ, ვერ გავიგეთ.

ასევე, პირველი ოთახის სამხრეთ კედელში, ვერტიკალურად, დაფიქსირდა პატარა ოთხკუთხა ჭრილი, სავარაუდოდ ხის სვეტისთვის. მისი დანიშნულებაც ვერ გავიგეთ. ამავე ოთახში, იატაკთან ახლოს რამდენიმე პატარა ოთხკუთხა ჭრილი იყო თანაბრად განლაგებული.

ჯვარედინა სასახლეში სამი შესასვლელია: ერთი სამხრეთიდანაა და პირველ ოთახს უკავშირდება; ორიც სასახლის შუაში არსებული დერეფნის თავსა და ბოლოში, აღმოსავლეთით და დასავლეთითაა განთავსებული. ეს შესასვლელები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან: უკეთესად შემორჩენილი დასავლეთის შესასვლელის მიხედვით: ჩრდილოეთის მხარე გარეთაა განეული და ფილებისგან შედგენილ ტროტუარს კეტავს; სამხრეთის კედელი, პირიქით, შიგნითაა შენეული და მეორე ოთახში შესასვლელ კარებს ებჯინება; შუა ნაწილში, კარების ჭრილთან, იატაკი ოდნავ შემადლებულია; ფილებით მოგებული შესასვლელი გარეთ გადის და კენჭებით მოკირწყლულ მოედანს უერთდება; გარეთ ის ოდნავ დაქანებულია. ალბათ ასეთივე სურათი იყო აღმოსავლეთით არსებულ შესასვლელშიც, რომელიც ცუდადაა შემორჩენილი.

ჯვარედინა სასახლეში არსებული შესასვლელის მიხედვით ჩანს, რომ შენობას ორი საფასადო შესასვლელი ჰქონდა. ერთი ზემოთ აღწერილი კარებია, რომელიც მარი ბროსეს ჩანახატის მიხედვით საკმაოდ პომპეზურად გამოიყურება – სვეტები, ჩუქურთმები, თალი და სხვა, რომელსაც ემატება ჩვენ მიერ აღმოჩენილი ტროტუარი და მოკირნლული მოედანი. ვფიქრობთ, ქვედა სართულის საფასადო მხარე სწორედ დასავლეთით არსებული შესასვლელის ეს კომპლექსი უნდა იყოს. რაც შეეხება შენობის სამხრეთით არსებულ და ჩვენ მიერ არქეოლოგიურად დადასტურებული პომპეზური კიბის უჯრედს, იგი შენობის ზედა სართულის ფასადის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. მიგვაჩნია, რომ შენობის კიდევე ერთი თავისებურება სწორედ ეს ორი საფასადო შესასვლელია, რომელიც ქვედა სართულს დასავლეთიდან, ზედას კი სამხრეთიდან ჰქონდა.

ამრიგად, ბროსესეული ჯვარედინა სასახლის თითქმის ყველა დეტალი (ცნობილია, მისი აღდგენის სურვილის შემთხვევაში იგი პირვანდელი სახით დაუბრუნდება ბოტანიკურ ბაღს და მისი სავიზიტო ბარათი გახდება, როგორც იშვიათი არქიტექტურული ნიმუში. ამ ეტაპზე კი აუცილებელია მისი სასწრაფო კონსერვაცია.

არტეფაქტები (სურ 25). ჯვარედინა სასახლეში აღმოჩენილი არტეფაქტებიდან აღსანიშნავია სკულპტურების და სვეტების ფრაგმენტები, მრავალფეროვანი ორნამენტებითა (გოფირებული, რელიეფური, ჭდეები, ღარები, ფოსოები, ფოთლები, სპირალისებრი ხეები, სხვადასხვა კომბინაციები და სხვა) და ცხოველსახოვანი გამოსახულებებით (ცხოველის ფეხის ნაწილები ბრჭყალებით, ფრინველის, ასევე, ფეხის ნაწილი კლანჭებით და სხვა). ისინი კირქვისგანაა დამზადებული, მაგრამ ხანძრის გამო ძლიერ დაზიანებულია და იოლად იშლება (სურ. 38; 39; 40). მსგავსი მასალა 2015 წლის კამპანიის დროსაც აღმოჩნდა. აგრეთვე ამავე მასალისგანაა დამზადებული სხვადასხვა ფორმის მაგიდის თავის ფრაგმენტები (ოვალური, მრგვალი, ნახევარწრიული, შუაში გახვრეტილი და სხვა); ორნამენტირებული ნაღესი; თიხის ჩექმა – განსხვავებული სასმისი? ორნამენტირებული გრეხილი სვეტებითა და ყვავილის ფორმის რელიეფური ნახევარწრიეებით; თიხის ქოთნების ფრაგმენტები, სადა და მოჭიქული, შესაძლებელია ერთი ქოთნის აღდგენა; თურქული ჩიბუხი; რკინის ნივთები: ლურსმნები, ნაღები, გასაღები. გასაღები მართლია, ცოტა მოშორებით აღმოჩნდა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ის ამ სასახლესთანაა დაკავშირებული; მინის ჭურჭლის ფრაგმენტი; ქვევრის ძირები, სარკმლის ფრაგმენტები და სხვა.



5) აგურით ნაგები თაღოვანი ხიდი (კოორდინატები X 243295 – Y4711353, X 243297 –Y 47111368)

ჯერ კიდევ 2018 წლის მაისში ჯვარედინა სასახლესა და ეკლესიას შორის მდებარე გაუქმებული სადრენაჟო არხის გასწვრივ შევნიშნეთ სტანდარტული ქართული აგურით ამოყვანილი 15 მ. სიგრძის გვირაბი. სავარაუდოდ, ისიც სადრენაჟო ფუნქციის მატარებელი წყალგამტარი უნდა ყოფილიყო. გვირაბი თალისებურადაა ამოყვანილი და თავსა და ბოლოში ისეთივე ქვის ბორდიურებითაა დაბოლოებული, როგორიც ბაღის ცენტრალურ ნაწილში არსებულ XIX საუკუნის ხიდები (სურ. 26). მათი კუთვნილი თლილი ქვები იქვეა მიმოფანტული.

მას შემდეგ, რაც ზუგდიდის მუზეუმის თანამშრომელთა ხელშეწყობით მოვახერხეთ შმიდტის მიერ შედგენილი ბაღის ტოპოგრაფიის გაცნობა, აშკარა გახდა, რომ ეს ობიექტი წარმოადგენს იმ ხიდის ნაშთს, რომელიც ამ რუკაზე ამავე ადგილასაა მონიშნებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ გვირაბის კარგად გამოჩენა, გამაგრება და მისი საექსპოზიციოდ მომზადება.

6) წყალმომარაგების სისტემა X 243532.250-Y 4711547.984 X 243400.725-Y 4711418.827 X 243290.24- Y 4711215.90 კოორდინატზე.

2018 წლის მაისიდან სექტემბრამდე სარწყავი და საკანალიზაციო სისტემის ტრასებზე ერთმეტჯერ გადაიკვეთა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გაყვანილი წყალსადენი, რომელიც რიყისა და ქვის დულაბში ჩასმული თიხის მილებითაა შედგენილი (სურ. 27)

არაერთ შემთხვევაში მომხდარა მათი უნებლიე დაზიანება. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ არ ჩატარდებოდა აღნიშნული მინის სამუშაოები, არც ამ წყალსადენის შესახებ გვექნებოდა არავითარი ინფორმაცია.

უკვე ვიცით, რომ ბოტანიკური ბაღის ტე-



სურ. 1



სურ. 2

სურ. 27




სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

სურ. 28



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10

რიტორიაზე წყალსადენი იწყება ლალიძისა და წმინდა გიორგის ქუჩების კვეთის მოპირდაპირე მხარეს, ახალ ლობესთან. მისი ერთი განშტოება „საჯირითოსა“ და ორანჟერეის გავლით მიდის ძველ სამთავრობო სასახლესთან (X24329024-Y4711215.90). აღსანიშნავია, რომ ორანჟერეის ჩრდილოეთი კედელი (ალბათ სამხრეთისა) დაშენებულია სწორედ ამ წყალსადენზე (სურ. 8). (X243306.50-Y4711236.80), საყურადღებოა, რომ წყალსადენის ამ მონაკვეთში მილების მთლიანობა ძველ დროშივეა ხელოვნურად დარღვეული. კედლიდან ერთი მეტრის დაშორებით წყვეტილია, ხოლო მილის ბოლოები საგანგებოდაა ამოქოლილი აგურის ნატეხებითა და კირის დუღაბით. ცხადი ხდება, რომ ორანჟერეის აშენებამდე ეს წყალსადენი უკვე არსებობდა და ის ხელოვნურად გააუქმეს მშენებლობის დაწყებამდე. მიზეზი ეს მშენებლობაა თუ სხვა რამ, არ ვიცით.

ჯერჯერობით დაზუსტებით არ ვიცით სამხრეთ-დასავლეთი განშტოების ზუსტი მარშრუტი. სავარაუდოდ, ის ეკლესიისკენაა მიმართული. ამის თქმის საფუძველს იძლევა ისიც, რომ ივნისის თვეში ეკლესიის აღმოსავლეთით ბაღის ტერიტორიაზე შენიშნული იყო თიხის მილის მცირე ფრაგმენტი.

ერთი რამ უდავოა, წყალსადენი ბაღის ტერიტორიაზე შემოდის ჩრდილო-დასავლეთიდან X243532.250-Y4711547.984 გეოგრაფიული კოორდინატებიდან და 14 სმ. დიამეტრის მქონე მილებით მიემართება სამხრეთ-დასავლეთით გამანაწილებელ კვანძამდე, X 243400.725-4711418.827 კოორდინატებამდე, საიდანაც უკვე 10 სმ. დიამეტრის მქონე მილებით მიედინება ერთის მხრივ, ეკლესიისკენ, სამხრეთ-დასავლეთით და, მეორეს მხრივ, სამხრეთით „საჯირითოსა“ და ორანჟერეის გავლით სამთავრობო სასახლისკენ, X243290.24-4711215.90 კოორდინატზე.

**7) წყალმომარაგების გამანაწილებელი X 243400.725-4711418.827**

ჯვარედინა სასახლიდან ჩრდილოეთით 90 მ-ის დაშორებით გამოვლინდა სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთი განშტოებების გამანაწილებელი კვანძი (ჭა). მან ზედაპირიდან 20 სმ. სიღრმეზე იჩინა თავი. ის ვიზუალურად წარმოადგენს 60 სმ. დიამეტრის მქონე ნახევარსფეროს. მასში 40 სმ სიღრმეზე ვერტიკალურადაა ჩასმული 20 სმ. დიამეტრის მქონე თიხის გამანაწილებელი, ე. წ. „ტრანიკი“, რომელიც გარედან საგულდაგულოდაა შემოლესილი და მიღებული აქვს

ნახევარსფეროსებრი ფორმა (სურ.28). ვფიქრობთ, ის უნდა დაკონსერვდეს და საჩვენებლად იქცეს.

**8) კუთხოვანი „მილსადენი“, გეოგრაფიული კოორდინატებია: აღმოსავლეთით X 243384-4711263, დასავლეთით X 243386-4711251**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თანაც უცნაური არქეოლოგიური ობიექტი ელექტროსადენებისთვის თხრილის გაჭრის დროს, მშენებარე ადმინისტრაციული სახლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სასმელი წყლის ჭასთან, მისგან 3-4 მეტრის დაშორებით გამოვლინდა. ამ თხრილში ცემენტისა და ქვიშის მაღალი ხარისხის ხსნარით (ბეტონის) ფორმირებული ოთხკუთხა განივკვეთიანი „მილები“ იქნა დაზიანებული ექსკავატორის მიერ (სურ. 29). ასეთივე „მილები“ ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში ორანჟურეასა და „საჯირითოს“ შორის სარწყავი მილების ჩასაწყობად გაჭრილ თხრილშიც იყო შენიშნული. ის მეორე სასმელი წყლის ჭისაგან ათიოდ მეტრით აღმოსავლეთით მდებარეობს.

აქაც და იქაც ეს უცნაური ოთხკუთხა მილები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არიან დამხრობილნი (სურ.6) და ამკარაა, რომ ისინი ერთი მთლიანი მილსადენის სხვადასხვა მონაკვეთებს განეკუთვნებიან, დიდი ალბათობით ერთ მთლიანს წარმოადგენენ.

არ ვიცით არც ამ უცნაური „მილების“ დანიშნულება. პრეპარაციის გაგრძელების შემდეგ გაირკვა, რომ ადმინისტრაციულთან მდებარე „მილების“ აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები ამოვსებულია კირის მასით, კირია შერჩენილი მილის იმ ფრაგმენტებზეც, რომლებიც ექსკავატორის მიერ ამოყრილ გრუნტში იქნა ჩვენს მიერ მოძიებული. იქვე, მახლობლად, თხრილში კარგად შეინიშნება კირის გროვაც. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთით მდებარე სასმელი წყლის ჭასთან, ორანჟურეასა და საჯირითოს შუაში გამოვლენილ ამგვარ მილებში კირის ნაშთი არ შეინიშნება. ამავე დროს, მათი შიდა განივკვეთიც უფრო დიდია. თუ პირველ შემთხვევაში ის უდრის 10:12 სმ-ს, მეორე შემთხვევაში ის 12:15 სმ-ის ტოლია და ეს ვიზუალურადაც შესამჩნევია.

ფაქტი ამკარაა, ოღონდ რა გაედინებოდა ამ უცნაურ მილებში, სად იღებს სათავეს და სად მთავრდება, არ ვიცით. დავძენთ, რომ მსგავსი მილსადენები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. მისი დანიშნულების მიმართ ინტერესი კი დიდია. ამჟამად ისინი მინითაა დაფარული.



სურ. 29



**9) ქვის კიბეები ხელოვნური ტბის სამხრეთ ნაწილში (კოორდინატები X 243487 -Y1711225)**

ხელოვნურ ტბაში მისი დაშრობისა და დასუფთავების დროს ნაპოვნი იქნა და ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე (კოორდინატები 243929 - 4711250) დაგროვილი დიდი რაოდენობის თლილი კირქვის ბლოკები (ახლა ისინი ორანჟურეასთანაა გადატანილი), რომელთა ნაწილი ორნამენტებითაა შემკული. ორ მათგანზე წარწერების კვალაცაა შემორჩენილი. ამ ბლოკების უმრავლესობა ტბაში არსებული ორი პატარა ხელოვნური კუნძულიდანაა ჩამოცვნილი. ერთ-ერთზე, დასავლეთით მდებარე კუნძულზე, ამგვარი ბლოკები ახლაცაა შენარჩუნებული. ისინი მრავლადაა ჩართული ტბის პერიმეტრზე ამოშენებულ კედლებშიც, რა თქმა უნდა მეორეჯერ გამოუყენებიათ. ორი ბლოკი კი ტბის სამხრეთ სანაპიროზე შეინიშნება. აქვე (კოორდინატები 243487 -1711225) შეჭრილია პატარა ყურეც, რომლის ბოლოში გამოჩნდა კარგად ნათალი კირქვებისგან აშენებული კიბე, უთუოდ რომელიღაც შენობაში შესასვლელი (სურ.30-31). შემორჩენილია 5 საფეხური. 70 სმ სიმაღლეზე,



სურ. 30



სურ. 31



სურ. 32

სიფართოვე კი 90 სმ.-ია. კიბე სიღრმეშიც გრძელდება, ხოლო ზედა ნაწილი თანამედროვე ბეტონის ფილითაა დაფარული და გვირაბის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთის გაგრძელება არ ვიცი. საფიქრალია, რომ ამ შენობის ქვედა ნაწილი 70 სმ. სიმაღლეზე მაინც უნდა იყოს გადარჩენილი.

აქედან გამომდინარე, მისი ზედა ნაწილის ნაშთი უნდა იყოს კირქვის ის ბლოკები, რომლებზეც გავამახვილეთ ყურადღება და რომლებიც, სავარაუდოდ, 1937-38 წლებში ამ ტბის რეკონსტრუქციისთვის გამოიყენეს (ამ დროს მიეცა ტბას დღევანდელი სახე).

კიბეებიანი შენობის მიმართ იბადება ლეგიტიმური კითხვა: ხომ არაა ეს ის შენობა, რომლის შესახებაც იონა მეუნარგია გვაუწყებს: „სამხრეთის მხრით იმ ადგილზე, საცაა აუზიდან გამოდის წყალი, იდგა თლილი ქვისგან აყვანილი საყავე, აქ მთავარი და მისი ოჯახობა წვეულებით მიირთმევდნენ ყავას“. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ გახდება შესაძლებელი, ამჟამად კიბეები დაკონსერვებულია.

**10) გადამწვარი ბათქაშისა და კერამიკის ფრაგმენტებისგან შემდგარი კულტურული ფენა (კოორდინატები X 243667 –Y 4711113)**

მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩავატარეთ ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთშიც. აქ ჩვენ გასული წლის 17 მაისს შევნიშნეთ დიდი რაოდენობით გადამწვარი ბათქაშისა და სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლის ნატყეხები. ამ ობიექტის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც დადიანების დროს ტოპოგრაფ შმიდტის მიერ შედგენილი ბოტანიკური ბაღის გეგმაზე მუშაობის დროს გამოჩნდა, რომ ამ მონაკვეთში ვენახები იყო მონიშნული. გაჩნდა ვარაუდის საფუძველი, რომ აქ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ვენახი უნდა ყოფილიყო გაშენებული, შესაძლოა, სანერგეც ვაზის ახალი ჯიშების გამოსაყვანად. სავარაუდოა, რომ დაფესვიანება უკვე ორანჟერეაში საგანგებო სათავსოებში ხდებოდა, რომლებიც, ასევე, გასულ წელს იქნა მიკვლეული და გამოვლენილი.

ზედაპირულად განმენდის შემდეგ გამოჩნდა ბათქაშისა და მრავალრიცხოვანი ჭურჭლის ფრაგმენტებისგან შედგენილი კულტურული ფენა. გადამწვარი ბათქაშისა და მონითალოდ გამომწვარი ჭურჭლის მრავალრიცხოვნების გამო ფენა მონითალო შეფერილობისაა და მკვეთრად გამოირჩევა ყვითელი თიხნარის ფონზე.



იმედი გვექონდა, რომ ყვითელ თიხნარში უძრავ მდგომარეობაში შემორჩენილი ქვევრის ქვედა ნაწილი მაინც იქნებოდა შემორჩენილი. თუმცა იმ მონაკვეთში ის არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მრავლად დაფიქსირდა ქვევრების, დერგების, ქოთნებისა და სარქველის პროფილირებული ფრაგმენტები.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ამ ფენის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ხემასალით ნაგები მსუბუქი კონსტრუქცია, ფაცხის ან ჯარგვლის ტიპის შენობა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მარანი ან მევენახეთა საცხოვრებელი სახლი და რომელიც საკმაოდ ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურდა (სურ. 32).

აღნიშნული ფენის მახლობლად (კოორდინატი: X243687-Y4711190) არქეოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოულოდნელობა შემოგვთავაზა მშენებლობის მენეჯერმა ავთანდილ მამულაშვილმა. საქმე ისაა, რომ 5 ნოემბერს მან ყურადღება მიგვაქცევინა საოფისედ დროებით გამართული ვაგონების უკან ძირფესვიანად მოთხრილი ერთ-ერთი ასწლოვანი რცხილის ძირზე, რომელიც ამოტრიალებული (ფესვებით მალლა) იდო (სურ.6).

ავთანდილ მამულაშვილმა შენიშნა, რომ ფესვებში კერამიკის ფრაგმენტები იყო შერჩენილი. მოთხრის ადგილიდან ხე 15-20 მეტრითაა გადაადგილებული. მან თვითონვე იპოვა და შეაგროვა ჭურჭლის ათიოდე ნატეხი, რომლებიც, მისი აზრით, ფესვებში შერჩენილი ფრაგმენტების ნაწილი უნდა ყოფილიყო (ეს ასეც დადასტურდა).

მას შემდეგ, რაც ეს ფესვები დავათვალიერეთ და შერჩენილი ნატეხები ფოტოზე აღვებეჭდეთ, დავინყეთ მისი პრეპარაცია.

პრეპარაციის პირველივე ეტაპზე ნათელი გახდა, რომ მოზრდილი დერგის ან კოკის ქვედა ნაწილთან გვექონდა საქმე. შიგთავსი ქვალორღითაა ამოვსებული. შეგროვებული ფრაგმენტებიდან ერთ-ერთი ძირის ფრაგმენტი აღმოჩნდა და ფესვებში გაჩრილ ჭურჭლის დანარჩენ ნაწილებს მიუდგა. ძირის ფორმა აღდგა. ჭურჭელს მიუდგა და შევანებეთ დანარჩენი ნატეხების ცალკეული ფრაგმენტებიც.

გამოჩნდა, რომ ეს ჭურჭელი მანამ, სანამ მასზე, დაახლოებით 100 წლის წინათ, ეს რცხილა ამოიზრდებოდა, ვერტიკალურად ყოფილა მიწაში ჩადგმული, შემდეგ ამ რცხილას მის მუცელში გაუდგამს ფესვები, გაუტეხია და ამჟამად ალაგ-ალაგ გარეთაა გამოზრდილი.

ჭურჭლის მუცელი, რომლის დიამეტრი 50 სმ-ს აჭარბებს, დაბზარული იყო. იმისათვის, რომ ჭურჭელი ამ ბზარების გამო არ დაშლილიყო.



სურ. 32



სურ. 33

წებო „პივიათი“ შევანებეთ. ცარიელი ადგილები, ჩვენი თხოვნით, ცნობილმა კერამიკოსმა რობერტ აბსანძემ თაბაშირით ამოავსო. ჭურჭლის ქვედა ნაწილის ფორმა სრულად აღდგა (სურ.33). გავამაგრეთ კიდეც. თაბაშირი რომ სინესტისგან არ დაშლილიყო, რამდენიმეჯერ გაჯვლინეთ ზეითით.

ზედა ნახევრის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ხის ფესვებითაა გადაფარული. მხოლოდ ერთი მცირე ფრაგმენტი, რომელიც ამავე ჭურჭლის პირის გვირგვინი უნდა იყოს, მიმოფანტულ ნატეხებს შორის აღმოჩნდა. ის ზემოდან დაბრტყელებულია და სიბრტყეზე ტალღისებრი ორნამენტი ამკობს. ამ დერგის თუ კოკის მთელი ზედაპირი სველ თიხაზე შესრულებული ნაფოტისებრი იარაღით დატანილი ზიგზაგებითაა დაფარული.

თიხა უხეშია, მინარევიანი, კეცი მონითლო-აგურისფერი, კეცის სისქე 0,5 სმ-ს უტოლდება.

ავთანდილ მამულაშვილს გაუჩნდა აზრი, რომ ხსენებული ექსპონატი შევინარჩუნოთ ისეთ მდგომარეობაში როგორშიც ამჟამადაა. ეს აზრი გაიზიარეს „ჯავის“ ფინანსურმა და ტექნიკურმა



სურ. 34



სურ. 35



სურ. 36

დირექტორებმა გიგა ჯავახიძემ და ავთო კეკელიძემ.

რა თქმა უნდა, საჭირო გახდება მისი შესაბამისი კონსერვაცია, შესაფერის ადგილზე გადატანა და საექსპოზიციოდ მომზადება, ანუ სანახაობის შექმნა.

**11) უცნობი შენობის საძირკვლები ვლადიქერნის ეკლესიის უკან (კოორდინატები: X2432 73-Y47 11 364).**

ახალი ლობისათვის ფუნდამენტის გაჭრის დროს თავი იჩინა და ნაწილობრივ დაზიანდა კიდევ უცნობი შენობის კედლის საძირკვლები. 16 მეტრის მანძილზე 1 მეტრი სიფართოვის სამი კედელია გამოვლენილი. კირის დულაბითა და რიყის ქვებით ნაგები სხვადასხვა კედლის საძირკვლები აღმოსავლეთიდან დასავლეთით არიან დამხრობილნი, მათი ბოლოები, ერთის მხრივ, ბოტანიკურ ბაღში ვრცელდება, ჩვენ მიერ გამოვლენილი აგურით ნაგები გვირაბისებური წყალსადენის მიმართულებით, მეორე მხრივ კი, ეკლესიის უკან მუზეუმის ეზოში გადის და გაუთხრელ ფართობში უჩინარდება. პირველი ორი კედელი (ჩრდილოეთიდან სამხრეთით) ლობის ფუნდამენტის გაჭრილი თხრილის 1,4 მეტრიან მონაკვეთში იკითხება და ისინი ექსავატორის მიერ 0,4–0,5 მეტრამდეა ჩაჭრილი. მანძილი ამ ორ კედელს შორის 4 მეტრია. მეორე, ანუ შუა კედლიდან სამხრეთით 7,6 მ. მანძილზე ჩანს მესამე კედლის საძირკვლის ნაშთიც. მის დასავლეთით თლილი ქვისგან ნაგები მართკუთხა ფორმის პატარა პლატფორმაა შემორჩენილი (ზომებით 0,5მ–1,1მ). მისი აღმოსავლეთი მხარე მონგრეულია, დასავლეთი კი გაუთხრელ ფართობში შედის.

ამ კედელს აქვს გაგრძელება სამხრეთითაც, მასზე მიბმული კედელი თხრილის მიმართულებით – ჩრდილოეთიდან სამხრეთითაა დამხრობილი და 6 მ. სიგრძეზე გრძელდება. მას, თავის მხრივ, სამხრეთით ებმის კიდევ ერთი კედელი, რომლის ორივე მხარე აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც გაუთხრელ ფართობში შედის.

საერთო ჯამში ჯერჯერობით უცნობი შენობის საძირკვლები ბალის ამ მონაკვეთში 16 მ. სიგრძეზე იკითხება. მათი მოცულობა და განვრცობა, როგორც მუზეუმის, ასევე, ბოტანიკური ბალის მხარეს, უცნობია (სურ.34).

წერილობით წყაროებში ფიქსირებულია, რომ ვლადიქერნის ღვთისმშობლის ტაძრის გვერდით, არხის გადმოღმა, სამთავრობო კანცელარიის შენობა მდგარა, არხის გადაღმა კი რუსული კანცელარიისა (ი. მეუნარგია). სამთავრობო სასახლის მახლობლად, ბალის დასაწყისთან, მდგარა 24 ოთახიანი ფიცრული სახლიც, რომელშიც სასახლის მოსამსახურენი ცხოვრობდნენ.

ჩამოთვლილთაგან რომელი შენობის ნანგრევებია ჩვენ წინაშე, ჯერ არ ვიცით. ეს, შესაძლოა, გაირკვეს იმ შემთხვევაში, თუ აქ ოდესმე ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდება.

ამჯერად კი გვინევს ფაქტის კონსტატაცია, რომ აქ, ამ ადგილზე, საკმაოდ ძლიერ საძირკვლზე სოლიდური შენობა უნდა ყოფილიყო დაშენებული, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით 16 მ. სიგრძეზე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთიდან დასავლეთით კი არ ვიცით, რამდენი მეტრი იყო.

დღეისთვის აღნიშნული შენობა-ნაგებობის ნაშთის 0,6 მ. სიფართოვის ზოლი ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაიფარა ახალი ლობის ფუნდამენტით. დანარჩენი ნაწილები კი ამჟამად მინითაა დაფარული და დაინტერესების შემთხვევაში მისი არქეოლოგიურად გათხრა შესაძლებელი გახდება.

**12) უცნობი შენობის ფრაგმენტები ბალის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში X 243318.40-4711502.40 და X 243312.60-Y4711479.73 გეოგრაფიულ კოორდინატებს შორის.**


დღემდე უცნობ შენობათა რიყის ქვით ნაგები კედლების საძირკვლები გამოვლინდა სარწყავი სისტემის გამართვის დროს ბალის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთშიც, ჩრდილოეთის ლობიდან 20 მ., ხოლო დასავლეთის ლობიდან 22 მ. დაშორებით, ოცდაოთხ მეტრიან მონაკვეთში ოთხი კედლის ნაშთია გადაკვეთილი (სურ.35-36). უცნობია, ისინი ერთ შენობას ეკუთვნის თუ სხვადასხვას. ასევე, გაურკვეველია მათი ქრონოლოგია, დანიშნულება და პარამეტრები. ეგ გაირკვევა იმ შემთხვევაში, თუ კი აქ ოდესმე ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები. მანამდე კი მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით უნდა დაგვკმაყოფილდეთ. დღეისთვის კი ისიც მინითაა დაფარული.

**13) გათლილი კირქვები, სვეტის ბაზისები და კულტურული ფენები ბალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ლობესთან, გაზის შემოყვანის დროს NN16 საკანალიზაციო ჭასთან (X 243310-Y4711079 კოორდინატებზე)**

ის გამოვლინდა დღეისთვის არსებული ლობის ჩრდილოეთით, N16 საკანალიზაციო ჭასთან მაშინ, როდესაც გათხარეს ტრანშეა ბუნებრივი გაზის მილისთვის. ობიექტი წარმოადგენს კარგად ნათალი კირქვის ბლოკებისგან აგებულ საძირკველს ან ზეძირკველს... და დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ლობის პარალელურად. მისგან 3 მ-ის დაშორებით. ჯერჯერობით მხოლოდ 2 მეტრიანი მონაკვეთი ჩანს (სურ. 37). მისი გაგრძელება კი სამხრეთით და აღმოსავლეთით ბალს გარეთ ივარაუდება. წერილობითი ცნობებით ამ მიდამოებში უნდა მდგა-



სურ. 37



სურ. 38



სურ. 39



სურ. 40



სურ. 41



რიყო სალომე და აშილ მიურატების ცნობილი სასახლე, რომელიც სხვათა მსგავსად ცეცხლმა იმსხვერპლა,

**14) აქამდე უცნობი არქეოლოგიური ობიექტი ბოტანიკური ბაღის სამხრეთ ნაწილში (X 243503-Y4711029)**

ეს ობიექტი შენიშნა და მონიშნა ბაღის მშენებლობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, საქმის მწარმოებელმა გურამ როზომაშვილმა (სურ.38-39).

მან ყურადღება მიაქცია მოცემულ კოორდინატებზე არსებულ საშუალო ზომის რიყის ქვების გროვას, რომელთა ნაწილი ერთმანეთთან დულაბით იყვნენ დაკავშირებულნი. მანვე სხვადასხვა უბანზე მუშაობის პროცესში არაერთი არტეფაქტი იპოვა და გადასცა არქეოლოგიურ სამსახურს.

ამა წლის სექტემბერში მოგვეცა საშუალება გაგვენიშნა არქეოლოგიური ნიშნის მქონე აღნიშნული ფრაგმენტები. შეზღუდული მასშტაბის სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ქვების ხსენებული გროვა წარმოადგენს აქამდე უცნობი მცირე ზომის ნაგებობის ნაშთს. ამკარად იკითხება, რომ ეს ნაგებობა ნაშენი ყოფილა დაუმუშავებელი რიყის ქვებით, ნაწილობრივ გათლილი კირქვებითა და აგურით (სურ.16). შენობა საძირკვლის დონემდეა განადგურებული. მხოლოდ მცირე მონაკვეთშია გადარჩენილი ქვების ორპირი წყობა და ერთმანეთთან დულაბით შეკავშირებული ექვსიოდე აგური. შენობის საძირკველი მიწაში ღრმად არ ჩადის, რაც მიუთითებს, რომ ის მსუბუქი კონსტრუქციისა უნდა ყოფილიყო. ის არც სივრცეში უნდა ყოფილიყო დიდ ფართობზე განფენილი, რადგან არც დასავლეთით, არც ჩრდილოეთით და არც სამხრეთით მისი განვრცობა არ დასტურდება. მხოლოდ სამხრეთიდან აქვს გაგრძელება, მაგრამ ამ შემთხვევაში ის შედის ახლად გაყვანილი და უკვე მოშანდაკებული ბილიკის ქვეშ. ცხადია, ბილიკს ვერ ავყრიდით და მის ქვეშ არქეოლოგიურ გათხრებს ვერ ჩავატარებდით. ნაგრეველებში მხოლოდ სამი ცალი სხვადასხვა ზომის ნაჭედი ლურსმანი და გაურკვეველი მინის ჭურჭლის რამდენიმე ნამცეცი იქნა მოპოვებული. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნიკო დადიანის დროს შმიდტის მიერ შედგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზე აქ ჩანს მხოლოდ ვენახი და ჭადრების ხეივანი. არავითარი მინიშნება აქ რაიმე ნაგებობის არსებობის შესახებ არაა.

ამავე დროს, აშკარად ჩანს იმ ჭადრების რიგი, რომელიც დღესაცაა შემორჩენილი. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ჭადრები აქ იმ დროსაა გაშენებული, როდესაც ეს შენობა უკვე ნანგრევებად იყო ქცეული, ესე იგი ხსენებული გეგმის შედგენამდე, მეოცე საუკუნის დამდეგამდე. რა დანიშნულებისა და ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო ის, ჩვენ არ ვიცით. რადგან გეგმაზე აქ ვენახებია მონიშნული, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ მევენახის საცხოვრისი ან მარანი უნდა ყოფილიყო. ეს მხოლოდ ვარაუდია და რაიმეს მტკიცება ამჯერად შეუძლებელია.

**15) თაბაშირის სკულპტურის ფრაგმენტები ბალის დასავლეთ ნაწილში. X 243246-Y 4711179 გეოგრაფიულ კოორდინატზე**

ბალის სამხრეთ-დასავლეთი ლობის გასწვრივ N11 საკანალიზაციო ჭიდან სალარო-დაცვის ჯიხურამდე საკანალიზაციო ტრასის გაყვანისას 60 მეტრიან მონაკვეთში არხის გაჭრა ხელით მიმდინარეობდა, რადგანაც ამ მონაკვეთში ხშირად თავს იჩენდა სიძველის ნიშნის მქონე ცალკეული არტეფაქტები და არქიტექტურული დეტალები. საკანალიზაციო ტრასის მთელ მანძილზე, რომელიც არსებითად ემთხვევა მეოცე საუკუნის შუა ხანებში გაჭრილ არხს, დიდი რაოდენობით ჩნდებოდა უსისტემოდ ჩაყრილი ბეტონის სხვადასხვა ბლოკის ნაირგვარი ფორმისა და ზომის ნამტვრევები. ამავე არხის ცენტრალური ნაწილის ათმეტრიან მონაკვეთში გამოჩნდა (სურ.40) რკინის კარკასზე აწყობილი შავად შეღებილი თაბაშირის სკულპტურული გამოსახულების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. გამოირჩევა ყაბალახით შეზურული მამაკაცის თავის, მკლავის, თითების, ჩოხით შემოსილი მკერდისა და სხეულის სხვა ნაწილების გაურკვეველი დეტალები. სკულპტურის თავი X243246.905-Y4711179.536 გეოგრაფიულ კოორდინატზე მდებარეობდა.

დაზუსტებით არ ვიცით, თუ საიდან მოხვდა აქ სკულპტურის ეს დეტალები, მაგრამ, როგორც ბოტანიკური ბალის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ბადრი მაქაცარიამ გაიხსენა, მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ბოლომდე ბალის ცენტრალურ ნაწილში ფუნქციონირებდა საზაფხულო ღია კინოთეატრი, მის შესასვლელში კი მდგარა ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ნატურალური ზომის მოცეკვავე ქალ-ვაჟის გამოსახულება. მათი დემონტაჟი კინოთეატრის დემონტაჟთან ერთად განხორციელდა და, როგორც ჩანს, მათი

ცალკეული ნაწილები ჩაყარეს იმ არხში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა. შემდგომ ისიც გაუქმდა და მიწით დაიფარა. ამის შემდეგ მის დასავლეთით და მის პარალელურად სამიოდე მეტრის დაშორებით გაიჭრა სხვა არხი და ის დღესაც ფუნქციონირებს. ხსენებულ არხსა და ნაარხალს შორის გადის კაპიტალური ლობე, რომელიც ბალს მუზეუმის ეზოსგან მიჯნავს.

**16) ნათალი კირქვის ბლოკების გროვა რცხილების ხეივნის ცენტრალურ ნაწილში X 243299.95-Y4711359.10 გეოგრაფიულ კოორდინატებზე**

ეკლესიასა და ჯვარედინა სასახლეს შორის, აგურის „გვირაბების“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ელექტოსადენებისთვის თხრილის გაყვანის დროს გამოჩნდა კომპაქტურად განლაგებული ნათალი კირქვის ბლოკების გროვა (სურ.41), რომელიც თავდაპირველად კედლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიწის შემოცლის შემდეგ გაირკვა, რომ ისინი არა კედელს, არამედ ჯერჯერობით უცნობი შენობის ნანგრევებს წარმოადგენდნენ. შესაძლოა, იმ შენობისას, რომლის საძირკველზეც ეკლესიის უკან ახალი ლობისთვის ფუნდამენტის გაჭრის დროს დაფიქსირდა და რომლებზეც უკვე გვქონდა ყურადღება გამახვილებული.

**17) კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ ტბაში შეჭრილი ნახევარკუჩხის ბოლოში, სამი ხის ქვეშ, მოქცეული დიდი ლოდი და გარშემო წარწერიანი ქვებისგან შედგენილი ყორე (კოორდინატები X 243485-Y4711262), რომელიც სავარაუდოდ მეოცე საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს ამოშენებული. (სურ. 42).**

გარდა ამისა, არქეოლოგიური ნიშნის მქონე ცალკეული არტეფაქტები ბალის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ვითარებაშიც იქნა აღმოჩენილი.

როგორც ვხედავთ, ბოტანიკური ბალის რეა-



სურ. 42

ბილიტაციის პროცესში სიძველის ნიშნის მქონე არაერთმა ძეგლმა და არტეფაქტმა იხილა დღის სინათლე. ისინი ქმნიან ახალ სანახაობას, ამდრებენ სამუზეუმო ექსპოზიციებსა და მხარის ისტორიას, ნათელს ჰფენენ ზოგიერთ ისეთ საკითხს, რომლებიც დღემდე ან სრულიად უცნობი იყო, ან იყო ცნობილი, მაგრამ მათი მატერიალური დადასტურებისთვის დასაბუთება ვერ ხერხდებოდა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად შეავსო, საგნობრივად გაამყარა ისინი და გააჩინა ახალ-ახალი კვლევების პერსპექტივა.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ბალის ტერიტორიაზე ზოგადად და განსაკუთრებით კი დიდი სასახლის საძირკვლებს ქვეშ – სივრცეებში, კიდევ მრავალ სიურპრიზსა და უაღრესად საინტერესო არტეფაქტს უნდა ველოდოთ.

**რევაზ პაპუაშვილი,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;



**გამოყენებული ლიტერატურა:**

აიხვალდი ედუარდ – „საქართველოს შესახებ, (XIX საუკუნის პირველი მესამედი)“ ,გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ. 2005.

გოგია ილია – „ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, ტომი 1, ზუგდიდი 1947.

ერისთავი რაფიელ – „მოგზაურის ჩანაწერები ანაკლიიდან ხონამდე“, ჟურნალი „კავკაზსკაია სტარინა,“ ტიფლისი 1873.

კალანდია გიორგი – „გაძარცული საგანძური,“ თბ, 2006.

მეუნარგია იონა – „დავით დადიანი და მისი დრო,“ თბ, 2002.

მურიე ჟიულ – „სამეგრელო (ძველი კოლხეთი)“, ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ, თბ, 2018.

ტულუში აბესალომ – „ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან“, თბ. 2012.

**მერაბ ჭვახახია,**

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის არქეოლოგიური ფონდის მცველი



# „გინოძირაფა“, ანუ საცოლის გასინჯვა (ფშავ-ხევსურული „დაკვლევა“), და მეგრული გეპირსიტყვიერება

ქალის დასაკუთრების ერთ-ერთი სახეა „გინოძირაფა“, ანუ გასინჯვა საცოლისა (ფშავ-ხევსურული „დაკვლევა-გარიგება“).

მეგრელებში საცოლის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქალის სილამაზეს. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ჩვენს ევროპაში, როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება... ჰფიქრობენ, რომ ყოველსავე ნაკლულევანებას დაფარავს ოქრო და ვერცხლი... კოლხიდაში ასე როდია. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას“ (ლამბერტი 1991 : 80).

ვფიქრობთ, ლამაზი ქალის დაფასებაა გადმოცემული მეგრულ ხალხურ ლექსში:

ამსერიში მოჭყუდუსი, ნა  
მუშ სისქვამე გოჭყდუნსი  
ნანაია, ნა

ამლამდელ, პატარძალს, ნა  
თავისი სილამაზე გაამზითვებს,  
ნანაია, ნა

(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975 : 17).

მასალათა კრებულში დაბეჭდილ წერილში – „Из быта и верований мингрелцев“ დახასიათებულია საქორწილო წეს – ჩვეულება და ქალის შესახებ ნათქვამია: „женщина для мингрельца – вся поэзия. Он ее наряжает, балует, устраняет от забот и хлопот, и все лишь для того, чтобы любоваться на нее самому и чтобы другие восторгались ею“ (Терцовъ 1894 : 5).

ქალის სილამაზეს აგვიწერს მეგრული ხალხური ლექსი:

### სახე სქვამი

სახე სქვამი, ჭყუნტურუა,  
გიშერიშა, გიგგ თუმა,  
ვარდიშ ნერო გოპირელცე  
სირინოზის გილუ ხუმა,  
მარჩხა – წყარც კალმახაში  
გილუ სიმარჯვე, მიკორთინა,  
მესიშ ვარდი პეულერცე  
უფგუ სქანი ინოჯინა.

### ლამაზი სახე

სახე ლამაზი (და) ქორფა,  
გიშერს გიგავს თმა,  
ვარდივით გაფურჩქნულს,  
სირინოზის გაქვს ხმა.  
მარჩხი წყალში კალმახისა  
გაქვს სიმარდე (და) მიმოხრა,  
მაისის გაფურჩქნულ ვარდს  
სჯობია შენი შეხედვა.

(სამუშია 1971 : 30)

გასინჯვა („გინოძირაფა“) ნიშნავს საცოლის ყოველმხრივ დათვალიერებას, მის ღირსება-ნაკლულევანების შეტყობას. ეს სიტყვა მეგრულში მხოლოდ საქორწილო ფრაზეოლოგიაში გვხვდება (სახოკია 1956 : 83).

როცა ქალი და ვაჟი ასაკში ჩადგებოდნენ, მშობლები ცდილობდნენ, მათთვის სასურველი მეუღლე მოეძებნათ. ამ შერჩევაში გადამწყვეტი ხმა და გავლენა ჰქონდა დედის ძმას (ბიძას) და ქალის უფროს ძმას, რომელთა დაუკითხავად ქალ-ვაჟის დანიშვნა ძნელად თუ მოხერხდებოდა. ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმეში მთავარ როლს ასრულებდნენ მათი დედ-მამა, ბიძა, ძმა და შუამავლები („მარებელი“). მათი შეთანხმების შემდეგ ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა, რასაც ეწოდებოდა „გინოძირაფა“ (მაკალათია 2006 : 333).

გინოძირაფა ტარდებოდა ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც. ე. ი. ზოგჯერ ხდებოდა,

რომ არც გოგომ და არც ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ გამსინჯავი, ისე, ვითომ შემთხვევითი მგზავრი იყო, ან წყალს ითხოვდა, ან რასმე იკითხავდა და ასე გაიცნობდა, გამოელაპარაკებოდა ქალს (ჯალალონია 1989 : 48-49).

ხევსური ქალს პირდაპირ ვერ ითხოვს, უეჭველად „წინამძღვრის“ შემწეობით უნდა დაიწყო საქმე. „წინამძღვარი“ იგივე მაჭანკალია. იგი დავალებულ საქმეზე მოელაპარაკება ქალის მშობლებს და, თუ თანხმობა მიიღო, სანეფოს მშობლებს შეატყობინებს. მაშინ სანეფოს ძმა ან მამა (ამ საქმეზე არასოდეს ნეფე თვითონ არ წავა) წავლენ საპატარძლოს ოჯახში, სადაც ორი მხარე მოილაპარაკებს. წინაპირველადვე, სანამ ერთმანეთში საუბარს გააბამენ, ვაჟის მხარე ვინც იქნება, ეტყვის ქალის მამას: „თუ თქვენი ღირსნი ვიყვნეთავ, გვიკადრებთავ, აქამდიაც რომ დავსხედით სკამზე, დიდ მადლობელნ ვართავ, არა ვართავ თქვენს თესლ – ჯილაგისანი“?.. ქალის მამა მიუგებს პასუხად: „ჰლირხართ, თქვენის თესლ – ჯილაგისანი სკამზე დასაჯდომდაცა, სოფელში გასასვლელდაცა, სამტროდაცა, სამაკეთოდაცა, ქალის მისაცემდაცა, ქალსაც მასწონდით, ქალის პატრონთაც მანონებით მოგეცით (ქალიო)“ (ვაჟა-ფშაველა 1964 : 88).

სანეფო-საპატარძლოს ამავე პრინციპით არჩევდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაც ხალხის გულისწყრომას იმსახურებდა. ამ კუთხით საინტერესოა სოსიკო მერკვილაძის მიერ იმერთში ჩანერილი ლექსი:

კაცი თუ ვარგა, ჯილაგი  
ნეტა რა საძებარია?  
თუ თვითონ არ ვარგა – სუყველა  
ფუჭი და საცნაურია.

(აკაკის „თვიური კრებული“, 1897, N4)

ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალის პატიოსნებას:

კაც გავლილ – გამოვლილი ჯობს,  
ველაის თვალით ნახული,  
ქალ მამის კერას ნაჯდომი,  
საქმარედ თავშენახული.

(თსუ ფოლკ., კათედ.)

მოხევის აზრით, ქალის ყველაზე დიდი სილამაზე „მანდილის სინმინდე არის“. სოფელ სიონის მცხოვრებ ა. თ. კვირჭიშვილის გადმოცემით „ქალი ისრი წმინდა უნდა ყოფილიყო, როგორც ღვთის მშობლის სანთელი. ის სულ კარგობით უნდა ატეხილიყო და მანდილს გაღმთხილებიყო... ნამუსით დაბერებული დედაკაცის სახელი სახლში საფიცრად გახდებოდა“... (ითონიშვილი 1960 : 98).

ფშაველი ხედავდა და ხედავს ქალის იდეალს სილამაზესთან ერთად ზნეობრივ სინმინდეში, პატიოსნებაში.

„ყანა მშრალი სჯობს სამკალად  
ნამიან – ჭანჭახიანსა,  
ქალი გონჯი სჯობს ლამაზსა,  
ჭორიან – საძრახიანსა

(ვაჟა-ფშაველა 1956 : 95)

უნამუსო ლამაზ ქალს ისევ გონჯს, მაგრამ ნამუსიან დედაკაცს ამჯობინებს ფშაველი. გასათხოვარ ქალს მძიმედ უნდა ეჭიროს თავი, საკუთარ კერაზე ღირსეულად უნდა იჯდეს:

„ყმა გასულ-გამოსული სჯობს,  
ქალი – კერაჩი ნაჯდომი“.

(ვაჟა- ფშაველა 1956 : 96)

გასათხოვარ ქალს ღირსეულად უნდა ეჭიროს თავი, რადგანაც ზნეობრივად წმინდა და კარგად აღზრდილი ქალი ყველასათვის სასურველი სარძლო იყო. ეს თეზა ერთიანად მისაღები იყო მთელი საქართველოსათვის.



მეგრელი ერთ-ერთ ხალხურ ლექსში დანანებით აღნიშნავს, რომ ცოლი შეერთო, მაგრამ კარგი ჯიშისა არ აღმოჩნდა:

- ოსურ მიპუნ, ჯიმალეფი,  
მარა ვარე ჯიშიერი,  
სერი დო დლაში ცუდეს ვარე  
დო ვამიჩქე მიში რენი...

ცოლი შევირთე („მოვიყვანე“), ძმებო,  
მაგრამ არაა ჯიშიანი,  
ლამით და დღისით შინ არაა  
და არ ვიცი, ვისი არი...

**(ქართული ხალხური სიტყვიერება 1975 : 211)**

ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი შემთხვევა მიუღებელი და ტკივილიანია როგორც მეუღლისათვის, ისე მთელი ნათესაობისათვისაც. ამიტომაც იყო დედის კარგი ქალობა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორი ქალის შერჩევისას, რათა მსგავსი რამ თავიდან აეცილებინათ.

მეთვრამეტე საუკუნის პოეტ თეიმურაზ მეორეს „სარკე თქმულთაში“ აღნიშნული აქვს, რომ სანახავად ნანვევ სასიძოს კობტად გამოწყობილ სადედოფლოს დაუსვამენ წინ, რათა ერთმანეთს თვალი შეავლონ და გულის სათქმელი გაუგონ. ეს არის პროცესის ერთ-ერთი მომენტი, რასაც ხალხურ პოეზიაში ქალის დაკვლევა ეწოდება.

ჯერ დასმენ ყმასა პირისპირ -,  
პაშტა ხანს ჭვრეტად ქალისა,  
თვით ქალიც ცდილობს შესვლაში  
ქმრისათვის შეკვრად თვალისა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საცოლის ამორჩევის პრინციპი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება. ნატურალური მეურნეობის პერიოდში საპატარძლო ძირითადად „ჯანმავრობით“ ფასდებოდა (სიხარულიძე 1960 : 259).

დიდ პატრიარქალურ ოჯახში პატარძალს მძიმე სამუშაო უნდა შეესრულებინა, ამისათვის კი ფიზიკური ძალა იყო საჭირო. ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი შესანიშნავად არის ასახული რუსულ საქორნილო ლექს – სიმღერებში, სადაც ამკარადაა ნათქვამი: „Сылушка была звериная, могут да лошадиная“ (Соколов 1938 :157).

ვაჟა – ფშაველას მიერ ჩანერილ ერთ ფშაურ ლექსში ნათქვამია:

ქალს ნუ ჰკვლევ ჯარობაშია,  
ტანთ ნათხოვარი აცვია,  
ქალი თუ გინდა ლამაზი,  
დაჰკვლიე ქერის მკაშია“.

**(ვაჟა- ფშაველა 1956 : 87)**

იმავე თვალსაზრისით არჩევდნენ საპატარძლოს სხვა ხალხებშიც (Лафар 1926 : 80- 81).

მართალია, ქართული ზეპირსიტყვიერების ისეთ ნიმუშებს, სადაც უშუალოდ ეს აზრი იყოს დაფიქსირებული, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ საპატარძლოს შერჩევისას მის გამრჯეობას, მუყაითობას, საქმის ცოდნას ჩვენშიც დიდი ყურადღება ექცეოდა. „უხელთურიავ, ვერ მახერხავ, რომ სახლი დაეგავავ“, – იტყოდა ხევსური: „მკაში როგორი ხელი აქვს?“ – კითხულობდა მთიული, თუმცა მას არც ქალის მეოჯახეობა რჩებოდა გამოუკითხავი. იმავე აზრისა იყო ფშაველიც :

... ქალი გაჩხრიკე მთაშია,  
საქერების მკაშია.

**(„ივერია“, 1892, N36)**

ცნობილია, რომ ქალის „დაკვლევა“ დღეობების დროს ხდებოდა:

ქალაქში ბევრი მოსულა  
თევზი, დოში და სათალი;  
თუ შენი ქალი კარგია,  
გასათხოვარი რად არი?!

.....

უღელი ხარის სათარი,  
როდის მამკითხავ, მზათ არი;  
ეგ თქვენი გოგო ლამაზი,  
გასათხოვარი რათ არის?!

**(ხალხური სიტყვიერების მასალები, 1975 : 102)**

რადგანაც საგაზაფხულო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს შევხებით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ერთი ლექსის მოხმობა, რომელშიც დღემდეა შემონახული არქაული ფენა და საწინააღმდეგო დანიშნულების კვალი:

- უხვი მინა ხარ სახნავად,  
ჯერ სახნისმოუდებელი,  
მინა ხარ, ყანა ყამირი,  
ჯერ კორდი გაუტეხელი,  
სიყვარული მაქვს მე შენი,  
ანგარიშმიუწვდომელი.

**(ქართული ხალხური პოეზია, 1978 : 37)**

ტექსტის სიძველეზე მიუთითებს სატრფიალო მოტივის შერწყმა აგრარულ სიმბოლიკასთან („ყანა ყამირი“); მინიშნება იმ შორეულ პერიოდზე, როცა გაიგივებული იყო წარმოდგენა ქალსა და მინის ნაყოფიერებაზე. „ხვნა“, ხალხური გაგებით, სქესობრივი აქტია, სადაც მინა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია და ნაყოფიერების საშუალო, ხოლო ერქვანი-ფალოსი (ჩიტაია 1927: 37).

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ვაჟი, რომელსაც მკის დროს უნახავს ქალიშვილი, მისი შრომისუნარიანობით მოხიბლული აცხადებს:

... თუ ცოლად არ წამომყვება,  
სხვა ნუ მელირსოს ქალიო.

**(„ივერია“, 1892, N 36)**

ლაზური მასალის მიხედვით, საცოლის შრომისუნარიანობის წარმოჩენა ხდება სავსებით სამუშაოების დროს.

ზოგი ზარმაცია, ბარ ენებება,  
სადილისათვის კი გაჭენდება,  
ზოგი გამრჯე არის და ცეკვავს ბარზე,  
არ გაუჩერდება ზარმაცებს გვერდზე.

**(თანდილავა 1972 : 116)**

მეგრულ ხალხურ ლექსში, სადაც ვაჟკაცი ალაფრთოვანა სავსებით მუშაობამ, დიალოგური ფორმით არის გადმოცემული ქალისა და ვაჟის შესიტყვება. მოგვყავს ნაწყვეტი ტექსტიდან:

**სირა:**  
- ხაჩქუას ქიდიივჭყა  
ვეებგინა გათებას.

**ბოში:**  
- ევგურა ხაჩქუა ქოგიჩქუ - და,  
მოლმაცუნოსურო.

**სირა:**  
- მიდგაცუნე, სქან ოჯახის  
ჯგირ დო სქვამი ქოძუნო?

**ბიში:**  
- რადგან ხაჩქუა ქონორჩქენი,  
სი იფრელი გალვენუ...

**ბოში:**  
- თოხნას დავინყებ,  
ვერ ვიგრძნობ გათავებას.

**ბიჭი:**  
- თუ ამისთანა თოხნა იცი,  
გამომყევი ცოლად.

**ბოში:**  
- რომ გამოგყვე, შენს ოჯახში  
გაქვს ქონება („კარგი და ლამაზი ძევს?“)

**ბიჭი:**  
- რადგან თოხნა გცოდნია,  
შენ ყველაფერი გექნება.

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 : 333)**

საცოლის შერჩევის ეს პრინციპი დამახასიათებელია იყო მთელი საქართველოსათვის. ერთობ მნიშვნელოვანი იყო საოჯახო საქმეებში ქალის განაფულობაც, რადგანაც მეგრულ სასიძოს თავის კეთილმონყობილ „ფაცხაში“ უნდა მიეყვანა ფიზიკურად მშვენიერი და საოჯახო საქმეების კარგად მცოდნე პატარძალი. ვფიქრობთ, სწორედ ესაა გადმოცემული ერთ-ერთ მეგრულ ლექსში:

მიცორც ფაცხა მარგალიში,  
მოცონაფილი ფარგალიში,  
თექი ოკო მულარდას-  
სქვამი ცირა მარგალიში,  
ტანი-ოსარსალაია -  
მინარჩქვან საქვარიში,  
ირო კურცხე, უშულად -  
გამუნარყი თაკარიში,  
მოჭყუდ ქიმიპუნათი დო  
ღვინი გევშვათ მარანიში...

მიყვარს ფაცხა მეგრული („მეგრელის“),  
გამოყვანილი ფარგალის,  
იქ შიგ უნდა იდგეს  
ლამაზი გოგო მეგრელის,  
ტანი-ნარნარი,  
მიჩვეული საქმიანობას,  
სულ მღვიძარე, დაულღელი -  
ჩამომავალი თაკარისა (ენერგიული, სწრაფი),  
პატარძალი მოვიყვანოთ და  
ღვინო დავლიოთ მარნის...

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 :318)**

გასათხოვარი ქალი ხელსაქმის ცოდნითაც უნდა ყოფილიყო გამორჩეული („ჭკირუა, კვათუა, შუ-  
ალა, ქარგუა იფრელ ოხერხ ჩქინ ცირას“ - პ ა). ჭრა -კერვა, ქსოვა - ქარგვა, ყველაფერი ეხერხება  
ჩვენს გოგოს. ასე აფასებდა მარებელი ქალს.

ქალისთვის ხელსაქმის ცოდნა რომ მნიშვნელოვანია, ამას პოეტური ტექსტებიც გვიდასტურე-  
ბენ. მარებელი საგანგებოდ მიუთითებს:

მოღგაყუნუდა, დოდირთუქე,  
თიჯგუა უჩქე ხესაქვარი.

თუ გამოგყვა, დაგასახლებს,  
იმისთანა მცოდნეა ხელსაქმისა.

შემდეგ, მარებელი მოჰყვება ქალის ღირსებების ჩამოთვლას. აქ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო  
ადგილი მოგვყავს, რადგანაც ტექსტი საკმაოდ დიდია:

... წერსუფალი ცუნცუ საღორონთო,  
პათიოსანი მეტისმეტი.  
ჭალა უჩქე დო კვათუა,  
მოღებს მუშით გონულენსგ...

პატრონი ჰყავს ღვთისნიერი,  
პათიოსანი მეტისმეტად.  
ჭრა და კერვა იცის (იმისთანა, რომ)  
მოღებს თვითონ იგონებს...

**(ქართველური ხალხური სიტყვიერება  
(ჩხორონწყუს რაიონი), 2016 : 47)**

როცა მშობლები ზემოაღნიშნული თვისებებით შემკულ ქალს ეძებდნენ, ამ დროს არც ქალის მშო-  
ბლები კარგავდნენ დროს. ისინიც აგროვებდნენ ინფორმაციას სასიძოსა და მისი ოჯახის ავკარგი-  
ანობაზე. მიუხედავად ამისა, ყველა აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება და საქმის მოგვარება  
მაჭანკალზე იყო დამოკიდებული. მაჭანკალი უნდა ყოფილიყო მარჯვე და მოხერხებული.

ხალხურ პოეზიაში საკმაოდ ნათლად არის გადმოცემული მაჭანკლის საქმიანობა:

ქალ გაიზარდა ახადსა,  
პირმთვარე, ცისა მთოვარი,  
რამდენიც შაბათი მოვა,  
სამპირად მოდის მთხოვარი.

(თსუ. ფ. არქ. N1300)

მეორე ხალხურ ლექსში მაჭანკალი ამბობს:

სად გაგათხოვო, ქალაო?..  
სად მოგინახო ქმარია;  
მითხარი, შენსა გაზრდასა,  
მთა გირჩევა თუ ბარია...  
დავყვები შენსა სურვილსა,  
დაგიშრეს ცრემლის ცვარია,  
საქმაროდ გამოგიჩიო  
უშიშარი და წყნარია,  
თვალად - ტანადი, გულადი,

ომში არნივზე ჩქარია,  
თვალეზი, ნარბი, ნამნამი,  
სახე – ბუნების კარია,  
მხრებგანიერი ვაჟკაცი  
არ იყოს სანუნარია.

(თსუ. ფ. არქ. N896)

მაჭანკლის სახე განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი მეგრულ ხალხურ პოეზიაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ თემაზე მეგრული ლექს-სიმღერების თითქმის მთლიანი ციკლი არსებობს.

მაჭანკალი იმდენად უფლებამოსილი იყო, რომ მისი მოქმედება ზოგჯერ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. მას შეეძლო ერთმანეთისთვის შეუფერებელი ნწყვილებიც კი დაექორწინებინა, რაც მარებლის მაღალ ოსტატობასა და პროფესიონალიზმზე მეტყველებდა. მსგავსი ნიმუშები უხვადაა მეგრულ ფოლკლორში. მათ შორის მოვიხმობთ ერთ-ერთ მეგრულ ხალხურ ლექსს:

**მარაბული**

ართი კოჩქი ქუმორთუ დო  
ოსურს გირიგენქია,  
ოსურ, მარა მუ ოსური,  
გვალო გაკეთენქია.  
ათას მანათ ფარას მერჩან,  
ცხენ დო უნანგერსია,  
ნორჩალი დო გექუნალს,  
ოქრო-ვარჩხილ ბრელსია;  
დეებლორი ბაღანაქ,  
ვენდვი მარებელსია,  
მაკეთენდუნ მიჩქუდუ დო  
ტუტას ქალმობვესია.  
ყოფე მარა მუ სანგარო,  
თე ოსური ბედიჭვილი,  
იქ ირდუნი თი ოჯახი,  
ქვერსემია უჩათ ნწყვილი;  
უკიბირე, რჩინუ, ხანგა,  
ღვალეფ აფუ ჭირაკილი,  
გინოხონი ცხენსი ქოგუ  
პუხა,ოჭიმ დირაკილი.  
ათას მანათ ფარაქ გეთუ,  
ცხენ ოჭკომუ გერქია,  
გოლანდალერ დედიბიქ  
ქამმოსქიდუ ხესია.  
ვეენდვათ მარებელს,  
ლორონთუე ჭყელსია,  
ინა ტერ დო მოჯგირეს,  
აკას ვედენდვენსია.  
მუმ მანნარა – ახალგაზრდას  
რჩინ ოსური ცუნდასინი,  
ვარა გაბანძლუდასინი,  
ბადიდ ახალ ცირასინი.

**მაჭანკალი**

ერთი კაცი მოვიდა და  
ქალს გაგირიგებო,  
ქალი, მაგრამ რა ქალი,  
მთლად გაგაკეთებო.  
ათას მანეთს ფულს მოგცემს,  
ცხენსა და უნაგირსაო,  
ქვეშაგებსა და დასაგებს,  
ოქრო-ვერცხლს ბევრსაო.  
მოვტყუვდი ბავშვი,  
ვენდე მაჭანკალსაო,  
მეგონა მაკეთებდა და  
ნაცარში ჩამამხვესო.  
ყოფილა, მაგრამ რა საარაკო,  
ეს ქალი ბედდამწვარი,  
ის რომ გაიზარდა, ის ოჯახი  
შავ უფსკრულში ჩაიქცეს („დაქცეული“)  
უკიბილო, ბებერი, სულელი,  
ლოყები აქვს დამჭკნარი,  
ნაჯდომ ცხენსა ჰგავს  
კუზიანი, ზურგმოხრილი.  
ათასი მანეთი ფული გათავდა,  
ცხენი შეჭამა მგელმაო,  
გაძვალტყავებული დედაბერი  
შემრჩა ხელშიო.  
არ ენდოთ მაჭანკალს,  
ღვთისაგან ნყეულს,  
ის მტერსა და მოკეთეს,  
არც ერთს (არ) დაინდობს.  
რა მნარეა, ახალგაზრდას  
მოხუცი ცოლი რომ ჰყავდეს,  
ან ებლლარძუნებოდეს,  
ბერიკაცი ახალ(გაზრდა) ქალიშვილს.

(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 : 207 – 208)

ზემოთ მოყვანილ ტექსტში ნათლად ჩანს, თუ როგორ გააბრიყვა მაჭანკალმა ახალგაზრდა ვაჟი და ასაკოვანი ქალი როგორ შეაჩერა ხელში.

მეგრულ პოეტურ სიტყვიერებას შემორჩა ისეთი ნიმუშები, სადაც მარებლის მიერ შერჩეულ საცოლეს არავითარი ღირსება არ აქვს, ფულის გარდა. საცოლის ოჯახი მდიდარია და სასიძოს ოჯახს ყოველნაირად უზრუნველყოფს. ტექსტის მიხედვით, ქალი შეუხედავია.

სისკვამე ვეკითხა ვარა  
 საქმე აკოცენსია  
 მიოჯნალო უჩარე  
 სიყვერე აბრკოლენსია,  
 მარა ენას მუ ბლოლათ  
 თიში რჯულს თაში მოძენსია  
 თითქმის ჭიჭე ქულა ქორე  
 ჩხემა აკუცენსია  
 ჩხვინდით ნაბეტანი გირძი გედგუ  
 თეთი ჭიჭე ქაბრკოლენსია  
 მუზმათირენ კაპასირე  
 მუთუნს ვეეთმინენსია  
 იფრელ ოკო შეუსრულე  
 მუსუთ დეჯინენსია.

სილამაზეს ნუ იკითხავ, თორემ  
 საქმე ჩაიშლება,  
 შესახედავად შავია,  
 სიბრმავე აბრკოლებსო,  
 მაგრამ ამას რა ვუყოთ,  
 მის რჯულს ასე მოსდგამსო.  
 თითქმის ცოტა კოჭლი კია,  
 თეძო ამოვარდნილია,  
 ცხვირი მეტად გრძელი აქვს.  
 ესეც ცოტას აბრკოლებს,  
 რამდენადმე კაპასია,  
 არაფერს არ ითმენსო,  
 ყველაფერი უნდა შეუსრულო,  
 რასაც დაიჟინებსო.

(ბერიძე, 1920 : 172)

მაჭანკალი სასიძოს ურჩევს, რომ ამ თვისებებს ყურადღება არ მიაქციოს, რადგანაც ის მდიდარია. ვაჟი გამწარებულია მაჭანკლის შემოთავაზებული საცოლით. იგი ამბობს:

მუში ღირსი რენი მათ ვამიჩქუ  
 ათეცალი მარებელი...  
 რადგანს თენა აკა ვარე  
 ჩქიმი დუდიშოთ მარგებელი...  
 მა ის ვავალორინი მარა  
 ხომ დალორენს შხვა ბრელს  
 ..... ოკო მართვე  
 თე ცალ ხალხიში მანებელს.

რისი ღირსია, მეც არ ვიცი,  
 ამისთანა მაჭანკალი...  
 რადგან ეს არც ერთი არაა  
 ჩემთვის სასარგებლო...  
 მე მან ვერ მომატყუა, მაგრამ  
 ხომ მოატყუებს სხვა მრავალს  
 ..... უნდა მიართვა  
 ამისთანა ხალხის მავნეს.

(ბერიძე, 1920: 173)

ტექსტიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ზემოქმედებს მარებელი სასიძოზე ქალის სიმდიდრით, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მაჭანკალი ვაჟის დაყოლიებას ვერ ახერხებს.

მეგრულ პოეტურ ფოლკლორში გვხვდება იდეალური შემთხვევა, როცა მშობლები და ქალ-ვაჟიც ერთ აზრზე არიან. მოგვყავს ტექსტი:

**ბოში**

... ჩქიმი დიდას სქანი მეტი  
 მითინ ვაკო სანოსალო,  
 ირფელ ციდირებული აფუ,  
 საკაბო და საოსარო

**სირა**

– მათ (ი) ვარიას ვაბრაგადა,  
 ვართ (ი) მუმა დო დიდათი,  
 მუსუ ოკო უჯინათე,  
 საქმე გინოფქყვიდათე!

**ვაში**

... დედაჩემს შენს გარდა  
 არავინ უნდა საპატარძლო,  
 ყოველივე ნაყიდი აქვს,  
 საკაბე და საპერანგო.

**გობონა**

მეც უარს არ ვამბობ,  
 არც დედა და არც მამა,  
 რას უნდა ვუცადოთ,  
 საქმე გადავწყვიტოთ (აბა)!

(სამუშია, 1990 : 32)

ეს იდეალური შემთხვევა ჰარმონიულობის გამოხატულებაა, რაც იშვიათად გვხვდება. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია, რომ ზოგჯერ დაკვლევა წყაროსთან, ჭასთან ხდებოდა.

წყაროსთან ქალიშვილის შერჩევის წესს ეხმიანება ზეპირსიტყვიერების ერთი ნიმუში, სადაც უშუალოდ წყაროზე წასვლასა და იქიდან ქალის წამოყვანაზეა ლაპარაკი:

შენი ჭირიმე, დედაო,  
ქალი ზის წყაროზედაო,  
წავიდეთ, წამოვიყვანოთ,  
დავისვათ კერაზედაო.

**(ხალხური სიბრძნე 1965 : 352)**

მეგრული ზეპირსიტყვიერი მასალები გვიდასტურებენ, რომ ქალ-ვაჟის შეხვედრა ხშირად მდინარის პირას იმართებოდა:

მობიოლუგ ხობიწყარი	მიხარია, ხობისწყალი
მუჟამს კაკაბიჯგურა რენი,	როცა კამკამაა,
ქვინც ქვიშა გაკოროცხე,	ფსკერზე სილას დაითვლი,
ორწყექ მუდა ქუა რენი...	ქვის რაოდენობას ხედავ...
... მობიოლუგ, ყოროფილეფ,	... მიხარია, შეყვარებულები,
თაქ ართიანს ხვადგნანი...	აქ ერთმანეთს ხვდებიან...

**(ქართველური ხალხური სიტყვიერება  
(ჩხორონწყუს რაიონი), 2016 : 60)**

ქართულ ხალხურ პოეზიაშიც ხშირად ქალიშვილის მიერ ბედის ძიება წყაროსთანაა დაკავშირებული:

ქალმა თქვა, პირმა ნათელმა,  
– ბედსა არ დავიკარგავო;  
წავალ, დავჯდები წყლის პირსა,  
საყელოს დავიქარგავო!

**(ხალხური სიბრძნე, 1965:380)**

გათხოვების მიზნით წყაროსთან მისვლა და იქ საბედოს ლოდინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალის საცოლოდ თუ სარძლოდ შერჩევა წყაროსთან ხდებოდა.

ბედის გაგებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ფოლკლორში. საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია მეცნიერული თვალთახედვა, ბედი ბრმაა, ვინაიდან მის წამოქმედარს ლოგიკური განსჯა და ახსნა-განმარტება არ ესადაგება; არანაირი შინაგანი საზრისი და გონივრული საფუძველი მის „გადაწყვეტილებას“ არ მოეძეება... (არაბული, 1990: 3).

მეგრულ ფოლკლორში მოიპოვება ტექსტობრივი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ გინოძირაფა ყოველთვის მაჭანკლის სასარგებლოდ არ მთავრდება. ერთი ჯვარელი კაცი ყოფილა, სახელად ცექუ. ერთი აყლაყუდა, უშველებელი სიმაღლის ქალიშვილი ჰყოლია, სახელად ძაბა, რომელიც მეჩონგურე ყოფილა. იგი ასეთ სიმღერას ამღერებდა:

დიდოუ, ნანა,	დიდოუ, ნანა,
ირო ჩქიმი ძირაფა რე	სულ ჩემს გარიგებაში იყვნენ,
კორქე ვამიკორინუ...	მაგრამ არავინ მინდომა...

**(მთქმელი ნინო (ჩუხა) სვანიძე – ნინუა ქ. ზუგდიდი 1995 წ.)**

ქართლში ქალის გასინჯვას „ქალის გაჩხრეკვასაც“ უწოდებენ. როგორც ერთი, ისე მეორე გულისხმობს ქალის ფიზიკური სილამაზის შემოწმებას (მაჩაბელი 1978: 36). ქართლის ყოფაში დადასტურებულ ტერმინს „გაჩხრეკვა“ იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ქალის გასინჯვას. საბას განმარტებით, „გასინჯვა განხილვას თუ გაჩხრეკვას ნიშნავს“ (ორბელიანი 1922 : 64).

საქორწინო წყვილის საქმის მონესრიგება მესამე პირის (მაჭანკალი ან შუაკაცი) ჩარევით ხდებო-

და. ამასვე მონიშნავს ხალხური ლექსი. მოტყუებული ქალი ნყევლის მაჭანკალს:  
 ,ჩემს მაჭანკალს ასტეხიყოს  
 ვაგლახი და შავი ქირი,  
 დაბრმავდეს ორივე თვალიდან,  
 სულ არ ჰქონდეს თვალში ჩინი.

(სონღულაშვილი, 1955: 45)

პროფესიონალი მაჭანკალი-მატყუარა, მოხერხებული და ფლიდი პიროვნება, სრულებით განსხვავდება პატიოსანი და დარბაისელი შუაკაცისაგან.

გარკვეული დროის განმავლობაში მაჭანკალი და შუაკაცი ერთიმეორის პარალელურად საქმიანობდნენ, მაგრამ ერთსა და იმავე საქმეს, ე. ი. ქალ-ვაჟის შეუღლებას, განსხვავებული ფორმით აწესრიგებდნენ (მაჩაბელი 1978 : 43).

თუშეთში ინიციატივას ყოველთვის ვაჟის მხარე იღებს. ქალის გარეგნობას მაინცდამაინც არავინ კითხულობს. სიკოჭლით ქალის დაწუნება ერთგვარად საძრახისიცი კი არის:

სიკოჭლითამ რად მწუნობდე, განა კურდღლებს მადევენბდე;  
 თითის წვერა 'კარგა, ვიცი, ჯარანს დაგიბზრიალებდე,  
 ორმაგულა'ს დავიქსევედე - დ გარა"ს მოგიგრიალებდე,  
 ტოლს მოგიქსოვდ ქობაქურსა - დ შარვალს ჩაგიშრიალებდე

„ხმასახელიან“ ქალს ყოველთვის ბევრი მთხოვნელი ჰყავს. მთხოვნელის სიმრავლე ქალსაც ესახელებოდა და ქალის პატრონსაც.

დაიმც ვიყვიდი ძმიანი, მარჯაკლებ მევაღნიანა,  
 ნუმც გამათხოის მამამა, ქალსამ თავ მიდიდიანა.  
 ჩაგიცმოდ თეთრო ტყავკაბავ, ქუქუმო, გაგაჭრელებდე,  
 შავს დავიხურევედ მანდილსა, ბეჭებზე გავიმტყელებდე,  
 ჩაგიცმოდ კოჭიან ნულებს, გოგვებით შემოვივლიდე

(ცოცანიძე, 1990: 178)

დედისერთა ვაჟი თუშეთში სასურველ სასიძოდ მიიჩნევა.

საქმროს მონუნარობა ქალისათვის ძველთაგანვე ცუდ ტონად აღიქმებოდა. ასეთ ქალს ათვალნუნებით უყურებდნენ, ნებიერად გაზრდილია, დედ-მამის ხათრი არა აქვს და ეგ ქმარეულთა ხათრს როგორ დაიჭერსო. ამის თაობაზე შექმნილ სიმღერებში იკენწლება არა მხოლოდ ქალი, არამედ მისი მშობლებიც და თემ-სოფელიც:

ცა რომ ჭებდეს და ელაზდეს, ხისოს ჭიხალე იქნება,  
 ქალი რომ ქმარსა სწუნობდეს, ივანაურთა იქნება,  
 ჯარზე რო მეტად ჯდებოდეს, ხუცუ'ურული იქნება.

მეგრული პოეტური ტექსტი გარკვევით გვიცხადებს, რომ:

ოსურსქუას გათხუალა  
 დიდა - მუმას მოძენია...

ქალიშვილის გათხოვება  
 დედ - მამას ეკითხებაო..

(ქართველური ხალხური სიტყვიერება  
 (ჩხორონყუს რაიონი), 2016 : 347)

ზემოთ მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოს ყველა კუთხისთვის გარიგებით ქორწინება მისაღები იყო, რა თქმა უნდა, კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქალის ოჯახიშვილობას, ანუ ჩამომავლობას, დედის მორალურ მხარეს, ქალის საოჯახო სააქმეებში დაოსტატებას, ფიზიკურ სილამაზეს, ოჯახის ერთგულებას ყველა კუთხის წარმომადგენლები აქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც ოჯახის სინმინდე იყო სწორედ ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელზედაც ოჯახის შემდგომი წინსვლა იყო დამოკიდებული. ფოლკლორული მასალა ადასტურებს, რომ ქალის გათხოვებისას მაჭანკლის როლი საქართველოს ყველა კუთხეში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ქალის ნება-სურვილი გათვალისწინებული

არ იყო, საქმეს მშობლები წყვეტდნენ. მშობლების წინააღმდეგ წასვლა ყოველად დაუშვებელი გახლდათ. მეგრულ ზეპირსიტყვიერებას ამ ფაქტის დამადასტურებელი მრავალი ლექსი შემოუნახავს. მოვიხმოთ ერთ-ერთი ნიმუში:

<p><b>ბოში:</b></p> <p>ძლაბი დუდი დამანები, მუს რე იხუებუქუნი, მუშენი რე ვეჯერქუნი, სიტყვას გეჩიებუქუნი? ცირასკუას ვეშეშვენსი, სი მა მექციებუქუნი, ვარწყეო, ჩილამურით, მუჭო გეთხუებუქუნი?</p> <p><b>ძლაბი :</b></p> <p>ბოში მუშენ მიკმოხვილა, ჩქიმიცალი ბრელი რენი, ვაგიჩქუნო, უნჩაშეფიშ, წინააღმდეგ ველინენი, ჟირხოლოს დოპილუნა, დიჩქიმი ფერი რენი...</p>	<p><b>ბიჭი:</b></p> <p>გოგოვ, თავი დამანებე, რას ფხუკიანობ, რატომ არ გჯერა, სიტყვას რომ გეუბნები? ქალიშვილს არ შეშვენის, როგორც შენ მე მექციევი, არ ხედავ, ცრემლებით, როგორ გეთხოვები?</p> <p><b>გოგო :</b></p> <p>ბიჭო, რას ჩამაცივდი („რად მიმიმწყვედე“), (აკი) ჩემისთანები ბევრია, არ იცი განა, რომ უფროსების წინააღმდეგ არ წაისვლება, ორივეს მოგვკლავენ, დედაჩემი ისეთია...</p>
--	---

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975: 104)**

ზემოთ მოყვანილ ტექსტში ნათლად ჩანს, თუ რა დღეში ვარდება ქალიშვილი, რომელიც მშობლების ნებართვის მიუღებლად თანხმდება გათხოვებას.

მეგრულმა ზეპირსიტყვიერებამ, ასევე, შემოგვინახა პოეტური ნიმუში, სადაც ვაჟის გულისტკივილია გადმოცემული. მშობლების გავლენით ქალი სხვაზე გათხოვდა და სასონარკვეთილმა ვაჟმა თავისი გულისწყრომა შემდეგნაირად გადმოგვცა:

მოვიხმოთ ტექსტს:

<p>ბლალატენქო სი ოხერი ლორონთ გილალატასინი სქან ნარდი დო ნახანდიშა კისერ გეკლაიკვათასინი აკა ვარბედებუდასი, ოშიქ ქიდგებადასინი.</p>	<p>მლალატობ, შე ოხერო, ღმერთმა გილალატოსო. შენი ნაზარდისა და ნამამაგარისათვის ყელი გამოგეჭრას. არცერთი არ დაგბედებოდეს, ასიც რომ გაგინდეს.</p>
---	--

**(მთქმელი ა. ტულუში, 2001 წელი, ქ. ზუგდიდი)**

მიუხედავად იმისა, რომ მაჭანკლის მოქმედების არეალი დიდია, ახალგაზრდების სურვილი, თვითონ აირჩიონ ცხოვრების მეგზური, მხოლოდ ფიქრად და სურვილად არ რჩება. მეგრულ პოეზიაში გვაქვს ნიმუშები, სადაც მკაფიოდაა გამოხატული ქალის პროტესტი მაჭანკლის მიერ შერჩეული საქმროსადმი.

საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიხმოთ პოეტური ფოლკლორის ნიმუში. სადაც გადმოცემულია იმ ქალის გულისტკივილი, რომელსაც მისთვის შეუფერებელი ვაჟი „გინაძირეს“, ანუ უჩვენეს:

(ტექსტი მოგვანოდა 2007 წელს ან განსვენებულმა ა. ტულუშმა.

ეს ლექსი 1932 წელს ჩაუნერია პორფილე ნანიეშვილს).

გასათხოვარი გოგო აცხადებს, თუ როგორი ვაჟი წარმოუდგენია მას თავის ტოლფარდად:

<p>... ახალგაზრდა ბოში მოკო ერ ნანერი პუნდასუნი, იარალიშ მოკვანნილო, ოკო გუმართუდასინი...</p>	<p>ახალგაზრდა ბიჭი მინდა, ოცი წლისა მყავდეს, იარალში გამონკიპული, უნდა დამტრიალებდეს.</p>
---	---

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 : 115)**



გულდამძიმებული ქალიშვილის ჩივილია გადმოცემული ტექსტში :

შხვას ოკონი, მა ვამოკო,  
მოკოდუნი ის ვემეფრეს,  
გური ქემმოცონაფეს – და  
მიდვაცუნუქ მეღეჯეს.

სხვას რომ უნდა, მე არ მინდა,  
ვინც მინდოდა, მას არ მიმცეს,  
გული თუ მომაცვანიეს,  
გავყვები მელორეს.

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975 : 248)**

მაჭანკლის გარიგებით შექმნილი ოჯახი არა მარტო ქალებისთვის იყო მძიმე და აუტანელი, ამ მავნე წესს ძალიან ხშირად მამაკაცებიც უჩიოდნენ:

რა საქმე მიყო მამამა,  
დამღუპა, დამანელაო;  
ერთ უშნო ქალზე დამნიშნა,  
სახელად ჰქვია პელაო.

**(გოგოჭური, 1978 : 27)**

მეგრული პოეტური ტექსტიც, ვფიქრობთ, ზემოთ მითითებულ საკითხს ეხმიანება:

ცოროფილ პუნს შამგონას,  
მიდგაქ ოკონ გამგონას,  
მა იშენი ვაცუნუქე  
ჩქიმი თოლიშ ნავორას

შეყვარებული მყავს შამგონაში,  
ვინც უნდა გამიგონოს,  
მე მაინც გავყვები  
ჩემი თვალით მოძებნილს.

**(ქართული ხალხური სიტყვიერება, 1975: 146).**

ზემოთ მოხმობილი მასალა გვაძლევს უფლებას, რომ განვაცხადოთ: მაჭანკლობა საკმაოდ ფესვგადგმული იყო საზოგადოებაში და მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალ-ვაჟის დაოჯახების საქმეში. უდავოა, რომ ახლა უკვე ეს ისტორიის საკუთრება გახდა. მართალია, წარსულიდან გადმოსული გამოცდილებით მაჭანკალი დღესაც მოქმედებს, მაგრამ იგი ადრინდელ პოპულარობას მოკლებულია.

ცხადია, რომ საქორწინო კავშირის დამყარებისათვის სავალდებულო ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად წყვილთა პირადი ღირსებები, გვარ-ჩამომავლობა, ავკარგიანობა იყო მიჩნეული. მატერიალურმა სიდუხჭირემ წინა პლანზე მზითვის ინსტიტუტი წამოწია. ამ მხრივ დაინტერესებული იყვნენ როგორც ქალის, ასევე, ვაჟის მშობლები. ამ საკითხს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. სამწუხაროდ, ვაჟი ქალს მეტწილად ქონების გულისათვის თხოულობდა და იძულებული იყო პირად გრძნობაზე უარი ეთქვა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად ღარიბ კაცს ანუხებდა, რადგან ასული უმზითვობის გამო გაუთხოვარი ურჩებოდა.

ვაი, დედავ, თითი მტკივა,  
მე ვერ გავძლებ უთითოდ,  
ამ დასაწყვეტსა ბიჭებსა  
არ მივყევარ უმზითვოდ.

**(თსუ. ფ. არქ N2850)**

მეგრული ჩვეულებით, ქალიშვილის დედებს, შვილი ათი წლის რომ გაუხდებოდათ, ბატებს უყიდნენ და ამწყემსვინებდნენ. ისინიც დილით ადრე მირეკავდნენ წყლის პირას და საღამოს უკან გამორეკავდნენ, ასე რომ, ყველა გლეხის ქალი თავის სამზითვო ქვეშაგების სამზადისს ადრიდანვე იწყებდა (ცაიშვილი 1894, №156). ყველა ოჯახი როდი ახერხებდა ამას, ამიტომაც იდგა მზითვის საკითხი ასე მტკივნეულად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მეგრული შაირი:

ძღაბი ჯგირი ვორექ, მარა  
ბზითი მუთა მაპალუუ .

გოგო კარგი ვარ, მაგრამ  
მზითევი არ გამაჩნიაო.

**(ყიფშიძე, 1994 :11)**

დრომ ქორწინების წინაპირობათა არსი შეცვალა. მაჭანკალი თანდათნობით კარგავს თავის ფუნქციას და ამით ძირი ერყვევა გარიგებით ქორწინებას. მზითვი, ე.ი. ვაჟის მატერიალური დაინტერესება, უკან პლანზე გადადის. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სიყვარული. ახალგაზრდები თავიანთი გრძნობით, შინაგანი სამყაროს კარნახით ქმნიან ოჯახებს. მშობლები უკვე ვეღარ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ქალ-ვაჟის შეუღლებაში, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს. თაობათა ეს ბრძოლა თავისებურ ასახვას პოულობს ფოლკლორულ ნიმუშებში:

ახლანდელი გოგოები  
 ნულარ დაიზრდებიანო,  
 მაჭანკლები აღარ უნდათ,  
 თავის ფეხით ყვებიანო.

(თსუ. ფ. არქ N 4973)

ან კიდევ :

ასეიან ახალეფი  
 ნამეტანი მეტი რენა,  
 მარებელს ვაურჩქილენა დო  
 ჩილ დო ქომონჯალაშ ამბეს,  
 მუნეფიშით იქანჩუნა.

ახლანდელ ახალგაზრდებს  
 დიდი წარმოდგენა აქვთ თავზე  
 მაჭანკალი არ უნდათ და  
 ცოლქმრობის ამბავს  
 თვითონვე აგვარებენ.

(**მთქმელი ნათელა აფხაზავა, ზუგდიდის რაიონი, სოფ. კახათი, 2015 წელი**)

მაჭანკლის მნიშვნელობასა და დანიშნულებას მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ, თუმცა მისი მოქმედების არეალი მბჭუტავი სანთელივითაა შესუსტებული. იგი სახეცვლილი მაინც განაგრძობს არსებობას.

თანამედროვე ყოფაში ოჯახები დასაქორწინებელ წყვილთა სურვილით იქმნება, რაც მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, ვინაიდან ეს მათი ბედნიერების უშრეტ წყაროდ გვევლინება.

დასაქორწინებელმა ვაჟმა ქალის ძმას შეიძლება უთხრას:


გომორძგუა, ჯიმა, სქანი!  
 დალეფ ნორცვენო სქვამი...  
 ართი შხვაშა ვემემიჩა,  
 ნარქის ვამუმოგა ხამი.  
 გურს გენია მონტებულს,  
 ვეშემიბრალებქო?!

გამარჯობა, ძმაო!  
 დები გყოლია ლამაზი...  
 ერთი სხვას არ მისცე და  
 ყელი არ გამომჭრა მე.  
 გულზე ცეცხლმოკიდებული,  
 შემიბრალე მე?!

(**ქართველური ხალხური სიტყვიერება  
 (ჩხოროწყუს რაიონი), 2016: 458**)

მეგრულ მეტყველებას დღემდე შემორჩა შემდეგი თქმა: „ახალეფს მითინიმ გიობრალებელი ოკო ვაულუდან მუთუნი. ირო უჯგუ მუნეფიმ თოლიშ გიშნაგორა ცუნდას გვერდით“ („ახალგაზრდებს არავის დასაბრალებელი არ უნდა ჰქონდეს რამე. ყოველთვის ჯობია თავისი თვალით მოძებნილი ჰყავდეს გვერდით“). სწორედ ამ პრინციპით იქმნება დღეს ოჯახები სამეგრელოში.

**ნანა აბულაძე,**  
 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



დამონეხული ლიტერატურა

1. არაბული 1999: არაბული ა., ბედის გაგება ქართულ ფოლკლორში, ლიტ. ძიებანი XX, თბილისი, 1999.
2. აკაკის თვითური კრებული 1897, N4.
3. ბერიძე 1920: ბერიძე შ., მეგრული(ივერიული) ენა, ტფილისი, 1920.
4. გოგოჭური 1978: გოგოჭური დ., ხალხური სიტყვიერება მავნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ, 7 სერია, თბილისი, 1978.
5. ვაჟა-ფშაველა 1964: ფშაველა ვ., თხზ., ტ., IX, თბილისი, 1964.
6. ვაჟა-ფშაველა 1956 : ფშაველა ვ., თხზ., ტ., VII, თბილისი, 1956.
7. თანდილავა 1972: თანდილავა ზ., ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი 1972.
8. თსუ ფოლკლორის კათედრა. თსუ ფოლკლორის კათედრის 1977წ. ზამთრის IX სამეცნიერო ექსპედიციის მასალები, მთქ. ბ. ჭინჭარაული, ჩამწერი თ. ჩხეიძე, ხევესურეთი, ბარისახო.
9. თსუ. ფ. არქ. N1300. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი N1300.
10. თსუ. ფ. არქ. N896: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი, ავტორ-მთქმელი გიორგი ალუდაური, ხახმატი, 1963, N896.
11. თსუ. ფ. არქ. N2850: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი, N2850.
12. თსუ. ფ. არქ. N4973: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი, მთქმელი სონია გვრიტიშვილი ჩამწერი ქ. ბურჯანაძე, 1946, N4973.
13. „ივერია“ 1892: გაზეთი. „ივერია“, ტფილისი, 1892, N36.
14. ითონიშვილი 1960: ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.
15. ლამბერტი 1991: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1991.
16. მაკალათია 2006: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 2006.
17. მაჩაბელი 1978: მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, 1978.
18. ორბელიანი 1922 : ორბელიანი ს-ს., ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1922.
19. პირადი აქივიდან (მთქმელი ა. ტულუში, 2001 წ. ქ. ზუგდიდი).
20. პირადი აქივიდან (მთქმელი ნინო (ჩუხუ) სვანიძე-ნინუა, 1995 წ. ქ. ზუგდიდი).

21. პირადი არქივიდან (1932 წელს ჩაუნერია პორფილე ნანიშვილს სენაკში. ტექსტი მომანო-და 2007 წელს ან განსვენებულმა ა. ტულუშმა).
22. პირადი არქივიდან (მთქმელი ნათელა აფხაზავა, 2015 წ. ზუგდიდის რ-ნი სოფ. კახათი).
23. სახოკია 1956: სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1956.
24. სიხარულიძე 1960: სიხარულიძე ქს., საქორწილო პოეზია, წიგნი ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, თბილისი, 1960.
25. სამუშია 1971: სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბილისი, 1971.
26. სამუშია 1990: სამუშია კ., ქართული ზეპირსიტყვიერება (მეგრული ნიმუშები), თბილისი, 1990.
27. სონღულაშვილი 1955: სონღულაშვილი ჯ., ხალხური სიტყვიერების მასალები, წიგნი I, თბილისი, 1955.
28. ქართული ხალხური სიტყვიერება 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბილისი, 1975.
29. ქართული ხალხური პოეზია 1978: ქართული ხალხური პოეზია, ტ., VI, თბილისი, 1978.
30. ქართველური ხალხური სიტყვიერება 2016: ქართველური ხალხური სიტყვიერება (ჩხორონყუს რაიონი), წიგნი გამოსაცემად მოამზადა ა. ლომთაძემ თბილისი, 2016.
31. ყიფშიძე 1999. ყიფშიძე ი., რჩეული თხუზულებანი, თბ., 1994
32. ჩიტაია 1927: ჩიტაია გ., „ეთნოგრაფიული მოგზაურობანი აღბულალის რაიონში-“ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ., IV, თბილისი, 1927.
33. ცოცანიძე 1990: ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბილისი, 1990
34. ხალხური სიტყვიერების მასალები 1975: ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯ. სონღულაშვილის მიერ, ტ., II, თბილისი, 1975.
35. ხალხური სიბრძნე 1965 : ხალხური სიბრძნე IV, თბილისი, 1965.
36. Лафаг 1926: Лафаг П., Очерки истории культуры, Москва-Ленинград, 1926.
37. Соколов 1938: Соколов Ю., Русский фольклор, Москва, 1938.
38. Тепцовъ 1894: Тепцовъ Я., Сборник материаловъ для описания местностей и племен Кавказа, Т, 18, Тифлисъ, 1894.

# ქართველები დუზჯეს უნივერსიტეტში

დუზჯე თურქეთის შავიზღვისპირეთის რეგიონის ცენტრალური ქალაქია. დუზჯე მნიშვნელოვანია ჩვენთვის უპირველესად იმით, რომ აქ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ მუჭავჯირ ქართველთა შთამომავლები, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა, ქართული კულტურა, ადათ-წესები და ახლაც აგრძელებენ ბრძოლას იდენტობის, ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლის შედეგი გახლავთ ის, რომ დუზჯეს ამ შესანიშნავ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

დუზჯელი ქართველების ძალისხმევით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად და, რა თქმა უნდა, თურქეთის სახელმწიფოს კეთილი ნებით, დუზჯეს უნივერსიტეტში 2013 წელს გაიხსნა კავკასიური ენებისა და კულტურის განყოფილება – ქართული ენისა და კულტურის, ადიღური ენისა და კულტურის მიმართულებით.

წელს საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვება გავაცვილეთ. ორი წელია გახსნილია სამაგისტრო პროგრამა.

ქართული ენის სპეციალობები დუზჯეს უნივერსიტეტის გარდა ფუნქციონირებს ყარსის,

არდაჰანისა და რიზეს უნივერსიტეტებში. დუზჯე პირველია, სადაც ქართული ენის სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდა.

ამჟამად დუზჯეს უნივერსიტეტში ლექციებს უძღვებიან საქართველოდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები: ასოცირებული პროფესორი მაკა სალია, ასოცირებული პროფესორი ნანა კაჭარავა, ფილოლოგიის დოქტორი მარიამ სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი შორენა ლომია და დუზჯეს მკვიდრი – ხელოვნებათმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორი ფევაზი ჩელები.



ფევაზი ჩელები დუზჯელი ქართველია, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ სპეციალობის გახსნაში. ის დიდი ხანია მუშაობს თურქეთელი ქართველების საკითხებზე და მასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა სტატია აქვს გამოქვეყნებული თურქულენოვან ჟურნალებში. 2018 წელს მან დაიცვა დისერტაცია საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში ქართველური ენების მიმართულებით – „დუზჯეს ქართველთა მეტყველება“; ახლახან გამოიცა ფევაზი ჩელების წიგნი „ქართული ხელოვნების მიმართულებანი დასაბამიდან დღემდე“. ნაშრომი განკუთვნილია თურქულენოვანი მკითხველისთვის და აწვდის უტყუარ ინფორმაციას ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე დროშიც წიგნი უკვე პოპულარობით სარგებლობს თურქეთში.

ჩვენი განყოფილების წარმატება დამოკიდებულია ჩვენს ერთობლივ შრომაზე. გვიყვარს ჩვენი საქმე და ვცდილობთ პასუხისმგებლობით და სიფრთხილით მოვეკიდოთ მას.

ქართული ენის სწავლას ვინცებთ ანბანის სწავლებით. მეტ-ნაკლებად ყველა ინტერნეტ მასალას ვიყენებთ, მაგრამ ძირითადად მაინც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილ წიგნს „ქართული როგორც უცხო ენა“ (GEOFL.GE). ვატარებთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს.

დატვირთულ სასწავლო პროცესთან ერთად ჩვენ ვგეგმავთ, ვახორციელებთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ვზეიმობთ ქართული სახელმწიფო ენის დღეს და ამ ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ვატარებთ, „ქართული კალიგრაფიის კონკურსს, რომელიც ტრადიციად ვაქციეთ.

სტუდენტთა კალიგრაფიული ნამუშევრები სხვადასხვა დროს მიეძღვნა: შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს; ნიკოლოზ ბარათაშვილის



დაბადებიდან 200 წლისთავს; საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავს; დედაუნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს; ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს; გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილეს; მუხრან მაჭავარიანის 90 წლის იუბილეს.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები, შემეცნებითი ხასიათის საუბრები ქართული კალიგრაფიის ტრადიციების შესახებ; მსმენელი იღებს ინფორმაციებს იმ თარიღებთან დაკავშირებით, რომელსაც ღონისძიება ეძღვნება. სშირად ვატარებთ პოეზიის საღამოებს ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. ქართულ ლექსს, სიმღერას სხვა ძალა და მადლი აქვს.

უყვართ, მოსწონთ და ყოველი ღონისძიების მერე უფრო მოტივირებული ხდებიან, უფრო მეტი სიყვარულით ეკიდებიან საქმეს. „ქართული კლასიკოსები თურქულად“ ჩატარდა საქართველოს საელჩოში, სადაც ჩვენი სტუდენტებიც იყვნენ მიწვეული

ჩვენს ღონისძიებებს ესწრებიან სტუდენტები, უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და განსაკუთრებით მოუხარიათ დუზჯელ ქართველებს...

ბეიქენის უნივერსიტეტში ჩატარდა სტამბულის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრისა და დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების ერთობლივი ღონისძიება.



თანადგომის, ერთობის, სიკეთის, მეგობრობის დიდი ზეიმი იყო - 2017 წლის მაისში - შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი დუზჯეს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტმა უმასპინძლა საქართველოდან მიწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს, ღონისძიებაში ჩართული იყვნენ: საქართველოს საელჩო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო. სიმპოზიუმი სამდღიანი გახლდათ და, სამეცნიერო მოხსენებების გარდა, მოიცავდა შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს.

2018 წელს სიმპოზიუმის მასალები წიგნად გამოიცა. ამ კეთილ გზაზე ბევრი მხარდამჭერი, ბევრი გულშემატკივარი გვყავს. ვთანამშრომლობთ საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის ქართველოლოგიის განყოფილებასთან, რომელსაც პროფ. ტარიელ ფუტყარაძე ხელმძღვანელობს; დუზჯეს უნივერსიტეტს სტუმრობდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლისა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც შესანიშნავი ლიტერატურა გადმოგვცეს საჩუქრად. ძალიან გვახარებს და გვაძლიერებს ეს თანადგომა.

ჩვენი ყველა ღონისძიების მხარდამჭერი იყო და არის საქართველოს საელჩო თურქეთში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ...


ნაყოფიერია ამ ტიპის ყველა პროექტი, რომლებიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას ჩამოვიდნენ საქართველოში, იყვნენ ქართულ გარემოში და ცოცხალი შეხება ჰქონდეთ ქართულ კულტურასთან...

წელს საქართველოს საელჩომ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“-ს ორგანიზებით, განახორციელა პროგრამა „მომავლის ბანაკი“, 5-დღიანი





ავტო ქართული ენის დღეს!



საბანაკე დღე შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. საბანაკე დღე მოიცავდა სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ ღონისძიებებს. ჩვენი სტუდენტები შინ ემოციებითა და წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. ასეთი ერთობა და თანადგომა მეტად სასურველია.

სწორედ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენ გვაქვს ყოველნაირი პირობა - თანადგომა, მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. ჩვენ მომავალი სასწავლო წლისთვის გვაქვს საინტერესო გეგმები და დასტური უნივერსიტეტისგან, რომ დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულება უმასპინძლებს მორიგ სიმპოზიუმს.

ჩვენი უნივერსიტეტი გვაძლევს საშუალებას მნიშვნელოვანი თარიღები ჩვენს სტუდენტებთან ერთად მივულოცოთ სამშობლოს, ამისათვის მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი

ჟურნალის ფურცლებიდან მაძლობას მოვახსენებ დუზჯეს უნივერსიტეტს და მის რექტორს პროფ. ნიგარ დემირჯან ჩაქარს, ამავე დროს ვულოცავთ მას ა/წლის 24 მაისს მეორე ვადით უნივერსიტეტის რექტორად არჩევას.

ჩვენი პუბლიკაციის მეორე ნაწილში შევხებით დიასპორულ ორგანიზაციებს. უპირველესად, მინდა დავინყო „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციით“, რომელსაც აიდინ კუბილაი (იგივე კუბალაშვილი) ხელმძღვანელობს. ასოციაციასთან არსებული ქართული ცეკვის ჯგუფი ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას ურთიერთობა აქვს არა მარტო დუზჯეს ქართველთა ასოციაციასთან, არამედ დუზჯესთან ახლომდებარე ქალაქ საქარიის ქართველთა სათვისტომოსთან. საქარიაც გამოირჩევა ქართველებით დასახლებულ ადგილად, შევნიშნავთ, რომ აქ ბევრია გურჯის და ლაზის შერეული ოჯახები. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ მიმდინარე წელს საქარიაში დაარსდა „საქარიის ქართველთა - გურჯებისა და ლაზების - ასოციაცია“.

ამ კეთილშობილური საქმის სათავეში ქართველურად მოაზროვნე გულანთებული ადამიანები ბატონები მუსტაფა კოლატი, ერეკლე დავითაძე და სხვა მემლექეთმონატრებული ქართველები დგანან.


მადლობელი ვარ, რომ ამ ისტორიული მოვლენის მონაწილე ვარ და ვასწავლი მათ როგორც სალიტერატურო ქართულს, ისე ლაზურს.

საქარიის გურჯებისა და ლაზების ასოციაცია არის ნიმუში ქართველთა ერთობისა. ეს ერთობა კი ძალიან გვჭირდება შინ თუ გარეთ.

**შორენა ლომაია,**  
დუზჯეს  
უნივერსიტეტის  
ასოც. პროფესორი

**მაკა სალია**  
დუზჯეს  
უნივერსიტეტის  
ასოც. პროფესორი

სტამბული -  
ზუგდიდი



# სვანეთი

კონსტანტინე ჭილაია წლების განმავლობაში მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე, გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის“ რედაქტორის მოადგილედ, არის ისტორიის მასწავლებელი, სამათულ წელზე მეტი იმუშავა სკოლის დირექტორად, აქტიურად თანამშრომლობს ადილობრივი პრესასთან, არის მთარგმნელი და გამომცემელი ივ. ბართოლომეის წიგნისა: „მოგზაურობა თავისუფალ სვანეთში 1853 წელს“.

რაც შეეხება ამ თარგმანს, ეს არის ცნობილი რუსი ისტორიკოსის, არქეოლოგის გრაფინია უვაროვას მოგზაურობა საქართველოში და, კერძოდ, სვანეთში. გრაფინია უვაროვამ დიდი დახმარება გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას და, ასევე, სამუზეუმო საქმიანობას. მან ფეხით მოიარა მთელი საქართველო და ისეთი ლამაზი ფერებით აღწერა, რომ დღესაც აცვიფრებს მკითხველს.

გთვავობთ ამ წიგნის თარგმანის ერთ თავს „სვანეთს“

სრტაანიდან (Артаанъ) პირდაპირ გავიარეთ თიანეთი (Тианетъ), გორი და ქუთაისი, სადაც 8 აგვისტოს ჩავედით.

სვანეთში მიმავალები 10 აგვისტოს ისევ ვტოვებთ ქუთაისს; გავდივართ ქალაქის ბაზრით, მდინარე რიონზე ხიდივით, ვუხვევთ გორაკის გასწვრივ, რომელზედაც ძველი ქუთაისია გაშენებული, ვტოვებთ სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბაღს და საფოსტო გზით, რომელიც მიდის ალპანაში (Алпано), ონში (Они), მამისონში (Мамисон) და ასე შემდეგ, მივემგზავრებით ორი ფაეტონით, თან გვახლავს მაზრის უფროსი ვ. ა. კელანოვი (В. А. Кеганов), კაზაკები და სხვები. ბუნება ჩვენ გარშემო ალერსიანი და სუფთაა, კაშკაშა მზეა, ჩვენ განსაკუთრებული სიამოვნებითა და იმედით მივემგზავრებით. მდ. რიონის ხეობა, რომელზედაც გაყვანილია გზა, პირდაპირ ჩრდილოეთისკენ მიემართება და სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ის ხეობები, რომელიც მანამდე ვიხილეთ. ქვის კედლები, მაღალი მდელო, იტალიური სურო (Плющъ), სიმინდის ყანები, აყვავებული კატაბარდა, (Клемантисъ), ხოლო გვიმროვანს ცვლის კლდის კედლები ან თიხნარი ფერდობები, კვიპაროსები, ატმის ხეები, ხის კენწეროებზე გადაკიდული ვაზის ლერწები, სუროს მთელი ნყება, კატაბარდისა და მაყვლის ბუჩქები აგვირგვინებენ სამხრეთის ამ ბრწყინვალე სურათს და ჰარმონიულად ერწყმიან იმერეთის ხის ნაგებობებს, რომლებიც კაკლის ფიცრით ნაგები სახლებია, აივნიან-ფარდულიანი საერთო ოთხფერდა დახრილი სახურავით, ზემოთ პირდაპირი ქიმით, კაკლის თბილი კოლორიტული კედლებითა და ასეთივე სახურავით. გზა გორაკებს შორის მიიკლავება, რომლის მწვერვალებზეა ხეთა ჯგუფები თუ წმინდა ჭალები, ანდა კარმიდამოები. ასევე, იცვლება მცენარეულობა: ხურმა მზინავი, ხისტი, გრძელი, კბილანა ფოთლებით, ნაბლი, თხილი, ლელვის ხე (Смоковница), დიდი რაოდენობით იელი (азалия) და როდოდენდრომები, იტალიური სუროს მთლიანი კედლე-

ბი, ჩვენ ირგვლივ ყველაფერი მწვანეშია, მაგრამ ყვავილები საერთოდ არა ჩანს; მხოლოდ სადღაც ფერდობებზე, გზისპირა სიმწვანეში, წითელი მწიფე ალუბალია (Жидовская вишня), ვინრო ხეებში ვამჩნევ უამრავ ჩანჩქერს, რომლებიც დაბლა ეშვებიან რიყის ქვებზე ან საუკუნეების განმავლობაში გადარეცხილ კლდის ნაწილებს ეცემიან. ნაპირების გასწვრივ, სადღაც, რიყის ქვის კედლები ცარცითა და თიხის ხსნარითაა შედუღებული. მეტად გაცოცხლებული ადგილია და ჩვენ გამუდმებით ვხვდებით ქალების მთელ ქარავანს (караванъ), მინიატურულ იმერულ ურმებს, რომელთაც ადგილობრივები მძიმე ტვირთის გადასატანად იყენებენ, მათში, ასევე, მინიატურული ხარებია შებმული, გვხვდება ტანადი შავჩოხიანი იმერლები, ქუდის ნაცვლად ყაბალახს რომ ატარებენ და ტიპაჟით საერთოდ რომ არ ჰგვანან დანარჩენ ქართველებს, უმეტესად აქვთ ქერა, ცისფერი თვალები.

ვსაუზმობთ სოფელ მექვენაში (Меквена) (სადაც საფოსტო სადგურია), მოედანზე, კანცელარიის ახლოს, ხვამლის მთის ძირას, მწვანე ტოტებით საგანგებოდ მოწყობილ კარავში. ადგილობრივი მღვდელი გვთხოვს დაბრუნებულზე ვენვიოთ ძველ ეკლესიას სოფელ დერჩში (Дерчи), რომელიც მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარეობს, ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზეა, აქვს ქვის კანკელი, გუმბათი და შემორჩენილია ფრესკები.

მექვენის შემდეგ გზა კლდოვანი ხდება და ხევი ვინროვდება; კლდეთა შვერილები ძალზე ხშირად გზად გველობება, მდინარეში უზარმაზარი ქვები მოჩანს; ჩვენგან მარცხნივ ხვამლის კირქვოვანი კლდეა, რომლის ნარჩენები მთელ სიგრძეზეა განოლილი. მთლიანი კირქვიანი მთები იფარება სუროს, და კატაბარდის ტალავრით, რომელიც შერეულია ბრწყინვალე ძმრის ხის (Климентис) ფოთლებში და სხვა ბუჩქოვან მცენარეებში. ჩვენ უფრო მარცხნივ ვუხვევთ, ამგვარად ვუვლით ხვამლის ძირს; ჩვენგან მარჯვნივ

ისეთივე კირქვოვანი ქედია, როგორც ხვამლის ქედია, რომელსაც, ალბათ, უძველეს დროში ის რიონის ბობოქარი დინების გამო გამოეყო. ეს ქედები ერთ ადგილას როგორღაც ქმნიან მალალ გასასვლელს, რომელიც შორიდან ხვრელივით მოჩანს. ვუხვევთ ამ ახალ და უფრო ვიწრო ხევში, სამხრეთის მწველ მცხუნვარე მზის ქვეშ, ცხენზე ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ვგრძნობთ სასიამოვნო სიგრილეს. გავდივართ მდინარის მხრიდან ციცაბო შვერილების ქვეშ, საიდანაც დიდი რაოდენობით წყალი ჟონავს, რის გამოც ირგვლივ უამრავი შინდის, თხილისა და გვიმრის ბუჩქები ხარობს. ცალკეული ნაწილი ამ ფრიალო კლდეებისა მსგავსია მოპირდაპირე მხარეს არსებული მდინარის კლდის კედლისა, რომელიც დიდი ტყითაა დაფარული და მდინარეში აგდია მწვერვალებიდან ჩამოგორებული უზარმაზარი ქვები, ასევე, მდინარეში მწვერვალებიდან ჩამოშვებული სუროა და ხეები თავს იწონებენ, რაც განსაკუთრებულ სურათს წარმოადგენს თავისი სიმშვენიერითა და მიმზიდველობით.

1000 ფუნტ სიმაღლეზე ჩნდებიან პირველი ფიჭვები. უზარმაზარი ზომის ფრიალო კირქვოვანი ფენები განსაკუთრებულ სურათს წარმოადგენს, რომლებიც ზიგზაგებქვეშ მახვილი კუთხითაა განლაგებული.

ალპანას ახლოს დაბლობი ფართოვდება; რიონი იყოფა რამდენიმე ტოტად, რომლებიც ველებს და კუნძულებს ქმნიან, სადაც სიმინდია დათესილი. ირგვლივ და გარდვიარდმო ფრიალოა, ხან კლდოვანი და მცენარეულობა საერთოდ არაა, ხან დაფარულია ტყით, რომელთა შორის აქა-იქ ემჩნევა დამუშავებული და ნათესი ველები. მოსახვევში, სადაც რიონი ფრიალო კლდეს გარს უვლის ამავე არასწორი შრეებით, როგორც ზემოთაა აღწერილი, ყველაზე მალალ მწვერვალზე მდებარეობს სოფელი ზოგიში (Загиши), სადაც ძველი ორფერდა სახურავიანი ეკლესიაა. აი, ალპანა, მდინარე ლაჯანურით, რომელიც რიონს ერთვის, ხიდი მდინარეზე და გზა, რომელიც მარჯვნივ რაჭაში მიდის, სადაც 1882 წელს ვიყავით.

მივედით ალპანის კანცელარიაში, ფართო ეზოში ვტოვებთ ფაეტონებს და ვემზადებით ცხენით სამოგზაუროდ, უნაგირების მოსაზომად და მოსარგებად, საპალნე ცხენებისა და ბარგის გასამწესებლად, და, ჩვეულებრივ რომ იციან ხოლმე, ვსაუბრობთ, ვჭორაობთ და სხვ.

ალპანის შემდეგ გადავდივართ ხიდს, ვუხვევთ მარცხნივ და მდინარე ლაჯანურის მარცხენა ნაპირით ვაგრძელებთ გზას. ეს ხეობა რიონის ხეობაზე უფრო ვიწროა, მაგრამ ხასიათით მსგავსია: იგივე კირქვოვანი კლდეები, იგივე მცენარეულობა; მხოლოდ მდინარეა უფრო მძვინვარე

და კლდის ჩამონაქცევი დიდი რაოდენობითაა მდინარეში, ყოველივე თავისებურია და, მიუხედავად ხეობის სივინროვისა, თვალწარმტაცი და დიდებულია. ხეობიდან გამოსვლისას, მდინარის მხრიდან, უზარმაზარი კირქვოვანი დახრილი კლდის დანაშრევი მდინარემდე აღწევს თავისი თბილი ლაქებით და სასიამოვნო კონტრასტია მუქ-მწვანე ფერდობისა მწვანე კლდესთან. გამოვივართ ხეობიდან და უცებ მარჯვნივ ვუხვევთ კიდეც უფრო ვიწრო მდინარე სურმუშის ხევში (Сурмуши), რომელზედაც იქვე, ფონით გადავდივართ, რბილი თიხნარი გორაკებით, ბოსტნებსა და სიმინდის ყანებს შორის, აღმა მივუყვებით ციცაბო მოსახვევებით ამ მინდვრებს, ბოსტნებს და ვჩერდებით ფართო მალლობის ვრცელ ველზე, რომელიც გარშემორტყმული იყო დიდებული მუხებით, უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანის (Григорий Дадиანი) სახლის წინ, რომელიც აშენებულია ყველა იმერული და მეგრული სახლების გეგმის მიხედვით, და აქვს ფართო აივანი ფასადის მთელ გაყოლებაზე.

ხანში შესულმა თავადმა ჩვენ თავაზიანად მიგვიღო, ევროპულად დაგვაპურა და ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცა ორი ოთახი კარგი ავეჯით გამონყობილი. თავადთან აღმოჩნდნენ სტუმრები და ნათესავები, მათ შორის, ჩვენი ძველი მეგობარი თათარხან დადეშქელიანი (Татархан Додешкелиани), რომელიც დახმარებას შეგვპირდა სვანეთის შესწავლაში.

11-ში 6 საათზე ვდგებით, რომ მოვემზადოთ და გზა გავაგრძელოთ, მაგრამ ამას წინ ელობება ნისლი, რომელიც სქელ სუდარად გადაეფარა მთებსა და ველებს, თუმცა ნისლი 9 საათისათვის გაიფანტა და ჩვენ გზა განვაგრძეთ მთავარ თათარხანის თანხლებით. მივდივართ მჭიდროდ დასახლებულ ადგილას, სოფელ თაბორის (Таборь) მინდვრებით, ბოსტნებით, საოცარი ნიგვზიანი ხეებით. ცალკე გორაკზე ღვთის ჯვრის სახელზე ეკლესიაა, მარჯვნივ ბრწყინვალე ნმინდა ადგილია, რომელიც გარშემორტყმულია ძველი ნეკერჩხლით, რომლის ძირები გველებივით გადახლართულია, ძლივს ვუვლით გვერდს გზისპირა ქვებისა და კლდის ნაშალს, რომლის ჩრდილქვეშ აღმართულია ქვის ჯვარი, სადაც, კიდეა ადგილობრივების მიერ მორთმეული ძღვენი. აი, კიდეც ერთი დასახლებული პუნქტი სოფელი ლაილაში (Лаилаши) დუქნებით, ბაზრით, სომხური და ებრაული მოსახლეობის ნაწილით, სკოლითა და მოსასვენებელი (Приомный покой) ოთახით სკოლაში, სტუმართმოყვარე სახლებითა და თბილი მოპყრობით, ბალებითა და ვენახებით. გავდივართ ლაჯანურის ხეობიდან და გადავდივართ საკმაოდ დიდი ხიდით მდინარე ორბელზე, საიდა-



ნაც მწვერვალზე მოჩანს ციხესიმაგრე და ეკლესია, რომელიც დამალულია ხეების ჩრდილქვეშ, ერთ ხანს ვუვლით კირქვიან ნაშალს, გადავდივართ მდინარეზე და ათი ვერსით მივდივართ ქვით მოფენილ გზაზე, მივუყვებით მის მარცხენა ნაპირს. რაც შორს მივდივართ, ხეობა მით უფრო ვიწრო და მწვანე ხდება; მდინარემ სხვადასხვა ფორმაციის, ფერისა და ზომის კენჭები გამოიტანა; ასევე ხეების დიდი ნაწილი მოგლეჯილია და გამოტანილია ნაპირებზე, ლარტაფებსა და მეზობელ გორაკებზე; ბევრ ადგილას მწკრივებად წინ წამოწეული კირქვიანი კლდეების ქვემოდან თვალწარმოცად გადმოშლილია ბუჩქები; ჩვენს ირგვლივ რცხილა (Грапи), ნიფელი (Буки), ჭადარი (Чинари), თხილი (Орех), მუხა (Илекс) (მუხის სახეობაა, კომენტ.) და დიდი რაოდენობით პიტოსპორუმი (Питоспорма) და დაფნის ხეებია.

12 სათზე მდინარის პირას, რომელ ადგილსაც ჰქვია ხვირისპალო (Хვირისბალო), ხვირის მთის ძირას, სასაუზმოდ მოვეწყვეთ.

გზა გავაგრძელებთ, შემოვუარეთ ხვირს და მალევე შევუდექით აღმართს. ძლიერი აღმართია, ქვიანი, რომელიც დაფენილია ნიფლნარის კორომზე, სადაც გოლიათი ხეები ხარობს, რომელთა ქვეშ, როგორც საუკეთესო პარკში, ასევე, დაფნა და პიტოსპორუმი იზრდება; ქვის საფეხურებს ხიდანვე მივყავართ, რომლის ორივე მხარეს ვტკბებით მდ. ლაჯანურითა და მისი შენაკადებით, და სასწრაფოდ ვემზადებით ჯვარისა თუ ჯვრის მთის ციცაბო აღმართის დასაძლევად. ეს აღმართი მთელი სამი საათი გრძელდება და მწვერვალზე ასვლისას ანეროიდი 8200 ფუტს უჩვენებს. ფლორა, ასევე, ახლოსაა ალპური მდელოების მწვერვალთან; ყველაზე მაღლა მხოლოდ როდოდენდრონებია. საუბედუროდ, ამინდი ფუჭდება და ნისლი ყოველი მხრიდან გვიხლოვდება, ავდივართ ყველა მიმართულებით, გადავრბივართ ხევიდან ხევამდე, ნისლი ჩვენ ირგვლივ ტრიალებს და წუთში ყველაფერი დაიფარა. რამდენიმე წუთი ვისვენებთ მწვერვალზე ნისლით გარშემორტყმულნი და ქარს მწვერვალის ნაპრალებზე ვემალებით. ვინცებთ დაშვებას ძალზე ციცაბო და ქვიან გზაზე, რაც ორი საათი გაგრძელდა. მოშიშვლებული მწვერვალის შემდეგ ისევ ნიფლის ტყემდე მივდივით, 6800 ფუტ სიმაღლემდე, ოდნავ მოშორებით შევდივართ კავკასიური სოჭის (Нормандиана) ტყეში და ბოლოს თიხნარი გზით ვემგვებით და შევდივართ მდინარე ცხენისწყლის (Цхенисцხალ) ხეობაში, რა ადგილსაც ჰქვია მუაში (Муашь), რომელიც ცნობილია თავისი მინერალური წყაროებით, განლაგებულია სოფელ სასაშის (Сассаши) მეზობლად და მდებარეობს 4700 ფუტ სიმაღლეზე.

12 აგვისტოს, გრილი, მაგრამ სასიამოვნო ღამისთვის შემდეგ, ჩვენ ვენვიეთ თავად გრიგოლს სახლში, მუაში, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სადადიანო სვანეთის, ანუ ცხენისწყლის, ლაშხეთის თემის სოფლების ძველი ეკლესიების დათვალიერების მიზნით (სადადიანო სვანეთში, გარდა ამ თემებისა, კიდევ ორია: ჩოლურის (Чулорское) და ლენტეხის). ლაშხეთის თემში, სოფელ დაბიში (Дабиши) ძველი ეკლესიაა, რომელიც ჩიხარემისთვისაა (Чехорежское) მიწერილი. ის ძალზე პატარა ზომისაა, ბაზილიკური ფორმის და ზომებით მოგვაგონებს ნუზალისას (Нузальское) ოსეთში. აგებულია რიყის ქვისგან კირით, გადახურულია ფიქალით, როგორც ყველა სხვა ნაგებობა სოფელში; კარი დასავლეთით ვიწროა; ფანჯრები აღმოსავლეთითაა; ხის კარი ანჯამის გარეშეა ჩაჭრილი. ფანჯარასა და კარზე გამოსახულია ტოლგვერდა ჯვარი და კოლოფისებური თალია; ქვის კანკელი სიმაღლით 1 არშინი და 5 ვერშოკია.

კედლები, კამარა და კანკელი დაფარულია ფრესკებით, ნაწილი აღდგენილია; საკურთხევლის თავზე ღვთისმშობელია ყრმით, როგორც ზეციური სასწაული; გვერდებზე ანგელოზებია ბიზანტიურ სამოსში ჯვრებით, დაბლა ქერუბიმებია; უფრო დაბლა მიწამდე რიგი წმინდანებისა ჯვრებგამოსახულ სამოსშია; საკურთხევლის ზევით მხსნელის გამოლტვაა, სავარაუდოდ, ახალი წარმოშობის, თალის მხატვრობა ნესტის გამო გაფუჭებულია, მაგრამ ემჩნევა ქერუბიმების ნაშთი და მზე. სამხრეთის კედლის მაღალ სარტყელზე – მიძინება და ჯვარცმაა. ჩრდილოეთის კედელზე ქრისტეა, რომელიც ანგელოზებს მიჰყავთ და წმ. გიორგია; კანკელზე ქერუბიმები, წმინდანები, ევანგელისტები და ყრმათა მოსვრაა. დაბლა სარტყლის ორივე კედელზე გამოსახულია ყიფიანის ოჯახი, რომლის ნევრები ახლაც ხეში ცხოვრობენ და ცნობილები არიან ბრძოლით, რომელსაც ისინი ეწოდნენ ხევის დასაუფლებლად XVII ს. ყველა ფიგურა განახლებულია; წარწერები სამოქალაქოა, ეკლესიის ეზოში ღვინის ქვევრებია ჩადგმული, ამჟამად არ იყენებენ, მაგრამ შენარჩუნებულია და დახურულია ქვის ფილით.

ეკლესიაში არა არის არაფერი, გარდა ხის უბრალო ჯვრებისა და კარგი პატარა ვერცხლის ხატისა წმ. მთავარანგელოზ გაბრიელის კლასიკური გამოსახულებისა. შიგნით ქვის სკამებია ორ კედელთან. ეკლესიის ირგვლივ სოფლის სასაფლაოა, რომელიც დღესაც მოქმედებს. რამდენიმე ნაბიჯში ეკლესიის ნანგრევებია. სოფელ ჩიხარეში იმავე თემში ორი ეკლესიაა – ერთი მოქმედი, ნაგები ადგილობრივი რბილი ფლე-

თილი ფილებიგან, და არის მიძინების დიდი ზომის ეკლესია, ასევე, კოლოფის ფორმის კამარით, სამი შვერილი თალითა და პილასტრებით; კედლების სისქე 1 არშინი და 11 ვერშოკია. კარი - დასავლეთით ახალი, ხოლო სამხრეთით - ძველი; ფანჯრები - დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით; სამხრეთის მხარეს კიდევ ჩადგმულია მეორე ფანჯარა. საკურთხეველი კედელთანაა და ორი - ჩაღრმავება ჩრდილოეთით და სამხრეთით. გარედან ეკლესია ოთხკუთხაა, ორფერდა ხის სახურავით. დასავლეთის მხარეს ხის ფარდულია.

ხის დასაკეცი კანკელი თურქულ-აღმოსავლური ტიპის ვერცხლით მოჭედილი. ცენტრში - ღვთისმშობელი ყრმით, მათ ქვემოთ მოფარფატი ანგელოზები წარწერით: წმინდა გაბრიელი და მიქაელი; გვედით მოციქულები პეტრე და პავლე. საგდულებზე - მთელი ტანით წმ. გიორგი და წმ. თევდორე. წარწერა ყველა ხუცურია. ღვთისმშობლის ქვეშ: „იყავ შემწყალებელი გაბრიელის“; დაბლა: „აკურთხე ხევის ყველა მცხოვრები და აზნაურები“. სიმაღლე მთავარი გამოსახულების - 10, სიგანე ზომით - 9, კარის დარაბა სიმაღლით - 11 ვერშოკი, სიგანე 43/4. მთავარი გამოსახულება ღვთისმშობლის მოოქრულია.

მხსნელის ხატი დაზიანებული არშით და გამოსატანი ტოლგვერდა უგამოსახულებო სპილენძის ჯვარი. დასავლეთის კედელთან ფანჯრის გვერდებზე ცხვრის თავებია. დასავლეთის კედლის ახლოს გამოსახულია ხელი.

სოფელი ჯახუნდერი (Джахундери) - ეკლესია წმ. გიორგის სახელზე, თლილი ქვისგან, სრულად განახლებული, კარი სამხრეთიდან აქვს; საკურთხევლის ფანჯარა უხეში ორნამენტითაა შესრულებული; იმავე კედელზე ძალზე გაფუჭებული ჯვარია ტოლფერდა გაურკვეველი წარწერით.

ეკლესიაში: საგდულიან (დასაკეცი) ხატზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით; გვერდებზე - მოციქულები პეტრე და პავლე. დაბლა წარწერა: „ადიდე თავადები და შეიწყალე სოფელი ჯახუნდერი“.

ისეთივე ნაჭედი ხატი მხსნელის და მთავარანგელოზ გაბრიელის წარწერით, რომ „ის მოჭედილია მხატვარ მიქაელის შვილის მიერ“ და 2 ხატი გიორგის, რომელთაგან ერთი ცხენზეა ამხედრებული საკურთხევლის მხარეზე (Запрестольная); დაზიანებულია, მაგრამ კარგია, გამოსახულება მკაცრია. ხუცური წარწერა გვამცნობს: ეს წმინდა ხატი მამასახლის ვახტანგის დროს ლომინას შვილმა მოჭედა; მისცა მან თავის ხელოსნებს 20 დრაჰკანი თავისი ქონებიდან და წმ. გიორგი ლოცულობს შენტვის სულით და ხორციით. უკანა

მხარეს ხუცურად: „წმ. გიორგი, იხსენი და გამარჯვება მიეც სულა გელოვანს და გიორგის; შეუწინდე ცოდვები და ღმერთი შეინყალებს; და მის მეუღლეს და აპატიებს მათ ღმერთი, და შვილებს მიეც ძალა“. ხატი განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ, დამტვრეული ჩარჩოდან შეიძლება ამოიღო (ან მალე ამოვარდება) ცვილის ნაჭრის ნაწილი, რომლის დახმარებითაც ასხამდნენ ქედურ ხატებს კავკასიაში.

ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე ბრწყინვალე ტოტებგაშლილი ცაცხვია, რომლის გარშემოწერილობა 16 არშინი და 10 ვერშოკია.

მთაზე მდებარე სოფელი მახაში (Мухаши) 20 ვერსითაა დაშორებული სოფელ საშაშიდან. ასევე, წმ. გაბრიელის ეკლესიიდან გამოგვიტანეს დასათვალიერებლად წმ. გიორგის ხატი მოჭედილი, კარგი მხატვრული ნამუშევარი.

სოფელ ჩუკულში არის ეკლესია წმ. გაბრიელის სახელზე; საერთო ტიპის, ორფერდა სახურავით და კედლებზე ფრესკებით; შიგნით შემორჩენილია შედარებით ძველი ფრესკები, ვიდრე ზემოთაა აღწერილი. საკურთხევლის ნიშაში მხსნელია, გვერდით ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი; დაბლა წმინდანები. ტრიუმფალურ თაღზე - იგივე გამოსახულება. სამხრეთის მხარეს (ნათების გვერდებზე გამოსახულია ხარება, ალბათ გვიანდელი) ქრისტეშობაა ღვთისმშობლის მაგისტრალური გამოსახულებით, მღვიმეში შეხვეული ყრმით, მწყემსებით. მახარობელი ანგელოზებით, ვარსკლავით; ჩრდილოეთით - იერუსალიმში შესვლა და ჯოჯოხეთიდან ამოყვანება. დანარჩენი გამოსახულება უახლესია; ძალზედ შესწორებულია ჯოჯოხეთიდან ამოყვანება დასავლეთის კედელთან.

კარი სამხრეთის და დასავლეთის კედელთანაა, მაგრამ ეს უკანასკნელი ალბათ გვიანდელია. სამხრეთისას შენაჩუნებული აქვს ძველი ნამორი (колода) და კარი უღბობელი ხისგან მოჩუქურთმებულია. კანკელი ქვისაა, ერთმალიანი, კანკელის წინ აღმოსავლურ სადგამზე დგას ოთხფერდა ნვეტიანი დიდი ხის ჯვარი, მოვერცხლილი სპილენძის თხელი ფირფიტებით მოჭედილი წმ. გიორგის, ღვთისმშობლის და ანგელოზების გამოსახულებით. ჯვრის სიმაღლე 3 არშინი და 14 ვერშოკია.

ეკლესია ძალზე მდიდარია ზემოთ დასახელებული მსგავსი ტიპის ხატებით.

ლაშხეთის თემში ეკლესიები, რომლებზეც იყო საუბარი, გაშლილია თავიანთი სოფლებითა და გასაკუთრებული ხუტორებით, მინდვრებითა და მდელოებით ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სოფლები გამოყოფილია ერთმანეთისგან პატარა დასახლებებით და შედგება ფიქალის

ნაშენი ორსართულიანი ნაგებობისგან, ფიქალი-სავე სახურავით, ძალზე პატარა, იშვიათი ფანჯრებითა და კარით, რომლებიც აივანზე გადის, რომლისკენაც ფიქალით მოპირკეთებულ კიბეს მივყავართ, სახლის მახლობლად სამეურნეო ნაგებობებია, ანუ ფარდული პურისათვის, ფართო კალო და ბოსტანი, სადაც არის კარტოფილი, ჭარხალი, თუთუნი, კიტრი, ლობიო, კვახი, სიმინდი და კანაფი. მინდვრის ყველა მფლობელს შემოვლებული აქვს წნელისა და ქვის ლობე, რომლის იქით ახლა დანყობილია შეკრული პურის მარცვლის ბულულების შეკვრა და მინდორში ძოვს საკმაო რაოდენობის საქონელი. დასახლებები სუფთა, კეთილსახიერია, ირგვლივ ყველაფერი კმაყოფილებითა და წესრიგით სუნთქავს. გამოვედით მუაშიდან, შემოვუარეთ რამდენიმე ტყიან ბორცვს, ვემვებით ცხენისწყლისკენ, გადავდივართ შეფიცრულ მოყანყალე ხიდზე, რომელიც ხევსურულს მაგონებს, ოდნავ მაღლა მივიწვეთ და ვიმყოფებით მდინარე ფიშხორის (р. Пишхорь) მაღალ ნაპირზე, რომელიც გადის ასპიდის ნარჩენებზე და უერთდება ცხენისწყალს. გადავდივართ მდინარეს და გზას ბილიკებით ვიკვლევთ წნელისა და ქვის კედლებშემოვლებულ მინდვრებსა და მდელოებს შორის. ამგვარად, ჩვენ უკან ვტოვებთ სოფელს სოფელზე, ვტკბებით განცალკევებული სახლებით სხვადასხვა ტყიან გორაკებზე. განსაკუთრებით თვალწარმტაცია კოშკებიანი დასახლებები, რომლებიც თვალწარმტაცად მოჩანან ცალკეული გორაკებიდან ლურჯი ცის ან მუქ-მწვანე ფონზე მოპირდაპირე მდინარის ნაპირებიდან.

ადგილი მუაში, ანუ მინერალური წყლები, რომელ დასახლებასაც ეს სახელი დაერქვა, მდებარეობს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ვრცელ მწვანე ველობზე, რომელზედაც დღეს აღმართულია საზაფხულო ნაგებობები იმ ადგილობრივი მცხოვრებლების, რომლებიც მოდიან, რომ ისარგებლონ ნახშირორჟანგიანი რკინის წყლებით. ადგილი მეტად ლამაზი და თვალწარმტაცია. აგარაკის მოედნიდან ხევი უფრო მყუდრო და დასახლებული ჩანს; ჩვენ წინ ტყიანი მთებია, რომელიც ცოტა ხნის წინათ გადავედით და რომლის სახელი არის ლეჩხუმი. იგი გამოყოფს ლეჩხუმს სადადიანოსგან, ანუ ცხენისწყლის სვანეთისგან; ჩვენ უკან სვანეთის მაღალი ქედია ლატფარის (Латпарское) უღელტეხილით, რომელიც ცხენისწყლის ხეობას აცალკევებს ენგურის ხეობისგან, ანუ თავისუფალს სათავადო სვანეთისგან; მარცხნივ ჩიტხორის თოვლიანი ქედია, უფრო მოშორებით, მარცხნივ, ფასის მთის (Пасисмта) თოვლიანი მწვერვალებია, რომლის ცქერით ვტკბებოდით საღამოობით ყველაზე ბრწყინვა-

ლე სხივებისა და შუქის საოცარი თამაშით თოვლზე.

13 აგვისტოს, მძიმე და გრძელი გასაგლეხი გზის გამო ვდგებით  $5^{1/2}$  სთ. გავრბივართ აივანისკენ და გახარებულები ვხედავთ, რომ ცა სრულიად სუფთაა; უკანასკნელი ვარსკლავები მთის მწვერვალებიდან ქრებიან, ნელ-ნელა ანათებს ამომავალი მზე, რომელიც გვიპირდება საოცარ ამინდს. 7 საათზე დავიძარით. ვემვებით ცხენისწყლისკენ იმავე მიმართულებით, როგორც ამახ წინათ, გავდივართ სოფლის შესახვევებით, გადავდივართ მოპირდაპირე ნაპირზე და ცოტა ხანი მინდვრებით მივდივართ ტყიანი ლუჯის მთის ძირის გასწვრივ.

$8^{1/2}$  სთ., 3800 ფ., სიმაღლეზე გარს ვუვლით ლუჯის მთას და ვინყებთ აღმართზე ასვლას. ჩვენ გზას გვილობავს კლდის ქედი; შემოვლის შემდეგ ვჩერდებით, რათა დავტკბეთ მდინარე ლუჯის ვარდნით, რომელიც რიყის ქვებს შორის მიარღვევს ხევს, რომლებიც მეზობელი მთებიდან არიან გამოშვერილები, ბილიკებით ვაგრძელებთ გზას, რომელიც ხევსურეთისას გვაგონებს, გზა მიდის ლაქებიანი, ხავსიანი მწვანე კლდის გასწვრივ, გამონეული დერეფნებით, კლდეების შვერილქვეშ, ბრწყინვალე როდოდენდრონგადაფარებული ბუჩქების გასწვრივ. ამ ბილიკებს ჩვენ აყვავართ ნიფლის ტყემდე, თავად გარდაფხაძეების მწვანე ველობამდე. უფრო მაღლა ნიფელი იკარგება, იცვლება მუხით, არყითა და აზალოის მთელი მინდვრებით.

სულ მაღლა-მაღლა მივიწვევით ფართოდ დამუშავებული ლატფარის ბილიკების გასწვრივ, რომელსაც ყველა მიმართულებით ვუვლით, ყოველი შემოვლისას ვტკბებით ცხენისწყლის ხევის ცქერით, რომელიც ჩვენს ფეხქვეშაა, ჩვენ გარშემოა მწვანე მწვერვალები და თოვლიანი წყვდიადის ნაკადი, რომლებიც განლაგებულნი არიან ამ მწვერვალებზე და საოცრად ლამაზია სუფთა ლურჯ ცაზე. 5700 ფ. სიმაღლეზე მხოლოდ არყის ხეებია დარჩენილი, ამ ადგილს ჰქვია დიცილა (Дицила). ის გამორჩეულია ბრწყინვალე პატარა მდელოებითა და ახალი, კარგი წყაროთი. 7400 ფ. სიმაღლეზე ქრებიან არყის ხეები და ჩვენ მივიწვევთ უფრო მაღლა, ალპური მდელოებისკენ, რაც თავისი ფლორით ხევსურეთს მოგვაგონებს, მაგრამ არა ჭრელი ყვავილებით, ვინაიდან გვიანი დროის გამო იყვავილეს, სხვები დათესლიანდნენ, ბევრი გაითელა და განადგურდა საბალახოდ გაშვებული ნახირის მიერ.

აღმასვლა ამ უკანასკნელი ნაწილისა ძალზე ხანგრძლივია და ზოგან ძნელია, ვინაიდან კლდის მწვერვალები, რომლებიც გამოეყვნენ მოლს (Мурави), ბევრ ადგილებში ქმნიან მახვილ

ქედებს, რომლებზედაც დროის, მოგზაურებისა და ადმინისტრაციის განკარგულებით გადებული იქნა ბილიკი ქვის კიბეების სახით, რომელიც მოხერხებულია აღმართზე ასვლის დროს და მუდამ საშიშია დაღმართში. ხრამები ბლომად გვხვდება, რომლის გასწვრივ უაზროდ მივდივართ, არ ვაქცევთ შესაბამის ყურადღებას მოსალოდნელ სახიფაო ადგილებს, უფრო დაკავებული ვართ სუფთა ცით, ჩვენ გარშემო არსებული მთებით, ფლორის მრავალფეროვნებითა და ჩვენი მეგზურების განმარტებებით. გზად მიმავლები გადავივართ ორ თოვლიან ზეგზე და ბოლოს ვამჩნევთ უღელტეხილის მაღალ წერტილს და ცხენებს ვამზადებთ ჩორთით სასიარულოდ. ავდივართ უკანასკნელ ხრამზე და აღტაცების გამო ვერ ვიკავებთ ხმამაღალ ყვირილს ჩვენ წინ გაშლილი სურათის გამო.

ჩვენ ირგვლივ შიშველი მთებია, უფრო მეტად ასპიდის ჩამონაშალი; სიღრმეში ტყის დაბალი ქედებია, ხოლო ჩვენ წინა აღმართულია ჩრდილოეთის ქედი მთელი თავისი სილამაზით, თავისი დიდებული თოვლიანი მწვერვალებით, მყინვარებით, ჩამომავალი მორენებით. მომაჯადოებელი სურათი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ დაივინყებ! და ყველაფერ ამაზე, ყველა ამ ბრწყინვალე მყინვარებზე მაღლა ნათელი, გამჭვირვალე, სხივმოსილი ცაა.

ჩვენ წინ (თუ მარჯვნიდან დავითვლით) მწვერვალი ყორულდაში (Корулда), სტხორის (Стхорь) (ხომ არ არის შხარა, რომელიც უხვანის გვერდით მდებარეობს. კ. ჭ.), უხვანის (Ухвань), რომელიც მაგადა მთას მოგაგონებს, ბრწყინვალე თეთნულდი (Тетнулды) ორი სრულიად თეთრი კონუსებით, რომელთა შორის ეშვება ადიშის მყინვარი და ბოლოს – ულამაზესი უშბა, მაღალი, თოვლიანი, ბრწყინვალე, ორი ბასრი კონუსით და მარჯვნივ კი ჭაღარა, რომლის იქით მოჩანს იალბუზის (Ялбузца) ზედა ნაწილი.

უღელტეხილზე 11<sup>1/2</sup> ვიყავით და დასასვენებლად შევჩერდით 9700 ფუნტ სიმაღლეზე, ამასთანავე მეზობელ მწვერვალთან ანეროიდი 10800 ფუნტს მიუახლოვდა. მალე უღელტეხილთან მოვიდა დადემქელიანის საქორწინო „მატარებელი“ (поезд), რომელსაც სვანეთში მიჰყავდა ახალგაზრდა ქალი თავადი – თავად ოთარის ცოლი, და ჩვენ ყველამ ერთად მხიარულად ვისაუზმეთ, დავიყავით დიდ ჯგუფებად და ვისხედით 2 სათამდე, შემდეგ დავინყეთ დამევა. ლატფარის მწვერვალები იმდენად კლდოვანია, რომ უღელტეხილის ზოგ ადგილას დაგვხვდა მთელი ქედი, მუქი ასპიდის, რომელიც სულ უფრო და უფრო მუქად მოგვეჩვენა, ჩვენს თვალწინ კიდევ უფრო ლამაზი იყო თოვლიანი ქედი და ის მზეზე

უფრო ნათელი ხდებოდა. ოდნავ მოშორებით, მოსახვევში, გამოჩნდა ენგურის ხეობა, მაღლა თავისუფალი სვანეთის თემით – მარჯვნივ, სულ კუთხეში – უშგულის თემის სოფლები, უამრავი კოშკით, მარცხნივ – კალას თემის სოფლები.

რაც უფრო ვეშვებით, მით უფრო აშკარაა ადგილობრივ მთის ქანებში კვარცის არსებობა; კვარცის უზარმაზარი ლოდებია როგორც მთის ფერდობზე, ისე გზაზე, როგორც მდ. ნალვარში, ისე მდინარის კალაპოტში.

ფიქრსა და მოგონებას ჩვენ მიერ გავლილ უღელტეხილზე, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ეს სულაც არაა ისეთი ძნელი და დამლელი, რომლის შესახებ ასე ბევრს გაჰკვივიან და საუბრობენ. ის გრძელი გზაა და დამლელი – ეს სიმართლეა, მაგრამ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მაღლობები დამრეცია, გზები ფართო და შვეული კედლები შედარებით ცოტაა.

სიტყვა ლატფარს სვანები თარგმნიან: „მწვერვალებს გარშემოხვეული ყველაზე ბრტყელი სივრცე“.

ვეშვებით მაღალი ნალვარევით (ხრამი), თავდაპირველად ქვიან, მოგვიანებით – სრულად რბილი თიხიანი ბორცვებით; ფერდობები სრულიად მწვანეა; ბევრი მდელო და ყვავილები, უამრავი როდოდენდრომებისა და მტირალა არყი; მაღალმხატვრული და თბილი, როგორც იტალიაში.

ჩვენ გარს ვუვლით მთის ფერდობებს, რომლებიც განლაგებულია მდ. მიშურას ზემოთ – ენგურის შენაკადი, ჩვენ თვალწინ მთიდან ეშვება იმავე სახელის მატარებელი მძაფრი ხმაურით, საკმაოდ ფართო, მუქი ასპიდის ხევით, საიდანაც ჩავდივართ კალას თემის სოფელ დავბერში. რაც უფრო ახლოს მივდივართ მასთან, ჩვენ თვალწინ მით უფრო ფართოდ იღება იმ ორი კლდის კედელი, რომლებიც თითქოს ხევს გადაადგილებენ და რის გამოც ჩვენ თვალწინ ჩნდებიან, როგორც თეატრალური დეკორაცია. ვუხვევთ მარცხნივ, გადავდივართ ხიდით ენგურს და ვჩერდებით კანცელარიის წინ მდელოზე, ეგ შენობა, სანამ ამ მხარეში დავრჩებით, ჩვენთვისაა განკუთვნილი.

კანცელარია პატარა შენობაა, რომელიც მდებარეობს ტოტებგაშლილი არყის ქვეშ, რამდენიმე ნაბიჯში, კალას თემის სოფელ ლალხორიდან (Лалхорь). ჩვენ წინ მწვანე მდელობია, რომელიც მდინარე ენგურის ნაპირზე ეშვება, მგრგვინავ ძველ ლოდებს შორის. ის გზას ულობავს მდინარის კალაპოტს და მისი ნაპირების მარცხენა და მარჯვენა მხარეს მაღალი მწვანე მთებია, მარცხნივ – ლატფარის დამრეცი ფერდობი, დაფარულია არყის ხის ნარგავებით, მარჯვნივ – ნაძვის

მთებია; კიდევ უფრო მარჯვნივ – ხევს კეტავს ბრწყინვალე უშბა (Ушба), რომელიც ახლა გამჭვირვალე ნისლითაა დაფარული. კანცელარიიდან მარჯვნივ უხვნყლიანი მშფოთვარე ნაკადი ხალდისწყალი (Халдисцхали), რომელიც იმავე ხევის სახელის მქონეა, გამოქუხს ხეობიდან, რომ შეურთდეს ენგურს. ამ ხევის სიღრმეში მთელი მისი სიღიადე მოჩანს.

ლამაზად მოჩანს თოვლის ქედი უხვანი, რომლითაც უკვე დავტკბით უხელტეხილზე.

14-ში. კალას თემი, რომელიც 6150 ფ., მდებარეობს, შედგება 7 სოფლისგან: დავბერი (Довбери), იფრარი (Ипрари), ლალხორი (Ланхоры), მუკდარი (Мукдарь), ხალდე (Халдэ) ან ახალი იფრარი, ვიჩნაში (Виचनाши) და ხე (Хе).

ეკლესია სოფ. იფრარში, როგორც მთელ სვანეთში, პატარა ბაზილიკური ეკლესიაა, ორფერდა სახურავით, ფრესკებით დამშვენებული, ხატები უმეტესად – მხსნელისა და წმინდა გიორგის.

ეკლესია სოფ. ხალდეში გვერდითა ხევშია, ამჟამად გადაკეთებულია, ხატების უმეტესობა წმინდა გიორგისაა, მათგან მხოლოდ ერთია საუკეთესო.

ენგურის მარცხენა ნაპირზე, დამრეცი ასპიდის კლდეზე, ასწლიანი ნაძვებით დაფარულ ცალკე ქედზე, ამაღლებულა მთელ სვანეთში ცნობილი წმ. კვირიკესა და ივლიტას მონასტერი, რომელიც შედგება პატარა ეკლესიისგან, გამაგრებულია, ალბათ, მოგვიანებით. გზა კანცელარიიდან მონასტრამდე გაყვანილია მშვენიერ ვიწრო ბილიკებსა და ასწლოვან ხეებს შორის, რომლის ქვეშ მხოლოდ ხავსი იზრდება, ხოლო დამრეც მდელობებზე ახალიის ბუჩქები და რბილი მდელოა. ეკლესიამდე მიდიხარ ფეხით, მთის შვერილებით იკავებ თავს და ჩამოშლილ კედლებს იქით გამოდიხარ სათოფურეებიანი კოშკის ქვეშ.

ეკლესია ძალზე მდიდარია ჯვრებითა და ხატებით; მასვე ეკუთვნოდა ცნობილი ბერძნული სახარება, რომელიც ან უკვე გადატანილია გელათის მონასტერში.

აქ არის კანკელი ქვის კოლონებითა და 3 თალით; რომელთაგან საშუალო აღსავალი კარებია (Царская дверь); დანარჩენი ორი პატარა დამშვენებულია ხატებით. სალოცავში კარები – დასავლეთით და ჩრდილოეთის კედელთანაა; ფანჯრებიდან – ერთი – აღმოსავლეთით, მეორე – დასავლეთის კედელთან. ეკლესია გადახურულია ხის სახურავით. დასავლეთით მიშენებულია კოშკი, ქვედა ნაწილი კარიბჭეს ემსახურება; ჩრდილოეთით და სამხრეთით სათავსოებია, მაგრამ კოშკი გვიანდელი მინაშენია. ნაშენია

კირით ასპიდის არასწორი ფილებისგან, როგორც ყველა კედელი, ოთხი კოშკი და სათავსოები ეკლესიას გარს არტყია. ეტყობა, შენობა ძალზე ძველია, ხოლო უფრო გვიან, ქარცეცხლიან საგანგებო ვითარებაში, ის ირგვლივ ყოველი მხრიდან გაუმაგრებიათ კედლებითა და სათოფურებით.

კარიბჭე, ანუ კოშკის ძირი, მიმართულია შესანიშნავიკენ: აქაა ცხოველთა რქები, ისრები, ზარაკუნები, ერთი ბრინჯაოს კვერთხი (Булава) ფარშევანგის თავით, საკმევლის შეკერილი შესანახი სასაკმევლე (Ладоница) გველეშაპისა და ფარშევანგის გამოსახულებით და სხვ.

მონასტერი მღვდლისა და მლოცველთა გამგებლობაში არაა, ის სოფლის თემისაა, იგი ინახავს ხევისბერს ან პაპს და ორ დარაჯს, რომლებიც იქ ცხოვრობენ, აქვთ ეკლესიის და განძთსაცავის გასაღები, მათ უნებურად დათვალიერება და ხელისხლება შეუძლებელია. ჩვენ ვიყავით პირველი ქალები, რომლებმაც გადააბიჯეს სინწინდის ზღუდეს, რომელთა წინაშე გაილო ეკლესია და ძვირფასეულობის ზანდუკი; ჩვენ შევძელით დაგვეთვალიერებინა, ალგვენერა, გადაგველო ყველაფერი ის, რაც გვინდოდა, თუმცა პირველ ხანებში ჩვენ შევამჩნიეთ მომაგრებული დამცველების სახეზე ეჭვი და უკმაყოფილება, მაგრამ, ვეპყრობოდით რა საეკლესიო ნივთებს საჭირო პატივისცემით, მათდამი ხელშეუხებლობამ სულ მალე შეცვალა მათი დამოკიდებულება ჩვენდამი. როცა ვემშვიდობებოდით, ეკლესიას შევწირეთ შესანიშნავი და ეკლესიიდან მინდორში ფოტოსურათის გადასაღებისას განეული შრომისთვის ადამიანებს მივეცით გასამრჯელო, ამ ველურების გული საბოლოოდ შერბილდა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ, როგორც მეგობრები. (ჩემ მიერ სათარგმნელად აღებულ ერთ-ერთ ეგზემპლარში უცნობი მკითხველის მიერ ხელითაა მინაწერი: крест украла шлюха!).

მონასტრის ეზო და მის ირგვლივ არსებული ადგილი ისე მიუვალა და ბალახითაა დაფარული, რომ პირველ ნუთებში ძნელია გააკეთო ორიენტაციის აღება და თითქმის შეუძლებელია წარმოიდგინო აქ, ამ მიუვალ მწვერვალზე, ქალთა სამყოფელის არსებობა. ამასთან ერთად, არსებობს აზრი, რომ ამ ადგილზე არსებობდა ქალთა მონასტერი, ხალხში დღესაც არსებობს და არის გადმოცემა, რომ აქ იყო ილუმენი მეფე ალექსანდრეს ქალიშვილი თეკლა (Текла) (კახთ-ბატონის ალექსანდრე (მეორის) და ლევანის ასული თეკლა) და ეს მიზეზია იმისა, რომ სვანეთის სხვადასხვა ეკლესიაში არის მეფე ალექსანდრეს მიერ შეწირული ზარები. თვით კვირიკეს მონასტერში არის ზარი, რომლის წარწერა შესთხოვს ღმერთს

და ნმ. კვირიკეს, შეინყალოს მონაზონი თეკლა. ძნელია დარწმუნებით თქვა, არსებობდა თუ არა ილუმენი მეფის ქალიშვილი თეკლა, თუ ზარზე წარწერამ მისცა საბაბი, შექმნილიყო ლეგენდა მისი ილუმენად ყოფნის შესახებ.

მდინარე ენგურის ნაპირამდე კვირიკეს მონასტრიდან ფეხით დავეშვით იმავე ნაძვის მშვენიერი ტყით, გადავიარეთ ხიდი, საიდანაც ჩანდა სოფელი ხე, სადაც ნმ. ბარბარეს ძველი ეკლესიაა. ეს ეკლესია თლილი ქვისგანაა აგებული და უფრო ზემოთ ჩვენ მიერ ნახსენებ კვირიკეს ეკლესიაზე მომცრო ზომისაა; დასავლეთით და აღმოსავლეთით კედლები დამშვენებულია სამი თალითა და კოლონებით. კანკელი თალით ქვის ძელაკებზეა, როგორც კვირიკესი.

ნივთებიდან ბევრი რამ საინტერესოა: უამრავი ხის ჯვრები, ხატები და სხვ.

მოვრჩი ეკლესიებს, ისევე დავბრუნდი ენგურზე და განცვიფრებულები ვიყავით ბრწყინვალე სურათით, რომელსაც ცოტა ხნის წინათ ჩვენ მიერ ნანახი მონასტერი წარმოადგენს: მდინარის მარცხენა სანაპიროზე ტყიანი მუქი ქედი იხსნება და მისი მოხაზულობა ძალზე ნათლად ჩანს უღრუბლო ცისფერ ცაზე, იმ დროს, როცა მზის ჩასვლა ვერ აღწევდა მონასტრამდე შუქი ნათელ ხაზად ეფინა ტყის დამრეც კედლებს, რომლებიც სრულად პერპენდიკულარულად იკარგებოდა მშფოთვარე ენგურის მღვრიე წყლებში.

სვანეთში არსებობს გადმოცემა, რომ სვანეთის პირველი მფლობელები გელოვანები იყვნენ, რომლებიც დღეს იქ არ არიან და ძალზე ბევრნი არიან სადადიანო სვანეთში. მღვდელმა ნიჟარაძემ იპოვა საღვთო მსახურების წიგნი, რომელიც ნმ. ბარბარეს ეკლესიას ეკუთვნოდა, მინანერში საუბარია კალას თემის მცხოვრებთა პირობებზე გელოვანის ოჯახის წევრებთან, რასაც ადასტურებს ზემოთ მითითებული გადმოცემა.

15 აგვისტოს შევდივართ უშგულის თემში ეკლესიების დასათვალიერებლად და ღამით სასწრაფოდ ვბრუნდებით უკან კალას თემში, ანუ ჩვენს კანცელარიაში. უშგულის თემი თავისუფალი სვანეთის თემიდან ყველაზე უფრო ჩრდილოეთითაა, ის აღმოსავლეთით მდინარის სათავესთან მდებარეობს და შედგება 4 სოფლისგან: მურყმელი (Муркмерь), ჩიბიანი (Чибиани), ჩაჟაში (Чажаша), ჟიბიანი (Жибиани).

8<sup>1/2</sup>სთ-ზე ვდგებით, ვსხდებით ცხენებზე და გადავივარდეთ ენგურს, გავდივართ მდ. მუშურას ხეობას (მუშურა ტვიბი), გარს ვუვლით სოფელ დავბერს და მკვეთრად ვუხვევთ მალლა. ავდივართ სულ მალლა და მალლა მდელობებზე და არყის კორომებზე, ღრმა მყუდრო დაბალ ველობზე, სადაც შეიძლება დაივინყო კავკასიის

მწვერვალები, ავდივართ მთის გორაკამდე, საიდანაც ვტკბებით ხალდეს ხეობითა და მყინვარებით, რომელიც ამ ხეობას კეტავს.

ჩვენ მიერ გავლილი 17 ვერსი მკვეთრი დაღმართი და აღმართი ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგ ადგილას მკვეთრი საფეხურების დაძლევა მეტად რთულია, რომელიც გაჭრილია ფრიალო კლდეებში, ის შეიძლება გამხდარიყო თავსატეხი და ნერვებისათვის მეტად არასასიამოვნო, რომ არა სვანეთის მოსახლეობის მიერ გაკვალული ბილიკები, რომელსაც მოსახლეობა იყენებს ყველა საჭიროების შემთხვევაში მარხილით გადასაზიდად, რომელშიც ორი ხარია შებმული, არ იქნებოდა ასეთი ფართო, სხვა უფრო რბილ გორაკებთან შედარებით, თუ არა ნაჭდევიანი მარხილის თრევით გაჭრილი გზა, რომელიც ბალის ბილიკს ჰგავს. ფლორა, რომელიც გარს გვარტყია, სრულად ჩრდილოეთისაა: მუხა, ნეკერჩხალი (Татарский клонь), ამპურა (Рябина), არყი, ჟოლო და ასკილი. მივინევთ სუ მალლა, ენგურის დინების ზევით; უზარმაზარი უფსკრულები და ფერდობები ჩვენს ფერხითაა, მაგრამ ყოველივე ეს ისე მწვანეა, ისე ქორფა მდელოთი და ბუჩქებით დაფარული, რომ შიში გიქრება და ჩვენ ვსიამოვნებთ, ვტკბებით ჩვენ გარშემო არსებული ბუნებით, ამ ბუმბერაზი მთებით, მზის სითბოთი და განსაკუთრებულად ლურჯი უღრუბლო ცით.

7400 ფ. სიმაღლეზე ნაძვის ტყით გავდივართ, რომელიც ჩვენ გარშემო სასიამოვნო არომატს აფრქვევს შუადღის სხივებქვეშ, დამახასიათებელს ამ ნარგავებისათვის.

უკვე შორიდან ვამჩნევთ უშგულის თემის სოფლებს, რომლებიც ერთმანეთისგან ძალზე ახლო მანძილით არიან დაშორებული. მარჯვნივ – ერთი ტყის მწვერვალი დაკავებულია ეგრეთწოდებული თამარ მეფის ციხე-დარბაზით, კედლებითა და კოშკებით; დაბლა, სოფელ ჩაჟაშს ქვემოთ, ცალკე მალლობზე არის, 4 კოშკი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ამ ციხესიმაგრის გაგრძელება. უშგულის ნაგებობები ძალზედ შთამბეჭდავია, ვინაიდან ყველა სახლს კოშკები გახლავს, რაც სოფელს აძლევს ციხესიმაგრისა და სასახლის სახეს. გავდივართ მდინარე კვაშირით (ყოშურა) (Квашири), გავდივართ სოფელ მურყმელს და სხვებს, მივემართებით შემდეგი ეკლესიისკენ სოფ ჟიბიანში, რომლისგანაც ვინყებთ დათვალიერებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, უშგულის კოშკების ეს მრისხანე გარემო, მაგრამ სულ სხვაა ქედი ჩრდილოეთით თავისი მყინვარებით, მორენებით, დიდებული მწვერვალებითა და თეთნულდით.

ღვთისმშობლის ეკლესია, რომლითაც ვი-

წყობთ დათვალეირებას, მიეკუთვნება უშგულის თემს და ძალზე მდიდარია ვერცხლის ჭურჭლით, ხატებით, სხვადასხვა წვრილმანით.

ეკლესიასთან ორ ძელზე ორი ზარია, რომელთაგან ერთი უფრო ძველი ფორმისაა.

ეკლესიას გარს გალავანი არტყია, გამაგრებულია კოშკით, დგას სოფლიდან მოშორებით, მაღლობზე; გალავანში ორი კარია; ერთი გადაჭედილია რკინით, ჩანს ხევის ბრწყინვალე ხედი. კარიბჭის კარი გადაჭედილია ბრინჯაოთი, ეკლესიის ზემოთ თოვლიანი მთები, მყინვარებია, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ენგური, ნამყვამი (Намсхвин) (მწვერვალია შხარასა და აილამას შორის. კ. ჭ.) და მნიშვნელოვანი მორენები.

ოდნავ ქვემოთ, სოფლის ზევით, წმ. გიორგის მეორე ეკლესიაა, რომელსაც, ასევე, გალავანი აქვს. აგების სტილი იგივეა, კანკელი ქვისაა და საკურთხეველი კედელთანაა. ეკლესიაში ვერაფერს ვპოულობთ, გარდა წმ. გიორგის პატარა ხატისა და თაფლის სანთლისგან გამოძერწილი ჯიხვისა.

უფრო დაბლა, არყის ჭალაში, ასევე, მხსნელის ეკლესიაა, სულ მიტოვებული, საკურთხეველი აქაც ქვისაა; იატაკზე ვპოულობთ უამრავ განადგურებულ ვერცხლის ჭედურ ხატებს, გამოძერწილ ჯიხვებსა და ისრებს. ეკლესიის შიგნით დგას ჯვარი და მინიატურული ხის აკვანი, ალბათ, მადლიერი დედის მიერ მოტანილი, ნიშნად შვილის შეძენისა ან შენარჩუნებისა.

მაღლობზეა მნიშვნელოვანი ციხე-დარბაზი, რომელიც თამარის სახელს ატარებს, მაგრამ, ისტორიის მიხედვით, შეიძლება ეცხოვრა არა თამარს, არამედ მის ქალიშვილ რუსუდანს. უფრო დაბლა გორაკზე ოთხკოშკიანი სხვა ციხე-დარბაზია. სავარაუდოდ, ზემო ციხე-დარბაზი ფორფოსტი იყო.

სოფელ ჩაყაშში მხსნელის პატარა ეკლესია, უბრალო შენობა, კოლოფა მოყვანილობის კამარით, ფრესკებითაა დაფარული. კანკელი ქვისაა, მარჯვნივ დიდი ჯვარია, ნაჭედი დაფარულია კარგი ვერცხლითა და გარკვეული რაოდენობის ისეთივე ხატებით.

ეკლესია კლდოვან გორაკზე დგას, ასე რომ, იქამდე მისვლა საკმაოდ რთულია.

სოფელ მურყმელში დავათვალეირეთ მხსნელის პატარა ეკლესია, კოლოფა მოყვანილობის კამარითა და ფრესკებით დაფარული. შენობა უმნიშვნელოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკლესია ძალზე მდიდარია ხატებითა და ჯვრებით.

სოფლის გარეთ, ველზე, აშენებულია წმ. ბარბარეს ახალი ეკლესია, რომელიც მდიდარი არაა საეკლესიო ნივთებით, მაგრამ ეკლესიებს შორის შეინარჩუნა კარგი ნახელავი მოოქრული ჯვარი.

ჯვარზე გამოსახულება უმეტესწილად წმ. გიორგისაა; აქვს 2 მოკლე წარწერა, რომელთაგან ერთი წმ. ბარბარეს მოუნოდებს დაეხმაროს მშენებელ მიქაელ იოსელიანს (Микелью Иоселиани). ჯვრის გვერდებზე (მკლავები) მთავარანგელოზის ხატებია, რომელთაგან ერთი ბიზანტიური ტიპისაა.

პირველად უშგულის თემის ეკლესიებში შევა-მჩნიე საკმაოდ რაოდენობის ხეზე ნაკვეთი ავეჯი, რაც სხვაგან საქართველოში არსადაა: სავარძლები, დივნები, ანალოლია, ზანდუკები. ასევე, ეკლესიის ხეზე ამოჭრილი (მოჩუქურთმებული) კარები, კიბის მოაჯირები და ყრუ კედლები, რომლებიც აივნისგანაა გამოყოფილი და გადასასვლელები სახლებსა და კოშკებში.

ფავრი (Фаврь) თავის გეოლოგიურ კვლევაში საუბრობს, რომ უშგულის თემის სოფლები აშენებულია ძველ მორენაზე, რაც სიმართლეა, ვინაიდან ადგილი განლაგებულია თოვლიანი მთის ძირში.

16 აგვისტოს ვემშვიდობებით სოფელ კალას თემს, დილის 8 საათზე ვტოვებთ კანცელარიას და მივემართებით ენგურის გასწვრივ, გვერდს ვუვლით სოფ. ხეს, სადაც კიდევ ერთხელ ვტკბებით დამრეცი ტყიანი კლდეებით, წმ. კვირიკესა და ივლიტას მონასტრით; მარჯვნივ ვტოვებთ თემის ბოლო სოფელ ვიჩნაშს და განვაგრძობთ გზას. მთელი ეს დრო მივდივართ დინების მიმართულებით, მისი ქვიანი ნაპირის გასწვრივ. გზა ისე დაბლაა გადებული, რომ მდინარის ნაპირი გარემოცულია ტირიფის, არყისა და თხილის ხეებით. ბილიკი გადმოშლილი ტოტებით ისე მყუდროა, რომ არა სანაპირო მთები მათი შვერილებითა და ქვის ფიცარნაგით (ფილებით), შეიძლება სრულიად დაივიწყო კავკასია და თავი წარმოიდგინო რომელიმე რუსულ სოფელში. გზის მეორე ნახევარი მკვეთრია და ხშირად გვახსენებს სინამდვილეს; მაღლობები მაღალი ტყიანი გორაკების გასწვრივ, კლდოვანი ნაპირები, ქვიან გზაზე დაშვება და თოვლიანი მთები ხან წინ, ხანაც უკან რჩებიან და წარმოადგენენ ხევის პირველი ნაწილის ძლიერ კონტრასტს. ჩვენ მიერ გამოვლილი ტყეები საშინელ მდგომარეობაშია: რაც გამხმარია, რაც დროის ან გრიგალის გამო ნაქცეულა, რაც მოუჭრიათ და არ შეუგროვებიათ, რაც დამწვარა, რაც ყოველგვარი ყურადღებისა და შებრალების გარეშე დაუტოვებიათ!

ამ ტყეში ხარობს უამრავი გარეული მოცხარი (Смородина), ხურტკმელი (Крижовник), მაგრამ კენკრა ჯერაც უმნიშვარია; ხოლო მარწყვი თითქმის მნიფდება.

იფარის თემის პირველი სოფელი, საითაც მივემართებით, შედგება ერთი სახლისა და კოშკის-

გან, რომელიც დგას ბუნებრივი კლდის სანაპიროზე. ოდნავ მოშორებით, ველზე, იმ ადგილას, სადაც წყალუხვი ადიშქალის წყლები ერთვის ენგურს, არის სოფელი ბოგრეში ისეთივე კოშკებით, ხოლო მარცხნივ, საკმაო სიმაღლეზე, უფრო მნიშვნელოვანი სოფელი – იფარი (Ипари) (5800 ფ. სიმაღლეზე), ანუ ნაკიფარი (Накипари), წმ. გიორგის ეკლესიით, რომელსაც ვათვალისწინებთ. იფარის თემი შედგება სოფლებისგან: აცი (Ацъ), ბოგრეში (Богреша), იფარი, ანუ ნაკიფარი, ზეგანი (Зегани), წვირმი (Цюрми), იელი (Елъ) და ადიში (ჰადიში) (Адиши).

ნაკიფარში საკმაო სიმაღლეზე ვიმყოფებით. შეიძლება თავი სრულიად განცალკევებულად წარმოიდგინო ყოველი მხრიდან დახურულ ხევში, რომელიც სოფ. ბოგრეში იწყება, სადაც ენგური იერთებს ადიშქალის წყლებს, მკვეთრად უხვევს მარცხნივ. ჩვენ ირგვლივ მაღალი ტყიანი მთებია, რომელთა მწვერვალებზე ყოველი მხრიდან მყინვარები ჰკიდია და თოვლიანი მთებია: ლასალის, ლატალისა და ეცერის ქედები და თეთნულდი მნიშვნელოვანი ქედითა და მყინვარებით. თვით სოფელი ნაკიფარი თვალწარმოშობა და მნიშვნელოვან ადგილზე, ეკლესიის მოედნის გარშემოა განლაგებული, მწვანე მინდვრებითა და ბორცვებით გარშემორტყმული.

სოფელში მღვდლისთვის კარგი ნაგებობაა აშენებული და იქვეა სკოლისთვის საკლასო ოთახი, რომლის შენახვა გადაწყვიტა ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მაგრამ ორი უკანასკნელი წელია მასწავლებლისათვის არავითარი გასამრჯელო არ გადაუხდია და სკოლა ფაქტობრივად არ არსებობს. წარსულ დროში, როცა იქ სკოლა არსებობდა, 27 მოსწავლე იყო და იმათგან ერთი, ჩვენ მიერ ნანახი, მოსწავლე გვაპასუხობდა რუსულ ენაზე ძალზე დალაგებულად (რიგიანად) ღვთის სჯულიდან და სხვა საგნებიდან.

სოფელ ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია პატარაა, ბაზილიკური, როგორც ყველა დანარჩენი, სამივე მხრიდან კარიბჭე აქვს, აღმოსავლეთ ნაწილი უშვერილოა, მაგრამ შიგნით მომრგვალებული; ერთ საკურთხეველთან ფანჯარაა, რომლის გარშემო რელიეფური თავებია: ირმის, ცხვრის, ხარისა და ორი ქურციკის, რომლებიც ყოველგვარი სიმეტრიის გარეშეა განლაგებული და, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი მორთულობის ნარჩენებია.

ადრე აღწერილთან შედარებით ეკლესია შიგნით მაღალი და ფართოა; კამარა, ასევე, კოლოფური მოყვანილობისაა და ტრიუმფალური თალით. ფანჯრები დასავლეთით და სამხრეთითაა, კარები იქვეა, თუმცა შესასვლელი კარები

გარედან გადაჭედებულია, ხოლო ეკლესიის კარიბჭის ხის კარზე მიმაგრებულია ნალები. კანკელი, სიმაღ. 4 არშ., ქვის, სამთალიანი, კოლონებითა და მოხდენილი სვეტის კაპიტელებით.

ყველა კამარა და კედლები დაფარულია კარგად შენარჩუნებული ფრესკებით, რომელიც, საუბედუროდ, ასევე, გამურულია, როგორც ამ მხარის სხვა დანარჩენი ეკლესიები. საკურთხეველის ნიშაში – ქრისტე მდიდრულად მორთულ სავარძელშია. დაბლაა მდგომიარე ფიგურების ნაშთი, ალბათ – სარტყელი წმინდანების. ჩრდილოეთის მხარეში – ნათლისღება და ქვემოთ – წმ. გიორგი და წმ. თევდორე ცხენზე; დასავლეთით წმინდანის დაბორბლის (Колесование) სცენა, სადაც ნათლად ჩანს ტახტზე მეფე დიოკლიტიანეს ფიგურა.

ეკლესია ხატებით ძალზე მდიდარია, რომელთა შორის კარგებიცაა.

საინტერესოა შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი ნიჟარადზე (Нижарадзе) არის სვანი (უშგულიდან) და თავს გავლენიან პირად თვლის, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი ჭურჭელი ინახება მამასახლისთან – გლეხთან, და არა ეკლესიაში, და რომ მღვდელმა სოფლის თემის თანხმობის გარეშე ვერ გადაწყვიტა ხელწერილით ჩემთვის მოეცა ხელნაწერი – წმ. გიორგის ცხოვრება, რომელიც წავიღე მოსკოვში, რომ შემედარებინა რუსულად აღწერილი ცხოვრებისთვის, იმ იმედით, რათა გამერკვია ის იკონოგრაფიული წვრილმანები, რითაც განსხვავდება წმ. გიორგის ქართული ტიპის ხატები.

სოფელ ზეგანში, რომელიც იმავე იფარის თემში მდებარეობს, სოფელ ნაკიფარის უკან, მთის ნაკადულ ლასილურის ნაპირზე, რომელიც ლასილის მთის თოვლიანი მწვერვალებიდან ეშვება, არის პატარა ეკლესია, რომელშიც საინტერესო არაფერია, გარდა წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ხელნაწერი ცხოვრებისა, რომელსაც ბაქრადე აკუთვნებს 1013 წელს, ბაგრატ კურაპალატის მეფობის პერიოდს, და იოანე მესვეტის (Иоан Столпник) ნაშრომად მიიჩნევს.

სოფელი წვირმი შედგება რამდენიმე ცალკეული დასახლებისგან, ნაწილი განლაგებულია მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირის მაღალ ქედზე, სოფელ ნაკიფარის ხედი, ხევის ნაწილით და მის უკან მდებარე ქედით.

გზა ნაკიფარიდან თავდაპირველად ეშვება მდინარემდე, შემდეგ უხვევს სოფელ ბოგრეშისკენ, აღმა მიუყვება ძალიან ციცაბო აღმართს. ერთ ადგილას გზა უზარმაზარი ზომის ნაცვენი ასპიდის გზას მიუყვება, რომელიც ნაკიფარის პირდაპირ მდებარეობს, ჩვენ ის გვაშინებდა თითქოსდა მიუვალობით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ



ეს გზა გადის ნაშალის გასწვრივ უფსკრულის პირზე, ის იმდენად დამრეცი და ფართოა, რომ მოსიარულეთათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

თვით სოფელში ფერისცვალების პატარა ეკლესიაა, სხვების მსგავსი, სამივე მხრიდან კარიბჭით. შიგნით კოლოფა მოყვანილობის კამარა აქვს და დაფარულია ფრესკებით. ქვის კანკელი უბრალო დაფით შეუცვლიათ, რომელზედაც დამაგრებულია სამარშინიანი ჯვრები ერთი და იმავე ტიპის, როგორც სხვა დანარჩენი, რომელსაც ვპოულობდით დანარჩენ ეკლესიებში. ეკლესია ასევე მდიდარია ხატებით, რომელთა შორისაა ფერწერული და სვანეთში ერთადერთი ნაქსოვი ხატი – ჯოჯოხეთში ჩასვლა (Сошествие в адъ), ბერძნული წარწერით, სიმაღ. 13 ვერმ., სიგანე 10 ვერმ. მაღალი საფეხურების გამო ეკლესიაში შესვლა ჭირს. ქვემოთ ორი მთავარანგელოზის ეკლესიაა, მაგრამ ყოველგვარი ქონების გარეშე.

სოფელი ადიში იმავე თემშია, მდინარე ადიშქალის ხევში, რომელიც სათავეს უდევს მცინვარის მთა ადიშიდან იღებს, არის ორი ეკლესია: ერთი სოფელში, – მხსნელის ეკლესია, მეორე – მწვერვალზე, – წმ. გიორგის. პირველში ბართოლომეი საუბრობს ვერცხლის ჯვარზე, პერგამენტთან სახარებაზე და წარწერიან ზარზე, რომელიც მიუთითებს, რომ ზარი ეკლესიას ალექსანდრე მეფემ აჩუქა.

იმავე ეკლესიაში არის 3 მშვენიერი ფერწერული ხატი და რამდენიმე – ვერცხლით ნაჭედი.

მწვერვალზე ჩანს ციხე-დარბაზის ნანგრევები, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ცხოვრობდა კახეთის მეფე ალექსანდრე, რომლის ქალიშვილი, სინამდვილეში და, როგორც ზემოთ ითქვა, წმ. კვირიკეს მონასტერში ილუმენი იყო.

მდინარის იქით, ბრწყინვალე ტყის ველზე, იფარის თემის წინ, ამჟამად არქიმანდრიტ თეოფანეს (Феофан) მიერ შენდება მონასტერი. მათ მიერ მოწყობილ იოანე წინასწარმეტყველის პატარა ეკლესიაში ვიპოვეთ ორი ქართული ხელნაწერი კონდაკი (Служебник);

წმ. ბარბარეს ხატი მორთული ბრონზის ორნამენტითა და 8 წმინდანის გამოსახულებიანი მედალიონებით;

მლოცველი ღვთისმშობლის ლამაზი ხატი, ძვირფასი ოქროთი მოჭედილი, ბისერიტა და ბერძნული წარწერით;

მხსნელის ხატი სახარებით ხელში, რომელიც ყვავილის გვირგვინიან ტახტზე ზის, ფირუზით მორთული და გამოსატანი ვერცხლის ჯვრით, დანახნაგებული ღეროიანი ვაშლით, რომელიც დაფარულია ლურსმნისებრი ორნამენტით.

17-ში ადრე დავაპირეთ წასვლა, მაგრამ ჭე-

ქა-ქუხილმა და წვიმამ შეგვაჩერა, დაველოდეთ ამინდს, გამოვედით მხოლოდ 11 საათზე. გავიარეთ ბოგრეში, ავიარეთ და გადავედით უღვირის მთით, ვტკებოდით ჩვენ წინ არსებული მეზილის თოვლიანი მთით, მარჯვნივ მუჟალის თოვლიანი ქედითა და თავზე გადმოგვყურებს თეთნულდით. უღვირის ქედიდან იხსნება ბრწყინვალე და სრულიად ახალი სურათი: ძალზე ფართო, მწვანე, ნაყოფიერი, დამუშავებული ხეობა, რომელიც ტყიანი მთებითა და თოვლის მწვერვლებით ყოველმხრივ გარშემორტყმულია. ეს ხეობა საფუძვლად უდევს მეზობელი მთების ასპიდის ნაშალს, შერეულს მდინარის ლოდებთან, მათ შორის გზა გაიკვლია ენგურის შენაკადმა, უხვნყლიანმა და მღელვარე მულხრემ, რომელიც თეთნულდის მცინვარებით საზრდოობს, და თითქოსდა მარჯვნიდან კეტავს ხეობას, მიმართავს მუჟალისკენ საშიშ მორენას, რომლის მოძრაობას მთის ჩამონაქცევი აჩერებს და სოფლის უკანა მხრიდან ჩანს. ამ ხეობაში ბრტყელ გორაკზე მდებარეობს მუჟალის თემის ორი სოფელი: მულახისა და მუჟალის (Мулалакскимъ и Мужальскимъ) სამწყსოთი, რომლებიც შემდეგი სოფლებისგან შედგება: ჩვაბიანი (Чубиანი), ცალდაში (Цалдаши), ჟიბიანი (Жიბიანი), არცხელი (Арцхели), ლობრი (Гвებრა), ჟამუში (Жамუши), ზარდალაში (Заардлаშ), ლახარი (Лახარი), მურშკელი და ჭოლაში (Мушкиერ и Чолаშ). ვეშვებით მდინარისკენ, ვუხვევთ მარჯვნივ და რამდენიმე ხანი მივუყვებით მის მარცხენა ნაპირს, რომლითაც მივდივართ სოფელ მუჟალის სამწყსომდე, საიდანაც გავდივართ სოფელ ჩვაბიანს, ვჩერდებით მხსნელის მნიშვნელოვან ეკლესიასთან, რომელიც ქვის გალავნით გარშემორტყმულ გორაკზე მდებარეობს. კარიბჭიანი ეკლესია აგებულია ფლეთილი ფორებიანი კირქვიანი თალებით დასავლეთის კედელთან და სამნახნაგოიანი საკურთხეველით. კამარა კოლოფა მოყვანილობისაა როგორც დანარჩენი, კედლებზე ყველგან ფრესკების ნარჩენებია.

სოფელ ჩვაბიანის პატარა, უმნიშვნელო, მთავარანგელოზისადმი მიძღვნილ ეკლესიაში, მღვდლის სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე, ვიპოვეთ:

წმ. გიორგის პატარა ხატი, დაზიანებული, ოქროთი მოჭედილი, დამშვენებული მარგალიტით, ჭედური მხსნელის ხატი, უამრავი დამტვრეული ხატის ნარჩენები და ვერცხლის ფურცლები, რომლებიც შეადგენს საკურთხეველის წინ მდგარი ჯვრის ნაწილს.

მუჟალის სამრევლოდან დავეშვით ქვით მოფენილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გვერდი ავუარეთ მონასტრის სკოლას, გადავედით ბო-

ბოქარ მდინარე ტერაშზე (Терашь), რომელიც მუჟალის სამრევლოს ყოფს მულახისგან და ბრწყინვალე მინდვრებითა და მდელოებით მივედით სოფ. ჟამუშამდე, შევჩერდით ეკლესიის მახლობლად ლობესთან, რომელიც გარშემორტყმულია ქვის კედლით, ფართო ეზოთი და მაღალი კოშკით.

ეს ეკლესია ისეთივე ზომისაა, როგორც ზემოთაა აღწერილი სოფ. ჩვაბიანში, აშენებულია ისეთივე ფლეთილი ტუფისგან; ეკლესიას კარიბჭე მხოლოდ ჩრდილოეთით და დასავლეთიდან აქვს, სამხრეთის მხრიდან ორი პირდაპირი კარია ეკლესიასა და კარიბჭეში.

ხატები, ავეჯეულობა და ჭურჭელი წარმოადგენს XVII საუკუნის ქართული კულტურის საინტერესო ფურცელს; რომელიც განმარტავს და განსაზღვრავს ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხს. თითქმის ყველა ხატი, ჭურჭელი და ნივთები, რომელიც ეკლესიაშია, ნაჩუქარია სამეფო ოჯახის წევრების, მეფე გიორგის, ბაგრატ IV-ის, იმერეთის მეფის, მისი მეუღლის თამარის მიერ; ამგვარად, ყველა ეს ნივთი თარიღდება XVI- XVII საუკუნეებით და ითვლება ეპოქის ტიპურ ნიმუშად, როდესაც ქართული ხელოვნება სრულად მოექცა აღმოსავლური გავლენის ქვეშ.

ხატებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მხსნელის ხატს, ჭედურს, მოოქრულს, გვირგვინიანს, ქვებით დამშვენებულს და წარწერიანს, მეფეთ-მეფე გიორგის, მეფე რუსუდანი-სა და მათი შვილის ბაგრატის განმადიდებელს; მხსნელის ხატი ისეთივე ნახელავი და ფორმატის, და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც მეფე ბაგრატისა და დედოფალ თამარის ძღვენია, თარიღდება 1667 წლით, და იმავე დროისაა სპილენძის ფარიც აღმოსავლური ორნამენტით, ყვავილებითა და კუფური წარწერით.

სოფელ ლალხორში არის პატარა ეკლესია იოანე მახარობლის სახელზე, აქვს ზარი წარწერით, რომ შესწირა მეფე ალექსანდრემ და პატარა ღვთისმშობლის ხატი, ძალზე უხეშად ნაკეთი.

სოფელ ზარდლაში ასევე პატარა ეკლესიაა წმინდა ბარბარეს ხატი, ისიც ვერცხლისაა, უხეშად ნაკეთი.

მულახის თემის სოფლები განხვავდებიან თავიანთი კოშკებით, რომლებიც იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ ვნახეთ ყველა სხვა სოფელი; ეს კოშკები ერთად არ დგას, არ წარმოადგენს რაღაც საერთოს, როგორც შატილში და უშგულის ნაწილში, მაგრამ არის დაკავშირებული ყველა სახლთან ხშირად ცალკე შესასვლელით და კიბით, რომელიც ვრცელ სივრცეზეა და საკმაოდ დიდ მანძილზე ერთი მეორისგანაა დაშორებული. საერთოდ, მთელი ეს ხევი და მისი სოფლები კმაყოფილებით სუნთქავენ: სახლი სუფთაა, დიდი სივრცეა, სახლის გარშემო ეზოებია, კალოები, ბოსტნები.

მულახიდან 7 ვერსი გავიარეთ. რბილი და დამუშავებული ადგილებია გორაკების თავზე; გზის გასწვრივ გარეული მსხალი, კონახური, კაკალი და ასკილია. სურათი მშვენიერია და დამდგარი საღამო, რამდენადაც შეიძლება, უამინდო დილით გვაჯილდოვებს. ჩვენ ფეხქვეშაა მულახის თემი, პირდაპირ მდინარის გაღმა ციცაბო კლდეები, ნაწილი ფოთლოვანი, ნაწილი წიწვოვანი ნარგავებით დაფარული, ჩვენ უკან თეთნულდის თოვლიანი მწვერვალებია, წინ თოვლიანი ლაილა (Лайла), მარჯვნივ - მთელი თავისი დიდებულებით - უშბა, რომლის ხევეებით შეიძლება გადახვიდე ბაქსანში, ამასთანავე თეთნულდის ქედებით გადადიან ჩეგემში, რომლითაც ამ წელს გადმოვიდნენ ინგლისური ალპიური კლუბის წევრები.

ვუხვევთ მარჯვნივ, ვუვლით მწვერვალებს და დამრეცი ტყის დაღმართით ჩავდივართ ნყალუხვი მესტიის ჭალამდე, (Мести-чала), რომელიც უშბის მყინვარების დასაწყისშია. ჩვენ წინ ისეთივე ფართო ხეობაა მესტიის სოფლების, ანუ თემის: ლალამი (Лалан), სეტი (Сети), ლეხტაგი (Легтаг), სენაკი (Сенакъ) და ლეხთაგი (Лехтана) (ალბათ ლანჩვალა ავტო. კ. ჭ.). სენაკი პატარა დასახლებაა, სადაც მღვდელთმსახურები თავს აფარებენ; თვით სიტყვა ნიშნავს „კელიას“, რაც გვაფიქრებინებს, რომ იქ არსებობდა მონასტერი ან, სხვების აზრით, ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო, რასაც ადასტურებს ეკლესიის მორთულობა, რომელიც შემორჩა სეტიის ეკლესიებს.

ჩვენ ვჩერდებით სეტიში, სკოლაში, სადაც ასევე არაა სწავლა. სეტიის მთავარი ეკლესია, რომელიც საუკეთესოა ამ ადგილებში, ამ ბოლო დროს ბლალოჩინის განკარგულებითაა გადატანილი; მღვდლის მტკიცებით, მისი კუთვნილი ქონების ნაწილი გადატანილია თემის ერთადერთ ლალამის (Лаганъ) ეკლესიაში, ნაწილი ინახება სოფლის ერთ-ერთ კოშკში. იმათგან უკანასკნელს დავასახელებ:

3 ვერცხლის ციცხვი (Ковшъ), სრულიად აღმოსავლური ტიპისა.

მოვერცხლილი თასი დიდფეხებიანი.

ვერცხლის სასანთლე, სამოქალაქო ქართული წარწერით, გვაუწყებს, რომ ის მეფე ბაგრატისა და დედოფალ თამარის მიერაა შეწირული.

ვერცხლის დიდი დოქი, მოოქრული სარტყლებით, სახელურით, აღმოსავლური სტილით, მზინვარედ (აქ დრობნიცა სასაფანტე არაა, იხ. დალის ლექსიკონი) (Восточными дробницами) მოსევადებული და ყელის გარშემო წარწერით.

ვერცხლის დოქი – საუკეთესო ჭედური – ვინ-რო ყელით, აღმოსავლური ცხვირით, მოოქრული სარტყლებით, *дробницами* იასამნებით, ზოლითა და ზემოთ გამოსახული ჯიქით, მალლა ნაწილში კუფური წარწერით და მის ირგვლივ დანარჩენი ნაწილი მორთული ყელით.

ხუცური ევანგელიე პატარა ფურცელზე, პერგამენტზე, ორ სვეტადაა, დანერილია 1033 წელს ბეჩავი გლახა გაბრიელის ხელით ოპიზაში (Опиза), იოანე ნათლისმცემლის ლავრაში (Убогого Гаврила в лавре Иоана Крестителя).

იმავე კოშკიდან სანახავად გამოგვიტანეს ეგრეთ ნოდებული ლემის (Льва) ხევის დროშა. შედგება ლომის გამოსახულებისგან, შეკერილია აღმოსავლური მატყლის თეთრი ქსოვილისგან, ღია ხახით, სადაც ჩადგმულია ვერცხლის ენა და კბილები, გრძელი კუდითა და თათებით. თავისუფალ მდგომარეობაში ის ბუნის (ტარი) გასწვრივ ჰკიდია, როგორც უბრალო დროშა, მაგრამ ქარში გამოტანილი, განსაკუთრებით მხედრის სწრაფი მოძრაობისას, ჰაერში იბერება და ლივლივებს, იღებს ელასტიკურ ფორმებს, და მოძრაობისას აქვს იმ ურჩხულის ფორმა. ძველ დროში ის საომარ დროშად გამოიყენებოდა და ეკუთვნოდა, როგორც ვერცხლის შუბის წარწერიდან ვგებულობთ და რომელიც ინახება სოფ. ლალამში, სეტიის მონასტერს და ერთიანი თემის ლომის ხევის; მაგრამ რა მიზნით იყენებდნენ ლომს დროშად და რა იყო მიზეზი, რომ „ლომის ხევი“ დაარქვეს, ვერავინ შეძლო ჩვენთვის აეხსნა.

სეტიის საეპისკოპოსოში აღწერილი ნივთები, რომლებიც ამჟამად სეტიის უბრალო კოშკში ინახება, სოფლის თემის პასუხისმგებლობით, უნებლიეთ ჩაგაფიქრებს ამ ადგილის ისტორიაზე. აღწერილი ძვირფასეულობა, ასევე, ძველი ეკლესიების დიდი ნაწილი თლილი ქვისგანაა, ფრესკებით მოხატული, შეწირული მდიდრული ხატებით, ამ მხარეში რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის არსებობა როგორც უშგულში, ისე ადიშში (Адышь), ნათლად გვიდასტურებს და ყველაფერს ამბობს ამ მხარეში ადრე და შორეულ წარსულში მხარის ბრწყინვალე მდგომარეობაზე. ადვილად შესაძლებელია, რომ თათარხან დადემქელიანი (Татарханъ Додешкелиани) მართალი იყოს, როცა საუბრობს, რომ XI და XII საუკუნეში ენგურის ხეობის მოსახლეობა დიდად განათლებული იყო და სარგებლობდა საუკეთესო სამიმოსვლო გზებით, ვიდრე დღეს. თავადის აზრით, ჩაკვდა სვანეთი მაშინ, როცა საქართველოს ისტორია აინენა, როცა სამეფო ხელისუფლება გაიყო და დაეცა, როცა უცხო-ტომელებს მიეცათ საშუალება ესარგებლათ ამ სისუსტით, ეძარცვათ და გაეჭურდათ მხარე. ამ

დროს შეიძლება სვანეთს მიაქციეს ყურადღება, როგორც ჩაკეტილ და მიუვალ ხევს, რომელსაც მისცეს სახელი „თავშესაფარი“, ანუ ქართულად „სავანე“, საიდანაც დროთა განმავლობაში წარმოიშვა დასახელება სვანეთი (სვანეთი).

18 აგვისტოს ადრე ავდექით და დილა გამოვიყენეთ სოფელ ლალამის ეკლესიის დასათვალიერებლად, სადაც გადატანილია, როგორც ზემოთ ითქვა, ავეჯეულობა სეტიის განადგურებული ეკლესიიდან. ლავრაში ეკლესია მხსნელს ეძღვნება; აგებულია თლილი ტუფისგან, მოხატული სარტყლებად და ოდესღაც გარედან მოხატული კედლებით: ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილია სამოთხე ნაყოფიანი ხეებითა და ანგელოზებით, სამხრეთისაზე გამოსახულია წმ. გიორგი. პატარა შენობა ორსართულიანია და გალავანი აქვს გარშემოვლებული, კოშკით და ძველი იფნებით.

ეკლესიის კამარა კოლოფური ფორმისაა, კარიბჭე კარგადაა შენარჩუნებული და მთლიანად დაფარულია ფრესკებით, რომელიც ქრება საუკუნოვანი ჭუჭყისა და ჭვარტლის გამო. საკურთხევლის ზღუდე ქვისაა მრგვალ მოხატულ კოლონებზე, როგორც უშგულში; ფრესკების ქვედა რიგი მორთულია ფარდის (Плата) სახით, როგორც ჩვენს ეკლესიაშია.

ეკლესია ძალზე მდიდარია სხვადასხვა ნივთით, რომლებიც უფრო უკეთ უნდა ყოფილიყო შენახული, ვიდრე ჩვენ ვიხილეთ. არის ჯვრები – ეს მთავარი რამეა სვანეთის ყოველი ეკლესიისთვის.

ყოველივე ამ ქონებიდან დავასახელებ:

შუბი სიმაღლით 5 ვერმ. ჩამოსხმული, მოოქრული ტარით, რომელიც, როგორც ვხედავთ, აგვირგვინებდა ძველ დროში ლომის დროშას, რომლის შესახებ ზევით გვქონდა საუბარი. ეს ბუნიკი დაფარულია გამოსახულებებით და წარწერით, რომელსაც ბაქრაძე ასე კითხულობს: ქ. უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ხევსა ბედნიერისა სვანეთისასა ლომი და დროშის თავი დროშითურთ, ჩემ დიდისა მონასტრისა წინამძღვარისა გრიგოლ კოპასძისაგან მოხსენებული (იხ. იქვთიმე თაყაიშვილი, „დაბრუნება“, გვ. 310 და 311).

ეს სიტყვები უჩვენებს, რომ სეტიაში მონასტერი იყო და ჰქონდა თავისი დროშა, რომელიც ხევის სხვადასხვა თემების გამაერთიანებელი ნიშანი ყოფილა.

მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი, სრულად ბიზანტიური ნახელავი, ფაქიზად და თხლად ნაჭედი.

სამი მაღალმხატვრულად შესრულებული დასაკეცი ხატი საშინელ მდგომარეობაში, მაგრამ

ვერცხლის ძაფით შესრულებული, ალბათ ბიზანტიური ნახელავი;

ორი ვერცხლის სამწერობელი (Рипида), რომელთაგან ერთი ჩამოსხმულია, მეორე ორივე მხრიდან ვერცხლითაა მოჭედილი, ძველი არაა, მაგრამ საინტერესოა იმიტომ, რომ სეტიაში ეპისკოპოსის კათედრის არსებობას ადასტურებს.

ჯერ კიდევ ეკლესიაში ჩვენი ყოფნის დროს ძლიერი წვიმა წამოვიდა, რომელმაც გვაიძულა უარი გვეთქვა იმ აზრზე, რომ გზა ლენჯერის თემების ეკლესიების დასათვალიერებლად გაგვეგრძელებინა და საშულება მოგვცა, სერიოზულად დაეკავებულიყავით სეტიის სიძველეებით.

19 აგვისტო. გზა ლენჯერის თემში, რომელიც შედგება სოფლებისგან: ნესგუნი (Несхвинь), ლაშთხორი (Лаштхорь), ლემსია (Лемсия), კაირი (Каирь), ქაშუეთი (Кашуэти), სოლი (Соль). გზა გადის მესტიისა და ლენჯერის თემების მიწებზე, რომლებიც მიწების უკმარისობის გამო ერთიანდებიან. ვუახლოვდებით ლენჯერის პირველ სოფელ ნესგუნს, გავდივართ თვალწარმტაც ღვარცოფიან ხეობას, ჩვენ ზემოთ გადმოკიდებული ძველი მსხლის ხეებქვეშ და ვჩერდებით ფერისცვალების ეკლესიასთან. ეს ეკლესია მაღალია, კარგად ნაგები, თლილი ტუფისგან, ფრესკების ნარჩენებით, მაგრამ ძალზე ღარიბი ავეჯითა და ხატებით; საკურთხეველს კოლონებზე აქვს ქვის ზღუდე სამი ბრწყინვალე თალით. საკურთხეველის ნაწილის ნახნაგები გამოშვერილია და მიდგმულია ეკლესიის დარჩენილი ნაწილის ქვემოთ. ქონებიდან ვპოულობთ:

ორ დიდ სვანურ ჯვარს, ვერცხლით შემოკრულს, რომლებიც ამჟამად კანკელზე დგას; ზოგ ჯვარზე მიკრულია ხელნაწერიდან მინიატურული ფურცელი ჯვარცმის გამოსახულებით;

უხეშად ნაკეთი რამდენიმე ჭედური ხატი;

ჯვარცმა, მოოქრული, ღვთისმშობელი, იოანე და ანგელოზები, თხელ დაფაზე კარგად ნაჭედი, - მოჭედილობა ალბათ სახარებიდანაა, რომელიც ზომით ესადაგება 13;

ხელნაწერი სახარება, ხუცური, მთელი ფურცელი პერგამენტზეა, არც ისე ძველი, როგორც სეტიის, მაგრამ კარგი ნაწერია და ალბათ XV ს.აუკუნისაა, სახარება დაფლეთილია, მინიატურების, თავსამკაულის, მთავრული ასოების და თითქმის ყდის გარეშეა.

რამდენიმე გაკაფული ტყის ნაწილისა და მდელობებს იქით სოფელი ლაშხორია, სადაც ცალკე გორაკებზე ხეების ჩრდილში და კოშკებთან ახლოს მდებარეობს მთავარანგელოზების ორი ეკლესია, რომელთაგან ერთი დიდია, გამოირჩევა განსაკუთრებული არქიტექტურით: მოკლე,

ოთხგვერდა შენობა თლილი ტუფისგან დაფუძნებულია მაღალ, ქვედა სართულზე, სადაც კარიბჭედინ გადიან და, რომელიც ადრე ეკლესია იყო. ზედა სართულის გარე კედლები მაღლა ნაწილებში დაფარული იყო ფრესკებით, რომლებიც ყველაზე უკეთ შენარჩუნდა ჩრილოეთის კედელზე. ამ ფრესკების სიუჟეტია ჩაფხუტიანი და ფარებიანი მეომარი მხედრები, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხეში ამირანს გველეშაპი ყლაპავს, რომლის უკანა თათებზე დგას სხვა ბანჯგვლიანი ერთრქიანი გველეშაპი; სცენას შემდეგი წარწერა აქვს: „როცა ამირანმა, გველეშაპისგან გადაყლაპულმა, მოკლა ის და იქიდან გამოვიდა“. - „ამირანის ბრძოლა ბაყბაყდევთან (Бакака чудовища)“. - „უსიბი“ და - „სეფედავლე“ (Осифъ и Сефедавла).

სამხრეთის კედელზე გრიფონის გამოსახულებაა შემორჩენილი.

ეკლესიის კარი, ხის მორისგან გაკეთებული, მოჩუქურთმებულია. კედლები და კოლოფური ფორმის კამარა დაფარულია ძალზე გამურული ფრესკებით. ქონებიდან დავასახელებ:

ზარი, კახეთის მეფის დავითის მიერ შემონიშნული, სავარაუდოდ, მეფის შვილის ალექსანდრეს მიერ, რომელმაც თავისი მამა 1603 წელს ჩამოაგდო;

ხატი მოოქრული, სიმღ. 4½ ვერმ. და განით 4 ვერმ., კარგად შენარჩუნებული, კარგად ნაჭედი გამოსახულებით, რომელიც ხატისთვის იშვიათია: იოანე ევანგელისტი (მახარობელი) მდგომიარეა, მის წინ მჯდომიარე პროხორესია, რომელიც წერს; ევანგელისტის ზევით ღვთის მარჯვენა ხელია; ქვემოთ წარწერაა, სადაც საბადრანდელი დაცვას ითხოვს (Сава Драндельский).

მეორე ეკლესია მომცრო ზომის, ასევე, ეძღვნება მთავარანგელოზს. იქ საინტერესოა მხოლოდ ჩამოსხმული ჯვარი, წინა მხარეს ჯვარცმით, კარგი ნაჭედი, უკანა მხარეს ნაჭედი ორნამენტით, ბრონეულის ყვავილებით მეორე მხარეს; წინა მხარე დაფარულია ძვირფასი ქვებით.

მდინარის გაღმა მდებარეობს სოფელი ქაშუეთი პატარა წმ. გიორგის ეკლესიით, სადაც აქვთ: დიდი ჯვარი, წინა მხარე ნაჭედი ვერცხლით, დაფარული წმ. გიორგის ტლანქი გამოსახულებით.

პატარა ხატი წმ. ონოფრესი, ვერცხლით მოჭედილი, ადრე მოხატული;

პატარა ხატი წმ. გიორგის, რომელიც დრაკონს (გველეშაპს) ამარცხებს, მოოქრული, წარწერით - ნოდებული წმინდა ილარიონის და, რომელსაც მფარველობას სთხოვს დემეტრე თევდორაძე (Деметрии Тендарадзе);

ხატი, სიმღ. 10½ ვერმ. და სიგანე 7 ვერმ., ოდესღაც მშვენიერი, ქრისტეს ცხოვრება დაყოფი-

ლია ოთხ სცენად: ხარება, ქრისტეშობა, ჯვარზე გაკვრა და ჯოჯოხეთში ჩასვლა, მაღალმხატვრულადაა აღწერილი, მაგრამ ახლა უკვალოდაა გამქრალი; ირგვლივ ფაქიზად შესრულებული ოქროს მოჭედობაა ქვებითა და წარწერით, რომელიც ბაქრაძის მიერაა წაკითხული, ის გვეუბნება „ცოდვილ რუსუდანიზე და მის აღზრდილზე...“ ბაქრაძემ აზრი გამოთქვა, რომ დასახლებული რუსუდანი, ალბათ, სხვა არავინაა, თუ არა დედოფალ თამარის მამიდა, რომელმაც ის გაზარდა და უბიძგა დაქორწინებულიყო იური ბოგოლუბსკის ვაჟზე და შემდეგ ხელი მოეკიდა მისი მეორე ქმრის სოსლანის აღზრდაზე.

ლენჯერის თემის სოფლები განლაგებულია მეტად თვალწარმტაც ხეობაში, რომელიც ყოველი მხრიდან ტყიანი მთებითაა გარშემორტყმული, მის ზემოთ სამივე მხრიდან მოჩანს ლაილას თოვლიანი ქედები, თეთნულდი და უშბა; სოფლები (ლაჰლა, ლაილა კ.ჭ.) გაფანტულია პატარა დასახლებებად თავიანთი კოშკებით, გარშემორტყმული მინდვრებითა და კანაფით, და უამრავი გარეული მსხლითა და კონახურის მაღალი ბუჩქებით. მარჯვნივ შიშველი მთებია, ამჯერად გაჩეხილი, ხშირად განმეორებადი ჩამონაშალით. აი, უზარმაზარი იასპის ჩამონაშალი მშრალ ხევში, რომელიც მდინარემდე ჩამოშლილია; მოპირდაპირე მხარეს, მაღალ ბორცვზე, ქვის მაღალი კედელია, რომელზედაც ამოსულა პატარა ბუჩქები და მდელო. ვუვლით მას და ვშორდებით ეკლესიის ეზოს კარებთან, რომელთა შორის, ძველი მსხლის ქვეშ, განთავსებულია ნახევრად დანგრეული პატარა ეკლესია სოფელ კაერში, სადაც ამბობენ, არის კარგი ხელთუქმნელი ხატი. ეკლესიის მცველი აქაც სოფლის მამასახლისია, მაგრამ ის არ იყო და ჩვენ ვერ შევძელით მისი ნახვა.

გავდივართ სოფლით, ქვის კედლებს შორის ვინრო გასასვლელით, ნახევრად დანგრეული კოშკებით, მცხოვრებთა ეზოებით, სადაც ტოტებგაშლილი ხის ნარგავებია; ვტკბებით ლენჯერის თემის ბოლო სოფელ სოლით, მისი ორი უმნიშვნელო ეკლესიით, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საეკლესიო ნივთები.

გზა ლატალის თემის სოფლებამდე მაგონებს იტალიას, განსაკუთრებით კალაბრიას; გორაკები, ბორცვები, მინდვრები, მწვანე მდელოები, ქვიანი ფლატე, მდინარის ლოდები და ჩრდილოვანი დაღმართი, ყველგან სურნელოვანი მდელოა, ტოტებგაშლილი მსხლის ხეები, კონახურის ბუჩქები. ყველგან დათესილია... მოპირდაპირე მხარეს ნაძვი საერთოდ არაა და მოჩანს მხოლოდ ჩვენს თავს ზემოთ.

ლატალის ახლოს მწვანე ხევი ორდება და

თქვენ წინაშეა სურათი, რომელიც შემურდება შვეიცარიას და რომლის წინაშე თვალმოუწყვეტლად დგახარ! ლატალის თემის პირველი სოფელი არის ლემი, რომელიც სრულად მოტიტვლებულ კლდის გორაკზეა განლაგებული.

მოშორებით სოფელი იენაშია, ვათვალთვლებთ იოანე წინასწარმეტყველის ეკლესიას, რომელიც ამაღლებულ ბორცვზეა განლაგებული, ძველი კოპიტის ტოტებგაშლილი ხის ჩრდილში.

ეს ეკლესია კარგი თლილი ქვისგანაა აგებული, ბაზილიკური ფორმის და განსაკუთრებული ზომისა და ფორმისაა, რითაც განსხვავდება სვანეთის სხვა ეკლესიებისგან: ის კვადრატული ფორმისაა, რომელიც სამი მხრიდან გარშემორტყმულია გამურული კარიბჭით, ამავედროულად ეკლესიაც; ტაძრის მთავარი ნაწილი ორფერდა სახურავითაა დახურული; კარიბჭე კი – ერთფერდათი; სამხრეთის კედელი, კარიბჭის კედლები, რომლებიც საკურთხევლის ორივე მხრიდან გამოდის, ეკლესიას სამნაწილიან სახეს აძლევს და დასავლეთის კარი დამშვენებულია წყვილი კოლონითა და სფეროსებრი სვეტის თავით; დასავლეთის კარზე რელიეფური ორი ჯვარია, სამხრეთის კართან არასწორადაა განლაგებული ქვის გალავანი თავისი შვერილებით, რომლებიც, ასევე, არის აღმოსავლეთის კარიბჭესთან. კარიბჭის ლავგარდანი უზომოდ მძიმეა, რაც მთელ შენობას ძალზე აუშნობს. ეკლესია, სამწუხაროდ, სრულიად მიტოვებულია. დასავლეთ მხარეს ერთი ფანჯარაა, აღმოსავლეთ კედელთან – სამი, შვერილი თამასით.

ეკლესიაში სახარებაა, პერგამენტზე მცირე რაოდენობის ფურცლით, ტყავის ყდაში, ოქროს მოჭედობით. სეტიის სახარება ახალია, კარგად შენახული, თუმცა სრულად განადგურებული მინიატურებით. დანარჩენი საეკლესიო ნივთებიდან დავასახელებ:

მოჭედილობა მოოქრული, კარგი ჭედური ხელობის;

ხატი წმ. გიორგისა და თევდორეს სიმაღლის ზომის (სრული ტანით), ხუცური წარწერით: „წმ. მაცხოვარო, შეიწყალე ოქრომჭედელი ივანე; ამინ“ „Помази Спасе золотодателя-мастера Ивана; АМИНЬ“.

ხატი წმ. გიორგი ცხენზე;

ხატი მხსნელის მოხატული და დიდი ვერცხლის საკურთხევლის ჯვარი სადგამზე, დამშვენებული ქვებით, გვიანდელი ნამუშევარი.

ვსაუზმობთ და ვისვენებთ სოფელ მაცხვარიშიდან რამდენიმე ნაბიჯზე, ადგილობრივი მღვდლის სახლში, რომელიც მდებარეობს სოფელში ძალზე მყუდრო, მაღალი ბორცვების ძირში. მწვერვალები დამშვენებულია ეკლესიე-

ბით, რომელთაგან ერთი, მხსნელისა, ითვლება სამრევლოდ, ხოლო მეორე – მინერილია.

მხსნელის ეკლესია აგებულია იმავე მასალისგან და იმავე გეგმით, როგორც ნინასწარმეტყველ იოანესი; მხოლოდ კარიბჭე ჩრდილოეთით და დასავლეთის მხარეს მონგრეულია, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მისი წყობა; ის დადგმულია ცალკე ძელებზე ქვის ქარგილებზე, რომელიც ძელიდან ძელამდე გადებულია და ამგვარად საფუძვლად უდევს კოლოფა მოყვანილობის კამარას, რითაც დაფარულია ეს კარიბჭეები. ეკლესია – მაღალი, კარგი და ძლიერი ნაგებობაა, დაფარული ფრესკებით, რომელიც საინტერესო იქნებოდა განმედილიყო საუკუნოვანი ჭვარტლისგან, შეესწავლათ, ვინაიდან ქვემო სარტყელზე შეიმჩნევა მეფეთა ფიგურები, რაც შეიძლება საინტერესო იყოს საქართველოს ისტორიისათვის:

ზარი წარწერით, რომელიც გვამცნობს, რომ ის შეწერილია ლატალის მხსნელისათვის, ვინმე აბაშიძე ცაგარლისგან (Абашидзе Цагарели)

მხსნელის ხატი, ჭედური, მოოქრული, ქვებით მორთული. წარწერაზე თხოვნაა ლატალის მხსნელის მიმართ, ადიდოს მეფე გიორგი, დეოფალი რუსუდანი და მათი შვილი ბაგრატი და, ამგვარად, განეკუთვნება ეპოქას 1548-1585 წ., ე. ი. იმერეთის მეფე გიორგის დროს:

ხატი ღვთისმშობლის, მომცრო, იმავე სტილის, ისეთივე ქვებითა და წარწერით, საიდანაც ვგებულობთ, რომ ის მოჭედილია მამუკა ვაჩნაძის (Мамуки Вацнадзе) ბრძანებით;

სახარება პერგამენტზე (რომლის შესახებ საუბრობს ბაქრაძე), იმ დროსაც ძალზე შელახული; ახლა საბოლოოდ გაქრა;

ვერცხლის ჯვარი, გამოსატანი, მორთული ბიზანტიური მინანქრით და, ალბათ, ბიზანტიური ხელობის XI და XII სს. ჯვრის ღეროზე მაღალ ნაწილში ბერძნული წარწერაა, რომელიც, სამწუხაროდ, არ გვამცნობს სახელს და არც თარიღს;

პანაღეა ოქროს კარედის, პატარა, ფაქიზი, თხელი ბადურა ქსოვილისგან, ჯვრის გამოსახულებით, რომლის ორივე მხარეს ქართული წარწერაა ხუცურად: „ქრისტეო, ადიდე ორსავ სიცოცხლეში კათალიკოზი მიქაელი“, შუაში გამოსახულია წმ. გიორგი მარგალიტის გვირგვინით, შუბითა და ფარით, საგდულზე გამოსახულება არაა, თავად პანაღეასგან მოგლეჯილია, მაგრამ ძალიან ფაქიზი ნამუშევარია;

ტყავის ფარი, ძალზე ფაქიზად დაჭრილი, მორთულობით. რკინა აღმოსავლური ტიპის.

კანკელი ეკლესიაში ახალია, მოსკოვური, არაფრით გამორჩეული, უმნიშვნელო (Ничем низначаши); დიდი ჯვარი მოხსნილია ადგილიდან.

მთავარანგელოზთა ეკლესია მოპირდაპირე მხარეს გორაკზე განცალკევებულად დგას. აგებული თლილი ქვისგან, მორღვეული კარიბჭით. საკურთხევლის ნაწილი, რომელიც ერთი მთლიანი ნაგებობაა, სამნახნაგინი; თითოეულ კიდეზე ოთხი სვეტია, ზემოთ ერთმანეთში თხელი ბალიშებით შეერთებული, რომელთა შორის ჩამოკიდებულია ყაყაჩოს მრგვალი თავები. დასავლეთის კართან ფანჯარა და ჯვარია; საკურთხევლის ნაწილში ფანჯარაა გამოშვერილი თასმით, ეკლესიას არავითარი ავეჯეულობა არ გააჩნია, მაგრამ დაფარულია ფრესკებით, რომლებიც, რამდენადაც შეიძლება განსაჯო, სქელი ჭვარტლითაა დაფარული და კარგადაა შენარჩუნებული.

ლატალის თემი შედგება სოფლებისგან: ლამი (Ламъ), იენაში (Енашь), ლეშუკი (Лашкваши), ლახუშტი (Лахушти), ლაპლი (Лапли), ლეშუკვი (Лешукъ), კვანჭიანარი (Кванчианаръ), მაცხვარიში (Мацхвариши), შყალერი (Шкалери), ზაგრალი (Заграри), ნამყვანი (Намкуанъ), ლელმაგი (Ледман), სგობულდი (Скобулдъ), სიდიანარი (Сидианаръ) და იფხი (Ипхъ), რომელიც თვით სვანეთში ყველაზე მდიდრად ითვლება და მდებარეობს ენგურზე იმ ადგილას, სადაც მულხრე ერთვის ამ მდინარეს.

ვტოვებთ იენაშს, მივყვებით შიშველი მთების გასწვრივ გორაკების გარშემოზრდილ ბუჩქნარების ნაწილს და ვტკებებით სინათლისა და მზის თამაშით ლაილა მთის მყინვარებზე, რომელიც გუშინდელთან შედარებით კიდეც უფრო თეთრია ახლად ჩამოცვენილი თოვლის გამო. გვერდს ვუვლით სოფელ ნამუკვანს და გორაკებს, რომელზედაც სოფელი იფხის კოშკები დაკიდულივით მოჩანს, ვაგრძელებთ გზას, თავდაპირველად ძალზედ ციცაბო აღმართით მივიწევთ, შემდეგ ვეშვებით ალერსიანი მყუდრო ტყით და უკვე აღმართზე ვხედავთ ბეჩოს ხევს (Бечо), რომელიც გაჭრილია ბეჩოს წყლით და უშბის მთის მყინვარებით იკვებება. ვეშვებით და ვჩერდებით ბოქაულის ბინაში, ჩვენს გამცილებელს ივანე ზურაბის ძე ლოლობერიძესთან (Иван Зурабовича Гогоберидзе). ბინა ხევს კუთხეშია ბრწყინვალე უშბის საოცარი ხედით, რომელიც მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგა მზის ჩასვლისა და ამოსვლის დროს.

20 აგვისტოს ბეჩოს თემის ერთ სოფელ დოლში, მურზაყან დადემქელიანის (Мурзакан Додешкилиан) კოშკში, ვნახეთ დიდი ჭედური ხატი ორი ანგელოზის გამოსახულებით, რომელთაც ქრისტეს გამოსახულებიანი მედალიონი ეკეთათ.

ვტოვებთ ბეჩოს (4 700 მ. სიმაღლეზე), გავდი-

ვართ სოფელ დოლს და საკმაოდ ქვიანი ბილი-კით რამდენიმე ხანში ავდივართ გორაკების გასწვრივ, სადაც ხარობს კაკალი, კოპიტა; მწკრივი ასპიდის კლდეების გზაზე გამოშვერილი, გზას ბევრ ადგილას გვიღობავს და დამტვრეულია გამვლელებისგან, რომლებიც ქვის კიბეებს აკეთებენ, თუმცა ის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ვინაიდან გზა საკმაოდ ფართოა და ხრამები თვალთაგან ბუჩქნარებითა და ხეებითაა დაფარული. რაც უფრო მაღლა მივინევთ, მდელი უფრო ხშირია და გზას განვაგრძობთ თითქოსდა საუკეთესო პარკში. რაც უფრო მაღლა მივინევთ, ვტკბებით მყინვარებით; გზის მოსახვევში ჩვენს ფეხებთან ვხედავთ გართხმულ ხევის ახალ გვერდითა ფერდობს, საიდანაც მარცხნიდან იხსნება ცხუმარის (ცხმარის) თემის სოფლები. უღელტეხილის დაძლევის შემდეგ ჩვენ წინ უშბის საუცხოო ხედი იხსნება. („Уч-ნаш“ – სამი თავი თურქულად) (ეს, რასაკვირველია, არასწორია, უშბა ორწვერაა, კ. ქ.) მისი პირამიდული საშუალო კონუსით და გვერდით თავებით, რომელიც სუფთა ბრწყინვალე თოვლითაა დაფარული და არანაკლებ თეთრი თეთნულდით, ვდგავართ, ვტკბებით, თითქოსდა ვემშვიდობებით ამ საოცარ სურათს, მუდმივი თოვლით, საოცარი ცით, თბილი მზით...

უღელტეხილზე ხილული სურათი ტიროლს მაგონებს: რამდენიმე მუქლაქებიანი ქოხი, თბილი ხეების ფერი, ასეთივე სახურავი, რომელსაც ქვები ამაგრებს, ხეხილის ბალები, მინდვრები, მოსარწყავი მინდვრები!

უღელტეხილის შემდეგ სურათი იცვლება, ტყეები ძალზე გაკაფულია, გორაკები მოტივებული, რაც სურათს უფრო მუქ და მკაცრ იერს ანიჭებს; ხევი ფართოვდება და ჩვენ ფეხქვეშაა, ეცერის თემის, ანუ სათავადო სვანეთის, ყველა სოფელი ცალკე ჩანს, ყოველი სოფელი საითკენაც ჩვენ მივემართებით. ჩვენ თვალწინ უღვირის მწვერვალის ახალი თოვლის ხაზია, მარჯვნივ მაღალი, მონითალო, კლდოვანი ფერდობების უტყეო ქედია. მნიშვნელოვან დაღმართს ძირამდე მივყავართ; აქ, თავად დადემქელიანის კუთვნილ მინდვრებში, ერთ-ერთი მათგანი, თავად ოთარი გვხვდება და მივყავართ სოფელ ბარში ღია მდელიზე, სადაც დგას ორი მშვენიერი მეგრული სახლი. მოსამსახურეები თავადის ოჯახის წევრებია და განლაგებულნი არიან ძველი ქვის კვადრატის პირდაპირ. ის მათი მამამთავრის ძველ ბუდედ ითვლება, რომლისგანაც შემორჩენილია მხოლოდ კოშკი, სვანეთში ყველაზე მაღალი. თავადის ოჯახის ყველა წევრი ადგილზე იყო და ჩვენ ჩვეულებრივი ქართული გულლია სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს.

სოფელ ლაფსყალდიდან (ლაბსყალდაში) გამოგინერეს (выписали) (ალბათ ასეთი განკარგულება იყო, კ. ქ.), რომ ჩვენთვის ეჩვენებინათ:

ჯვარი, ვერცხლით ჩამოსხმული, მოოქრული, შროშანისმაგვარი დაბოლოებით. წინა მხარეს ჯვარცმაა წარმოდგენილი, მედალიონებით; ჯვრის მკლავებზე: ღვთისმშობელი და იოანე ღვთისმეტყველი; ზემოთ ხელაპყრობილი ანგელოზებია, დაბლა ადამის თავია. უკანა მხარეს, მთელი ტანით, ღვთისმშობელი ყრმით; ზემოთ – მხსნელი მთელი ტანით; მკლავებზე ანგელოზები, მიფრინავენ ღვთისმშობლისკენ; დაბლა – წმ. ნიკოლოზი სახარებით ხელში აკურთხებს;

პერგამენტზე ხუცური სახარებაა, უფრო ახალი, ვიდრე ადიშის და მესტიის. ყდითაა დაფარული, რომელიც ადრე ფარჩის ყოფილა, ახლა ვერცხლის თხელი ფურცლითაა დაფარული, გამოსახულებებით, აქვს ბერძნული წარწერა.

სახარება მთავრული ასოების გარეშეა, მაგრამ თითოეული სახარების დასაწყისში აქვს 4 თავსამკაული, ერთი და იმავე ტიპის საღებავების, როგორც მესტიისაა, მაგრამ მხატვრობა მეტად რეალისტურია; 4 ევანგელისტი (მახარობელი) შენარჩუნებულია საკმაოდ კარგად, რომლის ფორმის გადმოცემაში შეიმჩნევა, ასევე, დიდი რეალიზმი, ვიდრე ბიზანტიური ხასიათის მინიატიურებში. ასევე, მესტიის მსგავსი კანონების 4 თავსამკაული აქვთ თითოეულ მახარობელთან, დაწერილია მენამული ფერით. სახარების დასასრულს მინანერია, რომელიც გვამცნობს, რომ ის გაკეთებულია მეფის სულიერი პირის ბერ ილარიონ სოფრომადის (Иларион Сафронидзе) მიერ, როცა მეფე დავითი რუსუდანის შვილმა გადაიყვანა ოპიზიდან გელათში, აჩუქა მას ეს სახარება, რომელიც მან დაამშვენა. ბაქრაძე ვარაუდობს, რომ მოხსენიებული დავითი არის დავით ნარინი, თამარ მეფის შვილიშვილი, ქალიშვილ რუსუდანის შვილი, და ცხოვრობდა XIII საუკუნეში.

სოფელ ფხოტრერში განთავსებულია დადემქელიანების საშტატო ეკლესია. ის ეძღვნება მთავარანგელოზ მიქაელს, აშენებულია ისეთივე ქვისგან, იმავე გეგმით, როგორითაც სხვა დანარჩენი და, როგორც ყველა, საშინლად გაპარტახებულია. სამხრეთის კარიბჭე კოლონებითა და განიერი თალით, უფრო მცირე ზომის, მოგვაგონებს ზარზმის ეკლესიის ისეთსავე კარიბჭეს. საკურთხეველის ნაწილი სამი ნახნაგითა და ორი კოლონით ეკლესიის კედელთანაა განლაგებული.

კარი სამხრეთით უღობიერი ხისგანაა მოხარატებული, აღმოსავლური გემოვნების, აქვს ამობურცული ჭედური საფანტის ფორმა, ფირფიტები (дробница), რომელიც მეტაღზე ორნა-

მენტს მოგაგონებს და წმინდანების გამოსახულებები ამოჭრილია უფრო ღია ფერის ხეზე.

იმავე ეკლესიაში ვპოულობთ: ხის კოლოფს (ზარდახმა, კ. ქ.), სავარაუდოდ, წმინდანთა ნაწილების შესანახი პატარა-პატარა დანაყოფებით, რომელშიც შემდგომ შუშასთან ერთად ჩადებული იყო მინიატიურული გამოსახულებები; დანაყოფი გაკეთებულია არაბული ხაზებიანი წვრილი მარმარილოსგან. ყუთს გარედან ოქროს ზონარი აქვს, დაფარული აღმოსავლური გამოსახულების გრიფონებით და არწივებით.

მხსნელის დიდი ხატი, ადრე მოოქრული მოჭედილობისა, მოხატული ყოფილა. სანახატი გამქრალია და შიგნით თავში მხსნელის გამოსახულებიანი სხვა ჭედური ფირფიტაა ჩადგმული. ნარწერა გვამცნობს დედოფალ რუსუდანზე, მეფე დიმიტრის (დემეტრე I, კ. ქ.) ქალიშვილზე, გიორგის დაზე.

ორი ხატი მთავარანგელოზების, რომელზედაც კიდეა ემანუილის გამოსახულება, ჭედური, ჩვეულებრივი ხელობის. ერთ მათგანს უკნიდან შემოკრული აქვს გრძელი ისტორიული სამოქალაქო ნაწერი, სადაც საუბარია გამარჯვებაზე, რომელიც მოიპოვა სამეგრელოს მმართველმა ლევან დადიანმა (Леван Дадиан) (ლევან II, კ. ქ.) მეფე ალექსანდრესა და მის ძმა მამუკაზე ძველი ბაგრატის ტაძრის იერიშით ალებისას და სხვა ლაშქრობით, რის აღსანიშნავადაც ეს ხატი შემდგომ მოჭედილი და გაგზავნილ იქნა სვანეთში, რომ ის ყოფილიყო დადებული ეცერის პროვინციის (თემის, კ. ქ.) მხსნელის ტაძარში, 1646 წელს.

რამდენიმე სხვა ხატი და დიდი ჯვარი, ჩვეულებრივად დაფარული ნაჭედი ვერცხლით, რომელთა შორის გამოირჩევა წმინდა გიორგი ცხენზე, ბრწყინვალე გამოსახულებით.

21 აგვისტოს ბარშიდან ნავედით 10 ვერსს იქით, მეზობელ ხევში, სოფ. სვიფში წმ. გიორგის ეკლესიის დასათვალიერებლად, რომელიც თითქოსდა ორნაწილიანია და დღეს ზემო ნაწილთან დაკავშირებულია ხის ზედნაშენით, თუმცა ის იმდენად ამაგრებს მას, რომ დიდხანს გაძლებს.

ეკლესია, ალბათ, იმავე ტიპის იყო, როგორც დანარჩენი, მაგრამ დღეს შედგება ერთი კვადრატული შუა ნაწილისგან. კედლები და კამარა დაფარულია ფრესკებით, კარგად შენარჩუნებული ნაწილით, მაგრამ სიბნელის გამო მათი დანვრისებით შესწავლა ან გადაღება შეუძლებელია.

ეკლესიაში კარი დასავლეთიდან მოხარატებულია და ისეთივე მოჩუქურთმებული მორისგან შეადგენს ერთ მთლიანს; კარი მოჩუქურთმებულია იმავე სტილით, როგორც ყველა ხის ავეჯი სვანეთში, დაფარულია ჩვეულებრივი გეომეტ-

რიული ნახატებითა და ჯვრებით, დამშვენებული ნარწერით, სადაც, ვილაც გაბისოი (Габисси) წმ. გიორგის სთხოვს მფარველობას.

ეკლესიაში რამდენიმე დიდი ჯვარია, რომელთაგან ერთი შესახედავად ახალია, დაფარულია ნაჭედი ვერცხლით, კარგად შენარჩუნებული, გამოსახულებით შუა მკლავზე: მხსნელის, მოციქულებისა და მთავარანგელოზების, ხოლო განივად ბენზე მთელი ტანითაა გამოსახული: წმ. გიორგი, დიმიტრი, თევდორე და პანტელეიმონი. დაბლა ნარწერა, სუფის თემი მის დამამშვენებელსა და განმადიდებელს წმ. გიორგის სთხოვს მფარველობას.

ხატებს შორის არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო ადგილობრივ წმ. გიორგის ხატს, სიმაღ. 2 არშ., ბრწყინვალე ჩარჩო საუკეთესოდ ნაჭედი, რომელზედაც ამობურცულია აღმოსავლური საფანტისებრი ფორმა (Дробница)15, რომელთა შორის მაღალ სარტყელზე წელზემოდ გამოსახულია „ქომაგობა“16 (Деисус), ხოლო გვერდებზე მთელი ტანით წმ. თევდორე და დიმიტრი.

სახარება ხუცური, უყდო, თავი და ბოლო აკლია, ორი სხვადასხვა ხელნაწერი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკლესია მიტოვებულია, იქ მრავალი ჯოხი ინახება (Палок), რომელიც ისრის სახითაა გამოყვანილი. შეკითხვაზე, რას ნიშნავს ეს, გავიგეთ, რომ გაზაფხულზე სოფლელები თავის მოვალეობად რაცხავენ წმ. გიორგის საჩუქრად მოუტანონ მსგავსი ჯოხისარი, რათა მოიმადლიერონ დიდმონაშემ და მფარველობა შესთხოვონ.

ეკლესიის გარეთა აღმოსავლეთის კედელი ფრესკებითაა დაფარული, ცხენზე გვირგვინიანი ფიგურებით, რომლის მნიშვნელობა ძნელია გაიგო, ვინაიდან ზევით ხის დანაშენითაა დახურული.

22 აგვისტოს დილის 9 საათზე ვტოვებთ სტუმართმოყვარე თავად დადემქელიანის ოჯახს და ახალგაზრდა თავადების თანხლებით ყველა უკან, ენგურის ხევში, ვბრუნდებით, ვიგონებთ მასპინძლებთან იმ ბრწყინვალე სურათს, რომელსაც მოსალამოებულს წარმოადგენს მათი ხევი, როცა მთელი არემარე გამჭვირვალე ნისლში ეხვევა, ხოლო მთვარე (МЪСЯЦЪ) ცდილობს, ღრუბლები როგორმე აღმაცერად გაარღვიოს, გაანათოს დადემქელიანის ძველი კოშკი და მის ირგვლივ თავმოყრილი ნაგებობები.

ვჩერდებით მწვერვალზე, ქვის ჯვრებთან, რომელიც გზაზეა, სადაც მოგზაურებს წესად აქვთ ლოცვა აღავლინონ, ითხოვონ გზაზე მშვიდობიანი მგზავრობა. მესტიამდე მივდივართ იმავე გზით, რომლითაც მოვედით, მაგრამ არმისულეები სოფლამდე, იმ ადგილამდე, სადაც მდინარე



მულხრეს გზას ქვის წინალობა ხვდება, სძლევეს მას, ბობოქრობს, აქეთ-იქით ეხეთქება და მიედინება გრანიტის კედლებში. დიდხანს ვდგავართ, ვტკბებით მოულოდნელი სურათით. ხიდს გადავდივართ და მარცხენა ნაპირით მდინარეს აღმა მიუყვებით ტყიანი მაღლობით, საიდანაც მულახის და მუჟალის თემები ჩანს, ბრწყინვალე ტყით, რბილი გზით, გადმოკიდული არყის ხეებქვეშ, ცირცელის, ძახველის, თხილნარისა და დიდი რაოდენობით იელის, რომლებიც ხეებქვეშ ნიადაგს ფარავენ. გზა ისე მყუდრო და მოხერხებულია, რომ არა მდინარის გასწვრივ ციცაბო და შიშველი მთები, შეიძლება თავი წარმოიდგინო კავკასიიდან შორს, სმოლენსკის ან ვლადიმირის გუბერნიის ტყის მყუდრო კუთხეში. ეს კლდეები პირველი მოგზაურობისას არ გვინახავს, ვინაიდან ჩვენი გზა უფრო მაღლა გადიოდა, სოფლებს შორის, მაგრამ ახლა არ შეგვიძლია თვალი მოვწყვიტოთ ამ ხრამებს, ამ ციცაბო, მუქ-წითელი ფერის ვეებერთელა მთებს, რომელთა ძირში ხმაურობს, ჩუხჩუხებს მდინარე.

ტყით მივდივართ უღვირის მთის ძირამდე; გადავდივართ მოკლე, მაგრამ ხშირქვიან აღმართს და ისეთივე დაღმართით, რომელსაც მივყავართ იფარის თემის სოფელ ბოგრეშში, სადაც მწვანე მდელობზე კანცელარიაა, იმ ადგილას, სადაც მდ. ადიში ეხეთქება ენგურს, გადმოკიდებული ძველი ხის ქვეშ, ჩვენთვის მომზადებულ ღამის სათევში.

უღვირის მწვერვალზე ჩვენი ყურადღება მიიქცია ყვითელმა კროკუსმა, რომლითაც მთელი მდელობი იყო დაფარული.

23 აგვისტოს ვემზადები გადავიდე ლატფარით. დილით 6 საათზე ვსხდებით ცხენებზე, ვჩქარობთ საპალნე გავაგზავნოთ და დავიძრათ კალას მიმართულებით, ხევში ჯერ კიდევ სიბნელეა, ნესტია და ცივა, მაგრამ დაახლოებით 8¼ საათზე მზე ამოცურდა, გაანათა მწვერვალები, ჩვენ გარშემო არსებული მთის წვერი, კლდოვანი მაღლობი და დაღმართები, ჩვენს თავს ზემოთ გადმოკიდებული ხეები, – ჩვენ გარშემო არსებული ბუნება არ შეიძლება შეადაროთ იტალიისას, ტიროლისას და სხვას.

ერთ ადგილას ფრთხილად ავდივართ და ისევ ასპიდის ნაშალზე ვბრუნდებით. ენგური მოპირდაპირე მხარის ჩამონაშალის მარცხნივ მკვეთრად მოხვევის შემდეგ რეცხავს კლდის ნაპირებს, რომელიც გარს უვლის საკმაოდ ციცაბო კედლების მქონე სივრცეს. კვირიკეს მონასტერი ჩვენს თვალებს წარმოუდგა კიდევ უფრო დიდებული, ვიდრე ეს კალას თემის მხრიდან ჩანდა და აგვირგვინებს ძალზე თვალწარმტაც ღრმა ხეობას და ნაძვის მუქ ტყეს, რომელიც გარს არტყია.

თოვლიანი მწვერვალები დღეს არ ჩანს; მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ მივედით კალას თემის კანცელარიასთან, წუთიერად გაირღვა ღრუბლები და გაგვახარა ღია ცისფერმა ცამ და ადიშის მთის თოვლიანმა მწვერვალებმა. ისე მოულოდნელი იყო ეს მოვლენა, რომ ჩვენ ის მაღლიერებით მივიღეთ, როგორც თავისუფალი სვანეთის უკანასკნელი სალამი.

გადავიარეთ ხიდი და მდინარე მუშურას ხეობა, ნელა შევუდექით აღმართს, უამრავ გრძელ მოსახვევს, ვტკბებით ენგურის ხევით და კალას თემის სოფლებით. სვანეთში ჩვენ მიერ გატარებული დროის პერიოდში შემოდგომა ნელ-ნელა მოგვიახლოვდა: ფოთლები ყვითლდებოდა და წითლდებოდა, ასკილი და დანარჩენი ნაყოფი, მათი თესლის ნაწილი დამწიფებულა, თითქმის ყველა დაყვავილებულა და მხოლოდ აკონიტუმი ბრწყინავს ნათლად თავისი მუქ-ცისფერი და შროშანის ტონით; როდოდენდრომების ძლიერ ბუჩქებქვეშ გამოჩნდა მჭადა სოკოც (Рыжик). ლატფარის მწვერვალებზე თოვლი ცოტაა, მაგრამ ისე ახალი, ალბათ უკანასკნელ დღეებში მოსული; ნისლი დაეხეტება ხევებში და ზოგჯერ ყოველი მხრიდან გვეხვევა; ჰაერში მოახლოებული ახალი თოვლის სიგრილე იგრძნობა; თოვლიანი მთები საერთოდ არ ჩანს და მხოლოდ თეთნულდის ნისლი იფანტება, და მზე თოვლის მწვერვალებზე თამაშობს.

დაღმართის ბოლომდე არმისულები, ჩვენ ვუხვევთ მარჯვნივ ცხენისწყლის ხეობაში და დაშვებას განვაგრძობთ რბილ, ჩრდილიან ბილიკზე, ზოგან გადარეცხილ, ზოგან საუკუნოვანი ნიფლნარის ხევში გადებულ, სიღრმეში მზის გამონათებებით, მზის სხივის თამაშით, ხავსიან ბუმბერაზ ტანიან ხეებზე, რომელთა ტოტები გზიდან გადმოკიდებულია და, რომელნიც ამ გზას განსაკუთრებულად მშვენიერსა და თვალწარმტაცს ხდიან. ვჩერდებით სოფელ მამის (Мами) განაპირას, ჩალურის თემში, და ვათვალიერებთ წმ. გიორგის ძველი ეკლესიის ხის მოჩუქურთმებულ კარებს. ტაძარი დგას ხეების ჩრდილქვეშ, მაგრამ მიტოვებული და ავეჯულობის გარეშე.

ჩვენ უკვე სადადიანოში, ანუ ქვემო სვანეთში, ვართ და ადგილობრივ ბლალოჩინს სოფელ მამიდან მინდვრის ბილიკით სოფელ თეკალში (Текали) მივყავართ. საიდანაც ოდნავ მოშორებით, ტყის ველიან გორაკზე, მაღლა ხევს ზემოთ, აღმართულია მომცრო, მაგრამ საკმაოდ მაღალი, ბაზილიკური ფორმის თლილი ტუფით ნაშენი ეკლესია, აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს განიერი კედლის სვეტები რომ აქვს.

ეკლესიაში სამი ფანჯარაა – დასავლეთით,

აღმოსავლეთითა და სამხრეთით; კარი ერთია – დასავლეთ მხარეს. კამარა და კედლები ჩვეულებრივად დაფარულია ფრესკებით. ეკლესია ავეჯეულობით მდიდარი არაა; ის შედგება:

უზარმაზარი ჯვრისგან, რომელსაც ჩვეულებრივად თავისი ადგილი საკურთხეველის ზღუდის წინ შეუნარჩუნებია, დაფარულია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც წმინდანებია გამოსახული;

სავარძელზე მჯდომი მხსნელის ორი ხატი, ძალზედ უხეშად ნაჭედი, ხუცური წარწერით;

ღვთისმშობელი ყრმით (ჩვილედი), ოქროთი მოჭედილი, რომელსაც განსაკუთრებით კარგი ჩარჩო აქვს თავისი ორნამენტის სიმდიდრით, შერეულია ვედრების (Деисуса) გამოსახულებით, წმინდანების – პეტრე და პავლესი.

ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ტყის ბილიკით დავეშვით ხიდისკენ, რომელიც ცხენისწყალზეა გადებული. ვიდექით ნაპირთან, ვტკბებოდით სწრაფი მდინარით, რომელიც ქვის კალაპოტში მიედინება და ისევ შევსხედით ცხენებზე, დაბლა კიდევ ერთი ვერსი გავიარეთ და შევჩერდით ჩოლურის კანცელარიასთან, სადაც ღამე გავატარეთ.

24 აგვისტოს გავიარეთ ლენტეხის თემი (სადადიანო სვანეთი შედგება სამი თემისაგან: ლაშხეთის (Лашкетского), ჩოლურის (Чолурскаго) და ლენტეხის, შევდივართ ჩოლურის თემის თვალწარმტაც ადგილას განლაგებულ სოფელ საყდარში (საყდარს შუა საუკუნეებში ერქვა არშე, კ. ქ.), უზარმაზარ თხილნარში, გამორჩეულ გორაკზე არის წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესია მაღალი კოლოფური მოყვანილობის კამართაა და ორთაღიანია, დაფარულია საკმაოდ კარგად შენარჩუნებული ფრესკებით. საკურთხეველის თაღზე მხსნელს მაღლა აღუმართავს მაკურთხებელი ხელი; მის ახლოს მდებარე ჩრდილოეთის კედელზე ხარება იმავე კომპოზიციისა და ნახატი, როგორც სოფელ სუფში, და ნათლობა ძველი ქრისტიანული ტიპის, თევზებით იორდანეში და დახრილი ანგელოზებით, მოსანათლ ქრისტეს აძლევენ შესამოსელს; სამხრეთის კედელზე დიდი კომპოზიციისა, რომელიც მხსნელის შობას წარმოადგენს, მწყემსები, მოგვების თაყვანისცემა და მირქმა; დასავლეთის მხარის კედელზე რამდენიმე ფიგურაა შემორჩენილი სცენიდან – ჯოჯოხეთში ჩასვლა. ქვედა რიგი წარმოადგენს სამეფო ოჯახის ფიგურებს. ასევე, უფრო დაბლა – მორთული სამოსი, ის ჩვეულებრივია, როგორც ჩრდილოეთის ეკლესიებშია.

ეკლესია განახლებულია, ამასთანავე განადგურებულია ქვის კანკელი, ჯვარი ჩამოხსნილია თავისი ჩვეულებრივი ადგილიდან; კარები და

ფანჯრები შენარჩუნებულია სამხრეთ და დასავლეთის მხარეს. ნივთებიდან აქვთ ვერცხლის ოთხი ნაჭედი წმ. გიორგის ხატი;

მთავარანგელოზის ხატი, მოოქრული, ლურსმინისნაირი ჩარჩოთი;

ღვთისმშობლის ხატი;

შენდობა (Деисус) მაღალმხატვრული, ალბათ ადგილობრივი, მაგრამ კარგი ფუნჯით ნახელავი.

კანკელის ორივე მხარეს მიმაგრებულია 4 არშინიანი ჯვარი ჩვეულებრივი ტიპის ქუდით – ნვეტიანი მუზარადით (ყაბალახი) ზევით ჯვარედინად აღმოსავლური უმბონით (ფარის გულით, კ. ქ.);

ნვეტიანი ჯვრები, ალბათ სპეციალურად მისთვის, უხარისხო ვერცხლის თუნუქის ფურცლისგან, მაღალი ნვეტით ზემოთ, მაგრამ უჯვროდ.

ჩამოვდივართ ეკლესიის გორაკიდან და ვტკბებით ჩვენ უკან მდებარე ფართო მწვანე ხევის ხედით, რომელიც მოფენილია თვალწარმტაცი პატარა ხის სახლებით და განლაგებულია ტყის პირას, თხილის ხეების ტოტებქვეშ ან სიმინდის მინდვრებს შორის. გზას განვაგრძობთ მდინარის მარჯვენა ნაპირით. მოპირდაპირე ნაპირი მაღალი და კლდოვანია, ზოგან დაფარული ხშირი საუკუნოვანი ნაძვის ტყით, ზოგან ხავსიანი და ხავერდოვანი, ზოგან მიექანება პერპენდიკულარულად მდგარი ქედებისკენ. ის მთელ ჩვენს ყურადღებას იპყრობს; არ შეიძლება თვალი მოაშორო ამ სურათს, მაგრამ ვწუხვარ, ძალზე ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ წავიდე და ვერ ვრჩები, რათა ის ჩემს მესხიერებაში საუკუნოდ ჩამებეჭდოს.

ჩვენ მიერ გავლილი გზა უდავოდ მშვენიერია: გელობება ხავსით დაფარული კლდები, ჩია გვიმროვანი, უკანასკნელი ყვავილები, დიდი რაოდენობით იტალიური სურო, პიტოსპორმია, დაფნა და ილეკსა; ხეების გადმოკიდებული ტოტები ხვატისგან გვიფარავენ; მათი ფესვები ეშვება ციცაბოებზე, თითქმის გზამდე, იხვევიან, იკლაკნებიან როგორც გველები, ქვის ლოდებს გზად ხვდებიან ეხვევიან, იჭერენ და გულში იხუტებენ. მდინარის იქით იგივე ქედი, მაგრამ არა ნაძვის, რომელიც მას ფარავს, ნაწილი გამხმარა, ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას ნაუქცევია, უმონყალოდ განადგურებული ტყის ადგილას, ველობებზე, სათესის მოსაწყობად; არც ერთი ხის ჯიში არ შეუნყალებიათ. არცთუ ხშირად, მაგრამ გზად იპოვი საუკუნოვან კაკლის ხეს, მოხერხილს მგზავრის ან მწყემსის მიერ; ტყეების ასეთი მდგომარეობა კავკასიას უქადის სრულ განადგურებას და მით უმეტეს გაკვირვებული ვარ ჩვენ მიერ აღწერილი ადგილით. ეს ტყე და ადგილი ეკუთვნის ადგილობრივ მფლობელს, თავად გარდაფხაძეებს.

მარცხენა ნაპირის კლდეები ისე დამრეცია, წყლით მდიდარი და გზად ისე ბევრი წყალია, რომ რამდენიმე ადგილას ვხვდებით ბრწყინვალე წყალუხვ ჩანჩქერებს, რომლებიც კასკადით ძირს ეცემა, ხან კლდოვან სართულებზე, ხან ბნელი ტყიანი ხევის სიღრმეში.

მაგრამ აი, ახალი ქედი წამოწეულა ჩვენ წინ, რომელიც გზას გვიღობავს. ვძლევთ მაღალ, შეუპოვარ აღმართს იმ მდინარის თავზე არსებული ქვის აივანის შემოვლით; ეს – რკინის იატაკი (პალაო) (Ркинись-пала) ან „железный пол“, კლდე ამ სახელითაა ცნობილი იმიტომ, რომ პირველი მთის ბილიკი ამ სიმაღლეზე გაყვანილი იყო რკინის ძელების გამოყენებით. გავდივართ ლენტეხის თემის პირველ სოფელს ლექსურას (Лексури) თვალწარმტაცი თხილის ხეების ჩრდილქვეშ, ბოსტნებსა და ვენახებს შორის, უამრავ წყაროებს. ქუჩაზე ვაზის გადაკიდებული ლერწმებია. ეკლესიის გორაკამდე გავდივართ მათ ჩრდილქვეშ, მაგრამ აქ, ნაცვლად ქვის ეკლესიისა, ვნახულობთ ახალ ფიცრულ უაზრო ნაგებობას ყოველგვარი ჭურჭლეულის გარეშე, ხის თალით, დურგლის ნახელავ თეთრი ფიცრის კანკელს ხატების, ფარდებისა და სხვა მორთულობის გარეშე.

მაღლა, ტყიან გორაკზე, რომელიც გარს არტყია სოფელ ლექსურას, შენარჩუნებულია ქვის ეკლესია, ქვისავე კანკელით. სოფ. გულიდასა და ფაყში. პირველ ეკლესიაში, რომელიც მხსნელის სახელზეა, შენარჩუნებულია სამი ხატი;

მთავარანგელოზთა ხატი, რომლებსაც ხელში მხსნელის წელზემო გამოსახულებიანი, მედალიონი უჭირავთ, ჭედური, ვერცხლის, უხეში ნამუშევარია.

მხსნელის ხატი და პატარა ხატი, წმ. გიორგი ცხენზე, ვერცხლის, ჭედური, ბრწყინვალე კომპოზიციის, მაგრამ სრულიად შუასაუკუნეობრივი ტიპის, წარმოადგენს, ალბათ, სხვა არაფერს, თუ არა წიგნის ყდას, რომელიც გადაკრულია სრულიად ახალ დაფაზე მეტალის ყუით და გვერდითა თამასის მოჭედილობით, რაც ამ ხატს აძლევს სრულიად არასწორ და თავისებურ სახეს. გიორგის ფიგურა შუასაუკუნოვან ჯავშანშია, ფრიალა ლაბადით, საკმაოდ გრძელი ქვედა კაბით, მაღალი, რბილი ჩექმებით, შუბით ხელში, რომლითაც ის არავის ამარცხებს.

ორი ხატი ფაყიდან, რომელიც გამოირჩევა როგორც ნამუშევრის სიუხემით, ასევე, ნახატისა და კომპოზიციის უხეშობით.

კანცელარია, რომლის მახლობლად ჩვენ წავიხემსეთ და ცხენებიც ოდნავ შევასვენეთ, მდებარეობს ხევის სიღრმეში, უძველესი ცი-

ხე-კოშკის ლარაშის (Ларотъ) მოპირდაპირედ, რომელსაც გორაკის მწვერვალი უკავია. ეგ ხევის ის ადგილია, სადაც მთის მდინარე ლასყადურა და ხელედულა ცხენისწყალს უერთდება. კოშკი ერთი მხრიდან უფროსობს ლაშქედურას ხეობას, ხოლო მეორედან გადის მდ. ხელედულაზე და ამგვარად შეეძლო მის წინ არსებული სივრცისთვის მზერა ეტყორცნა.

ვუხვევთ მარცხნივ, ისევ მივუყვებით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს, ვტოვებთ რამდენიმე მწვანე მოსახვევს, გვერდს ვუვლით საშიმ კლდეებს, რომლის მწვერვალზე ავდივართ ციცაბო აღმართით და უცებ ნაპირზე ვხვდებით თითქმის მშრალ, სრულიად დაშლილ ნაკადს, გროვას, დაყრილი მდინარის ლოდებისა და გარდვიგარდმო მთის ქედს. ის არის ნაცრისფერი, მრისხანე და შთამბეჭდავი! ვუხვევთ კლდესთან და სურათი იცვლება; ჩვენ წინ ფართო ცხენისწყალია და ადგილობრივები წელამდე წყალში შესულან მდინარის წინალობის დასაძლევად და ტყის დასაცურებლად.

კლდეების შემადგენლობა იცვლება; ჩნდება მყარი ქანები, ყველაზე ხშირად გრანიტი, მოშორებით, ცაგარის ახლოს, პორფირიც. აღმართები სერიოზული ხდება, თუმცა ბილიკები ფართოა, მაგრამ ნაცნობ სიმაღლეზე შემოვლას ვახერხებ ბუჩქებით, კლდის კიბეებითა და დაკიდული აივნებით ას მეტრ ან ასორმოცდაათ ფუნტ სიმაღლეზე. ეგ იქნებოდა შემზარავი, რომ არა ბუნების სილამაზე, რომ არა ლაქებიანი კლდეები, იტალიური სურო, რომელიც შენს თავს ზემოთაა, ყველა ესენი ორანჟერეას მცენარე როდია, რომლებიც შექუჩებულები არიან ხრამზე, რომლებიც გებლაუჭებიან, გართობენ და უნებლიეთ გაიძულებენ დატკბე და მოიხიბლო შენ გარშემო არსებული მომაჯადოებელი ბუნებით.

აი, სერებრიაკოვის კანტორა – თავად ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის ტყის დამამუშავებელი – განლაგებულია იმ ადგილზე, რომელსაც ჰქვია ლამანშური (Ламаншури), ხოლო ოდნავ მოშორებით, არ მისული სოფელ ნაზაშამდე (ნაზაში თუ მაზაში კ. ჭ.) (Назашъ), – არის ჯვარი, რომელიც შემოკავებულია ქვის ზღუდით, იმ ადგილზე, სადაც მხსნელმა სახარება იქადაგა, გაჩერდა, ვინაიდან გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო მის წინ არსებული უღრანი ტყის გამო; ქვაზე ჯვართან გიჩვენებენ მხსნელის დატოვებულ კვალს.

მაღე ადგილი რბილი ხდება: სოფლები ხშირად გვხვდება; ჩნდებიან თხილისა და ნაბლის ხეები. ყურძნის ლერწები, რომლებიც ხიდან ხეზეა გადაკიდებული ან ქმნიან ჩვენს თავს ზემოთ ფარდულს, არანაკლებ ხელს უწყობენ სასიამო-

ვნო შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს სოფლები ახდენენ; დიდძალი თხის არვე კიდევ უფრო აცოცხლებს ამ სურათს.

აი, ხევი ვინროვდება და კლდეები - ახლა სრულად კირიანი, გვიახლოვდება გზის ორივე მხარეს, ავინროვებს მდინარის კალაპოტს და გზას მარჯვნივ მიმართავს. მივდივართ შიშველ მთაზე, გასწვრივ, სრულიად თეთრ, წინწკლებიან კლდეზე; მხოლოდ თავს ზემოთ იგივე მყოვნავი წყალი, სუროს იგივე მყარი ფარდული, მცენარის იგივე გადმოკიდებული ფესვები. თუმცა ზოგჯერ სურათი იცვლება: ხრამი, რომელსაც ბევრ ადგილას უნდა შემოუარო, შედგება მთის სხვადასხვა ქანის ლოდებისგან, რომლებიც ერთმანეთში კირის ხსნართაა შეერთებული; ეს კონგლომერატი ბევრგან, თავისი შემადგენლობით უზარმაზარ რიყის ქვისა და მთლიანი გრანიტის ლოდის შვერილებს ქმნის...

კიდევ ერთხელ ვუხვევთ მარჯვნივ და გორაკის მწვერვალზე ვხედავთ მურის (Мури) კოშკს, რომელიც სამეგრელოს მთავარს ეკუთვნის, შემორჩენილია მხოლოდ ორი ზარბაზანი, იგი განთავსებულია სვანეთისა და ლეჩხუმის საზღვარზე.

კლდის კარი, რომელიც დაკეტილია, ღირსეულად ამთავრებს ჩვენ მიერ გავლილ თვალწარმტაც გზას და სიამაყით შეიძლება დაერქვას „ცხენისწყლის სვანეთის კარები!..“ (Воротами Цхенис-цхальской Сванетий).

კიდევ ვერსი სწორ გზაზე და ჩვენ ლეჩხუმში ვართ, ვრცელ ქვაბულში, სადაც მდებარეობს სოფელი ცაგერი (Цагеръ), რომელიც 1823 წლამდე მიტროპოლიტის ადგილსამყოფელს წარმოადგენდა, ამჟამად ლეჩხუმის მაზრის უფროსის კელამოვის (Келамов) საცხოვრებელია, რომლის სახლშიც ღამის სათევად ვჩერდებით.

25 აგვისტოს ვათვალიერებთ ეკლესიას ცაგერში, სადაც შენარჩუნებულია აკლდამები დედოფალ ელისაბედისა და უკანასკნელი მიტროპოლიტის იოანესი, სამეგრელოს მთავარ გრიგოლის ძმისა. ეკლესია სიძველეებით მდიდარი არაა; ინახება რამდენიმე ხელნაწერი. სხვაზე უფრო მნიშვნელოვანი:

გამოსატანი ჯვარი, ანუ კვერთხი, რომელიც თავისი მდიდრული მორთულობით ნიკორწმინდის ჯვარს მოგვაგონებს, მაგრამ მინანქრის მედალიონების გარეშე, რომელიც (Запанами) ცაგერში შეუცვლიათ ფალით, ძვირფასი ქვებისა და მარგალიტის სამაგრით;

ორი ჯვარი, ათონური ნახელავი, მორთულია აღმოსავლური სტილით ქართული მინანქრით;

აკლდამიდან ნაქსოვი სუდარა დედოფალ ელისაბედის, ასევე აღმოსავლური სტილით შესრულებული;

სარტყელი აღმოსავლური ყაიდისა და ასეთივე ბალთა;

ღვთისმშობელი ყრმით, ადგილობრივი ხატი: ჭედური, მოოქრული, დაბრძანებული დიდებულ ტახტზე, ქვევით დამშვენებული. განსაკუთრებულად ლამაზია ხატის არშია სრულიად კლასიკური ტიპის მედალიონებით;

მხსნელის ადგილობრივი ხატი, ასევე, მოოქრული მოჭედილობა მშვენიერი სახით, რომელიც ქართული ფუნჯის ნახელავია. შემოსილობა უმნიშვნელოა: წარწერა ხუცური, ალბათ, ძალზე ძველი, სვეტებად დანერილი. მთლიანი არშია საშუალებას არ იძლევა, რომ ჩამოიხსნეს ან დაიშალოს;

მხსნელის ხატი, მშვენივრად დახატული, ნაკრები ოქროს მოჭედილობით, ფაქიზი ნახელავი. ალბათ ადგილობრივი ფუნჯით, ფითხით დახატული, ნაზად ნანერი, ღვთისმშობელი ყრმით, მოვერცხლილი, ჭედური, მაგრამ ნამუშევარი არაა მოსაწონი.

საცეცხლური (Кадило) ვერცხლის, აღმოსავლური ტიპის;

წურწუმა (ხელსაბანი) ყვითელი სპილენძისა და უხეში მინანქრით, გამოჭრილი საფანტისებრი ფორმით, აღმოსავლური ტიპისა.

10 საათზე ისევ ცხენებზე ვსხდებით და ორბელის უღელტეხილით იმავე სახელწოდების სოფლისა და ბრწყინვალე ლაჯანურის უღელტეხილით ჩავდივართ ალპანაში, სადაც ვსაუზმობთ, ვსხდებით ფაეტონზე და საღამოს ჩავდივართ ქუთაისში, სადაც რამდენიმე დღე ვრჩებით კერძო კოლექციების დასათვალიერებლად.

31 აგვისტოს მივემგზავრებით თბილისში საქართველოს სამხედრო გზით თ, ჩავდივართ ვლადიკავკაზში, სადაც რამდენიმე ხანი გათხრებით ვართ დაკავებული და სექტემბრის ბოლო დღეებში ჩემთან, სოფელში, ვბრუნდებით.

კონსტანტინე (კოტე) ჭილაია,

მთარგმნელი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი



## საცხენოსნო კლუბი „ხარება“

სამეგრელოში ოდითგანვე იყო ცხენის კულტი. მეგრელი ვაჟკაცის წარმოდგენა შეუძლებელი იყო კარგი ჩოხა-ახალუხის, ოქრო-ვერცხლით მოჭედული უნაგირისა და კარგი ცხენის გარეშე. კარგი ცხენის პატრონს, კარგ მხედარს, მოჯირითეს, მეომარს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ და ისინი სასურველ სტუმრად და სასიძოდ მიიჩნევენ, როგორც ზუგდიდში, ისე მთელ სამეგრელოში.

ზუგდიდში ცხენოსნობას, როგორც სპორტის სახეობას, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. პირველად შეჯიბრებები იმართებოდა ბაზრობებსა და საეკლესიო დღესასწაულებზე ცენტრალური ხეივანის ირგვლივ, წრიულად-ქვაფენილზე.

ცხენოსნობას, როგორც სპორტის სახეობას, ზუგდიდში საფუძველი ჩაუყარეს ბატონებმა: გრიშა ჩაჩიბაიამ, ანთიმოზ როგავამ, საშა (ალექსანდრე) დარასელიამ, დომენტი კანკიამ და კლიმენტი ხარებავამ. დღევანდელი ბაზრის ტერიტორიაზე 1947 წელს ააგეს საცხენოსნო თავლა, დღესაც ახსოვს ზუგდიდელებს შეჯიბრებებზე გამარჯვებული მხედრები და ცხენები: ალია, არიოლი, პატეფონი, ზაურბეგი, ბრასლეტი, სორგო, რური, ნახოტკ-დიოსკოპი, პერაკი, ბაკალი, ციკლოპი, ბოსკოდი, ლაბერინთი, გონჩი და მრავალი სხვა.

პირველი მხედრები, რომლებმაც წარმატება მოუტანეს ზუგდიდს, იყვნენ: საქართველოს ცხენოსანთა გუნდისთავი საშა დარასელია, ნაკრების მედროშე ემელიანე ნაჭყებია, ნაკრების წევრები და საქართველოსა და სსრ კავშირის ჩემპიონები, პრიზიორები; მიშა ნაჭყებია – ყაბახში გამარჯვებული, ვახტანგ დარასელია – დოღში გამარჯვებული, გოგი ნაჭყებია, ანზორ შონია, ხუტა ხასია, ჯატუტი გოროზია, გრიშა ქოჩქიანი, ლეო ხორავა, თამარ ჭითანავა, ვარადი გელენავა, ემზარ კვარაცხელია, მამედი ნურნუშია, ბოჩია ემხვარი, მამია

შონია, ოთარ ჯაფარიძე, შოთა ჭურღულია, ოთარ ხაინდრავა, ნუგზარ და აგრა ზარანდიები, ძმები კრაინენკოები და საქართველოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი არდევან გულორდავა, ახალგაზრდა თაობის ცხენოსნები, საქართველოს ჩემპიონები: ოთო ჭითანავა, დარიკო ლავგილავა, მამია შონია და, რა თქმა უნდა, ცხენოსნობის პიონერები დომენტი კანკია, კლიმენტი ხარებავა და საშა დარასელია.

ზუგდიდის მაშინდელი რაიკომის პირველი მდივანი გრიშა ჩაჩიბაია ცხენოსნობის დიდი ქომაგი იყო და მან ყოფილი „მიურატის მინდორზე“, დღევანდელი მერაბ კოსტავას სახელობის სკოლის წინ, ააგო სტადიონი-იპოდრომი, რომელსაც აშენებდა მთელი ზუგდიდი, ამ მშენებლობაში მონაწილეობას ლებულობდნენ სკოლის მოსწავლეებიც კი. სამშენებლო მასალებს ურმებით ეზიდებოდნენ.

სტადიონ-იპოდრომი გაიხსნა 1951 წელს, იპოდრომზე იმართებოდა სხვადასხვა სახის საცხენოსნო შეჯიბრებები: ცხენბურთი, ჩეხვა, ყაბახი, ისინდი. ჩერეზი, დოღი, მარულა, თარჩია, გერულაფა, ცხენით ვარჯიში, მოქნევა, მკერდაობა...

ჩვენს ქალაქს 61 წელს ემსახურა ეს იპოდრომი. 2012 წელს ვილაცები დაინტერესდნენ ამ ტერიტორიით და მოლაღატურად, სხვადასხვა საბაბით დაანგრეს ჩვენი ქალაქის მშვენება სპორტული ასპარეზობების წმინდა ადგილი – სტადიონ-იპოდრომი ხალხს წაართვეს.

სამწუხაროდ, რაიკომის პირველი მდივნის მონდომების შედეგად აშენებული ახალი იპოდრომიც შეინირა ავბედიტმა ჟამმა, საუბედუროდ, არ გამოჩნდა ჩინოვნიკი, რომელიც დაიცავდა სტადიონ-იპოდრომს, სადაც ააშენეს საავადმყოფო, ვითომდა რუხში სხვა მიწის ნაკვეთი არ ყოფილიყო, განადგურდა სანრეტები, დრენაჟი, თავლა, სარბენი ბილიკები, არადა, ყველაფერი ამის შენარჩუნება შეიძლებოდა, მაშინდელი ხელმძღვანელობა თავს ვერ იმართლებს ზუგდიდელების წინაშე, ზუგდიდში დარჩენილი ცხენები სვანეთის გზას გაუყენა, ისევ საცხენოსნო სკოლის აღზრდილმა „პირუტყვმა“ და ამით დამთავრდა ზუგდიდში საცხენოსნო სპორტი, განადგურდა სტადიონი-იპოდრომი.

საბედნიეროდ, ზუგდიდში გამოჩნდა პიროვნება, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარ „ხარებას“ წინამძღვარი მამა (იაკობ) ეხვია, რომელმაც სოფელში გაყიდა საკუთარი სახლ-კარი, თხილის ნაკვეთი და ტაძრის მიმდებარე ტერიტორია შეიძინა,



სადაც შვილების დახმარებით ააშენა თავლა.

2015 წლის 6 მაისს მამა (იაკობ) ეხვიაამ, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე უფლის ნებით დააფუძნა საცხენოსნო კლუბი „ხარება“. ზუგდიდელებს გაუჩნდათ იმედი, რომ გახდებიან მონმენი, თუ როგორ დაიბრუნებს ზუგდიდი ძველ დიდებას.

მამა იაკობმა სამი ცხენით დაიწყო და დღეს კლუბს 15 წმინდა სისხლის ცხენი ჰყავს. რაშიც დიდი შრომაა ჩადებული (ერთ ცხენს სჭირდება 50 ლიტრამდე წყალი, კვება, შვრია, თივა, ვარჯიში, თავლის განმენდა, ვეტერინარის მომსახურება და ასე შემდეგ). კლუბს იაკობის ორი შვილი ანაზღაურების გარეშე აკეთებს. ახლახანს მათ მიემატა მთავარი მწვრთნელი.

ზუგდიდელმა ცხენოსნებმა ისე, როგორც 1948-49 წლებში, 58 წლის შემდეგ, მოიპოვეს 2016 წლის აბსოლუტური ჩემპიონობა ეროვნულ სახეობებში, რაშიც დიდი შრომაა ჩადებული. ზუგდიდის სპორტის მუზეუმში გამოფენილია კლუბ „ხარებას“ 2016 წლის ჩემპიონობის ჯილდო – „დიდი თასი და დიპლომი“.

2019 წლის 26 მაისს სამტრედიიაში ჩატარებული საცხენოსნო შეჯიბრისას მარულასა და დოღში ჩვენმა ცხენოსნებმა ოთხი გარბენი მოიგეს, პირველ და მეორე ადგილებზე გავიდნენ საბა და მათე ეხვიაები. 21 ივლისს აბაშაში ეროვნული ცხენოსნობის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარებულ ხალხური ცხენოსნობის ფესტივალში გაიმარჯვეს კლუბ „ხარებას“ ცხენოსნებმა საბა და მათე ეხვიაებმა (მწვრთნელი სოსო შელია). 19 აგვისტოს „ბახმაროში“ ჩატარებულ ტრადიციულ შეჯიბრებაზე ცხენოსნობაში საბა ეხვიაამ ორივე მანძილზე გამარჯვებისათვის მიიღო თასი, დიპლომი და ფულადი ჯილდოები. 28 აგვისტოს სამტრედიიაში ჩატარდა შეჯიბრი ცხენოსნობასა და ისინდში. ორკილომეტრიანი დოღი მოიგო ზუგდიდელმა მათე ეხვიაამ (ცხენი „შავი მარგალიტი“), ხოლო ერთკილომეტრიანი დოღი მოიგო საბა ეხვიაამ (ცხენი „ცხუმი“) ძმებმა დაამტკიცეს, რომ უძლიერესი მხედრები არიან.

მხედრები საბა და მათე ეხვიაები (მწვრთნელი სოსო (ვალერი) შელია – საქართველოსა და სსრკ-ს მრავალჯგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი, პროფესიონალი და დიდი ბუნების ადამიანი), როგორც საქართველოს ჩემპიონები საცხენოსნო სპორტში, მიწვეული იყვნენ ამიერკავკასიის პირველობაზე ბაქოში, სადაც მოიგეს 2400 მეტრიანი დოღი.

დასაფასებელია კლუბის ალლო და წარმატებები.



**საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ – სიმდიდრე – ცხენებია:**

1. ფაზისი
2. ცხუმი
3. ლიმონი
4. პეტრა
5. შავი მარგალიტი
6. ზუგდიდი
7. ფოთი
8. ხარება
9. ბელაბუტი
10. პირველი
11. პრიზი
12. კარუსელი
13. სერბასი
14. კარაჩაი
15. მაშო
16. კვიცი-კენჯე
17. კვიცი-ჯიხა

კლუბი უახლოეს მომავალში აპირებს საცხენოსნო სკოლის გახსნას, რაც წაადგება კლუბს დაოსტატებაში, ასევე, ზუგდიდელ მოსწავლეებს – მკურნალობაში.

ამდენი წარმატების შემდეგ იმედია გაიხსნება ზუგდიდში კლუბი „ხარებას“ სახელობის იპოდრომი.

**რეკავ (როლანდ) მამასარიას**

**ზუგდიდის სპორტის მუზეუმის ხელმძღვანელი**





UDC(უცკ)3+0013(051)  
ს-175

ISSN 2667-9078



9 772667 907008